გრამიტონ ჯოლოხავა

სპორტის ფილოსოფია

მოკლე კურსი

თბილისი
2000

75.1
ჯ 676
© გ.ნ. ჯოლოხავა
სპორტის ფილოსოფია. მეორე გამოცემა. თბ., გამომცემლობა „ცოდნა" 2000წ. გვ.183

წიგნი ეძღვნება სპორტის ფილოსოფიის პრობლემებს. ავტორი წარმოადგენს აღნიშნული პრობლემების კვლევის დარგში მიღწევებს. წარმოდგენილი ნაშრომი, პოსტ-საბჭოთა სინამდვილეში, სპორტული პრობლემების მეცნიერული, ფილოსოფიური კვლევების პირველი მონოგრაფიული ცდაა. სპორტი თანამედროვე საზოგადოებაში წარმოადგენს ადამიანის მოღვაწეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სფეროს, სადაც წარმატებების მიღწევა ძრაგად სხვადასხვა ფაქტორებია დამოკიდებული, მათ შორის ფილოსოფიურზეც, რომელიც ასტიმულირებს სპორტული მიღწევების განვითარებას, აძაღლებს მწვრთნელისა და სპორტსმენის ინტელექტს, შეაქცს მათს საქმიანობაში მეტი მიზანდასახულობა. წიგნი ისახავს როგორც კვლევით ისე, შემეცნებით ძიხნებასაც, აქიტომ, ის როგორც ასეთი, შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც სასწავლო სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის. ამის თვალსაჩინო დადასტურებაა ისიც, რომ იგი, სწორედ, როგორც სასწავლო დისციპლინა, აგერ უკვე შვიდი წელია, წარმატებით გამოიყენება საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიაში. წიგნი განკუთვნილია, ასევე, სპორტული თემატიკით დაინტერესებული მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის.

რედაქტორები: ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი ლ. ელიავა
პედიატრიულ მეცნიერებათა კანდიდატი,
დოცენტი შ. ბუაძე

რეცენზენტები: ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ი. ქობალია
ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი
დოცენტი კ.კახიძე

პირველი თავი. სპორტის ფილოსოფია, მისი საგანი, პრობლემები, ცნობიერება და როლი სპორტში

§ 1. სპორტის ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების შესაძლებლობის შესახებ

ფილოსოფიურმა აზროვნებამ მრავალი სახის ფილოსოფიური პოძღვრება შექმნა. ასე მაგ., ბუნების, ისტორიის, რელიგიის, სიცოცხლის ფილოსოფია, და სხვა. აქვს თუ არა სპორტის ფილოსოფიას არსებობის რეალური საფუძველი?

ჩემი აზრით, ცხადია აქვს, თუკი სპორტი იქნება ფილოსოფიური გააზრების საგანი; მაგრამ რას ნიშნავს გამოთქმა: „ფილოსოფიური გააზრების საგანი?"

ყოველივე არსებული, რასაც თავისი ობიექტური კანონზომიერება გააჩნია და, მაშასადამე, შეისწავლება გარკვეული სახის მეცნიერებათა მიერ„ შეიძლება იყოს ფილოსოფიური გააზრების საგანი. ასე მაგალითად, ფილოსოფიური გააზრების საგანი შეიძლება იყოს შეშოქმედება. შრომა, ხელოვნება, სიყვარული, მშვენიერება და სხვა. ყოველი არსებული თავის თავში შეიცავს სპეციფიკურ და საყოველთაო კანონზომიერებებს, კანონებს, რომლითაც არსებობს ყოველიეე არსებულის სპეციფიკური და საყოველთაო ბუნება და რომელსაც ძველი ბერძენი ფილოსოფოსები? ფუσιζ -ბუნებას უწოდებენ[1]. საგანთა ეს საყოველთაო კანონზომიერება, მათ სპეციფიკურ და საყოველთაო ბუნებასთან აუცილებელ კავშირში არის სპორტის ფილოსოფიური გააზრების საგანი; სპორტის ეს ფილოსოფიური გააზრება კი არის სწორედ სპორტის ფილოსოფია.

ამგვარად, რამდენადაც არსებობს სპორტის ფილოსოფიური გააზრების საგანი, სპორტის საყოველთაო კანონზომიერება, ბუნება[2], იმდენად შესაძლებელია არსებობდეს სპორტის ფილოსოფია, როგორც მეცნიერების გარკვეული სახეობა.

§ 2. სპორტის ფილოსოფია, მისი საგანი, პრობლემები

ყოველ მეცნიერებას მისი კვლევის საგანი გააჩნია. არ არსებობს, ე-წ. უსაგნო მეცნიერება. მეცნიერება კვლევის საგნის შესახებ მსჯელობებსა, დასკვნებსა და ცნებებში ჩამოყალიბებ-ული, დასაბუთებული, ჰეშმარიტი ცოდნის სისტემაა. მეცნიერებათა განსხვავებას საფუძვლად უდევს კვლევის საგანთა სხვადასხვაობა. ამდენად, ცხადია, იმდენი სახის მეცნიერება არსებობს, რამდენიც კვლევის საგანია.

თუ მეცნიერების არსებობას მისი კვლევის საგნის არსებობა განსაზღვრავს,

1 სიტყვა „ბუნებას". მე, თითქმის, ამ მნიშვნელობით ვხმარობ და მასში ვგულისხმობ საგანთა და ობიექტთა ძირითად გარკვეულობას. განსაზღვრულობას.

2. უფრო ფართოდ ეს საგანი გარჩეულ იქნება სპორტის ფილოსოფიის საგნის დახასიათებისას.

ისმის კითხვა: რა არის სპორტის ფილოსოფიის საგანი ?

სპორტს, მრავალი, სხვადასხვა მეცნიერება სწავლობს. ისინი სწავლობენ სპორტის ამა თუ იმ კონკრეტულ მხარეს, მათთვის დამახასიათებელ კანონზომიერებებს. ამიტომ, მათ შეიძლება ეწოდოთ სპორტის შესახებ *კონკრეტული* მეცნიერებები.

რას შეისწავლის სპორტის ფილოსოფია სპორტის შესახებ სხვა მეცნიერებათაგან განსხვავებით ?

ყოველ საგანს, მოვლენას ახასიათებს სპეციფიკური და ზოგადი ბუნება. საგნის სპეციფიკური ბუნება საგნის ასეთად არსებობას, მის როშელობას წარმოგვიდგენს, საგნის ზოგადი ბუნება კი იმას, რაც ყველა საგნისათვის საყოველთაოდ დამახასიათებელია. სპორტსაც ახასიათებს სპეციფიკური და საყოველთაო ბუნება. სპორტის სპეციფიკური ბუნება ის გარკვეული განსაზღვრულობაა, რომლითაც ის გამოიყოფა ბუნებისა და სოციალური მოვლენებისაგან, ზოგადი ბუნება კი ის განსაზღვრულობაა რომლითაც ხორციელდება სპორტის კავშირი ბუნებასა და სოციალურ მოვლენებთან; აღსანიშნავია ისიც, რომ სპორტის სპეციფიკური და ზოგადი ბუნება არ არსებობს ერთმანეთისაგან მოწყვეტილად და ერთმანეთის გარეშე; თუ არ იარსებებდა სპორტის სპეციფიკური ბუნება, ვერ იარსებებდა სპორტის ზოგადი ბუნებაც და პირიქით.

ისმის კითხვა: რა განსაზღვრავს სპორტის სპეციფიკურ და ზოგად ბუნებას? სპორტის სპეციფიკურ ბუნებას მასში მოქმედი სპეციფიკური კანონზომიერებანი, კანონები განსაზღვრავენ, ხოლო სპორტის ზოგად, საყოველთაო ბუნებას კი მასში მოქმედი ზოგადი კანონები. სპორტის იმ სპეციფიკურ კანონზომიერებებს, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ ერთიან სპორტში და მის ცალკეულ სხვადასხვა მხარეში[3], შეისწავლიან ე.წ. კონკრეტული მეცნიერებები.

რა არის სპორტის საყოველთაო კანონზომიერება? ჩემი აზრით, სპორტის საყოველთაო კანონზომიერება არის დიალექტიკის საყოველთაო კანონზომიერებების (კანონების), მიმართებებისა და პრინციპების მოქმედება სპორტში, ე.ი. სპორტის საყოველთაო კანონზომიერება, თავისი არსებით არის სპორტის დიალექტიკური კანონზომიერება და სხვა არაფერი. ამის საფუძველზე სპორტის ფილოსოფიის საგანი ასე შეიძლება განისაზღვროს: სპორტის ფილოსოფიის საგანია დიალექტიკის საყოველთაო კანონზომიერებების, მიმართებების და პრინციპების მოქმედება და გამოვლენა სპორტში. როგორც ვხედავთ სპორტის ფილოსოფიას სხვა მეცნიერებისაგან სრულიად განსხვავებული კვლევის საგანი გააჩნია, რაც ნიშნავს იმას, რომ ის არის დამოუკიდებელი მეცნიერება.

დიალექტიკური კანონზომიერებების სპორტში მოქმედების ცნებაში

3. ერთიანი სპორტის სპეციფიკური კანონზომიერებანი უშუალოდ ვლინდებიან მის ცალკეულ სხვადასხვა მხარეში და არსებობენ ამ სხვადასხვა, ცალკეულ მხარეთა კანონზომიერებების სახით. ერთიც და მეორეც შეისწავლება კონკრეტულ მეცნიერებათა მიერ.

ყველისხმობთ დიალექტიკის უნიკერსალური კანონების მოქმედებას სპორტში. სპორტის უსასრულო განვითარება რეალურად მიმდინარეობს ამ კანონების საფუძველზე. მათი მოქმედების უარყოფას სპორტში უშუალოდ მიყავართ თვით სპორტის უარყოფამდე. სპორტში რეალურად მოქმედებს რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლის კანონზომიერება. ასევე, სპორტის წინსვლა, განვითარება მიმდინარეობს დიალექტიკური უარყოფის ფორმით, სადაც ყოველი ახალი შედეგი წინას ხსნის და კიდევ ინახავს. რაც შეეხება შინაგან წინააღმდეგობას, იგი სპორტის არსებობისა და განვითარების საფუძველია. შეგახსენებთ, როგორც სპორტის შინაგანი წინააღმდეგობა, უშუალოდ განსაზღვრავს სპორტის არსებობას და მისი განვითარების საფუძველიცაა. სპორტი წინააღმდეგობით: *შეჯიბრებით* არსებობს და ვითარდება. სპორტში საყოველთაო მიმართებების მოქმედების ცნებაში ეგულისხმობ დიალექტიკის კატეგორიების მოქმედებას სპორტში, რომლებიც დიალექტიკის კანონებთან ერთად, სპორტის საყოველთაო ბუნებას ადგენენ.

და ბოლოს, სპორტში საყოველთაო პრინციპების მოქმედების ცნებაში იგულისხმება დიალექტიკის საყოველთაო ხასიათის ძირითადი დებულებების უშუალო გადატანა და გავრცელება სპორტზე. ასე მაგალითად, დიალექტიკის ერთ-ერთი პრინციპია სამყაროს უსასრულო საგანთა და მოვლენათა უსასრულო განვითარების პრინციპი. მისი გავრცელება სპორტში, სპორტს წარმოგვიდგენს, როგორც უსასრულოდ განვითარებად სოციალურ სისამყაროლეს. დიალექტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია ასევე, სუბიექტ-ობიექტის ურთიერთკავშირის პრინციპი, რომელიც სპორტში წარმოგვიდგება როგორც პიროვნებისა(სუბიექტის, სპორტსმენის) და მისი ფიზიკური და სულიერი ძალების (ობიექტის) ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება და სხვ.

მაშასადამე, დიალექტიკის კანონზომიერებანი აუცილებლობით მოქმედებენ სპორტში, სპორტის ამ კანონზომიერებათა შესწავლა და შემეცნება არის სპორტის ფილოსოფიის მიზანი და ამოცანა.

სპორტული ურთიერთობების სფეროში მრავალი სხვა პრობლემაც არსებობს, რომელთა გადაწყვეტა სპორტის შესახებ კონკრეტულ მეცნიერებებს არ ძალუძთ. ასეთი პრობლემები მრავალია. შეიძლება ჩამოვთვალოთ ზოგიერთი მათგანი: *სპორტი, როგორც ღირებულება, მისი მორალური და ესთეტიკური ღირებულებანი; სპორტი, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი ფორმა და სხვა.* ყველა ეს და სხვა მსგავსი პრობლემა სპორტის ფილოსოფიის პრობლემებია და მათ საკუთარი საშუალებებითა და რესურსებით წყვეტს სპორტის ფილოსოფია.

§ 3. სპორტის ფილოსოფიის კვლევის მეთოდები

სპორტის ფილოსოფია თავის კვლევაში უშუალოდ ემყარება იმ მასალებს, ფაქტებს, რომელიც მოპოვებულია სპორტის ცალკეული სახეების შიხედვით და გამოქვეყნებულია ცალკეული ნაშრომების სახით, აგრეთვე, სპორტის

ცალკეულ სახეებში არსებულ სასკოლო და საინსტიტუტო სასულიერძლვანელობებს. ასეთი ის ემყარება სპორტის შესახებ არსებულ იმ მეცნიერულ გამოკვლევებს, მეცნიერულ ლიტერატურას, რომლებიც არსებობენ როგორც სპორტის ცალკეული სახეების, ისე მთელი სპორტის შესახებაც.

სპორტის ფილოსოფიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მეთოდია ე.წ. შედარებისა და განზოგადოების მეთოდი. სპორტის ფილოსოფია, სპორტში, ამა თუ იმ კანონზომიერების დადგენის მიზნით ასკვნის მის ხელთ არსებული მასალების, მონაცემების, სპორტული მოვლენებისა და შემთხვევების ურთიერთშედარებას, ხოლო შემდგომ, ანალიზისა და სინთეზის საფუძველზე, ავლენს მოვლენებსა და შემთხვევებში დაფარულ ზოგად კანონზომიერებას. ასე მაგ., როცა მას სურს დაადგინოს მიზნისა და შედეგის ურთიერთობა სპორტში, აუცილებელია ცალკეული მასალის, ფაქტის, მოვლენის და შემთხვევის გარკვეული წესით დალაგება და მათი ურთიერთშედარება. მხოლოდ ამის შემდეგ ხდება შესაძლებელი მათი ანალიზი და სინთეზი და მის საფუძველზე მიზნისა და შედეგის დადგენა.

სპორტის ფილოსოფიის ერთ-ერთი აუცილებელი მეთოდია, ასევე განზოგადების, ერთეულიდან ზოგადზე ასვლის ლოგიკური მეთოდი. შედარების მეთოდის საფუძველზე ხდება ცალკეული მასალების, ფაქტების, მოვლენების და შემთხვევების გარკვეული წესით დალაგება; ანალიზითა და სინთეზით მათი ჭეროვნებითი დაშლა და შეერთება, რომლის საფუძველზე ყალიბდება გარკვეული სახის მსჯელობები, დასკვნები, ამ უკანასკნელთა საშუალებით კი ვწვდებით მოცემულ მოვლენათა შინაგან ბუნებას - არსებას. მოცემული ცალკეული ფაქტებიდან და მოვლენებიდან, როგორც ერთეულიდან, მსჯელობებზე, დასკვნებსა და ცნებებზე გადასვლა, ხოლო მსჯელობებიდან, დასკვნებიდან მოცემულ მოვლენათა არსებაზე ასვლა წარმოადგენს განზოგადოების ერთ მთლიან პროცესს. სპორტის არსების ცნების ჩამოყალიბების მაგალითზე, განვიხილოთ განზოგადება, როგორც ერთეულიდან ზოგადზე გადასვლის ლოგიკური პროცესი. სპორტული შეჯიბრებების, როგორც მოვლენათა, ანალიზისა და სინთეზის მეშვეობით, ყალიბდება მათ შესახებ, ე.წ. მსჯელობები, დასკვნები, რომლებიც თავისი შინაარსით არის მხოლოდ და მხოლოდ გარკვეული განზოგადების პროცესი, ხოლო, თავის მხრივ, მსჯელობების და დასკვნების საფუძველზე ყალიბდება, თვით, სპორტის არსების ცნება, როგორც უფრო მაღალი განზოგადების პროცესი.

სპორტის ფილოსოფიის განუყოფელ მეთოდებს წარმოადგენს ანალიზისა (ბერძ.αηαλιδιζ დაშლა) და სინთეზის (ბერძ.ζιητεδιζ შეერთება) მეთოდები. ანალიზი და სინთეზი, მათი ზოგადი გაგებით, ნიშნავს მიელის

(როგორც საგნისა და ობიექტის) ფაქტობრივ ან აზრობრივ დაშლას მის შემადგენელ ნაწილებად და ნაწილების მთელად გაერთიანებას. როცა ველაპარაკობთ ანალიზსა და სინთეზზე, როგორც შემეცნების მეთოდებზე, მასში იგულისხმება მთელის, შემეცნების ობიექტის საგნის მხოლოდ აზროვნებითი დაშლა და შეერთება: მაშასადამე, ისინი წარმოადგენენ აზროვნების გარკვეულ ლოგიკურ მეთოდებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული აზროვნების მთელ რიგ ოპერაციებთან. ეს იქნება აბსტრაქცია, განზოგადება თუ სხვა.

საკვლევი საგნის ყოველმხრივი შეცნობისათვის აუცილებელია მისი მრავალმხრივი ანალიზი, რაც საშუალებას იძლევა გაიგოთ საგნის შემადგენლობა, ე.ი. შეიცნოთ საგნის ერთ-ერთი მხარე. ამასთან, საგნის ცალმხრივობად დაშლა საშუალებას გვაძლევს რთული დავიკვანოთ მარტივზე და გამოვყოთ არსებითი უსაგნო არაარსებითი. ანალიზის მეშვეობით ვახდენთ საკვლევ საგანთა და მოვლენათა კლასიფიკაციას, მათს განვითარებაში გაანალიზებით განვითარების პროცესის სხვადასხვა ეტაპებსა და ურთიერთსაწინააღმდეგო ტენდენციებს. ანალიზი არის აზროვნების გარკვეული მოქმედების წესი, რომელიდან მარტივისაკენ, შემთხვევითიდან აუცილებლობისაკენ, მრავალფეროვნებიდან იგივეობისა და ერთიანობისაკენ, მოვლენიდან არსებისაკენ. ანალიზის მიზანია ნაწილების, როგორც მთელის ნაწილების, შეცნობა; მაგრამ მთელის ნაწილების შეცნობა ჯერ კიდევ არ არის მთელის შეცნობა, ისევე როგორც მთელების მრავალ სხვადასხვა მხარეთა ცალ-ცალკე შეცნობა ჯერ კიდევ არ არის მთელების შეცნობა; როგორც ერთის ისე მეორის შეცნობისათვის აუცილებელია ანალიზის საშუალებით გამოყოფილი ნაწილების, მხარეების, თვისებებისა და მიმართებების ერთ მთელად გაერთიანების პროცესი, რომელიც სინთეზის საშუალებით ხორციელდება; სინთეზი ანალიზის საშუალებით აზრობრივ ნაწილებად, მხარეებად, სხვადასხვა თვისებებად და მიმართებებად დაშლილი მთელის აზრობრივად ერთ მთელად გაერთიანების პროცესია. იგი ანალიზისაგან განსხვავებით, წარმოადგენს აზროვნების მოძრაობას იგივეობრივიდან, არსებითიდან განსხვავებისა და მრავალფეროვნებისაკენ, რომელიც აერთიანებს ზოგადსა და ერთეულს, ერთიანობასა და მრავალფეროვნებას ერთ განსაზღვრულ, კონკრეტულ მთელად.

ამგვარად, ანალიზი და სინთეზი, როგორც შემეცნების მეთოდები, განუყრელ ერთიანობაში არიან; ანალიზი საგნის, როგორც მთელის აზროვნებითი დაშლა, ლოგიკური აუცილებლობით გულისხმობს ნაწილებად დაშლილი მთელის სინთეზს, ერთ აზროვნებით მთელად გაერთიანების პროცესს. ანალიზი

შეშეცნების ცალ-მხრივობაა და ამდენად, მისი ნაკლოვანებაა სინთეზის გარეშე. სინთეზი ანალიზის შევსებაა და დასრულება. ამიტომ ანალიზი ლოგიკური აუცილებლობით სინთეზს გულისხმობს და პირიქით, სინთეზი, როგორც ანალიზის შევსება-დასრულება, - ანალიზს. ანალიზისა და სინთეზის მთლიანობა შემეცნების ჭეშმარიტების პირობაა და ამ ურთიერთსაწინააღმდეგო, მაგრამ ურთიერთგანმაპირობებელ მეთოდს მათს მთლიანობაში, როგორც შეშეცნების ჭეშმარტ პირობას, ფართოდ იყენებს სპორტის ფილოსოფია. ასე მაგალითად, ვთქვათ, სპორტის ფილოსოფიას სურს შეისწავლოს ფეხბურთის გუნდი, როგორც ერთ-ერთი სპორტული მოვლენა. ის ანალიზის მეშვეობით შლის ფეხბურთის გუნდს მის შემადგენელ ნაწილებად: 1. მეკარე, 2. დაცვის ხაზის მოთამაშეები, 3. შუა ხაზის მოთამაშეები, 4. თავდამსხმელები; სწავლობს ცალ-ცალკე თითოეული ნაწილის საერთო და განმასხვავებელ ბუნებას, მათ ფუნქციებს, ნაწილებს შორის და შიგნით არსებულ მიმართებებს, ურთიერთდამოკიდებულებას, კავშირებს; შემდეგ სინთეზის საშუალებით ხდება ანალიზით გამოცალკევებული ნაწილების, მათი სხვადასხვა ბუნების, ფუნქციების, ნაწილების შიგნით და ნაწილებს შორის არსებული მიმართებებისა და კავშირების ერთ ამბრიობრივ მთელად გაერთიანების პროცესი.

სპორტის ფილოსოფიის მეთოდებია ასევე ინდუქცია (ლათ. inductio მინიშნება) და დედუქცია (ლათ. deductio გამოყვანა). ჩვეულებრივ ინდუქციას უწოდებენ დასკვნის ერთ-ერთ ძირითად წესს და კვლევის მეთოდს, რომლის ერთეული ხასიათის ცოდნიდან მიიღება ზოგადი ხასიათის ცოდნა. ასე მაგალითად, ერთეულ ცოდნათაგან: ძალოსნობა უსასრულოდ განვითარებადი სპორტია, ფეხბურთი უსასრულოდ განვითარებადი სპორტია, ძძლეოსნობა უსასრულოდ განვითარებადი სპორტია, გამომდინარეობს და მიიღება ზოგადი ხასიათის ცოდნა: სპორტი უსასრულოდ განვითარებადია. რაც შეეხება დედუქციას, ის არსებითად წარმოადგენს ინდუქციის საწინააღმდეგო დასკვნის ერთ-ერთ ძირითად წესს და მეთოდს, როდესაც ზოგადი ცოდნიდან გამომდინარეობს, მიიღება ერთეული ხასიათის ცოდნა. ასე მაგალითად, თუ ზოგად ცოდნას, რომელიც გამოიხატება ზოგად მსჯელობებში სპორტი უსასრულოდ განვითარებადია, გამოვიყენებთ კატეგორიული სილოგიზმის დიდ წანამძღვრად და მას შევუფარდებთ მის შესაბამის მცირე წანამძღვარს, ვთქვათ ძალოსნობა სპორტია, მივიღებთ დედუქციურ დასკვნას: სპორტი უსასრულოდ განვითარებადია, ძალოსნობა სპორტია.

მაშასადამე, ძალოსნობა უსასრულოდ განვითარებადია.

ასეთია ინდუქციისა და დედუქციის, როგორც სპორტის ფილოსოფიის მეთოდების ძირითადი ნიშნები.

სპორტის ფილოსოფიის მიერ თავის კვლევის სფეროში შეიძლება გამოყენებულ იქნას, ე.წ. ფორმალიზაციის ან სტრუქტურული მეთოდი. ამ მეთოდის არსება ისაა, რომ აქ, როგორც განსაკუთრებული ობიექტი, ფორმა შინაარსისაგან დამო-უკიდებლად გამოიყოფა. ასე მაგალითად, განსხვაებული გვარის საგნებში გამოიყოფა მათ შორის არსებული მიმართებები; შემდეგ ამ მიმართებებს განიხილავენ რა როგორც დამოუკიდებელ საგანს, ხდება მათი შესწავლა. ასეევე სპორტის განსხვაებული გვარის საგნებში, თვით მაოგან დამოუკიდებლად, შესაძლებელია გამოიყოს საყოველთაო მიმართებები, შესწავლილ იქნას მათი საერთო და სპეციფიკური ნიშნები და ასე დადგინდეს დიალექტიკის კანონზომიერებების, კატეგორიების მოქმედება სპორტში.

ჩვენი აზრით, სპორტის ფილოსოფიისათვის ასეევე უმნიშვნელოვანესია სისტემური მიდგომის მეთოდი, რაც გულისხმობს ობიექტების აწა თუ იმ სისტემისათვის იმ კანონზომიერებების მიყენებას, რომელიც დადგენილია ნებისმიერი სისტემისათვის. დიალექტიკის კანონზომიერებანი, ამ მხრივ, წარმოადგენენ არა რომელიმე ცალკე აღებული სისტემის კანონზომიერებებს, არამედ ისინი მთელი სამყაროს, როგორც სისტემის, საყოველთაო კანონზომიერებებია; ამ კანონზომიერებების მიყენება სპორტისადმი, როგორც გარკვეული სოციალური სისტემისადმი შესაძლებლობას გვაძლევს დეტალურად და მრავალმხრივად დავადგინოთ, განვსაზღვროთ სპორტის დიალექტიკური კანონზომიერებანი, დიალექტიკური ბუნება, ე.ი. სპორტის როგორც სისტემის კვლევას მიეცეთ უაღრესად ფართო, პერსპექტიული და უნიკერსალური ხასიათი.

სპორტის ფილოსოფიაში გარკვეულ მნიშვნელობას იძენს აქსიომატური მეთოდიც, რომლის არსებაა ისაა, რომ მეცნიერების ეს ზოგადი, ცხადია, შემეცნებისათვის არსებითი მნიშვნელობის შქონე დებულება, როგორც აქსიომა (დაუსაბუთებელი დებულება), მიიღება კვლევის საფუძვლად და შემდეგ ლოგიკური წესების მიხედვით, ხდება მისგან მეცნიერების სხვადასხვა დებულებების გამოყვანა. სპორტის ფილოსოფიაც, ასევე, მის კვლევაში უნდა დამყაროს როგორც კონკრეტულ მეცნიერებათა, ისე დიალექტიკის გარკვეული სახის აქსიომებს და მის საფუძველზე აწარმოოს მეცნიერული კვლევა.

ასეთია, ძირითადად, სპორტის ფილოსოფიის, როგორც მეცნიერების, მეთოდების ის კომპლექსი, რომელთა მეშვეობითაც უნდა მიმდინარეობდეს სპორტის ფილოსოფიური კვლევა.

---

4. მოძღვრება სპორტის საყოველთაო და სპეციფიკურ ბუნებაზე, არის სწორედ მოძღვრება ერთ მთლიან სპორტზე, რომელიც სპორტის შესახებ არსებულ სხვა მეცნიერებებს არ შეუძლიათ მოგვცენ. ეს მხოლოდ სპორტის ფილოსოფიას ძალუძს და მისი კომპეტენციაა.

§ 4. სპორტის ფილოსოფიის მნიშვნელობა და როლი სპორტში

სპორტის ფილოსოფიის მნიშვნელობისა და როლის გარკვევას სპორტში, ორი მხარე აქვს: თეორიული და პრაქტიკული. ამიტომ არსებითია მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობისა და როლის გარკვევა. განვიხილოთ თეითეული მათგანი ცალ-ცალკე.

თეორია არის ლოგიკურად დასაბუთებული ჭეშმარიტი ცოდნის გარკვეული სისტემა ერთი მთლიანი სამყაროს ან მისი რომელიმე ნაწილის შესახებ. სპორტის ფილოსოფია არის სპორტის ზოგადი თეორია, რამდენადაც ის სწავლობს მის ზოგად, საყოველთაო კანონზომიერებებს. აქედან გამომდინარე, მისი თეორიული მნიშვნელობა და როლი სპორტში მდგომარეობს იმაში, რომ სპორტის საყოველთაო კანონზომიერებათა შესწავლის საფუძველზე, მოგვცეს სპორტის შესახებ სხვა კონკრეტულ მეცნიერებათაგან განსხვავებული, ერთი მთლიანი ფილოსოფიური მოძღვრება სპორტზე, როგორც ერთ-ერთ უნიკალურ სოციალურ სისტემაზე. რას ნიშნავს მოგვცეს ერთი მთლიანი ფილოსოფიური მოძღვრება? ეს ნიშნავს იმას რომ მოგვცეს ერთი მთლიანი მოძღვრება სპორტის საყოველთაო და სპეციფიკურ ბუნებაზე, მასზე როგორც კულტურაზე და ფიზიკურ კულტურაზე, ღირებულებაზე(როგორც საერთო კულტურულ, ისე მორალურ და ესთეტიკურ ღირებულებაზე) და სელოვნებაზე, დაადგინოს და განსაზღვროს სპორტის არსება და მისი შინაგანი დამოკიდებულება სპორტის სხვადასხვა მრავალფეროვან მოვლენებთან, დაადგინოს და განსაზღვროს სპორტის მოძრაობა-ცვალებადობისა და განვითარების საყოველთაო კანონები, ამ განვითარების საერთო ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები; ფილოსოფიის სიღრმეზე გადაწყვეტოს ფიზიკურისა და სულიერის ურთიერთდამოკიდებულება და მათი ერთიანობა სპორტში; ასეთივე დონეზე ფართოდ განსაზღვროს საზოგადოების და სპორტის ურთიერთკავშირი და მათი ურთიერთდამოკიდებულება; ფილოსოფიურად დაასაბუთოს პროფესიონალიზმისა და სპორტის აუცილებელი კავშირი და სპორტის უსასრულო განვითარება და სხვა.

სპორტის შემეცნებით, მისი ზოგადთეორიული პრობლემების გადაწყვეტით სპორტის ფილოსოფია აქტუალურ თეორიულ სამსახურს უწევს სპორტს, მისი განვითარების საქმეს. ამიტომ სპორტის ფილოსოფია არა მხოლოდ თეორიული შეცნიერებაა, არამედ პრაქტიკულიც.

სპორტის ფილოსოფიის თეორიულ-პრაქტიკული როლიდან გამომდინარეობს თვით მისი პრაქტიკული მნიშვნელობა და როლი სპორტისათვის.

სპორტის ფილოსოფიის პრაქტიკული მნიშვნელობა სპორტში, ჩვენი აზრით მდგომარეობს შემდეგში:

1. სპორტის ფილოსოფია, როგორც სპორტის ზოგადი თეორია, ჩვენი აზრით, საერთო სპორტული მოძრაობის, საქმიანობის სახელმძღვანელო თეორია. ყოველი დიდი საზოგადოებრივი საქმიანობა აუცილებლობით მოითხოვს

თაყის სახელმძღვანელო თეორიას, სხვაგვარად იგი დიდი სახოგადოებრივი საქმიანობა ვერ გახდება და მის წარმატებაზე საუბარიც ზედმეტია. სპორტი, როგორც დიდი სისტემური სოციალური სინამდვილე, ასევე თაყის სახელმძღვანელო თეორიას გულისხმობს; და ეს სახელმძღვანელო თეორია უნდა იყოს სპორტის ფილოსოფია; სპორტის, სპორტული მოძრაობის ყოველი თეორიული პრობლემა უნდა იყოს სპორტის ფილოსოფიის გააზრების და გადაწყვეტის საგანი. და მაინც რა პრობლემებთან გვაქვს საქმე? ეს პრობლემებია:

- სპორტულ მოძრაობაში სპორტის ცალკეული სახეების ეროვნული შერჩევა და კულტივირება;
  სპორტული შედეგების პროგნოზირება, დაახლოებით, სწორი განსაზღვრა;
  სპორტის აძა თუ იმ სახეების უმნიშვნელოვანესი შეჯიბრებების ანალიზისა, გარკვეული განზოგადოებებისა და დასკვნების საფუძველზე მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივების დასახვა;
  ფიზიკურისა და სულიერის მეცნიერული ურთიერთდამოკიდებულების გადაწყვეტის საფუძველზე, საერთოდ, სპორტსმენის ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარების ურთიერთობებზე, მისი ფიზიკური და სულიერი მომზადების ურთიერთდამოკიდებულებასა და ერთიანობაზე გარკვეული კრიტერიუმების შემუშავება, როგორც სპორტსმენის ერთიანი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადების პრობლემების პრაქტიკულ გადაწყვეტის პირობის;
  სამოყვარულო და პროფესიული სპორტის, საერთოდ, ასევე მისი ცალკეული სახეების, როგორც სპორტის განვითარების გარკვეული შინაგანი ფაქტორების, ბუნების დადგენასა და განსაზღვრაში და სპორტულ მოღვაწეობაში მათი ურთიერთობების პრაქტიკულ რეალიზაციაში სპორტის ფილოსოფიის ხელმძღვანელი როლი განსაზღვრა;
  სპორტის ფილოსოფიის, როგორც სპორტის ზოგადი, უსასრულო განვითარების თეორიის, სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება სპორტის განუწყვეტელი განვითარების საქმეში;
  შემდეგ, სპორტის ფილოსოფიის დამოკიდებულება სპორტულ ღირებულებასთან.

2. სპორტის ფილოსოფია არის მეცნიერება სპორტის საყოველთაო კანონზომიერებაზე, მის არსებაზე. აქ ასრით ის წარმოგვიდგენს სპორტის ბუნების საყოველთაო ხასიათს; სპორტის საყოველთაო ხასიათის ბუნების გაგებას კი უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სპორტის როგორც სოციალური სისტემის, მართვის საქმეში, რამდენადაც ეს მართვა ემყარება არა მხოლოდ სპორტის სპეციფიკური ბუნების ცოდნას, არამედ მისი

საყოველთაო ბუნების გაგებასაც.

და შემდეგ, სპორტის ფილოსოფია არის მოძღვრება სპორტზე, როგორც ეროვნული და ინტერნაციონალური ნიშნების ერთიანობაზე, რომელსაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სპორტში აღნიშნული ნიშნების ჰარმონიულად განვითარების საქმეში.

3. და ბოლოს, სპორტის ფილოსოფიას, როგორც მეცნიერებას საყოველთაო მიმართებების ან, რაც იგივეა, ფილოსოფიური კატეგორიების მოქმედების შესახებ სპორტში, უდავოდ უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს სპორტისათვის იმ აზრით, რომ ამ კატეგორიების შეცნობის საფუძველზე ხდება ერთმანეთისაგან არსებითისა და არაარსებითის, ნამდვილისა და შესაძლებელის, რეალურისა და ფორმალურის, აუცილებლისა და შემთხვევითი მოვლენების, მთელისა და ნაწილის და სხვა გამოყოფა და მათი გათვალისწინებით საქმიანობის წარმართვა; კერძოდ, სპორტული შეჯიბრების მიმდინარეობა აუცილებლობის ნაშნით, შემთხვევითი მოვლენების მაქსიმალური გამორიცხვით.

ასეთია, მოკლედ, სპორტის ფილოსოფიის მნიშვნელობა და როლი.

თავი მეორე. სპორტი, მისი ბუნება და არსება

რა არის სპორტი კითხვის დასმა, იგივეა რაც იმის გარკვევა თუ რა არის მისი ბუნება. ეს უკანასკნელი კი უდრის კითხვას, რა არის სპორტის არსება? რადგან სპორტის გარკვევა მისი ბუნების გარკვევაა, ეს უკანასკნელი კი მისი არსების გარკვევაა, ამიტომ ჩვენ სპორტის განხილვას მისი ბუნების განხილვით დავიწყებთ.

§ 1. სპორტის ბუნება, მისი ორმაგი ხასიათი

რაიმეს არსებობა მისი ბუნების არსებობას გულისხმობს, რაიმეს ბუნების უარ-ყოფა, მისი არსებობის უარყოფაა. ამ მხრივ, სინამდვილის ყოველი საგნის, ყოველი ახრის, მათი კანონზომიერებისა და კავშირების არსებობა მათი ბუნების არსებობაა.

მაგრამ ისმის კითხვა: რა არის საგნების ბუნება? [5] საგნის ბუნება არის საგანში მოცემული მის მრავალ განსაზღვრულობათა,[6] ეს იქნება ნიშანთა, თვისებათა თუ სხვა გარკვეულობათა - ერთობლიობა, ე.ი. საგნის ცალკეული განსაზღვრულობები მის ერთ მთლიან განსაზღვრულობას, საგნის ბუნებას ადგენენ; ამ აზრით საგნის ბუნება თავად არის განსაზღვრულობა. მაშასადამე, საგნის ბუნება, როგორც საგნის მრავალ

5 სიტყვა ბუნება აქ უახლოვდება სიტყვა „თვისებრიობის" მნიშვნელობას.

6 შეიძლება ითქვას საგანში მოცემულ უკლებლივ ყველა განსაზღვრულობათა.

განსაზღვრულობათა ერთობლიობა, არის ის, რითაც ყოველი საგანი ეს არის და არა სხვა. საგნის ბუნება, რითაც საგანი ეს არის და არა სხვა, არის საგნის არსებითი და ძირითადი განსაზღვრულობა, რამდენადაც ის უშუალოდ განსაზღვრავს საგნის როგორც ასეთის არსებობას.

რა არის სპორტის ბუნება?

სპორტის ბუნება არის სპორტის ის არსებითი და ძირითადი განსაზღვრულობა, რომლითაც სპორტი ეს არის და არა სხვა, რომლითაც ის გამოყოფილია სხვა სოციალური მოვლენებისაგან. ასე მაგალითად, ფეხბურთი რომ ფეხბურთია, ტანვარჯიში რომ ტანვარჯიშია, ქადაგება რომ ქადაგებაა და არა სხვა, როგორც მისი განსაზღვრულობა, არის სწორედ მათი ბუნება, რომლებითაც ისინი ერთმანეთისაგან და სხვა სოციალური მოვლენებისაგან გამოიყოფიან. აშიტომ სპორტის ჩვენს მიერ ცნობილი განსაზღვრებანი, ჩვეულებრივ სპორტის ბუნების განსაზღვრებებს წარმოადგენენ[7]; ასე მაგალითად განსაზღავრება სპორტი არის *„... ადამიანის გარკვეული სახის მიზანსწრაფული მოქმედება შეჯიბრებაში მაქსიმალური შედეგების მისაღწევად, შედეგების რომლებიც საზოგადოებრივ აღიარებას ღებულობენ„*[8], თავისი არსებით, სპორტის ბუნების განსაზღვრებაა, რამდენადაც ის გადმოგვცემს, რომ სპორტი არის „ეს და ეს", ე.ი. ასეთი და ასეთი ბუნების მქონე სოციალური სინამდვილე.

ახლა განვიხილოთ სპორტის ბუნება მისი სტრუქტურული შედგენილობის მიხედვით. ჩემი აზრით, სპორტს როგორც გარკვეულ სოციალურ სისტემას, ორმაგი ბუნება აქვს:

ა. ერთეულ-სპეციფიკური;

ბ. ზოგადი, საყოველთაო.

ერთეულ-სპეციფიკურია სპორტის ის ბუნება, რომელიც გვიხასიათებს სპორტს როგორც ერთეულ სინამდვილეს, მის სპეციფიკურ ბუნებას. სპორტის ერთეულ სპეციფიკური ბუნება დგინდება სპორტისათვის დამახასიათებელი ეროვნულ-სპეციფიკური ნიშანგანსაზღვრულობით, ისეთით როგორიცაა:

- რომ ის, ფიზიკური ვარჯიშებით, ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარებისაკენ მიმართული შოქმედებაა;
- რომ ის, ფიზიკური ვარჯიშებით, ადამიანთა ისეთი მოქმედებაა, რომლის მიზანი მაქსიმალური შედეგის მიღწევაა;
- რომ მას, ახასიათებს მკაცრად გამოყოფილი სპეციალიზაცია და მისი წყრთნის შესაბამისი სპეციფიკური ფორმები;
- რომ ის, ადამიანთა სპეციფიკური ვარჯიშებით მიღწეული მაქსიმალური შედეგების შეჯიბრია;

7. მაგრამ რამდენადაც სპორტის ბუნება სპორტის არსების გამოხატულებას წარმოადგენს. საბოლოო ჯამში. სპორტის განსაზღვრება სპორტის არსების განსაზღვრებაა.

8. საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის შრომათა კრებული ტ. XI თბილისი. 1978 წ.. გვ. 16

- შეჯიბრებაში მიღწეული შედეგების საზოგადოებრივი აღიარებაა.

სპორტის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანგანსაზღვრულობები, როგორც გარკვეული განსაზღვრულობები, სპორტის, ერთ, მთლიან, ერთეულ-სპეციფიკურ განსაზღვრულობას, ერთეულ-სპეციფიკურ ბუნებას ადგენენ.

სპორტის ზოგადი, საყოველთაო ბუნებაა ის ბუნება, რომელიც გვიხასიათებს სპორტს, როგორც სინამდვილეს საერთოდ, როგორც საყოველთაო ხასიათის სინამდვილეს. სპორტი როგორც სინამდვილე საერთოდ, როგორც საყოველთაო ხასიათის სინამდვილე უშუალოდ, დგინდება მისი საყოველთაო განსაზღვრულობებით:

- სპორტისათვის დამახასიათებელია ფიზიკური ყოფიერება, ე.ი. საყოველთაო მატერიალური განსაზღვრულობა;

  სპორტისათვის დამახასიათებელია, დროში და სივრცეში არსებობა, ე.ი. დრო და სივრცე სპორტის არსებობის ობიექტური ფორმებია; აქედან გამომდინარე სპორტისათვის დამახასიათებელია ბუნების საგნებისათვის დამახასიათებელი ისეთი ნიშნებიც, როგორიცაა: რაოდენობრიობა, თვისებრიობა, სისტემურობა და სხვა;

  ასევე სპორტისათვის დამახასიათებელია მოვლენათა საყოველთაო ხასიათის

  კაუზირურთიერთობა და მოძრაობა-ცვალებადობა. ყველა ისინი ერთ მთლიანობაში ქმნიან სპორტის ერთიან საყოველთაო განსაზღვრულობას, როგორც სპორტის საყოველთაო ბუნებას.

სპორტის ერთეულ-სპეციფიკური და საყოველთაო ბუნება ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ არსებობს. სპორტის ერთეულ-სპეციფიკური ბუნება არავითარ ბუნებას არ წარმოადგენს მისი საყოველთაო ბუნების გარეშე და პირიქით. სპორტის ერთეულ-სპეციფიკური და საყოველთაო ბუნებიდან გამომდინარე, არსებობენ სპორტის სპეციფიკური და საყოველთაო კანონზომიერებანი; სპორტის სპეციფიკურ კანონზომიერებებს კონკრეტული მეცნიერებები შეისწავლიან, ზოგად კანონზომიერებებს კი სპორტის ფილოსოფია.

§ 2. სპორტი, როგორც სოციალური სისტემა

სპორტი რთული სოციალური სისტემაა და ამდენად, მრავალგვარ ელემენტთა და მოვლენათა გარკვეული ერთიანობა. სისტემა (ბერძ. σύστεμα, რაც ნიშნავს ნაწილებისაგან შედგენილს, გაერთიანებულს), ფილოსოფიის მიხედვით, არის განსაზღვრულ ურთიერთობებსა და კავშირებში მყოფი ელემენტების სიმრავლე, რომლებიც გარკვეულ მთლიანობას, ერთიანობას ქმნიან. ბუნება, საზოგადოება სისტემებს წარმოადგენენ.

როგორც ყოველი სისტემა, სპორტიც გარკვეული ელემენტებისაგან ან რაც იგივეა, ნაწილებისაგან შედგება და მაღ მთლიანობას, ერთიანობას წარმოადგენს; სპორტის ეს ელემენტები და ნაწილებია: სპორტსმენები და მწვრთნელები, სპორტული კოლექტივები, სპორტის სახეობები, სპორტსმენის მომზადების პროცესი(სპორტული წვრთნის პროცესი, სპორტსმენის მომზადების არასაწვრთნელი ფორმები), საწვრთნო პროცესის დაგეგმვა, საწვრთნო პროცესის შეცნიერული მომსახურება, სპორტული ბაზები, მოედნები, საცურაო აუზები, სპორტული ინვენტარები და ნაგებობები, სპორტსმენთა სამედიცინო მომსახურება, საექიმო კონტროლი, საწვრთნელი შეკრებები, სპორტსმენის დასვენების, კვების, წვრთნის რეჟიმი, სპორტული შეჯიბრებები მისი მრავალსახეობებით, სპორტული მიღწევები, რეკორდები და შედეგები, სპორტსმენის წახალისების ფორმები(ჯილდოები: ფასიანი და უფასიო სახსენებლები), სპორტულ მიღწევათა საზოგადოებრივი აღიარება, სპორტულ მეტოქეობა, მოწინააღმდეგეობა არსებობის ფაქტორი, მსაჯობა და მსაჯები, სპორტის მართვის სისტემა, სპორტულ ღონისძიებათა და შეჯიბრებათა კალენდრები, სპორტსმენის სპორტული ფორმები, სპორტული საქმიანობის მარეგლამენტირებელი წესები, სპორტსმენის გადაადგილება შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად და სხვა.

ყველა ეს ნაწილები, ელემენტები და კიდევ სხვა, სპორტის აუცილებელი ელემენტებია, რამდენადაც სპორტი არ არსებობს მათ გარეშე. მაგრამ ეს ელემენტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და იზოლირებულად არ არსებობენ: ისინი ერთმანეთთან ურთიერთკავშირში და დამოკიდებულებაში არიან; ამის გარეშე არ იარსებებდნენ არც ნაწილები, როგორც ნაწილები, რადგან მათი არსებობა შესაძლებელია, მხოლოდ, მათს ურთიერთკავშირსა და დამოკიდებულებაში. ასე მაგალითად, თუ არ იარსებებდა სპორტსმენისა და მისი მომზადების პროცესის ურთიერთკავშირი, არც სპორტსმენი იარსებებდა და არც მისი მომზადების პროცესი: და თუ არც ერთი არ იარსებებდა, მაშინ არ იარსებებდა არც სპორტული ბაზები, მოედნები, საცურაო აუზები, სპორტული ინვენტარები და ნაგებობები და ამის შედეგ ყველა სხვა და სხვა; ე.ი. ნაწილებს მხოლოდ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში შეუძლიათ არსებობა, ხოლო სპორტის ყველა ნაწილთა ეს ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება ქმნის მისგან განსხვავებულ მთლიანობას, მთელს, სპორტს, როგორც გარკვეულ სოციალურ სისტემას. რაში მდგომარეობს ეს სისტემურობა? ნაწილები, როგორც არსებითად ურთიერთ-განსხვავებული ელემენტები, მთელს ადგენენ როგორც ურთიერთგანსხვავებულთა სისტემას, მთელი კი, თავის მხრივ, მისგან განსხვავებული ნაწილების არსებობას განსაზღვრავს. მთელისა და ნაწილის ეს ურთიერთგანსაზღვრება ადგენს, სწორედ, სპორტს როგორც გარკვეულ სისტემას, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია და ემსახურება მასზე მაღლა მდგომ სისტემას - საზოგადოებას.

სპორტი როგორც სისტემა, მისი ნაწილების სახით, თავის თავში შეიცავს მის შემადგენელ ქვესისტემებსაც; ასე მაგალითად, სპორტსმენი, მწვრთნელი, სპორტული კოლექტივი, სპორტის სახეები და სხვა, თავის მხრივ, გარკვეული სახის სისტემებია და მათ როგორც სისტემებს ახასიათებთ თავიანთი სპეციფიკური და საყოველთაო ნიშნები, რომლითაც ისინი ერთმანეთისაგან გამოიყოფიან და ერთმანეთს უკავშირდებიან: სპეციფიკური ნიშნები მათი ერთმანეთისაგან ურთიერთგამოყოფის ნიშნებია, საყოველთაო ნიშნები კი – მათი ურთიერთკავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების ნიშნები.

სპორტი, როგორც ერთიანი სოციალური სინამდვილე, მაროვადი სისტემაა. სპორტის მართვის მეცნიერული სინამდვილე ეფუძნება მისი ობიექტური კანონების, ჭეშმარიტ, შეცნობას და გამოყენებას.

§ 3. შეჯიბრი, როგორც სპორტის არსება

სპორტს, როგორც სოციალურ სისტემას, თავისი ბუნება აქვს, რომლითაც ის სწორედ სპორტს წარმოადგენს. მაგრამ რაიმეს ბუნების არსებობა მისი შინაგანი სტრუქტურის, მისი შინაგანი ორგანიზაციის არსებობას გულისხმობს, რომლის გარეგანი გამოხატულებაც თვით ეს ბუნებაა. თუ არსებობს სპორტის ბუნება, რომლის არსებობაც ფაქტია. უნდა არსებობდეს მისი შინაგანი ორგანიზაციაც. ყოველი საგნის, მოვლენის შინაგან ორგანიზაციას ფილოსოფიაში არსებას უწოდებენ ხოლმე. მაშასადამე, სპორტის შინაგანი ორგანიზაცია არის სპორტის არსება. მაგრამ რა არის სპორტის არსება? ჩემი აზრით, სპორტის არსება არის სპორტული შეჯიბრება.

განვიხილოთ ჯერ სპორტული შეჯიბრების ცნება, შემდეგ შეჯიბრის, როგორც სპორტის არსების, შინაგანი დამოკიდებულება სპორტთან. სპორტული შეჯიბრების ბუნების გარკვევა მისი არსებითი ნიშნების გარკვევაა[9]. სპორტის არსებითი ნიშნებია:

1. სპორტული შეჯიბრება სპორტსმენთა ურთიერთობაა და თავის არსით არის სოციალური ურთიერთობა; იგი გარკვეულ მიზანს დაქვემდებარებული ადამიანთა ურთიერთობაა. სპორტსმენთა ურთიერთობის ნიშანი სპორტული შეჯიბრების აუცილებელი ნიშანია, რადგან სპორტული შეჯიბრება არ არსებობს სპორტსმენთა ურთიერთობისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე, მაშასადამე, ის მისი არსებითი ნიშანია. მაგრამ, მართლა, ამის აღნიშვნა საკმარისი როდია სპორტული შეჯიბრების დასახასიათებლად, საჭიროა, ამასთან, იმის განისაზღვრა თუ როგორი ურთიერთობაა სპორტული შეჯიბრება.

2. შეჯიბრება ერთიმეორეს დაპირისპირებულ და მოწინააღმდეგე სპორტსმენთა ურთიერთობაა. ამიტომ, შეჯიბრება, როგორც ურთიერთობა

9 სპორტული შეჯიბრების არსებითი ნიშნები ისეთი ნიშნებია, რომელთა გარეშე და რომელთაგან დამოუკიდებლად შეუძლებელია სპორტული შეჯიბრების არსებობა

წინააღმდეგობრივი ურთიერთობაა; იგი ურთიერთგამომრიცხველი ე.ი. ურთიერთდაპირისპირებულ და ურთიერთისაწინააღმდეგო ძალთა ერთიანობაა; იქ, სადაც არ არის ურთიერთსაწინააღმდეგო ძალთა, როგორც სპორტსმენთა, ურთიერთობა, არ არსებობს შეჯიბრება. ამიტომ ერთიმეორის მოწინააღმდეგე სპორტსმენთა ურთიერთობების არსებობის ნიშანი სპორტული შეჯიბრების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია, მის გარეშე არ არსებობს სპორტული შეჯიბრება, მაშასადამე, ის მისი არსებითი ნიშანია. მაგრამ, მარტო, ამის აღნიშვნაც როდი კმარა სპორტული შეჯიბრების დახასიათებლად, ვინაიდან, გასარკვევია ის, თუ როგორია სპორტსმენთა ეს ურთიერთობა თავისი ბუნებით: ორგანიზებულია ეს ურთიერთობაა თუ არაორგანიზებული, მოწესრიგებული თუ მოუწესრიგებული და სხვა.

3. შეჯიბრება სპორტსმენის ორგანიზებული და მოწესრიგებული ურთიერთობაა; იგი ორგანიზებულია და მოწესრიგებული საშეჯიბრო გეგმებით, წესებით, რეგლამენტაციით, კალენდრებით, შეჯიბრების მონაწილეთა რაოდენობით. შეჯიბრების კლასიფიკაციით და მრავალი სხვა. ორგანიზებულობა და მოწესრიგებულობა შეჯიბრების აუცილებელი ნიშანია, რომლის გარეშეც შეჯიბრება არ არსებობს და როგორც ასეთი, ის მისი არსებითი ნიშანია. თუმცა არასაკმარისი ნიშანია, იმდენად რამდენადაც ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ნიშანი არცეცეს მხოლოდ იმას, შეჯიბრება სპორტსმენთა როგორი სახის ურთიერთობაა, მაგრამ ვერ არცეცეს რატომ ან რისთვის იქმნება ეს ურთიერთობა, ე.ი. საჭიროა ამ ურთიერთობათა მიზნის გარკვევა.

4. სპორტული შეჯიბრების, როგორც სპორტსმენთა ურთიერთობების, მთავარ მიზანს მაღალი სპორტული მიღწევები, შედეგები, რეკორდები შეადგენს. სპორტულ შეჯიბრებებში და მხოლოდ მათი მეშვეობით ელინდება სპორტული საქმიანობის მაქსიმალური შედეგები; მანამდე არავინ იცის როგორია მისი სპორტული საქმიანობის შედეგები, რამდენად მაქსიმალურია მისი მიღწევები. შეჯიბრება ამ შედეგების სოციალური სახოში, კრიტერიუმია. იგი მაქსიმალური შედეგებისათვის მებრძოლ ადამიანთა (სპორტსმენთა) ასპარეზობის, ბრძოლის არენაა. „ვინ ვის“, ასეთია ამ ბრძოლის შინაგანი პრინციპი. იმარჯვებს ის ვინც გამოაელენს ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების მაქსიმუმს, სრულყოფილად ფლობს ამ ბრძოლის ობიექტურ ლოგიკას, მის სტრუქტურას და ტაქტიკას. მაშ, სპორტული შეჯიბრება არის სპორტსმენთა ურთიერთობების ისეთი ფორმა, რომელშიაც მიიღწევა მაღალი სპორტული შედეგები, რეკორდები. მაღალი სპორტული შედეგების და რეკორდების მიღწევა სპორტული შეჯიბრების ერთ-ერთი აუცილებელი არსებითი ნიშანია, მაგრამ არც მოცემული ნიშანი ამოწურავს სპორტულ შეჯიბრებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობას.

5. სპორტული შეჯიბრება არის გარკვეულ სივრცესა (ადგილი) და დროში მიმდინარე სპორტსმენთა ურთიერთობა; გარკვეულ დროსა და სიკრცეში არსებობა შეჯიბრების აუცილებელი ნიშანია, მაგრამ არც ეს

ნიშანია საკმარისი შეჯიბრებისათვის.

6. სპორტული შეჯიბრება არის გარკვეულ სარბიელზე მიმდინარე ურთიერთობაც; ფეხბურთისათვის ეს სარბიელი არის ფეხბურთის სტადიონი, კალათბურთისათვის კალათბურთის სტადიონი, სელბურთისათვის ხელბურთის მოედანი და სხვა. ე.ი. ყოველი შეჯიბრება გარკვეულ სარბიელზე მიმდინარე პროცესია. ამ აზრით, შეჯიბრების გარკვეულ სარბიელზე მიმდინარეობის ნიშანი შეჯიბრების აუცილებელი, არსებითი ნიშანია, მაგრამ არც მოცემული ნიშნით ამოიწურება შეჯიბრების არსებითი ნიშნები.

7. სპორტული შეჯიბრების არსებით ნიშანს წარმოადგენს ასევე შეჯიბრების მსაჯობის ნიშანი. ეს ნიშანი არსებითია იმიტომ, რომ მსაჯობის გარეშე არ არსებობს შეჯიბრება. ამიტომ სპორტული შეჯიბრების მსაჯობის ნიშანი შეჯიბრების აუცილებელი, არსებითი ნიშანია, მაგრამ არა საკმარისი.

8. და ბოლოს, სპორტული შეჯიბრების არსებით ნიშანს მასში მიღწეული შედეგებისა და რეკორდების საზოგადოებრივი აღიარების ნიშანი წარმოადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ შეჯიბრებაში მოპოვებული მაქსიმალური, მაღალი პრაქტიკული შედეგები ოფიციალურად უნდა დაამტკიცოს, ცნოს და აღიაროს სპორტული მოძრაობის გარკვეულმა ზემდგომმა რგოლებმა, ინსტანციებმა. საზოგადოებრივი აღიარება აუცილებელია იმიტომ, რომ ამ აღიარების შემდეგ და მის საფუძველზე იწყება მათი დაძლეული და უფრო მაღალი შედეგების მიღწევისათვის, შემდგომი სპორტული შეჯიბრისათვის მოძრაობა. მის გარეშე ამ მოძრაობას აზრი ეკარგება, ე.ი. სპორტული მოძრაობა შეუძლებელი ხდება. ამრიგად, შეჯიბრებაში ნაჩვენები შედეგების საზოგადოებრივი აღიარება შეჯიბრებისათვის დამახასიათებელი აუცილებელი, არსებითი ნიშანია.

სპორტული შეჯიბრების ცნება სპორტული შეჯიბრების ზემოთ მოცემული არსებითი ნიშნების საფუძველზე, ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

სპორტული შეჯიბრება არის სპორტსმენთა გარკვეულ დროსა და სივრცეში მიმდინარე წინააღმდეგობრივი და ორგანიზებული სპორტული ურთიერთობა, მიმდინარე მსაჯების მონაწილეობით, სპორტულ სარბიელზე უმაღლესი შედეგებისა და რეკორდების მისაღწევად, რომელსაც თან ახლავს ამ შედეგებისა და რეკორდების საზოგადოებრივი აღიარება.

როგორც ჩემს მიერ მოყვანილი განსაზღვრებიდან ჩანს, სპორტული შეჯიბრების ყველაზე მთავარ არსებით ნიშანს წარმოადგენს ის, რომ შეჯიბრება არის სპორტსმენთა სპორტული ურთიერთობა; ყველა სხვა ნიშნები მხოლოდ გარკვეული მხარით აკონტროლებენ მას: ასე მაგალითად, რომ ის არის სპორტსმენთა გარკვეული დროსა და სიერცეში მიმდინარე სპორტული ურთიერთობა; რომ ის არის წინააღმდეგობრივი და ორგანიზებული ურთიერთობა; რომ ის არის გარკვეულ სპორტულ სარბიელზე მიმდინარე ურთიერთობა; რომ ის არის ურთიერთობა უმაღლესი შედეგებისა და რეკორდების მისაღწევად; რომ ამ ურთიერთობებში და ამ

ურთიერთობებით მიღწეულ შედეგებს თან ახლავს საზოგადოებრივი აღიარება. ამ ახრით შეჯიბრება, მოკლედ, შეიძლება განისაზღვროს როგორც სპორტსმენთა ძირითადი სპორტული ურთიერთობა. და რომ ის მართლაც ძირითადი ურთიერთობაა, დაფარული ფორმით მოცემულია მთელს სპორტულ საქმაროში. ყველაფერი სპორტში შეჯიბრების ურთიერთობების აუცილებელი, ობიექტური მოთხოვნებით იწყება და ამ მოთხოვნების განხორციელებით მთავრდება. შეჯიბრებითი ურთიერთობა არის ყველა სპორტული პროცესისა და მოვლენის შინაგანი სტრუქტურა და შინაგანი ორგანიზაცია. ეს ნიშნავს იმას, რომ ყოველი სპორტული პროცესის და მოვლენის ბუნება, როგორც მისი ასეთად არსებობის გარკვეულობა, განსაზღვრულია მისი შინაგანი სტრუქტურით და ორგანიზაციით. ყოველ სპორტულ პროცესთა და მოვლენათა ეს შინაგანი სტრუქტურა, ორგანიზაცია, როგორც სპორტსმენთა ძირითადი ურთიერთობა, არის მათი არსება. ასევე შეიძლება ითქვას მთელ სპორტზეც. შეჯიბრება შეადგენს მთელი სპორტის შინაგან სტრუქტურას, შინაგან ორგანიზაციას, ამდენად მის არსებას.

თუ შეჯიბრება ყველა სპორტული პროცესის, მოვლენის, მთელი სპორტის არსებაა, მაშინ ყველა სპორტული პროცესი, მოვლენა თავისი არსებით, არის მხოლოდ და მხოლოდ მათი არსებობის არსებითი ფორმა.

შეჯიბრება უშუალოდ განსაზღვრავს მთელის სპორტის ყველა ძირითად პროცესს, ყველა, ძირითად მხარეს; ამ აზრით, ის არის სპორტის არსებობის შინაგანი საფუძველი, რამდენადაც სპორტის არსებობა შეჯიბრების არსებობაა.

შეჯიბრება არის სპორტის განვითარების საფუძველიც. შეჯიბრება არის არა მხოლოდ ახალი რეკორდების და მიღწევების არენა, არამედ იმავდროულად მათი უარყოფისა და გადალახვის არენაც. როგორც კი ახალი სპორტული მიღწევები აქმნება და რეკორდები მყარდება, იმავდროულად იწყება საშხადისი თვით მათი უარყოფისა და გადალახვისათვის, რომელიც თავის მხრივ, ისევ შემდგომ შეჯიბრებაში გადაწყდება. შეჯიბრება, როგორც სპორტული მიღწევების და რეკორდების მუდმივი დადგენა-უარყოფის განუწყვეტელი პროცესი, არის სპორტის უსასრულო განვითარების არსება.

ასეთი სპორტის, როგორც სოციალური სისტემის არსება.

მესამე თავი. ფიზიკური და სულიერი, მათი ურთიერთდაპირისპირებულება და ერთიანობა სპორტში

ფიზიკურისა და სულიერის ურთიერთდაპირისპირებულება სპორტში დიალექტიკის ერთ-ერთი საყოველთაო პრინციპის მატერიალურისა და იდეალურის ურთიერთდა-პირისპირებულების, მატერიალურისა და იდეალურის

ფილოსოფიური კატეგორიების ურთიერთობების უშუალო გამოყენებას წარმოადგენს; ამ კატეგორიების ფიზიკურისა და სულიერის კატეგორიების ურთიერთდამოკიდებულების სახით სპორტში გამოვლენას კი შეისწავლის სპორტის ფილოსოფია. ფიზიკურისა და სულიერის ურთიერთდამოკიდებულებას სპორტში ჩვენ განვიხილავთ სპორტსმენის, როგორც სპორტის სუბიექტის, ფიზიკური და სულიერი ძალების ურთიერთდამოკიდებულების სახით.

§ 1. სპორტსმენის ფიზიკური და სულიერი უნარი

სპორტი, როგორც ადამიანის მოქმედება, უშუალოდ ეხმარება მისი ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარებას სპორტულ შეჯიბრებაში მაღალი შედეგების მისაღწევად.

სპორტსმენის ფიზიკური ძალები ან უნარები წარმოადგენენ სპორტსმენის სხეულადსხვა სახის მოძრაობის შესაძლებლობების შესრულების ორგანულ ფაქტორებს. სპორტში ძირითადად ცნობილია შემდეგი სახის ფიზიკური ძალები ან უნარები: ძალა, სისწრაფე, გამძლეობა, სიმარჯვე და მოქნილობა.

ძალა არის სპორტსმენის ყველა მოქმედებათა გამოვლენისა და მთელი მისი სპორტული მოღვაწეობის ქვემდებარე უნარი. ძალა არის სპორტსმენის ყველა მოქმედებათა გამოვლენის უნარი, რამდენადაც სპორტსმენის ყველა მოქმედება, როგორც მოქმედება, უშუალოდ ვლინდება მხოლოდ ძალის საფუძველზე, ხოლო სპორტსმენის მთელი სპორტული მოღვაწეობის ქვემდებარე უნარი, რამდენადაც იგი განსაზღვრავს სპორტსმენის სისწრაფესაც, გამძლეობასაც, სიმარჯვეს და მოქნილობასაც, რადგან არც სისწრაფე, არც გამძლეობა, არც სიმარჯვე და მოქნილობა არ არსებობს ძალის გარეშე. ძალის უნარი განუწყვეტლივ და უსასრულოდ ვითარდება.

სისწრაფე ეს არის სპორტსმენის უნარი „...შეასრულოს მოძრაობა დროის მინიმალურად მოცლე მონაკვეთში"[10]. ის წარმოდგენილია სპორტის თითქმის ყველა სახეობაში. ამიტომ სისწრაფე სპორტისათვის ერთ-ერთი აუცილებელი ადამიანური უნარია; ის მუდმივად და უსასრულოდ ვითარდება.

გამძლეობად[11] იწოდება რაიმე მოღვაწეობის ხანგრძლივად, მისი ეფექტურობის შეცირების გარეშე შესრულების უნარი"[12]. მაგრამ რამდენადაც რაიმე მოღვაწეობის ხანგრძლივობა უშუალოდ მისი საწინააღმდეგო დაღლილობით იზღუდება, ამდენად, „გამძლეობა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც (ისეთი) უნარი, რომელსაც შეუძლია წინ აღუდგეს დაღლილობას"[13]. გამძლეობის საზომია დრო რომელსაც შეუძლია გაუძლოს

10. ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა. გამომცემლობა „განათლება". თბ., 1990. გვ.137

11 ხაზგასმა ჩემია

12 ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა, გვ.137

13. Зациорский В.М. Физические качества спортсмена М.,1966. стр 105

მოღვაწეობის მასზე მოცემულ ინტერესიებას. არსებენ საერთო და სპეციალურ გამძლეობას. საერთო გამძლეობა გამძლეობის ის ფორმაა, რომელიც სხვადასხვა ხასიათის ზომიერი ინტენსიობისას ხანგრძლივი ფიზიკური მუშაობის შესრულებაში ვლინდება: ის საერთოა იმიტომ, რომ სხვადასხვა ხასიათის ფიზიკური მუშაობის შესრულებაში ის ყლინდება როგორც მრავალისათვის ერთი, საყოველთაო. სპეციალური გამძლეობა კი განსაზღვრული სახის ვარჯიშების შესრულებაში ეფექტური შრომისუნარიანობის ხანგრძლივად შენარჩუნების უნარია. კერძოდ, მას შეიძლება ადგილი ჰქონდეს 199 მეტრზე, სამეგალო დისტანციასა და გრძელ დისტანციაზე რბენაში და სხვა. გამძლეობის უნარი განსაკუთრებულ კავშირშია ძალის უნართან, სადაც ეს უკანასკნელი თავისებურად ყლინდება, განუწყვეტლივ და უსასრულოდ ვითარდება.

სიმარჯვეს ჩვეულებრივ განსაზღვრავენ, როგორც სპორტსმენის მიერ ახალი მოძრაობის სწრაფად დაუფლების, შეცვლილი მოთხოვნილებების შესაბამისად მისი მოძრაობითი მოქმედებების სწრაფად გარდაქმნის ან, რაც იგივეა, თვით მისი სწრაფად გაწვრთვის უნარს. სიმარჯვე საკმაოდ სპეციფიკური უნარია. შესაძლებელია მაგალითად, ერთმანეთისაგან განვასხვავოთ ერთი და იმავე სპორტსმენის კარგი სიმარჯვე, ვთქვათ, სპორტულ თამაშებში და არასაკმარისი ტანვარჯიშში; ცნობილია, რომ ადამიანები, რომელთაც შეუძლიათ ქვეშაზე სწრაფად აითვისონ რომელიმე მოძრაობები, სხვა მოძრაობების შესწავლისას შეიძლება იყვნენ უკანასკნელთა რიცხვში; მაგრამ ცნობილია ისიც, რომ თუკი მოძრაობები ერთმანეთს ემსგავსება, მაშინ მათი დაუფლების სისწრაფე ერთმანეთის კორელანტურია.

სიმარჯვე კომპლექსური უნარია, რომელსაც არა აქვს შეფასების ერთიანი საზომი. ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, თვით პირობების მიხედვით, ირჩევენ ამა თუ იმ საზომს. ხან მას განსაზღვრავენ რომელიმე ფიზიკური ვარჯიშების დაუფლებისათის აუცილებელი მთელი დროით, ხან სპორტსმენის მოქმედების შეცვლისათვის საჭირო დროით. სიმარჯვე მჭიდროდ დაკავშირებულია სხვა ფიზიკურ უნარებთან და განუწყვეტლივ, უსასრულოდ ვითარდება.

მოქნილობა არის მოძრაობათა მაქსიმალური ამპლიტუდით[14] შესრულების უნარი[15]. ის დამოკიდებულია კუნთებისა და იოგების ელასტიურობაზე, რომელიც შესაძლებელია იცვლებოდეს ცენტრალური ნერვიული სისტემის ზეგავლენით[16]. განასხვავებენ მოქნილობის ორ სახეს: აქტიურს და პასიურს.

14. ამპლიტუდა წარმოშობგარია ლათ. amplitudo. რაც ქართულად ნიშნავს სიდიდეს. სიფართოეს. იგი არის:

1. რხეული სხეულის (მაგ. ქანქარის) უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; გაქანების სიდიდე.

2. სხვაობა ბარომეტრის ან თერმომეტრის ორ სიმაღლეს შორის.

15. ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა, გვ.152

16. ასე მაგალითად, მეცნიერულად დადგენილია, რომ შეჯიბრებაზე ემოციონალური აღგზნთოვანების დროს შეიქმნილობა შატულობს.

აქტიურია მოქნილობა, რომელიც კუნთების აქტიური დაჭიმვით უშუალოდ მოძრაობებში ვლინდება.

პასიური მოქნილობა კი ტანის მოძრავ ნაწილებზე გარეშე ძალის მოქმედებით ვლინდება. მოქნილობა დამოკიდებულია გარემოს ტემპერატურაზე: ტემპერატურის მომატების დროს ის მატულობს; ამიტომ მისი მარკვლებლები მინიმალურია დილით, მაქსიმალურია შუადღისას. მოქნილობაზე უარყოფითად მოქმედებს ძალისმიერი ვარჯიშები, რომელთაც შეუძლიათ შეზღუდონ მოძრაობის უნარი სახსრებში.

მოქნილობა თავისი განვითარების მაქსიმუმს აღწევს 15-16 წლის პუბერტეტში. როგორც ყოველი ფიზიკური უნარი მოქნილობაც ვითარდება, მაგრამ ფიზიკური განვითარების პროცესში მისი ხელოვნური განვითარება არ შეიძლება; ის უნდა განვითარდეს იმ დონეზე ისე, რომ დაუბრკოლებლად უზრუნველყოფდეს აუცილებელი მოძრაობების შესრულებას.

ასეთია სპორტის საფუძველგამსჭვალული ძირითადი ფიზიკური უნარები. ისინი სპორტის არსებობისა და განვითარების ერთ-ერთ აუცილებელ ფიზიკურ უნარებს წარმოადგენენ.

ფიზიკური უნარები არ არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ერთმანეთის გარეშე; ისინი ერთიან აუცილებელ კავშირში იმყოფებიან, ერთმანეთს ავსებენ, ერთმანეთში გადადიან და ერთმანეთის არსებობას განსაზღვრავენ, რაც სწორედ მათს ერთიანობას წარმოადგენს.

ფიზიკური უნარები ერთიანია იმ აზრითაც, რომ ისინი ერთი ცოცხალი ორგანიზმის სიცოცხლისუნარიანობის სხვადასხვა უნარების სახით გამოვლენის ფორმებია; რამდენადაც ერთი სხვადასხვა უნარებად ვლინდება, იმდენად ერთი არა მხოლოდ სხვადასხვაა, არამედ სხვადასხვაც ერთია. ამ აზრით, ერთიანი ორგანიზმის სხვადასხვა უნარები ერთიანი უნარებია.

ფიზიკური უნარები, ჩვენი აზრით არ წარმოადგენენ მხოლოდ ბიოლოგიურ ან მხოლოდ სოციალურ უნარებს; ისინი ბიოსოციალური უნარებია. ჯერ ერთი, იმიტომ რომ ისინი ადამიანის ერთი მთლიანი ორგანიზმის გამოვლენის ფორმებია. ადამიანის ორგანიზმი კი, დაწყებული სქელიდან, დამთავრებული ტვინით, ბიოსოციალური მთლიანობაა? მეორე, ეს უნარები არაა ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უნარები; ისინი განუწყვეტლივ და უსასრულოდ ვითარდებიან თვით ადამიანების მიზანშეწონილი მოქმედებების საფუძველზე. ამ აზრით ისინი ბიოსოციალური უნარებია. მესამე, ფიზიკურ უნარებს თან ერწყმის, ე.წ. სულიერი, ინტელექტუალური უნარები და ისინი არ არსებობენ მათ გარეშე, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ ისინი ბიოსოციალური უნარებია.

ფიზიკური უნარების სპორტის მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელია მხარე, მისი მეორე აუცილებელი მხარე ე.წ. სულიერი უნარებია. ახლა განვიხილოთ ისინი.

§ 2. სპორტსმენის სულიერი ძალები და უნარები

სპორტი ეფუძნება არა მხოლოდ სპორტსმენის ფიზიკურ უნარებად დასახსრულ ფიზიკურ საშუალოს, არამედ ასევე სხვადასხვა უნარებად წარმოდგენილ სულიერ საშუალოსაც.

სპორტსმენის სულიერ უნარებს განეკუთვნება შეგრძნებისა და აღქმის უნარი, რომელთაც შეიძლება ეწოდოთ მარტივი ფსიქიკური(სულიერი) უნარები. ფსიქოლოგიაში შეგრძნებას ასე განსაზღვრავენ: "შეგრძნება არის ისეთი უმარტივესი ფსიქიკური პროცესი, რომელიც წარმოიშვება ჩვენი გრძნობის ორგანოებზე საგანთა ან მატერიალურ სამყაროს მოვლენათა ზემოქმედებით და მდგომარეობს ამ საგნების ცალკეულ გრძნობად თვისებათა ასახვაში"[17]. როგორც განსაზღვრებიდან ჩანს, შეგრძნება, უშუალოდ წარმოიშვება რა ჩვენი გრძნობის ორგანოებზე საგნის ზემოქმედებით, ასახავს არა მთელ საგანს, არამედ ცალკეულ გრძნობად თვისებებს(ფერს, ფორმას, ხუნს, გემოს). შეგრძნების სპეციფიკა საგნის ცალკეული გრძნობადი თვისებების ასახვაა.

შეგრძნებებს ასახვის ბუნების მიხედვით ორ ჯგუფად ყოფენ:

1. ადამიანის გარეთ არსებული სინამდვილის ამსახველი შეგრძნებები; ესენია; მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოს, ტემპერატურის, შეხების შეგრძნებები და
2. სხეულის შინაგანი მდგომარეობის ამსახველი შეგრძნებები: ე.წ. კუნთურ-მოძრაობითი კინესთეტიკური, წონასწორობის, ორგანული და ტკივილის შეგრძნებები და სხვა.

საგნის ზემოქმედება ჩვენს გრძნობის ორგანოებზე ასახება არა მხოლოდ შეგრძნებებით, არამედ აღქმით. ადამიანის გრძნობის ორგანოებზე მრავალი სხვადასხვა თვისების(ფერის, გემოს, ხუნის, ტემპერატურის და სხვა) მქონე ერთიანი საგანი ზემოქმედებს, რომელიც ასევე ერთი მთლიანი საგნის განყოთარებით, ერთი მთლიანი საგნის ხატით ასახება; საგნის ეს ერთ მთლიანობაში ასახვა არის სწორედ აღქმა. აღქმაში ფერი, გემო, ხუნი, ტემპერატურა და სხვა შეგრძნებები განიცდება, როგორც მთლიანი საგნის ცალკეული თვისებები.

აღქმა და შეგრძნება სპორტისათვის აუცილებელი სულიერი უნარებია. ყოველ სპორტსმენს ამა თუ იმ მოძრაობის სრულყოფილი დაუფლებისათვის აუცილებელად ესაჭიროება მისი, როგორც მთლიანი აღქმა, ასევე მისი ცალკეული ელემენტების შეგრძნებაც. ფეხბურთელისათვის აუცილებელია, როგორც მთელი სტადიონის ერთი მთლიანი აღქმა, ასევე მის სარბიელზე მოწინააღმდეგე გუნდების მოთამაშეთა განლაგების აღქმაც. ყოველი სპორტსმენისათვის შეჯიბრებაში აუცილებელია მოწინააღმდეგის ხატი, მისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლებით, ასევე თვით მისი საკუთარი ხატიც. მორბენლისა და მოთხილამურისათვის აუცილებელია დროის

17. ელ. ნოვაკოვა. სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია, თბილისი. 1950 წ., გვ.158

ფაქტორის უაღრესად მაღალი შეგრძნების უნარი, რათა ამის მიხედვით სხეულმასხვანაირად გაანაწილონ თავიანთი ძალები. სპორტსმენის გუნდის შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის აუცილებელია სამეჯიბრო სტრატეგიისა და ტაქტიკის უაღრესად მაღალგანვითარებული შეგრძნების დონე.

როგორც ვხედავთ შეგრძნებისა და აღქმის უნარები სპორტული საქმიანობის აუცილებელი სულიერი უნარებია, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ სპორტული საქმიანობის საკმარის სულიერ მხარეებს.

სპორტსმენის სულიერ უნართა ჯგუფს განეკუთვნება ყურადღებაც, რომლის „...ფუნქცია მდგომარეობს ფსიქიკის (როგორც ამბობენ - ფსიქიური ენერგიის) ამა თუ იმ მიმართულებით წარმართვაში, მის კონცენტრაციაში ამა თუ იმ შინაარსზე“[18] ე.ი. მისი ძირითადი ნიშნებია: „მოელი ფსიქიკური მოქმედების ერთ ნაწილზე კონცენტრაცია, ამ უკანასკნელის გადაქცევა ცნობიერის მთავარ შინაარსად“[19] ასე მაგალითად, სპრინტერი, რომელიც სტარტზე დგას, შესაძლებელია ერთდროულად ისმენდეს მუსიკასაც, მაყურებელთა სხვადასხვა შეძახილებსაც და მრავალ სხვა სახის ხმაურსაც, მაგრამ მას მთელი მისი ფსიქიკური მოქმედების კონცენტრაცია მიმართული აქვს ერთ რაიმეზე სასტარტო სიგნალზე; სპრინტერის ასეთი მოქმედება იქნება სწორედ ყურადღების მოქმედება. ყურადღებას ორ ჯგუფად ყოფენ: პასიურ, არანებისმიერ ყურადღებად და აქტიურ, ნებისმიერ ყურადღებად. ვთქვათ, სპრინტერს, რომელიც 100 მეტრზე რბენაში ვარჯიშობს და რომლის ყურადღებაც კონცენტრირებულია მის საკუთარ მოძრაობებზე, მოულოდნელად ესმის იქვე ახლოს ვიღაცის საზარელი ყვირილი; ის უნებურად წყვეტს სავარჯიშს და ყურადღებას მიაპყრობს ამ მოულოდნელ გაღიზიანებელს; სპორტსმენში ასეთი სახის ყურადღების აღმოცენება არის არანებისმიერი ხასიათის და იწოდება პასიურ ყურადღებად. აქტიური ყურადღება არის თვით პიროვნების მიერ შეგნებული მიზნებითა და ამოცანებით წარმართული ყურადღება, რომლის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, საკუთრივ, მხოლოდ პიროვნების განზრახვა და შეგნებული მისწრაფებაა. ასე მაგალითად, ვთქვათ, როდესაც ერთ-ერთი რომელიმე მოჭადრაკის, მისი საერთო მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე[20] ყურადღების ცენტრი ხდება მისი შესაძლო ფინალისტი და ის წინასწარი განხრახვითა და შეგნებულად ამ სპორტსმენს აქცევს მისი ცნობიერების შინაარსად, რომ მას დაკვირდეს, აღმოაჩინოს მისი ნაკლოვანებები და შემდეგ დაამარცხოს ის: ასეთი ყურადღება არის აქტიური ყურადღება. როგორც სპორტული პრაქტიკა ადასტურებს, პასიური და აქტიური ყურადღება ურთიერთში გადადიან

18 რ. ნათაძე. ზოგადი ფსიქოლოგია. თბილისი, 1986 გვ.221

19. ვლ.ნორაკიძე. სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია. გვ.234

20 რომ ის ვთქვათ, ყოველდღიურად მოწინააღმდეგესთან მსოფლიო ჩემპიონობისათვის და, აქედან გამომდინარე, მისი განზრახვა და შეგნებული მისწრაფებაა გახდეს მსოფლიო ჩემპიონი.

და ურთიერთს ერწყმიან. ყურადღებას ახასიათებს კონცენტრაცია და განაწილება. როცა ყურადღება მიმართულია ერთ ობიექტურ მოქმედებაზე, ეს ყურადღების კონცენტრაციაა. და პირიქით, როდესაც ყურადღება მიმართულია რამდენიმე ობიექტზე ან მოქმედებისაკენ, ეს ყურადღების განაწილებაა. ყურადღებას ახასიათებს გადანაცვლებაც, რაც ნიშნავს ყურადღების გადატანას ერთი ობიექტიდან მეორეზე, ერთი მოქმედებიდან მეორეზე. ყურადღების შეგუება კი მოულოდნელი გამღიზიანებლის შეჩნევისათვის საჭირო გარკვეული დროის რაოდენობაა (1-2 წამი). გამღიზიანებლის შეჩნევისათვის საჭირო გარკვეული დროის მიხედვით, არსებობს სწრაფი და ნელი შეგუების ადამიანთა ტიპები. ყურადღებას ერთგვარი რხევაც ახასიათებს, რაც ნიშნავს საგანზე კონცენტრაციის პროცესში მისი ინტენსიობის პერიოდულ კლება-მატებას. ყურადღებას ახასიათებს ასევე სიმტკიცე, რაც ნიშნავს ყურადღების დროში გაძლეობას. ყურადღებას ახასიათებს გაძღიზიანებლისადმი წინააღმდეგობის მეტ-ნაკლები გაწევის ხარისხიც, ე.ი. ზოგიერთ ადამიანს ყურადღების ინტენსიური მეშაობა შეუძლია მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც მუშაობის ხელშემშლელი პირობები აღკვეთილია, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ყურადღება იფანტება, ასეთი ყურადღება არამყარია; ზოგიერთ ადამიანს კი ყოყულგვარ პირობებში შეუძლია მუშაობა, გარეშე გამღიზიანებლები ვერ ახერხებენ მისი ყურადღების გაფანტვას, ასეთი ყურადღება მყარია. დაბოლოს, ყურადღებას ახასიათებს, ე.წ. ვარჯიშობადობის თვისება, როდესაც მისი ძირითადი თვისებების გავარჯიშებით ხდება ყურადღების გაუმჯობესება და განვითარება. ყურადღება, რომელიც აუცილებელია ყველა ადამიანისათვის საერთოდ, აუცილებელია სპორტსმენისთვისაც, რადგან სორმალური სპორტსმენი არ შეიძლება არსებობდეს ყურადღების გარეშე[21]; შეუძლებელია სპორტსმენის თუნდაც უმნიშვნელო წარმატება ყურადღების გარეშე. ყურადღება ერთნაირად აუცილებელია სპორტის ყველა სახეობაში. ამდენად ყურადღება სპორტის, როგორც ადამიანის მოქმედების აუცილებელი პირობა, აუცილებელი უნარია.

ასეთია ყურადღება, როგორც სპორტსმენის ერთ-ერთი აუცილებელი უნარი.

სპორტსმენისათვის აუცილებელ უნართა ჯგუფს განეკუთვნება მეხსიერებაც. რა არის მეხსიერება? „მეხსიერება ეს არის წარსული გამოცდილების ასახვა, რომელიც მყარდება წარსული გამოცდილების დამახსოვრებასა, შენახვასა და მათ შემდგომ ცნობასა და რეპროდუქციაში"[22] მოცემული განსაზღვრება მეხსიერებას წარმოადგენს როგორც ასახვას, რაც მისი ზოგადი ნიშანია; მაგრამ ამავე დროს მას წარმოგვიდგენს როგორც წარსული გამოცდილების (პიროვნების მიერ, ვთქვათ, წარსულში აღქმული გარე სამყაროს, მის მიერ შესრულებული საკუთარი მოძრაობების თუ მის მიერ აზროვნებით შექმნილი ცნებების ან

21. არანორმალური სპორტსმენი კი საერთოდ სპორტსმენი არაა.

22. ვლ. ნორაკიძე. სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია. გვ.288

და ურთიერთის ერწყმიან. ყურადღებას ახასიათებს კონცენტრაცია და განაწილება. როცა ყურადღება მიმართულია ერთ ობიექტურ მოქმედებაზე, ეს ყურადღების კონცენტრაციაა. და პირიქით, როდესაც ყურადღება მიმართულია რამდენიმე ობიექტზე ან მოქმედებისაკენ, ეს ყურადღების განაწილებაა. ყურადღებას ახასიათებს გადანაცვლებაც, რაც ნიშნავს ყურადღების გადატანას ერთი ობიექტიდან შეორეზე, ერთი მოქმედებიდან შეორეზე. ყურადღების შეგუება კი მოულოდნელი გამღიზიანებლის შეჰნიშნებისათვის საჭირო გარკვეული დროის რაოდენობაა (1-2 წამი). გამღიზიანებლის შეჰნიშნებისათვის საჭირო გარკვეული დროის მიხედვით, არსებობს სწრაფი და ნელი შეგუების ადამიანთა ტიპები. ყურადღებას ერთგვარი რხევაც ახასიათებს, რაც ნიშნავს საგანზე კონცენტრაციის პროცესში მისი ინტენსიურობის პერიოდულ კლება-მატებას. ყურადღებას ახასიათებს ასევე სიმტკიცე, რაც ნიშნავს ყურადღების დროში გამძლეობას. ყურადღებას ახასიათებს გამღიზიანებლისადმი წინააღმდეგობის შეტნაკლები გაწევის ხარისხიც, ე.ი. ზოგიერთ ადამიანს ყურადღების ინტენსიური შეჰნარჩუნება შეუძლია მხოლოდ ისეთ პირობებში, როდესაც შეჰნაობის ხელშემშლელი პირობები აღკვეთილია, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ყურადღება იფანტება, ასეთი ყურადღება არამყარია; ზოგიერთ ადამიანს კი ყოველგვარ პირობებში შეუძლია მეშაობა, გარეშე გამღიზიანებლები ვერ ახერხებენ მისი ყურადღების გაფანტვას, ასეთი ყურადღება მყარია. დაბოლოს, ყურადღებას ახასიათებს, ე.წ. ყარჯიშობადობის თვისება, როდესაც მისი ძირითადი თვისებების გავარჯიშებით ხდება ყურადღების გაუმჯობესება და განვითარება. ყურადღება, რომელიც აუცილებელია ყველა ადამიანისათვის საერთოდ, აუცილებელია სპორტსმენისათვისაც, რადგან ნორმალური სპორტსმენი არ შეიძლება არსებობდეს ყურადღების გარეშე[21]; შეუძლებელია სპორტსმენის თუნდაც უმნიშვნელო წარმატება ყურადღების გარეშე. ყურადღება ერთნაირად აუცილებელია სპორტის ყველა სახეობაში. ამდენად ყურადღება სპორტის, როგორც ადამიანის მოქმედების აუცილებელი პირობა, აუცილებელი უნარია.

ასეთია ყურადღება, როგორც სპორტსმენის ერთ-ერთი აუცილებელი უნარი.

სპორტსმენისათვის აუცილებელ უნართა ჯგუფს განეკუთვნება მეხსიერებაც. რა არის მეხსიერება? „მეხსიერება ეს არის წარსული გამოცდილების ასახვა, რომელიც მუღავნდება წარსული გამოცდილების დამახსოვრებასა, შენახვასა და მათ შემდგომ ცნობასა და რეპროდუქციაში"[22] მოცემული განსაზღვრება მეხსიერებას წარმოადგენს როგორც ასახვას, რაც მისი ზოგადი ნიშანია; მაგრამ ამავე დროს მას წარმოგვიდგენს როგორც წარსული გამოცდილების (პროცესების შიერ, ვთქვათ, წარსულში აღქმული გარე სამყაროს, მის შიერ შესრულებული საკუთარი მოქმედებების თუ მის მიერ აზროვნებით შექმნილი ცნებების ან

21. არანორმალური სპორტსმენი კი საერთოდ სპორტსმენი არაა.

22 ვლ. სოროკინი. სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია. გვ.260

წარსული მიღწევები და რეკორდები.

ყოველივე ზემოთქმულიდან უშუალოდ გამომდინარეობს დასკვნა: მეხსიერება არის სპორტსმენის ერთ-ერთი აუცილებელი სულიერი, მაგრამ არასაკმარისი, უნარი.

სპორტსმენის სულიერ უნართა ჯგუფში შედის ასევე აზროვნების, ანუ ინტელექტის უნარიც. აზროვნება არის სინამდვილის გაშუალებული და განზოგადოებული ასახვა, რომელიც ასახავს ობიექტური სინამდვილის არსებით მიმართებებს, კავშირებს, კანონებს საგანთა და მოვლენათა არსებას. აზროვნება ცალკეულში, რომელიც მოცემულია აღქმაში, ამ ცალკეულის მეშვეობით აღმოაჩენს ზოგადს, საყოველთაოს(რასაში - ლითონს, პეტრეში - ადამიანს, მოყვანილში არსებას, მოყვანილობაში - კანონებს და სხვა); ამიტომაცაა ის სინამდვილის გაშუალებული და განზოგადებული ასახვა.

სპორტსმენის მიერ ყოველი საჩის მოძრაობის ათვისება უმარტივესიდან ურთულესამდე, უშუალოდ ეშყარება აზროვნების პროცესს, რადგან მათი ათვისება სრულიად შეუძლებელია მათი გააზრების გარეშე. ამიტომ სპორტსმენის მოძრაობები, სანამ ისინი ჩვეულად იქცევიან, თაყოდან ბოლომდე შეგნებულ ხასიათს ატარებენ და მათი ჩვეულად გადაქცევაც აზროვნების საფუძველზე ხდება. ასევე სპორტსმენის შეჯიბრებისათვის მზადების მთელი პროცესი, ყველა მისი აუცილებელი კომპონენტითა და მხარეებით, სპორტსმენისა და მწვრთნელის განსჯაზე დაქვემდებარებული და მის საფუძველზე მიმდინარე პროცესია. რაც შეეხება სპორტულ შეჯიბრებას, შეიძლება გადაუჭარბებლად ითქვას, აქ გამარჯვების მთავარი ფაქტორი სწორედ აზროვნებაა; სპორტული შეჯიბრებისათვის მთავარია სპორტული ჩვევებისა და ფიზიკური თვისებების მაღალი განვითარება, სპორტული ტექნიკის სრულყოფილი დაუფლება; მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ მაღალი სპორტული შედეგების მიღწევის, ე.ი. გამარჯვების საშუალებები და შესაძლებლობებია; ეს საშუალებები და შესაძლებლობები სინამდვილედ რომ იქცეს საჭიროა მათი გონიერული გამოყენება. ეს ნიშნავს შეჯიბრებაში, როგორც ბრძოლაში, გამოიყენო ბრძოლის მარჯებული სტრატეგია და ტაქტიკა[25]. ბრძოლის სტრატეგია და ტაქტიკა სწორედ, სტრატეგიული და ტაქტიკური აზროვნებაა. სპორტსმენი, გუნდი, ვითარების, პირობების, მოწინააღმდეგის ყოველმხრივი და სრულყოფილი შეცნობის საფუძველზე სახლვრავს თავისი ბრძოლის ძირითად მიმართულებას (სტრატეგიას) და, ამასთან, მისი განხორციელების ძირითად ხერხებსა და საშუალებებს, ე.წ. ტაქტიკას. სპორტსმენის სტრატეგიული და ტაქტიკური აზროვნება პრაქტიკულ მოქმედებითი აზროვნებაა, რომელიც სამეჯიბრო მოქმედებებთან ერთიანობაში მიმდინარეობს.

ამგვარად, აზროვნება სპორტსმენის ერთ-ერთი აუცილებელი უნარია. სპორტსმენის აუცილებელ სულიერ უნარებს შორის საჭიროა გამოიყოს

25. სტრატეგია, - ბრძოლის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა. ტაქტიკა, ის ხერხები, მეთოდები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც სტრატეგია ხორციელდება.

გრძნობის ან ემოციის უნარი. ადამიანის დამოკიდებულება სინამდვილესთან მხოლოდ მისი შემეცნებითი პროცესებით - შეგრძნებით, აღქმით, მეხსიერებით, აზროვნებით კი არ ამოიწურება, არამედ „აღქმული, წარმოდგენილი, გააზრებული, შეგრძნებისეულად განცდილი მოყვლენები აღძრავენ ადამიანში გრძნობებსაც, ე.ი. ისეთი ემოციური ბუნების შინაგან მდგომარეობას, რომელნიც გამოხატაენ მის სუბიექტურ, ემოციური ხასიათის დამოკიდებულებას მათ მიმართ სიამოვნების თუ უსიამოვნების, სიმპათიის თუ ანტიპათიის, აღტაცების თუ ზიზღის, სიყვარულის თუ სიძულვილის და სხვა გრძნობებს"[26]. ასე მაგალითად, მოჭიდავის მიერ მოწინააღმდეგის ნაკლოვანებების შეგრძნება და გაგება შემეცნებითი პროცესია, ხოლო ამით გამოწვეული სიხარული და სიამოვნება კი გრძნობაა. პიროვნების ასეთ სუბიექტურ დამოკიდებულებას სინამდვილესთან ფსიქოლოგიაში უწოდებენ გრძნობას ან ემოციას.

გრძნობა და ემოცია არსებითად[27] ერთი და იგივე განცდაა, ეიწრო მნიშვნელობით კი, მხოლოდ არააარსებით განსხვავებებს შეიცავენ. გრძნობა, ეიწრო მნიშვნელობით, თითქოს საგნის თვისებად განიცდება. ის სხვა სულიერ პროცესებს და შინაარსებს უკავშირდება და ემორჩილება, ამიტომ მას აქვს რაღაც „უფრო სპეციალური და შემოფარგლული სახიათი", ის უფრო შეზღუდული და ლოკალური ხასიათისაა; ემოცია გრძნობისაგან, ეიწრო მნიშვნელობით, განსხვავდება იმით, რომ უფრო სუბიექტური და მთლიან-პიროვნული განცდაა, რომელიც მთლიანად იპყრობს პიროვნების, მთლიანად იმორჩილებს მთელ ფსიქიკას, მის მიმდინარეობას. მაგალითად ძლიერი სიხარული ან სიძულვილი მთლიანად იქცემდებარებს პიროვნებას.

არსებობს მარტივი და რთული გრძნობები, მარტივია ყველა გრძნობა, რომელიც წარმოიშობა საგნის გრძნობადი შინაარსის - საგნის გემოს, სუნის და სხვა განცდასთან დაკავშირებით; რთულია ის გრძნობები, რომლებიც რთულ შინაარსს შეიცავენ; რთული გრძნობებია: ინტელექტუალური, მორალური და ესთეტიკური გრძნობები.

სახეების მიხედვით კი არსებობს ემოციის შემდეგი სახეები: აფექტი, გუნება და ვნება.

გუნება არის შედარებითი ხანგრძლივი ემოციური მდგომარეობა, რომელიც ვრცელდება მთელი ცნობიერების შინაარსზე და მთლიანად თავისებური ელფერით ღებავს მას.

აფექტს უწოდებენ ერთბაშად წარმოქმნილ ხანმოკლე და მღელვარე ემოციას; მაგალითად, რისხვა, სასოწარკვეთა და სხვა.

„ვნება არის ინტენსიური, მტკიცე, ხანგრძლივი ემოცია"[28] მაგალითად, არსებობს მეცნიერებისადმი, მუსიკისადმი და სხვა ვნება.

ემოციური განცდების ინდივიდუალურ თავისებურებათა საფუძველს უწოდებენ ტემპერამენტს, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ემოციის

26. ნათაძე რ. ზოგადი ფსიქოლოგია. გვ.484

27 ე.ი. მათი არსება ერთია.

28. ნორაკიძე ვ. სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია გვ. 360

წარმოშობის სისწრაფესა და ძალას, ემოციისადმი მიდრეკილებას და მისი გამოსახვის ინტენსივობას. ტემპერამენტის მიხედვით, ადამიანებში ოთხ ძირითად ტიპს გამოყოფენ: სანგვინიკურს, ქოლერიკულს, ფლეგმატიკურს და მელანქოლიკურს.

ახლა სპორტსმენის გრძნობის აუცილებლობის შესახებ.

სპორტსმენი, როგორც სპორტის სუბიექტი და როგორც ადამიანი არ არსებობს გრძნობების, ემოციების გარეშე. გრძნობა ადამიანის, სპორტსმენის ბუნების ერთ-ერთი არსებითი ნიშანი, ერთ-ერთი აუცილებელი უნარია.

რამდენად აუცილებელია გრძნობა სპორტსმენისათვის?

ჯერ-ერთი, განვიხილოთ კონკრეტული მაგალითებზე. სანიმუშოდ შეიძლება გამოვიყენოთ სიყვარულის გრძნობა: თუ სპორტსმენს არა აქვს მის მიერ არჩეული სპორტის სახეობისადმი სიყვარული, მისგან, რაც უნდა დიდი ბუნებრივი მონაცემები ჰქონდეს, დიდ სპორტულ შედეგებს არ შეიძლება მოველოდეთ. ამა თუ იმ სპორტსმენის სპორტისადმი სიყვარული ნიშნავს იმას, რომ სპორტი უშუალოდ აყენებს მთელ მის ცხოვრებას, რომ ის არის მისი სიცოცხლის აზრი და მას მის გარეშე არსებობა არ შეუძლია. განა ჭადრაკისადმი ვანუზოშელი სიყვარული არ განაპირობებდა დიდი მოჭადრაკეების ევანსის, მორფის, ლასკერის, კაპაბლანკას, ალიოხინის, ეივე, ბოტვინიკის, ფიშერის, ტალის, კარპოვის, კასპაროვის და სხვათა შემოქმედებით საქმიანობას ჭადრაკის დაყანასთან? ჭადრაკისადმი სიყვარული იყო და არის ყველა დიდ მოჭადრაკეთა ცხოვრების აზრი და უშუალო მიზანი. ამ სიყვარულის გარეშე, ცხადია, მათი თვალსაჩინო წარმატებებიც ვერ იარსებებდა. ყველა ვარსკვლავის გამოჩენას სპორტში მუდამ კვებავდა და კვებავს სპორტისადმი უსაზღვრო სიყვარული.

ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ ინტერესის გრძნობის შესახებაც. შეუძლებელია სპორტსმენის უმნიშვნელო წარმატებაც კი ინტერესის გარეშე. ყოველი დიდი სპორტსმენი წარმატებას სპორტის მის მიერ არჩეულ სახეობაში აღწევდა იმიტომ, რომ მისი არჩევანი იყო მისი ინტერესების საგანი, ე.ი. მას აინტერესებდა სპორტის ეს სახეობა და არა სხვა. ხოლო ეს ინტერესი კი, თავის მხრივ, საფუძვლად უდება სპორტსმენის მისწრაფებას მიაღწიოს გარკვეულ წარმატებას. ამ წარმატების მისაღწევად ის ყველაფერს აკეთებს მისი ფიზიკური და სულიერი უნარების განვითარებისათვის. ინტერესი, როგორც გარკვეული გრძნობა, სპორტსმენის საქმიანობისათვის აუცილებელი გრძნობაა.

სპორტსმენისათვის აუცილებელია სპორტისადმი ვნების გრძნობაც, რაც ნიშნავს იმას, რომ სპორტი განსაკუთრებულად და ძლიერად ეხიდება მას რაც ხელს უწყობს სპორტისადმი მისი ძალების თავმოყრას და კონცენტრაციას და მისი შემოქმედებითი ძალების განვითარებას. სპორტსმენზე დადებით ზეგავლენას ახდენს გუნებაც. ხალისიანი სასიამოვნო გუნება ხელს უწყობს სპორტსმენის შესაძლებლობების

მაქსიმალურ მობილიზაციას, როგორც საწვრთნო პროცესის მიმდინარეობისას, ასევე შეჯიბრების პერიოდშიც. ასევე აფექტი, განსაკუთრებით სთენიური, მაშში ნებისყოფის მკვეთრი ჩარევით, რომლის მიმდინარეობასაც ახასიათებს კუნთური ენერგიის ზრდა და შინაგანი ჭარბი ძლიერების განცდა, რომელიც სპორტსმენს შეუძლია თავის სამსახურში ჩააყენოს და თავის სასარგებლოდ გამოიყენოს. სპორტის ისეთი სახეები, როგორიცაა კრივი, ფარიკაობა, ჭიდაობა, პოლო და სხვა, სპორტული ქცევის მიმდინარეობაში დიდი მნიშვნელობა აქვს ტემპერამენტსაც; სპორტსმენის სპორტულ ქცევაზე დადებით ზეგავლენას ახდენს მისი ტემპერამენტი, მაგრამ შეიძლება სპორტული წყრომა და შეჯიბრება ასევე ზეგავლენას ახლენენ სპორტსმენის ტემპერამენტის ჩამოყალიბებაზე, ცელიის შას და ავითარებენ ტემპერამენტის დადებით ნიშნებს, რის შეღწევადაც ის იძენს ისეთ თვისებებს, რაც აუცილებელია შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის.

ამგვარად, სიყვარული, ინტერესი, გუნება, აფექტები, ვნებანი, ტემპერამენტი დიდ ზეგავლენას ახდენენ სპორტული ქცევის მიმდინარეობაზე; ისინი სპორტისათვის აუცილებელი უნარებია.

დაბოლოს სპორტსმენის აუცილებელი სულიერი უნარია ნებელობის უნარი.

ადამიანის "ნებელობითი მოქმედება შეგნებული, წინასწარგანზრახული, გარკვეული მიზნის განხორციელებისაკენ მიმართული..."[29] ობიექტივაციაქმნილი მოქმედებაა; ნებისმიერ მოქმედებაში სუბიექტი წინასწარ აცნობიერებს შესაძლო მოქმედებას, მის მიზანს, ე.ი. ახდენს მომავალი მოქმედების ობიექტივაციას და მის საფუძველზე ილებს მოქმედების შესრულების გადაწყვეტილებას და მოქმედებს ამ გადაწყვეტილების მიხედვით.

ამ ახრით, იმპულსური მოქმედებისაგან განსხვავებით, რომელიც უშუალოა, ნებისმიერი მოქმედება გაშუალებულია სუბიექტის ცნობიერებით, მისი მიზნითა და შეფასებით. აქიტომ „ნებელობითი ქცევა გარკვეულად შეფასებული, გადაწყვეტილების ნიადაგზე მიმდინარე ქცევაა"[30].

ნებელობა ემსახურება პიროვნების გონიერი გადაწყვეტილებების შესრულებას და არა იმპულსური ხასიათის მისწრაფებების დაკმაყოფილებას. ნებისმიერ მოქმედებაში მისწრაფების იმპულსი უშუალოდ რეგულირებულია მიზნის შეცნობით.

ნებელობითი მოქმედება ყველგან და ყოველთვის მიმდინარეობს, პიროვნების მოთხოვნილების დაკმაყოფილების საჭიროების იდეის საფუძველზე, ის შედგა ისეთი ქცევის რეგულატორია, რომელიც „მომავლის" მოთხოვნებს აკმაყოფილებს და ისეთ ღირებულებას ქმნის, რომელიც საჭიროა მომავალში. ასე მაგალითად, სპორტსმენი ჩვევას იძენს და წვრთნას გადის არა იმისათვის, რომ მას ახლა ამის მოთხოვნილება აქვს, არამედ იმისთვის, რომ

29 ნორაკიძე ვდ. სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია გვ.403

30. იქვე

მაღალი სპორტული შედეგები ანგარიშის. ამ აზრით, „ნებელობა ყოველთვის მიმართულია მომავლისაკენ, იგი აყენებს იმას, რაც მომავალშია საჭირო"[31].

ნებისყოფის აქტში სუბიექტი რომელიმე მოცემული სიტუაციის მიმართ გარკვეულ თავისუფლებას აღწევს, რამდენადაც თავისი მოქმედების დაუფლებით ახორციელებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოცემული სიტუაციით უშუალოდ არაა ნაკარნახევი. ეს თავისუფლება სრულიადაც არ ნიშნავს მის აბსოლუტურ ინდეტერმინაციას, ვინაიდან „ნებისმიერი მოქმედება ისეცაა მიჩვეობრივად განსაზღვრული, როგორც ყოველი მოქმედება, თვითონ ნებისმიერი მოქმედების დეტერმინაცია რთულია, იგი პიროვნების ცნობიერების პროცესით არის გამშუალებული"[32].

რამდენიმე სიტყვა პიროვნების ხასიათის შესახებ. ხასიათი არის „...პიროვნების მიდრეკილება სხვებისაგან განსხვავებული სახის ნებისმიერი მოქმედების მიმართ..."[33], „თითოეულ პიროვნებას თავისი ნებელობითი დისპოზიცია[34] აქვს. ასეთ დისპოზიციას ხასიათი წარმოადგენს"[35]. ნებელობითი ბუნების დახასიათებიდან უშუალოდ ჩანს, თუ რამდენად აუცილებელია ეს უნარი სპორტსმენისათვის. შეიძლება გარკვეული ითქვას, ამ უნარის გარეშე არ არსებობს სპორტსმენი, არ არსებობს სპორტი. სპორტსმენის მთელი საქმიანობა, სპორტულ შეჯიბრებაში მაღალი სპორტული შედეგების მიღწევის მიზანს დაქვემდებარებული საქმიანობაა. ამიტომ ის ყველგან და ყოველთვის ნებისმიერ პლანში მიმდინარე მოქმედებაა.

შეჯიბრება ბრძოლაა. ბრძოლა კი აბსოლუტურად შეუძლებელია ნებისყოფის აქტის გარეშე. სპორტსათვის დამახასიათებელი შეტევითი და თავდაცვითი ტაქტიკა, მათი გონივრული ურთიერთშეხამება, შეტევისა და თავდაცვის დროული ორგანიზაცია და სხვ. მხოლოდ ნებისყოფის საფუძველზე. ნებისყოფით მიმდინარე მოქმედებაა. ასევე სპორტში საყოველთაოდ გავრცელებული მოყვანები დისციპლინა, წესრიგი, ეაქკაობა, გამბედაობა და სხვ. ნებისყოფის საფუძველზე არსებული მოვლენებია.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, კანონზომიერი იქნება გავაკეთოთ დასკვნა: ნებისყოფა სპორტსმენის ერთ-ერთი აუცილებელი სულიერი უნარია.

ასეთია სპორტისათვის დამახასიათებელ სულიერ უნართა ბუნება.

31. ნორაკიძე ელ. სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია გვ.407
32. ნათაძე რ. ზოგადი ფსიქოლოგია გვ.533
33. ნორაკიძე ელ. სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია გვ.440
34 ე.ი. მდგომარეობა, სახე
35. უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. 1940, გვ.192

§ 3. ფიზიკურისა და სულიერის ერთიანობა სპორტში

ჩვენს მიერ ზემოთ განხილული ფიზიკური და სულიერი უნარები სპორტსმენის, როგორც ერთიანი, მთლიანი პიროვნების უნარებია. მათი მიხედვით და მათ საფუძველზე სპორტსმენი ქმნის განსაკუთრებული და ერთიანი ბუნების მოქმედებას, რომელსაც სპორტი ეწოდება. რაში მდგომარეობს სპორტის ერთიანი ბუნება? სპორტი ადამიანის სულიერი და ფიზიკური ძალებისაგან იქმნება; ის არის ერთი მთლიანი ფიზიკური და სულიერი მოქმედება, ე.ი. იგი თავის თავში მოიცავს ორ აუცილებელ მხარეს: ფიზიკურსა და სულიერს. მაგრამ არსებითად ისინი როგორც მხარეები[36], არც გამოყოფიან, ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან შერწყმული: სულიერი უნარი უმუალოდ ჩაქსოვილ-ჩაწნულია ფიზიკურის ბუნებაში, როგორც განსაზღვრული ძალა. ამიტომ სპორტის როგორც მოქმედების, ფიზიკური ბუნება არ არსებობს სულიერი ძალებისაგან მოწყვეტით და მისგან დამოუკიდებლად. ამ აზრით, სპორტის ფიზიკური მხარე აუცილებლობით გულისხმობს როგორც მის შინაგან მთლიანს, სულიერ მხარეს. ეს აუცილებლობაა ის, რომ სპორტსმენისათვის სპორტის ფიზიკური მხარის სხვადასხვა, ყოქვათ, განსხვავებული მოძრაობების წარმოქმნა შეუძლებელი იქნებოდა სულიერი უნარის მოქმედების გარეშე. ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ სპორტი, როგორც მოქმედება, არც მხოლოდ ფიზიკურია, არც მხოლოდ ფსიქიკური(სულიერი). ის არის ფიზიკურისა და ფსიქიკურის ორგანული მთლიანობა, ე.ი. სპორტი არის ფსიქოფიზიკური სინამდვილე და რომ ეს ასეა, ამის საილუსტრაციოდ განვიხილოთ რამდენიმე კონკრეტული მაგალითი თვით სპორტული სინამდვილიდან.

ერთ-ერთ ასეთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ სპრინტერთა შეჯიბრი 100 მეტრზე სირბილში. სპრინტერები, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან, განვითარებული სახით ფლობენ შემდეგი სახის ფიზიკურ უნარებს: ძალას, გამძლეობას, სისწრაფეს და სხვა. მაგრამ მხოლოდ ეს უნარები თავისთავად სპორტული მოქმედების შექმნისათვის საკმარისი არაა. მათთან ერთად სპორტული მოქმედების წარმოქმნისათვის აუცილებელია სულიერი უნარების მოქმედებაც. სულიერმა უნარებმა ფიზიკური უნარები, ერთის მხრივ, უნდა მართონ, მეორე მხრივ, ისინი უნდა წარმართონ სპორტის სუბიექტის(სპორტსმენის) „მე"-ს სასურველი მიზნისთვის და მიმართულებით. სპრინტერის საშეჯიბრო მოქმედებაში შეგრძნებისა და აღქმის უნარი ერთ-ერთი გადამწყვეტია. სპრინტერის საშეჯიბრო მოძრაობებში უმუალოდ ჩართულია ბილიკის, როგორც მოძრაობის ადგილის, - სტარტიდან ფინიშამდე მოცემული მონაკვეთის - შეგრძნება და აღქმა, მისი ობიექტივაცია, ასევე საკუთარი ფიზიკური მოძრაობების შეგრძნება და აღქმაც, რომ მათი საშუალებით სრულიად აკონტროლოს და მართოს საკუთარი მოძრაობა, რომელიც ამ პერიოდში აუტომატური ხასიათისაა; სპრინტერის ფიზიკურ

[36] ვთქვათ, როგორც ჩვენი პლანეტის პოლუსები: ჩრდილოეთ პოლუსი, სამხრეთ პოლუსი.

მოძრაობებში ჩართულია დროის შეგრძნებაც, რომლის მიხედვით, ელვისებრად ხდება ძალის და სისწრაფის ოპტიმალური განაწილება დროში; ასევე ფიზიკურ მოძრაობებს ერთვის სასტარტო სიგნალის აღქმაც, რომელიც აუცილებელია მოძრაობის დაწყებისათვის. და ბოლოს, სწრაფი, სპრინტერული ფიზიკური მოძრაობების სრულყოფილი განხორციელებისათვის სპორტსმენის მიერ აუცილებელია საკუთარი ძალისხმევის შეგრძნება-აღქმაც, რომ მას ჰქონდეს შეკიბრებაში თავდაჯერებულობის გრძნობა.

სპრინტერის სწრაფ ფიზიკურ მოძრაობებში შინაგანად ჩართულია ყურადღების უნარიც, რომ ის მთლიანად მობილიზებული იყოს სტარტიდან ფინიშამდე. და ბოლოს, რამდენადაც სტაიერის სწრაფი ფიზიკური მოძრაობები ერთი მიზნისადმი შეკიბრებაში მაღალი შეცეგების მიღწევის მიზნისადმი უშუალოდ დაქვემდებარებული მოძრაობებია, ამდენად მასში მონაწილეობს აზროვნება და ნებისყოფაც.

მაშასადამე, სპრინტერული სპორტი, როგორც გარკვეული სახის მოქმედება, არის ფიზიკურისა და სულიერის აუცილებელი ერთიანობა, მთლიანობა.

მსგავსი მდგომარეობაა ჭიდაობაშიც. ჭიდაობა, როგორც სპორტი თავის თავში მოიცავს ძალის, მოძრაობის, გამძლეობის, სიმარჯვის, ტექნიკურ ფიზიკურ მოქმედებებს, რომლებშიაც ჩართული და ჩაწნულია სულიერი მოქმედებებიც: შეგრძნება, აღქმა, ყურადღება, აზროვნება, ნებისყოფა, გრძნობა და სხვა. ჭიდაობა ფიზიკურ და სულიერ მოქმედებათაგან ერთი მოქმედებად, ერთთ მთელად, ერთი გარკვეული სახის სპორტად შერწყმული სოციალური მოქმედებაა.

ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ სპორტის ყველა სახეობის შესახებაც, რამდენადაც არც ერთი სახის სპორტი არ არის ან მხოლოდ ფიზიკური, ან მხოლოდ ფსიქიკური მოქმედება. ის არის მათი ორგანული მთლიანობა.

ამგვარად, სპორტი, როგორც სოციალური მოქმედება, ერთიანი, მთლიანი ფსიქო-ფიზიკური სინამდვილეა.

მეოთხე თავი. ადამიანი როგორც ფილოსოფიისა და სპორტის საგანი

ადამიანი არის ფილოსოფიისა და სპორტის საგანი. რას ნიშნავს ეს? ამ კითხვაზე პასუხი რომ გავცეთ აუცილებელია გაირკვეს თვით საგნის ცნება. ცნებაში საგანი ფილოსოფიას ესმის, ერთი მხრივ, ყოველი მატერიალური მოვლენა, ნივთი. მაგალითად: მიწა, წყალი, ქვა, აგური, ხე, სახლი, ცხოველი, ადამიანი და სხვა. აქედან მიწას, წყალს, ქვას აგურს, ხეს უსულო საგნებს უწოდებენ. მეორეს მხრივ, საგანი არის ყოველივე ის, რასაც წარმოვიდგენთ ან რის შესახებაც ვახორციელებთ, რის მიმართაც რაიმე მოქმედებას ვაწარმოებთ. ასე მაგ., სახლს, რომელსაც წარმოვიდგენთ, არის წარმოდგენის საგანი, სპორტი, რომლის შესახებაც

ყაზროვნებთ, არის აზროვნების საგანი. ადამიანი რომელზედაც ვმოქმედებთ, არის მოქმედების საგანი. მაშასადამე, საგანი არის, ერთის მხრივ, ყოველი მატერიალური ნივთი, მოვლენა, მეორე მხრივ კი ის, რაც ჩვენი წარმოდგენის, აზროვნებისა და მოქმედების საგანია. აქედან გამომდინარე, ის, რაც ფილოსოფიური აზროვნების შედეგ გაიაზრება, არის ფილოსოფიის საგანი, ხოლო ის, რის მიმართაც სპორტი მოქმედებს, არის სპორტის მოქმედების საგანი. ამრიგად, ადამიანი არის ფილოსოფიის საგანი ნიშნავს იმას, რომ ადამიანი არის ფილოსოფიური გააზრების საგანი, ხოლო ადამიანი არის სპორტის საგანი, ნიშნავს იმას, რომ ადამიანი არის სპორტის მოქმედების საგანი. განვიხილოთ ისინი ცალ-ცალკე.

§ 1. ადამიანი, როგორც ფილოსოფიის საგანი

ფილოსოფია მისი წარმოშობის დღიდან დღემდე მუდამ იყო და არის ადამიანისა და ადამიანთა საზოგადოების სამსახურში. მისი ყურადღების ცენტრში მუდამ იდგა და დგას ადამიანის პრობლემა, მისი მრავალმხრიობებით. ჯერ კიდევ ფილოსოფიური აზროვნების დაწყებით პერიოდში ბერძენმა ფილოსოფოსებმა საფუძველი ჩაუყარეს ადამიანის მორალური მხარეები და თვისებები. მათი ფილოსოფიური სისტემების განუყოფელ ნაწილს მუდამ ეთიკური მოძღვრებები შეადგენდა. ფილოსოფიური აზროვნების შემდგომ განვითარებაში ადამიანის ეთიკური პრობლემების შესწავლა-გამოკვლევა სულ უფრო და უფრო ღრმავდებოდა და ვითარდებოდა და მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ადამიანის მორალის შესახებ მოძღვრება გარკვეულ დამოუკიდებელი სახის ფილოსოფიურ მეცნიერებად, ეთიკად ჩამოყალიბდა, რომელიც თავისი შინაარსით არის, სწორედ, ადამიანის ფილოსოფია. ასევე ანტიკური ფილოსოფიის უნიყერსალურმა მოაზროვნემ, არისტოტელემ შექმნა მოძღვრება ადამიანის სწორი აზროვნების კანონების შესახებ და გამოიკვლია აზროვნების ძირითადი ფორმებიც: მსჯელობა, დასკვნა, ცნება, რომელიც შემდგომში ჩამოყალიბდა, როგორც გარკვეული სახის ფილოსოფიური მეცნიერება, ფორმალური ლოგიკა, რომელიც ასევე არის ადამიანის ფილოსოფია. არისტოტელემ, ამასთან ერთად, გამოიკვლია აზროვნების დიალექტიკური ფორმები, რომელიც შემდგომ ჰეგელისა და ცნობილი ქართველი ფილოსოფოსის *ს. წერეთლის* მეშვეობით ჩამოყალიბდა, როგორც გარკვეული სახის ფილოსოფიური მეცნიერება - დიალექტიკური ლოგიკა, რომელიც როგორც ადამიანის აზროვნების ფილოსოფია, არის ადამიანის ფილოსოფია.

მაშასადამე, ეთიკა, ფორმალური ლოგიკა და დიალექტიკური ლოგიკა, როგორც ადამიანის მორალის, აზროვნების ფილოსოფიური გააზრებანი, სწორედ, ადამიანის ფილოსოფიას წარმოადგენენ.

ფილოსოფიამ მოგვცა მეტად საინტერესო მეცნიერული ჰიპოთეზა ადამიანის წარმოშობის შესახებ. უხსოვარი დროიდან ადამიანის მსგავსი

მაიმუნები, რომლებიც ხეზე ცხოვრეობდნენ, რომელიღაც გარკვეული პირობების ძალით, მიწაზე უნდა ჩამოსულიყვნენ და ორფეხზე აშართული სიარული უნდა დაეწყოთ: თავდაპირველად ეს ალბათ შემოხვევით ხასიათს ატარებდა, შემდეგ თანდათან წესად იქცა, და ბოლოს, ხანგრძლივ დროთა განმავლობაში ეს წესი აუცილებლობად უნდა ქცეულიყო, ე.ი. ამართული სიარული ადამიანის მსგავსი მაიმუნის გარდაუვალი მოძრაობის ფორმა უნდა გამხდარიყო. წინა კიდურების განთავისუფლებამ ადამიანის მსგავსი მაიმუნის ფეხები ხელებად აქცია და მათ სრულიად ახალ და ახალი ფუნქციები დაეკისრათ. ახალი ფუნქციების ძალით ხელი შექმილი გახდა და განვითარდა, რაც შემდგომ მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ასე წელ-წელა, თანდათან ხელი შრომის ორგანო ხდებოდა და განვითარდა, რაც შემდგომ მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ასე იქმნებოდა ადამიანის ყოველისმეძძლე, ჯადოსნური ხელი. შაკრამ ხელი, რითორც მთელიანი ორგანიზმის განუყოფელი ნაწილი, თავის მხრივ, ზრდის თანაბარზომიერების კანონის ძალით, აუცილებელ კავშირში იყო რა ორგანიზმის სხვა ნაწილებთან, უშუალო უკუზემოქმედებას ახდენდა ორგანიზმის სხვა ნაწილებზეც. მაიმუნის მსგავსი ჩვენი წინაპრები, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოველები იყვნენ, შრომაში ხელის განვითარებით სულ უფრო და უფრო ავითარებდნენ თვით შრომის პროცესს და განუწყვეტლივ ალმოაჩენდნენ ახალ ნიჭებსა და საგანთა მანამდე უცნობ თვისებებს. შრომის განვითარება ერთ მთელად აკავშირებდა ადამიანის მსგავსი მაიმუნების საზოგადოებას, სულ უფრო ვითარდებოდა მათი ურთიერთმხარდაჭერა და ურთიერთმოქმედება და ამასთან ერთად, მოქმედების სარგებლობის შეგნებაც. ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანების ამ ერთად მოქმედებაში გაჩნდა აუცილებელი მოთხოვნილება რომ ადამიანებს ერთმანეთისათვის რაღაცა ეთქვათ. ამ მოთხოვნილებამ, როგორც საზოგადოებრივმა აუცილებლობამ, მისი შესაბამისი ორგანო შექმნა: მაიმუნის განუვითარებელი ხორხი თანდათან, განუწყვეტლივ ეთვარდებოდა და პირის ორგანოებიც, თანდათან, ნელ-ნელა ეჩვეოდნენ დანაწევრებული ბგერების წარმოთქმას. ამგვარად, შრომაში და შრომის მეშვეობით საფუძველი ეყრება ენის წარმოშობას. შრომამ და ენამ კი, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა მაიმუნის ტვინის ადამიანის ტვინად თანდათანობით გადაქცევაში; ტვინის განვითარებამ კი უშუალოდ განსაზღვრა გრძნობათა ორგანოების განვითარება. ტვი-ნისა და გრძნობების განვითარება, ცნობიერების, აბსტრაქციის და დასკვნის უნარის უკუზეგავლენა შრომასა და ენაზე, მძლავრ ბიძგს წარმოადგენდა ამ უკანასკნელთა შემდგომი განვითარებისათვის. შემდგომში ადამიანის მიერ ხორციელი საჭმელის მიღებამ კი უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ტვინის შემდგომ განვითარებაზე და ადამიანის ფიზიკური ძალისა და დამოუკიდებლობის ჩამოყალიბებაზეც.

ასე წარმოიშვა ფილოსოფიის მიხედვით, შრომის საფუძველზე, დასრულებული ადამიანი, ხოლო ამ უკანასკნელის გაჩენასთან ერთად გაჩნდა ახალი სინამდვილე ადამიანთა საზოგადოება, რომელმაც უაღრესად

განავითარა ადამიანის შესაძლებლობები და მტკიცედ დააშკვიდრა ის, ბუნების გაბატონებულ და გარდამქმნელ ძალად. ისტორიულად შექმნილი ადამიანთა საზოგადოება სულ უფრო და უფრო პროგრესულად ვითარდებოდა დაბალი საფეხურიდან მაღალი საფეხურისაკენ. ადამიანთა ისტორია სულ უფრო და უფრო მტკიცედ დაუკავშირდა ადამიანთა საზოგადოების ისტორიას. ადამიანთა საზოგადოების წამოყალიბებასა და განვითარებასთან ერთად ყალიბდება და ვითარდება, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, ცოდნის გარკვეული სფერო, ე.წ. ისტორიის ფილოსოფია, რომელიც განიხილავს ადამიანთა საზოგადოების ისტორიის კანონზომიერებებს, კაცობრიობის განვითარების ძირითად მიმართულებებს, ისტორიის პროგრესისა და ისტორიული პროგრესის ერთიანობის პრობლემებს და სხვ. ისტორიის ფილოსოფიის განვითარების უმაღლესი ეტაპი იყო ჰეგელის ისტორიის ფილოსოფია, რომელიც საზოგადოების ისტორიას განიხილავდა როგორც გონის, იდეის თვითგანვითარების ერთიან, კანონზომიერ, მიზანგანად აუცილებელ პროცესს.

ახლა იმის შესახებ, რა არის ფილოსოფიის მიხედვით ადამიანის არსება. საერთოდ არსება ფილოსოფიის მიხედვით არის საგნის ძირითადი კაუზირ-მიმართება. ასე მაგალითად, სიცოცხლის არსება არის ძირითადი კაუზირ-მიმართება - ასიმილაციისა და დისიმილაციის კაუზირ-მიმართება. ადამიანსაც თავისი არსება გააჩნია, რომელიც მის ადამიანად არსებობას განსაზღვრავს. ადამიანის არსება არის ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა. საზოგადოებაში ადამიანს შორის მყარდება ჩრაყალი სხვადასხვაგვარი ურთიერთობები: ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ეროვნული, მორალური, კულტურული, ოჯახური, ესთეტიკური, შრომითი, სამსახურეობრივი, პროფესიონალური და სხვა. ისინი, ერთად აღებულნი, ადამიანის არსებას შეადგენენ. ადამიანი არ არსებობს ამ ურთიერთობათა გარეშე, ისევე როგორც ეს ურთიერთობები არ არსებობენ ადამიანის გარეშე. ადამიანი ამ ურთიერთობების გარეშე ბიოლოგიური არსებაა და სხვა მეტი არაფერი; ადამიანს ადამიანად, სწორედ, ეს ურთიერთობები ქმნიან.

ადამიანი, როგორც ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა, სოციალური არსებაა; სოციალურ არსებად არსებობა ადამიანის ერთი მხარეა. მეორე მხარე კი არის მისი ფიზიკური ყოფიერება, როგორც მისი ერთი მთლიანი ორგანიზმის ფიზიკურ და სულიერ უნართა ერთობლიობა. ადამიანის სოციალური არსება, როგორც მისი ფიზიკური ყოფიერების შინაგანი ბუნება, არ არსებობს ამ ფიზიკური ყოფიერების გარეშე; თუთ ეს ფიზიკური ყოფიერებაც, სოციალურ არსებას მოკლებული. ასევე არ არსებობს, როგორც ადამიანის ყოფიერება; ე.ი. ადამიანი არც მხოლოდ ბიოლოგიური არსება; ის არის ბიოსოციალური არსება; როგორც ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობა ის სოციალური არსებაა. ხოლო რამდენადაც ამ არსების მატარებელი ადამიანის ცოცხალი ორგანიზმია. ის ბიოლოგიური არსებაცაა.

ასეთია ფილოსოფიური მოძღვრება ადამიანის არსების შესახებ.

რამდენიმე სიტყვა ფილოსოფიური ანთროპოლოგიის შესახებ. ფილოსოფიური ანთროპოლოგია (ბერძ. ανθρωπος ადამიანი, λογος – მოძღვრება, ანუ რომელიც ადამიანზე) ფართო გაგებით როგორც მოძღვრება ადამიანის ბუნებაზე ჯერ კიდევ ანტიკურ ფილოსოფიაში ჩაისახა და განვითარდა, მაგრამ ჩვენ მის განხილვას მე-18 საუკუნის ანთროპოლოგიზმით დავიწყებთ, რადგან ამ დროისათვის ის ფაქტიურად გარკვეული ფილოსოფიური დისციპლინის სახეს იღებს. ანთროპოლოგიზმი არის გარკვეული სახის ფილოსოფიური კონცეფცია, რომლის წარმომადგენლები ადამიანის ცნებაში მოაქვთ მსოფლმხედველობრივ კატეგორიას ნახულობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ მხოლოდ მისგან გამოსვლით შეიძლება შეეიმუშაოთ წარმოდგენების სისტემა ბუნების, საზოგადოებისა და ჰრიროვნების შესახებ. ანთროპოლოგიური ბრინციპი ფილოსოფიაში შემოიტანა გერმანელმა ფილოსოფოსმა ლუდვიგ ფოიერბახმა (1804-1872წ.წ.). ფოიერბახის ფილოსოფიური ანთროპოლოგიზმი ადამიანს განიხილავს, როგორც ფილოსოფიის „ერთადერთ უნივერსალურ და უმაღლეს საგანს". მისი მიხედვით ფილოსოფიის ძირითადი ცნება სუბიექტი, რეალური, კონკრეტული ადამიანია, რომელიც ბუნების ნაწილია რომელშიაც ფილოსოფიის ძირითადი საკითხი გადაწყვეტილია: მატერიალური განსახლეყრაეს სულიერს. ადამიანი ფილოსოფიის ცენტრალური ობიექტია, ამიტომ ის თავის ფილოსოფიას ფილოსოფიურ ანთროპოლოგიზმს უწოდებდა. მისთვის ადამიანი არის ფსიქოფიზიოლოგიური არსება, რომელიც მატერიალური ობიექტიცაა და იმავე დროს მოაზროვნე სუბიექტიც.

მე-18ს. მეორე ნახევრიდან სწრაფად ყოთარდება ანთროპოლოგიზმის იდეალისტური სისტემა, რომელიც უპირისპირდება ფოიერბახის ანთროპოლოგიზმს და რომლის დამფუძნებელები არიან მ.შელერი და გ.პლესნერი. ფილოსოფიური ანთროპოლოგიზმის წარმომადგენლები - პ. პ ენგსტენბერგი, ა. გალენი, პ. ლანდსბერგი, ე. რიტპაკერი და სხვ. ორიენტაციას იღებენ ადამიანის „სინოეზური" კონცეფციის შექმნისაკენ და ფილოსოფიას მიიჩნევენ მოძღვრებად „ადამიანის არსებისა და არსობრივი სტრუქტურის შესახებ" მოძღვრებად „ადამიანის შესახებ თვით ადამიანის ყოფიერების თვალსაზრისით".

XX საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთევროპულ ქვეყნებში, უმთავრესად გერმანიაში, ყალიბდება თანამედროვე ბურჟუაზიული ანთროპოლოგია, რომლის ძირითადი იდეები და მეთოდოლოგიური დებულებები მოძღვნარეობს მ.შელერის ნაშრომიდან „ადამიანის მდგომარეობა კოსმოსში" (1827) და გ. პლესნერის წიგნიდან „ორგანულის საფეხურები და ადამიანი, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის შესავალი" (1827). ეს მიმდინარეობა, სიცოცხლის ფილოსოფიისა (ე. დილთაი) და ე. ჰუსერლის ფენომენოლოგიის იდეების საფუძველზე, ცდილობს შექმნას ადამიანის მთლიანობის ცნება სხვადასხვა მეცნიერების (ბიოლოგია, სოციოლოგია, ეთნოლოგია, ფსიქოლოგია და სხვა.) მონაცემთა გამოყენებით და ინტერპრეტაციით.

ბოლო დროს როგორც საზღვარგარეთ, ასევე ჩვენში, ფართოდ გავრცელდა

ფილოსოფიური მოძღვრებები ადამიანზე, რომლებიც თავიანთი არსებით, წარმოადგენენ ადამიანისა და სამყაროს ობიექტურ-მეცნიერული და შეფასებითი ხედვის სინთეზს და პირდაპირ პასუხობენ კითხვაზე " რა არის ადამიანი?" ისინი შეიძლება მივიჩნიოთ ადამიანის შესახებ, გარკვეულ, ფილოსოფიურ დისციპლინად.

§ 2. ადამიანი როგორც სპორტის საგანი

როგორც ვნახეთ, ადამიანი, როგორც სპორტის საგანი, ნიშნავს იმას რომ ის არის სპორტის მოქმედების საგანი. ადამიანი, როგორც ფილოსოფიური გააზრების საგანი და ადამიანი, როგორც სპორტის მოქმედების საგანი, არსებითად და სრულიად სხვადასხვა მოქმედებებს წარმოადგენენ, სწორედ ამიტომ და იმის გამო, რომ ერთი ახრის საგანია, მეორე კი მოქმედების საგანი. მაგრამ ისინი არა მხოლოდ არსებითად განსხვავებული მოქმედებებია, არამედ აგრეთვე არსებითად იყოყეობრიები მოქმედებებიც. რაში მდგომარეობს ამ მოქმედებათა იგიყეობა? როგორც ერთში, ისე მეორეში ადგილი აქვს ადამიანის მიერ თავისი თავის გადაქცევას ობიექტად და სუბიექტად. როცა ადამიანმა თავისი თავი გაიაზრა რა არის ის, რა არის ადამიანი, ამით ის გაორდა და იქცა გააზრების ობიექტად და გააზრების სუბიექტად. რეფლექსიის შედეგი კი არის, სწორედ, ადამიანის ფილოსოფია. ასეყე ადამიანმა, როცელმაც გარკვეული ძიხნის საფუძველზე თავისი თავი თავისი თავის მოქმედების საგნად გაიხადა, თავის თავს აქცევს მოქმედების სუბიექტად და ობიექტად, შედეგად კი ყლებულობს იმას რასაც სპორტი ჰქვია. ამ ახრით მოცემული განსხვავებული მოქმედებები, იგივეობრივ მოქმედებებსაც წარმოადგენენ.

ახლა განვიხილოთ რას ნიშნავს დებულება: ადამიანი არის სპორტის მოქმედების საგანი? ჩემი აზრით ეს ნიშნავს ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების გარდაქმნა-განვითარებით მის გადაქცევას სპორტსმენად და შემდეგ ამაყე ძალების სულ უფრო და უფრო, განუწყვეტელ განვითარებას, მისი სპორტული სქმიანობის სრულყოფასა და სპორტული ხელოვნების კონდიციების განუწყვეტელ ზრდას სპორტულ შეჯიბრებებში მაქსიმალური შედეგების მისაღწევად. სპორტი ყყელა მისი მხარეებითა და მოშენტებით, მისთვის დამახასიათებელი ყველა საშუალებებით(ეს იქნება სხვადასხვა სახის მოძრაობის ჩყეყების გამოშუშავება, სხვადასხვა სახის ვარჯიშები თუ სხვა) უშუალოდ მიმართულია სპორტისაკენ, მისი მუდმივი განვითარებისაკენ, როგორც სპორტის სუბიექტისაკენ, რადგან სპორტის განვითარება აუცილებლობით სუბიექტის განვითარებას მოითხოვს. სპორტი. როგორც მოქმედება, მოქმედებითაც ჯითარდება, რაც მისი შინაგანი განვითარების წყაროა. ამ განმაყითარებელ მოქმედებას კი მხოლოდ ადამიანი(როგორც სპორტსმენი) როგორც სპორტის სუბიექტი ქმნის.

მაგრამ ადამიანი(როგორც სპორტსმენი) არა მხოლოდ სპორტის სუბიექტია[38], არამედ ის არის სპორტის ობიექტიც და ამდენად, სპორტის მოქმედების საგანიც.

თუ ადამიანი(როგორც სპორტსმენი) სპორტის მოქმედების საგანია, რატომაა ამ მოქმედების სიკეთე და შედეგები იყოთ ადამიანში? სპორტის მოქმედების სიკეთე და შედეგები ადამიანში შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ძირითადი ლებულებების სახით:

1. სპორტი აყალიბებს რა ადამიანის ფიზიკურ და სულიერ ძალებს, რომელიც ადამიანის სასიცოცხლო უნარებს, ამით ის ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებასა და განვითარებას. სპორტი ახალგაზრდობის ჯანმრთელობაა; ეს უკანასკნელი უდიდესი საზოგადოებრივი სიმდიდრე და ღირებულებაა, რომელსაც საზოგადოება დღეს სათუთად უვლის და მის შემდგომ განვითარებაში სპორტის როლი და მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო გაიზრდება და ის საზოგადოების უფრო მასშტაბური და საყოველთაო საქმედ იქცევა.

სპორტი ასევე ემსახურება საზოგადოებრივი შრომითი საქმიანობის ამაღლებისა და საზოგადოების სახელმწიფოებრივი დაცვის საქმეს; ის საზოგადოებას უმზადებს ჯანსაღ ახალგაზრდობას შრომისა და სახელმწიფოს დაცვისათვის.

სპორტს აქვს უდიდესი ჰუმანური დანიშნულებაც; ის არის ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდის საზოგადოებრივი საშუალებაც. ფიზიკურად და სულიერად ჰარმონიულად განვითარებული ადამიანი, ეს არის ადამიანის თავისუფალი განვითარების ის უმაღლესი ტიპი, რომელსაც ერთსა და იმავე დროს შეიძლება ფიზიკური და სულიერი შრომა, რომელიც ერთსა და იმავე დროს იქნება მუშაც და ინჟინერიც, სპორტსმენიც და ფილოსოფოსიც, კალატოზიც და მხატვარიც, მზარეულიც და მასწავლებელიც და სხვა.

2. სპორტი, როგორც საზოგადოებრივი მოქმედება, დამოუკიდებელი თვითმყოფი პიროვნების დამკვიდრების საშუალებაცაა. დამოუკიდებელი და თვითმყოფი თვისების ადამიანის ჩამოყალიბება კი უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლო საქმეა არა მხოლოდ სპორტისათვის, არამედ თვით საზოგადოებისათვისაც.

3. სპორტი სპორტსმენის ეროვნული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის ერთ-ერთი გარკვეული საშუალებაცაა. სპორტს ახასიათებს ეროვნული და ინტერნაციონალური ბუნება, რომლის მიხედვით და მეშვეობით უნდა აღიზარდოს სპორტსმენის ეროვნული და ინტერნაციონალური გრძნობა. სპორტსმენი, თავისი ერის შვილია და მას უნდა ჰქონდეს თავისი ერის უსაზღვრო სიყვარულის, ეროვნული სიამაყის გრძნობა, რომელიც არის მთელი მისი სპორტული ცხოვრების ალფა და ომეგა. დიდ სპორტულ მიღწევებს, შედეგებს, რეკორდებს,

38 რადგან სპორტი თავისი არსებით, სხვა არაფერია, თუ არა სპორტსმენის მოქმედება.

საკუთარი ერის სიყვარული და ინტერესები ასაზრდოებს. მათს გარეშე სპორსტმენი შეიძლება შეეადაროთ უსაწვავო პატრუქს. სპორტი აუცილებლად მოითხოვს თაყვის შინაგან მამოძრავებელ ძალას, ერის სიყვარულის გრძნობას და ამ გრძნობით ის ზრდის სპორტსმენს, როგორც მის სუბიექტს. მაგრამ სპორტი ასეყე აუცილებლობით მოითხოვს ინტერნაციონალურ გრძნობასაც, სხვა ერის წარმომადგენლისადმი სიყვარულს და პატივისცემას და ამ გრძნობას ის, თაყვისი ბუნებით, თვითონ ზრდის სპორტსმენში. სპორტი ეროვნული და ინტერნაციონალური ნიშნების აუცილებელი ერთიანობაა. ამ ნიშნების საფუძველზე და მათი მეშვეობით წარმოებს სპორტსმენის აღზრდა ეროვნული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით.

ამგვარად, სპორტს უდიდესი სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისათვის იმით, რომ ის ზრდის ახალგაზრდობას ეროვნული და ინტერნაციონალური სულისკვეთებით, რაც ერთ-ერთი უდიდესი საზოგადოებრივი საქმეა.

4. სპორტში და სპორტის მეშვეობით წარმოიშობა და ყალიბდება სპორტსმენის ისეთი გრძნობები, როგორიცაა მოყვალეობის, პასუხისმგებლობის გრძნობა. სპორტი სპორტსმენის მოყვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობაზე აუცილებლობით დაფუძნებული მოქმედებაა. ამიტომ ის არ არსებობს ამ გრძნობის გარეშე და მათგან დამოუკიდებლად. ყოველ სპორტულ მოქმედებაში უშუალოდ ჩაქსოვილია სპორტ-სმენის მოყვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობები. სპორტსმენის სპორტული მოქმედების ჩამოყალიბების პროცესი იმავდროულად და, ამასთან ერთად, მისი მოყვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობების ჩამოყალიბების პროცესიცაა. ამ აზრით, სპორტი თვითონ ქმნის სპორტსმენში მისთვის აუცილებელი მოყვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობებს, რომელიც როგორც მისი უშუალო ნაწილი, მას ერწყმის. ამიტომ სპორტი არის არა მხოლოდ ფიზიკური მოქმედება, არამედ სულიერიც.

მაშასადამე, სპორტი უშუალოდ ქმნის და აყალიბებს სპორტსმენში, როგორც მისთვის აუცილებელ მოვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობებს და ამით ის საერთოდ საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის ამზადებს მოყვალეობისა და პასუხისმგებლობის გრძნობებით აღჭურვილ ახალგაზრდობას, როგორც უდიდეს საზოგადოებრივ ძალას.

5. ასეყე სპორტში ყალიბდება სპორტსმენის ვაჟკაცობისა და მამაცობის თვისე-ბები. სპორტი ბრძოლაა და ამ ბრძოლაში იმარჯვებს ის, ვინც სპორტისათვის დამახასიათებელ სხვა აუცილებელ თვისებებთან ერთად ფლობს ვაჟკაცობისა და მამაცობის თვისებებს. შეჯიბრება, როგორც ბრძოლა, აუცილებლად მოითხოვს სპორტსმენისაგან ისეთ თვისებებს, როგორიცაა

შეუპოვრობა, გაბედულება, სიმტკიცე, შეუდრეკელობა, უშიშრობა, გულადობა და სხვა. ეს თვისებები, ერთად აღებული. შეადგენენ მას, რასაც ჩვენ ეუწოდებთ ვაჟკაცობასა და სიმამაცეს. ყველა სხვა სახის სპორტსმენში რამდენადაც ის მებრძოლია, უხვად ეხვედებით ვაჟკაცობისა და სიმამაცის თვისებებს. ავიღოთ თუნდაც სპორტის ისეთი სახეობა, როგორიცაა ჭადრაკი. ჭადრაკი გააფთრებული ბრძოლის არენაა; ამიტომ მოჭადრაკეები, როგორც მებრძოლები, უხვად პოულობენ თვით ჭადრაკით შთამადლებულ ვაჟკაცობისა და სიმამაცის თვისებებს. განა ვაჟკაცობისა და სიმამაცის საუკეთესო ნიმუშებს არ წარმოადგენენ ამერიკელი მოჭადრაკის პაულ მორფის პარტიები? განა ამერიკელი მოჭადრაკის რობერტ ფიშერის მიერ მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტის ბენტ ლარსენის დამარცხება ანგარიშით 6:0, ვაჟკაცობისა და სიმამაცის თვალსაჩინო დადასტურება არ იყო? განა მსოფლიოს ჩემპიონობისათვის მატჩში პრეტენდენტ კასპაროვის ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონ კარპოვთან უბადლო ვაჟკაცობისა და სიმამაცის ნიმუშს არ წარმოადგენდა? და სხვა და სხვა.

ამგვარად, სპორტის საშუალებით ყალიბდება სპორტსმენის პოზიტიური თვისებები, როგორიცაა ვაჟკაცობა და სიმამაცე, რომლებიც არა მხოლოდ ერთ-ერთი გადამწყვეტ პირობას წარმოადგენენ სპორტში, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებშიც. სპორტი ქმნის ვაჟკაც და მამაც მოქალაქეებს, რომელთაც შეუძლიათ დიდი სარგებლობა მოუტანონ საზოგადოებას.

◆ ◆ ◆

მამასადამე, ადამიანი არის, როგორც ფილოსოფიის, ისე სპორტის საგანი. ადამიანი ფილოსოფიის საგანია ნიშნავს იმას, რომ ის არის ფილოსოფიის კვლევის, შესწავლის საგანი. ადამიანის ეს კვლევა, შესწავლა არის, სწორედ, ადამიანის ფილოსოფია. რაც შეეხება სპორტს, ის არის ადამიანის, მისი ფიზიკური და სულიერი უნარის გარდაქმნისა და განვითარების ხელოვნება. ამიტომ, ფილოსოფია ადამიანს ემსახურება როგორც მეცნიერება, სპორტი კი, როგორც მისი გარდაქმნისა და განვითარების ხელოვნება.

მეხუთე თავი. სახოგადოება და სპორტი

მოცემული თავის მიზანია, გაარკვიოს საზოგადოებისა და სპორტის ურთიერთდამოკიდებულება. თავდაპირველად აუცილებელია გაირკვეს თვით საზოგადოებისა და სპორტის ბუნება, მათი გარკვეული ნიშნები და თავისებურებანი.

§ 1. საზოგადოება როგორც ადამიანთა ურთიერთობების სისტემა

ბუნებისაგან განსხვავებით, რომელიც არის საგანთა და მოვლენათა ურთიერთობა, საზოგადოება შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ადამიანთა ურთიერთობა. როგორც ადამიანთა ურთიერთობა, ის თვისებრივად განსხვავებულია ბუნებისაგან. რა არის ადამიანთა ურთიერთობა? ეს არის ადამიანთა, როგორც საზოგადოების სუბიექტთა, ყოფიერების, მათი სპეციფიკური კავშირის წესი. ეს ნიშნავს იმას, ეს ურთიერთობა, როგორც ადამიანთა კავშირი, არის ის, რადაც და როგორადაც არსებობს ადამიანი. ის არის ადამიანთა გვაროვნული, ტომობრივი, ეროვნული, ეკონომიკური, პოლიტიკური, საქართველებრივი, ეთიკური, ესთეტიკური, ოჯახური, სოციალური, კულტურული, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური და სხვა ურთიერთობა. მაშასადამე, საზოგადოება ადამიანთა ურთიერთობების გარკვეული სისტემაა.

საზოგადოება, როგორც ადამიანთა ურთიერთობების გარკვეული სისტემა, ერთისა და სიმრავლის ურთიერთობის დიალექტიკურ კანონზომიერებას დამორჩილებული სოციალური მთელია, სადაც მოქმედებენ ერთის მხრივ, ადამიანათა ცალკეული ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი კერძო ობიექტური კანონები და მეორეს მხრივ, მთელი საზოგადოებისათვის დამახასიათებელი, ზოგადი საყოველთაო ხასიათის კანონები, საზოგადოება ვითარდება რა მისი კერძო, სპეციფიკური და საყოველთაო კანონების საფუძველზე, მუდამ ესწრაფვის დაკმაყოფილოს მის წევრთა, მოქალაქეთა ურთიერთობებიდან გამომდინარე ობიექტური მოთხოვნები და მაქსიმალურად უზრუნველყოს მათთვის მატერიალური და სულიერი კეთილდღეობის ზრდა, რაც დღეს მეტნაკლებად გადაწყვეტილია თითქმის ყველა თანამედროვე ცივილიზებულ ქვეყანაში.

მოცემული სოციალური ურთიერთობები არა მხოლოდ საზოგადოებას ადგენენ, არამედ მის შემადგენელ ადამიანთა არსებასაც. საზოგადოებრივი ურთიერთობები წარმოადგენენ საზოგადოების და ადამიანის შინაგან სტრუქტურას, შინაგან ორგანიზაციას, მაშასადამე, მათს არსებას. საზოგადოების არსება განუყოფელია მისი ნაწილის ადამიანის არსებისაგან და პირიქით. ეს კი ნიშნავს იმას რომ, როგორც მთელი და ასევე, მისი ნაწილი არ არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ერთმანეთის გარეშე. მაშასადამე, საზოგადოება, როგორც მთელი, ერთისა და

სიმრავლის, მთელისა და ნაწილის განუყოფელი მთლიანობაა. ისმება კითხვა: როგორ შეიქმნა საზოგადოება? ბუნება საზოგადოებას ვერ შექმნიდა; ის ოვით ადამიანებს უნდა შეექმნათ; მაგრამ თუ ადამიანი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა, როგორ შეიძლება ის არსებულიყო საზოგადოებამდე, როგორც ადამიანი? ერთი რამ ცხადია, თუ საზოგადოება მთელია, მთელი ყველგან და ყოველთვის ნაწილებისაგან იქმნება და საზოგადოებრივი ნაწილებისაგან, ე.ი. ადამიანებისაგან უნდა შექმნილიყო. მაგრამ როგორ გახდა ეს შესაძლებელი? ჯერ ხომ პირველყოფილი ადამიანი უნდა ჩამოყალიბებულიყო. როგორც ვიცით პირველყოფილი ადამიანის ჩამოყალიბება მოხდა მაიმუნის მსგავსი ადამიანისაგან, შრომის საფუძველზე; მაგრამ როგორ გახდა შესაძლებელი მაიმუნის მსგავსი არსების შრომა? დღეს არც ერთი მაიმუნის მსგავსი არსება არ შრომობს. როგორ გაჩნდა მაიმუნის მსგავს არსებებში შრომის გარკვეული საწყისები, რომელიც შემდგომში თანდათან სულ უფრო და უფრო ვითარდება? შრომისათვის აუცილებელია რომ ადამიანის მსგავს მაიმუნებს წინა კიდურები თავისუფალი ჰქონდეთ და უკანა კიდურებით სიარული შეეძლოთ; გარდა ამისა, მათ უნდა გააჩნდეთ აზროვნების რაღაც ელემენტები. მაიმუნის მსგავს არსებებს რომ შრომა შესძლებოდათ, აუცილებელი იყო მათი წინა კიდურების სიარულის ფუნქციისაგან გათავისუფლება და სიარულის ფუნქციის უკანა კიდურებზე გადატანა, რაც თანდათან გაძართული სიარულის პირობა უნდა ყოფილიყო. მაგრამ არც წინა კიდურების გათავისუფლება და არც უკანა კიდურების გაძართულ სიარულზე გადასვლა ერთბაშად არ მომხდარა. უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველივე ეს თანდათანობით ხდებოდა შრომის პროცესის ევოლუციის პროცესში და ვინ იცის, შესაძლებელია ამას მილიონი და უფრო მეტი წლებიც დასჭირდა. მაიმუნის მსგავსი არსებები თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ხშირად იყენებენ წინა კიდურებს საქმის მოსასპობებლად და ამ დროს ისინი ასეთივე აუცილებლობით იძულებულნი იყვნენ უკანა კიდურებს დაყრდნობოდნენ, რომ წინა კიდურებით თავისუფლად ემოქმედათ. მათზე დაკისრებული ფუნქციები ორივე კიდურებს თანდათან, მართალია, თავდაპირველად უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გარდაქმნიდნენ და გარდაქმნის შედეგები მემკვიდრეობით თაობიდან თაობას გადაეცემოდა და რაც უფრო მეტი დრო გადიოდა, მათი გარდაქმნის პროცესი სულ უფრო და უფრო ოვალსაჩინო ხდებოდა, თვით შრომის თანდათანობით განვითარების საფუძველზე. შრომის განვითარებით გარდაქმნაში მიმდინარე რაოდენობრივი ცვლილებები უსახრულო თვისებრივ ცვლილებებად იკვრებოდა, რაც სულ უფრო და უფრო საგრძნობ ორგანულ ცვლილებებად აღწუსხული, თაობიდან თაობაში გადადიოდა. ჩამოყალიბდა თანამედროვე ადამიანის ხელები და ფეხები, როგორც

მისი ბიოსოციალური ორგანოები[39], როგორც შრომის უშუალო შედეგები და პროდუქტები.

ხელებისა და ფეხების თანდათან განვითარებასთან ერთად, ორგანოთა განვითარების თანაფარდობის კანონის ძალით, ვითარდებოდა ცხრილებების ორგანო ტვინიც; და როდესაც მაიმუნის მსგავსი არსებების წინა და უკანა კიდურები საბოლოოდ ადამიანის ხელებად და ფეხებად ჩამოყალიბდა, აქან, თავის მხრივ, უდიდესი გადამწყვეტი ზეგავლენა მოახდინა ტვინის განვითარებაზეც. ხელის ჩამოყალიბებასთან ერთად ვითარდებოდა თვით შრომაც, რომელიც სულ უფრო და უფრო აკავშირებდა საზოგადოების წევრებს. ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ადამიანებს შორის გაჩნდა მეტყველების ობიექტური მოთხოვნილება, რომლის საფუძველზე ნელ-ნელა შეიქმნა მეტყველების ორგანო და საბოლოოდ ჩამოყალიბდა დანაწევრებული ადამიანური მეტყველება.

შრომისა და მეტყველების საფუძველზე მაიმუნის ტვინი თანდათანობით ადამიანის განვითარებულ ტვინად იქცა. შემდგომ ტვინის განვითარებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა ადამიანის მიერ ხორციელი საკვების მიღებამაც. ასე მილიონი წლის განმავლობაში მეტყველების ორგანოთა და ტვინის განვითარების მეოხებით, მაიმუნის მსგავსი არსება ნელ-ნელა ადამიანად ყალიბდებოდა. ხოლო ადამიანის ხელის, მეტყველების ორგანოთა და ტვინის ამ ერთობლიობა მოქმედებით მაიმუნის მსგავსი არსებების საზოგადოება თანდათან უკვე განვითარებულ ადამიანთა საზოგადოებად გარდაიქმნებოდა; ასე წარმოიშვა ჩვენთვის ცნობილი პირველყოფილი თემური საზოგადოება.

რა საზოგადოებრივი ურთიერთობებია დამახასიათებელი პირველყოფილი თემური საზოგადოებისათვის? მისი განვითარების პირველ საფეხურზე ადამიანთა ერთობის გარკვეულ ფორმას წარმოადგენს გვარი, სადაც საზოგადოების წევრები ურთიერთთან ნათესაობის ნაწილით არიან დაკავშირებულნი, შემდგომ საფეხურზე მას ცვლის ადამიანთა ერთობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ტომი, რომლისთვისაც დამახასიათებელია

ისინი ისეთი სოციალური მოვლენების შექმნის ორგანოებიცაა. როგორიცაა: ცეკვები, სპორტი (მაგალითად სპრინტერული სპორტი სხვადასხვა დისტანციებზე რბენა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ჭიდაობა, სლალომში, ტრამპლინიდან ჩახტომა და სხვა და სხვა. ადვილ შეიძლება ითქვას ადამიანის სხვა ორგანოების შესახებაც. ვთქვათ მხედველობისა და სმენის ორგანოები. თვალი არა მხოლოდ ხედვის ბიოლოგიური ორგანოა, არამედ ქვეყნად ფერთა სიმფონიის, სილამაზისა და სხვა უსახურულოდ მრავალ ადამიანურ ქმნილებათა შექმნის ორგანოც. ყურიც არა მხოლოდ სმენის ორგანოა არამედ შუსიკის. ადამიანის ამ ჯადოსნური ქმნილების შექმნის ორგანოც. თუ ადამიანის ორგანოები ბიოლოგიურთან ერთად სოციალური ფუნქციის მატარებელნი არიან, ეს იმას ნიშნავს რომ ისინი არა მხოლოდ ბიოლოგიური, არამედ სოციალური ორგანოებიცაა.

39 ადამიანის ორგანოები, თავიანთი არსებით, ცხოველთა ორგანოებისაგან განსხვავებით, ბიოსოციალური ორგანოებია. მათ აქვთ არა მხოლოდ ბიოლოგიური ფუნქციები, არამედ სოციალურიც. ასე მაგალითად, ადამიანის ხელი მარტოოდენ ბიოლოგიური ორგანო როდია, რომელიც ვთქვათ ადამიანის მხოლოდ ბიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურება. არამედ იგი ჩვენს პლანეტაზე უდიდესი საზოგადოებრივი ღირებულების შექმნის ორგანოცაა. ასევე ფეხები მხოლოდ სიარულის ორგანო როდია.

საერთო ენა და ტერიტორია. აქ მოცემულია, აგრეთვე, ეკონომიკური, მორალური, რელიგიური და ჩვეულებრივ, ტრადიციებზე დამყარებული ურთიერთობებიც; არსებითად ამ ურთიერთობათა ერთობლიობა არის პირველყოფილი თემური საზოგადოება. რაც შეეხება მონათმფლობელურ საზოგადოებას, ის, ერთის მხრივ, უფრო განვითარებული სახით წარმოგვიდგენს პირველყოფილი თემური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ურთიერთობებს, მეორეს მხრივ, კი, ქმნის სრულიად ახალ ურთიერთობასაც; ძველი ურთიერთობების გარდაქმნა და ახალი ურთიერთობების წარმოქმნა ისტორიულად ახალი ტიპის საზოგადოების მონათმფლობელური საზოგადოების შექმნაა: ის აგრძელებს პირველყოფილი თემური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ადამიანურ ურთიერთობებს, მეორეს მხრივ, კი ქმნის ახალ ურთიერთობებსაც; ძველი ურთიერთობების განვითარება და ახალი ურთიერთობების წარმოქმნა ისტორიულად ახალი ტიპის საზოგადოების - მონათმფლობელური საზოგადოების შექმნაა; ის აგრძელებს პირველყოფილი თემური საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ადამიანურ ურთიერთობებს თვისებრივად ახალ ეროვნულ, ეკონომიკურ, ოჯახურ, მორალურ, რელიგიურ ურთიერთობებად. ამასთან ქმნის ახალ ურთიერთობებსაც; ეს ურთიერთობებია: პოლიტიკური, სამართლებრივი, ფილოსოფიური, ესთეტიკური, სპორტული, მხატვრული და სხვა. მონათმფლობელური საზოგადოება ამ ურთიერთობათა ერთობლიობაა.

ფეოდალური საზოგადოება კი თავის თავში აგრძელებს რა მონათმფლობელური საზოგადოების ყველა ურთიერთობებს, ადამიანთა თვისებრივად ახალი ურთიერთობებად, ყალიბდება როგორც მონათმფლობელურზე უფრო პროგრესული და მაღალი საზოგადოების ტიპი. მონათმფლობელური საზოგადოების მსგავსად იგი არის უფრო განვითარებული ეროვნული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ფილოსოფიური, ესთეტიკური, სპორტული, ოჯახური, მხატვრული და სხვა სოციალურ ურთიერთობათა ერთიანი სისტემა.

ბურჟუაზიულ საზოგადოებას კი ყველა მოცემულ ურთიერთობათა განვითარება ყველაზე მაღალ საფეხურზე აყავს და ყალიბდება, როგორც ადამიანთა თვისებრივად ახალი ეროვნული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ოჯახური, ფილოსოფიური, მორალური, ესთეტიკური, სპორტული, მხატვრული და სხვა ურთიერთობების სისტემა; ბურჟუაზიული საზოგადოება ყველაზე ცივილიზებული საზოგადოებაა, რომელიც ძალუძს ადამიანის თავისუფალი განვითარების ყველაზე ფართო შესაძლებლობებს.

ასეთია საზოგადოება, როგორც ადამიანთა ურთიერთობების სისტემა.

ახლა რამდენიმე სიტყვით ბუნებისა და ადამიანთა საზოგადოების დამოკიდებულების შესახებ. საზოგადოება ბუნების ნაწილია. ბუნება როგორც ნივთთა სამყარო, ადამიანთა საზოგადოების საარსებო საშუალებათა უმდიდრესი და სასიცოცხლო სიერცეცაა. ამიტომ საზოგადოება მხოლოდ ბუნებასთან დამოკიდებულებაში არსებობს.

ადამიანთა საზოგადოების ბუნებასთან დამოკიდებულება ხორციელდება წარმოების მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს ბუნების საგანთა

გარდაქმნა-გადაშუშავებას, ადამიანთა გარკვეული მოთხოვნილებების შესაბამისად და მათს შემდგომ მითვისებას ადამიანთა სხვადასხვა საზოგადოების მიერ. წარმოება ადამიანთა საზოგადოების ბუნებასთან კავშირია. ეს კავშირი, როგორც ადამიანთა საზოგადოების არსებობის პირობა და საფუძველი, მთელისა და ნაწილის, ბუნებისა და საზოგადოების აუცილებელი კავშირია. მაშასადამე, ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობა, ერთის მხრივ, თავისი არსებით მთელისა და ნაწილის ურთიერთობაა, მეორეს მხრივ, ეს ურთიერთობა სისტემა* ურთიერთობაა. ბუნება სისტემაა. ასევე სისტემაა საზოგადოებაც; ერთი - ბუნების ნივთთა, საგანთა და მოვლენათა სისტემაა, მეორე კი - სოციალურ საგანთა და მოვლენათა სისტემა. ბუნება უფრო ფართო რიგის სისტემაა, საზოგადოება უფრო ვიწრო რიგის სისტემა; საზოგადოება ბუნების ე.წ. ქვესისტემაა.

ამგვარად, საზოგადოება, როგორც გვაროვნულ-ტომობრივი თუ ეროვნული, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ოჯახური, კულტურული, ფილოსოფიური, მორალური, ესთეტიკური, სპორტული, მხატვრული, რელიგიური და სხვა ურთიერთობების სისტემა, წარმოადგენს ბუნების, როგორც მთელის და სისტემის ნაწილსა და ქვესისტემას.

§ 2. სპორტი, როგორც ადამიანთა ერთ-ერთი ურთიერთობა

სოციალური (ლათ. Socialis საზოგადოებრივი) არის ყველაფერი ის, რაც საზოგადოებისა და ადამიანისათვის, როგორც საზოგადოებრივი არსებებისათვის არის დამახასიათებელი. ასე მაგალითად, საზოგადოებისათვის დამახასიათებელია: წარმოება, რევოლუცია, პროგრესი, კლასებად და ჯგუფებად დაყოფა, პოლიტიკა, საშართალი, ოჯახი, შრომა, სიყვარული, სიმღერა, ცეკვა, კულტურა, მეგობრობა, მორალი, ესთეტიკური გრძნობა და სხვა. ყველაფერი ეს ადამიანისათვის დამახასიათებელი სოციალური მოვლენებია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სოციალური ურთიერთობა არის საზოგადოებაში არსებული, ადამიანებს შორის მოცემული ურთიერთობა.

სპორტი, როგორც სპორტსმენთა, გარკვეული საქმიანობის ადამიანთა ურთიერთობა - სოციალური ურთიერთობაა. სპორტს ახასიათებს სპეციფიკური და საყოველთაო ნიშნები. სპორტი, რამდენადაც სპორტსმენთა ურთიერთობაა, ის გარკვეული სახის სპეციფიკური ურთიერთობა - სპორტული ურთიერთობაა. ამასთან, რამდენადაც სპორტი, უწინარეს ყოვლისა, საერთოდ ადამიანთა(სპორტსმენი ხომ, უწინარეს ყოვლისა, ადამიანია, ურთიერთობაა, ის გარკვეული სახის საყოველთაო ურთიერთობა სოციალური ურთიერთობაა. სპორტის ეს სპეციფიკური და საყოველთაო განსაზღვრულობანი განუყოფელნი არიან, როგორც ერთის სხვადასხვა განსაზღვრულობანი.

* ჩვეს მიერ შეორე თაყში სპეციალურად იქნება გარჩეული სისტემის ბუნება. ამიტომ ამჟამად მას არ განვიხილავ.

სპორტი, როგორც ერთიანი, სპეციფიკური და საკუთარი განსაზღვრულობაა ერთიანობა, არის სწორედ ერთ-ერთი სოციალური ურთიერთობა; ერთ-ერთი რამდენადაც ის სხვა სოციალურ ურთიერთობებს შორის ერთ-ერთია და აქვს თავისი სპეციფიკური ბუნება; სოციალური ურთიერთობა, რამდენადაც მას ახასიათებს ყველა ის ნიშანი, რაც ახასიათებს სხვა დანარჩენ სოციალურ ურთიერთობებს, იქნება ეს პოლიტიკური თუ სამართლებრივი, მორალური თუ ოჯახური და სხვა.

სპორტი, როგორც ერთ-ერთი სოციალური ურთიერთობა, არის საზოგადოების გარკვეული ნაწილი და ამასასადამე, მათი ურთიერთობა არის მთელისა და ნაწილის ურთიერთობა. სპორტი როგორც საზოგადოების ნაწილი, არ არის მარტივი სოციალური სინამდვილე. პირიქით, ის არის რთული სოციალური სისტემა. საზოგადოებაც როგორც ბუნების ნაწილი ასევე წარმოადგენს სისტემას. ამასასადამე, საზოგადოებისა და სპორტის ურთიერთობა, როგორც მთელის და ნაწილის ურთიერთობა, არის ორი სოციალური სისტემის ურთიერთობა.

ამგვარად, საზოგადოებისა და სპორტის ურთიერთობა სტრუქტურულად მთელისა და ნაწილის, უფრო მაღალი რიგის სოციალური სისტემისა და უფრო დაბალი რიგის სოციალური სისტემის ურთიერთობაა.

ახლა განვიხილოთ სპორტის მნიშვნელობა საზოგადოებისათვის სიღრმისეულად და გარკვეული სხვა ასპექტითაც, ვიდრე ეს იყო წინა მეოთხე თავში.

◆ სპორტი მისი წარმოშობის დღიდან დღემდე ემსახურებოდა და ემსახურება საზოგადოების ჯანმრთელობის საქმეს. საზოგადოებისათვის ჯანმრთელი ახალგაზრდობის აღზრდა-მოშზადება მუდამ იყო და რჩება სპორტის პირველი რიგის ამოცანად. სწორედ ეს ძირითადი ამოცანები და მიხნები ასულდგმულებდა და კვებავდა ძველი საბერძნეთის ოლიმპიურ თამაშებს. სპორტი, ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარებით, საზოგადოებაში ამკვიდრებს ფიზიკურად და სულიერად ძლიერ ახალგაზრდობას, რომელსაც შეუძლია წარმატებით წარმართოს საზოგადოებრივი წარმოების განვითარება და საზოგადოების თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება. სპორტში და სპორტის მეშვეობით ჩამოყალიბებული ფიზიკურად და სულიერად ძლიერი ახალგაზრდობა უდიდესი საზოგადოებრივი ღირებულება და სიმდიდრეა; გაცილებით უფრო ძვირფასი და მაღალღირებული, ვიდრე მაგალითად „სათაყვანებელი“ ოქრო. ამიტომ სპორტის თანაბრმდეგული, მასობრივი განვითარება იმავე დროს ამ უნიკალური საზოგადოებრივი ღირებულებისა და სიმდიდრის უდიდესი ზრდა-განვითარებაა. სწორედ ამის გამო, ყოველი საზოგადოებისა და ერისათვის, რომელსაც ცხოვრების საშუალო პირობები მაინც გააჩნია სპორტის მასობრივი განვითარება წარმოადგენს მისი სასიცოცხლო ინტერესების საგანს. სპორტი დღეს საზოგადოების ძალა, ენერგია და ძლიერებაა.

◆ სპორტი არის ფიზიკურად და სულიერად უაღრესად მაღალგანვითარებული ახალი ტიპის ადამიანის ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების ფაქტორი. სპორტი ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების

უსასრულო განვითარებით, მისი განვითარების გარკვეულ საფეხურზე ქმნის ახალი ტიპის ადამიანს, რომელშიც ერთმანეთში შერწყმული იქნება ფიზიკური სრულყოფა და სულიერი სიმდიდრე, რომელიც იქნება ახალი თვისებრივი ძალა საზოგადოების შემდგომ განვითარებაში. ფიზიკურად სრულყოფილი და სულიერად მდიდარი ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის ჩამოყალიბება ისე არ უნდა გაიგოთ, თითქოს ამით ერთხელ და სამუდამოდ დასრულდა ადამიანის ჩამოყალიბება. პირიქით, ამ ერთხელ დამკვიდრებული ფიზიკური და სულიერი სრულყოფის ეს ჰარმონია უსასრულოდ განვითარდება და ყოველი ახალი ეპოქისათვის საზოგადოებას ეყოლება ფიზიკურად და სულიერად სულ უფრო და უფრო ჰარმონიულად განვითარებული ახალი და ახალი ტიპის ადამიანი, რომლებიც საზოგადოების შემდგომი ძალუმი განვითარების საფუძვლად იქცევა.

როგორც ჩანს სპორტი, როგორც საზოგადოების ნაწილი სრულიადაც არ არის გულგრილი მისი განმსაზღვრელი მთელისადმი და გარკვეულწილად ასქარებს მის განვითარებას.

◆ სპორტი, როგორც ადამიანის მიხანშეწონილი სოციალური მოქმედება, ასევე ადამიანთა ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების გამოვლენის ძირითადი ფაქტორიცაა. სპორტში და სპორტის მეშვეობით უშუალოდ ვლინდება ადამიანის ფიზიკური და სულიერი განვითარების უსასრულო შესაძლებლობები. განვითარების ამ უსასრულო გამოვლენას ორი მნიშვნელობა აქვს: პირველი, მისი საშუალებით ადგილი აქვს ადამიანის ყველაზე ძლიერ არსებად თვითდამკვიდრებას ჩვენს პლანეტაზე და მისი საზოგადოებრივი მოწოდების ზრდას. მეორე, საზოგადოებას ამით შესაძლებლობა ეძლევა ადამიანის ფიზიკური და სულიერი განვითარების ეს უსასრულო შესაძლებლობები საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართოს და ეფექტურად გამოიყენოს საზოგადოების სასარგებლოდ და საკეთილდღეოდ.

ადამიანთა ფიზიკური და სულიერი განვითარების უსასრულო შესაძლებლობების გამოვლენა ის საზოგადოებრივი აქტია, რომლის შემდეგ დღის წესრიგში დგება ამ შესაძლებლობების საზოგადოების სასარგებლოდ წარმართვის ამოცანა, ამიტომ ეს საზოგადოებრივი აქტი, როგორც სპორტი, უაღრესად მნიშვნელოვანი საქმეა.

◆ სპორტული შეჯიბრება, როგორც ბრძოლა, არის სოციალური ბრძოლის უნიკალური ნიშნით. ეს არის ისეთი სახის ბრძოლა, სადაც სხვა ბრძოლების მსგავსად ღირებულებები კი არ ნადგურდება და ისპობა, არამედ საკაცობრიო ღირებულებები იქმნება, სპორტული მიღწევების, გამარჯვებების და რეკორდების სახით. თუ ჩვენთვის ცნობილი სოციალური ბრძოლები სპობდნენ ადამიანებს, უკან სწევდნენ და ამუხრუჭებდნენ საზოგადოების ისტორიას, ე.ი. თუ ბრძოლას ჰქონდა ანტიჰუმანური ხასიათი, სპორტული ბრძოლა თავისი არსებით, არის ჰუმანური ბრძოლა, სადაც გამარჯვებულიც და დამარცხებულიც ერთ დიდ საქმეს ადამიანის წინსვლისა და განვითარების საქმეს ეშსახურებიან და ამით ხელს უწყობენ საზოგადოების პროგრესულ განვითარებას. ამ აზრით სპორტული

ბრძოლა საზოგადოებრივი სიკეთისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაა.

◆ სპორტში იქმნებიან და ყალიბდებიან ეაჟკაცი, მამაცი და გმირი ადამიანები, რომელნიც საზოგადოების უდიდეს ძალას წარმოადგენენ. დაღგება დრო როცა სპორტულ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის მაღლიერი საზოგადოება სპორტსმენს მაისიჭებს გმირის წოდებას.

სპორტი თავის განვითარებაში სულ უკრო და უფრო მასობრივი ხდება, რაც ხელს შეუწყობს სპორტით ნაწრთობი მამაცი, გმირი ადამიანების მომრავლებას, რომელნიც უდიდეს საყრდენ და სასიცოცხლო ძალად იქცევიან საზოგადოების ყველა მიმართულებით განვითარებაში.

◆ და ბოლოს, სპორტი, როგორც ამას უკვე ქვემოთ ნათელვყოფთ, ჩვენი აზრით, არის ხელოვნება მოქმედებაში; ამიტომ ის საზოგადოებას ემსახურება როგორც ხელოვნება.

მეექვსე თავი. სპორტის შედარებითი დამოუკიდებლობის ბუნება

სანამ სპორტის შედარებითი დამოუკიდებლობის ბუნებას გარკვეხილად ვცდეთ, საჭიროა გაირჩეს თვით სპორტის დამოუკიდებელი და დამოკიდებული ბუნება. ამისათვის კი აუცილებელია გაირჩეს დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების ცნებები საერთოდ.

§ 1. დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების ცნებები შესახებ საერთოდ

დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა საგანთა და მოვლენათა განსაზღვრულობებია, რამდენადაც ყოველი საგანი და მოვლენა, იყოს გარეგნულობაში, დამოუკიდებელიცაა და დამოკიდებულიც. დამოუკიდებლობითა და დამოკიდებულებით უშუალოდ ხორციელდება საგანთა და მოვლენათა მრავალმხრივი კავშირები. ამდენად, ისინი საგანთა და მოვლენათა ურთიერთკავშირის განსაზღვრულობებს წარმოადგენენ.

დამოუკიდებლობა საგანთა და მოვლენათა განსხვავებას გულისხმობს: განსხვავების საფუძველზე არსებობს: მაგალითად, ა ბგერა დამოუკიდებელია ბ ბგერისაგან და პირიქით, მათი განსხვავების საფუძველზე, ამ განსხვავების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მათი დამოუკიდებლობა. დამოუკიდებლობა უკვე განსხვავებას გულისხმობს და ამ აზრით, განსხვავება თავად არის დამოუკიდებლობა. ამ მხრივ დამოკიდებულება შინაგანად გულისხმობს

დამოუკიდებლობას. ა და ბ ბგერის დამოკიდებულება(როგორც მარცვალი), მათი დამოუკიდებლობის საფუძველზე არსებობს, თუ არ იქნებოდა ა და ბ ბგერის დამოუკიდებლობა, არ იარსებებდა მათი დამოკიდებულებაც.

ამგვარად, დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება როგორც სინამდვილის საგანთა და მოვლენათა განსაზღვრულობანი, ურთიერთს განსაზღვრავენ, ურთიერთს ადგენენ და, ამდენად, ერთმანეთთან შინაგან, აუცილებელ კავშირში იმყოფებიან. დამოუკიდებლობა არის დამოკიდებულების განსაზღვრულობის შინაგანი მომენტი და პირიქით, დამოკიდებულება არის დამოუკიდებლობის, როგორც განსხვავებად არსებობის აუცილებელი მომენტიც, რამდენადაც ეს განსხვავებად არსებობა, როგორც დამოუკიდებლობა, განისაზღვრება დამოკიდებულებით და არსებობს ამ დამოკიდებულებით. სიტყვის ცალკეულ ბგერებს, როგორც განსხვავებულთ, აქვთ დამოუკიდებელი არსებობა, მაგრამ ისინი, თავის მხრივ, ისეთი დამოკიდებულებით არსებობენ და განისაზღვრებიან, რომორც ადამიანის მეტყველების ორგანოსა და ეთერის ტალღების ურთიერთობა.

ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ რიგორც საგნებში, ისე საგანში დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების მომენტები დიალექტიკურად ერთმანეთის არსებობას განსაზღვრავენ, ერთმანეთისაგან იზოლირებულად არ არსებობენ.

რა აუცილებელ მომენტებს გულისხმობენ დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება, როგორც განსაზღვრულობანი?

ა) დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა საგანთა და მოვლენათა ობიექტური განსაზღვრულობანია. ისინი მათივე ობიექტურად არსებობის ობიექტური ნიშნებია, მაგრამ ეს ნიშნები არსებითად განსხვავებულია, ამდენად, ისინი საგანთა არსებობის წინააღმდეგობრივი ნიშნებია. მაგრამ რამდენადაც ყოველ მოცემულ მომენტში ერთი გარკვეული საგნის წინააღმდეგობრივ არსებობას გამოხატავენ, ისინი წინააღმდეგობის ერთიანობასაც წარმოადგენენ. ყოველ წინააღმდეგობათა ერთიანობა კი საგნის არსებაა. ამგვარად, დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება საგანთა და მოვლენათა(ეს იქნება მატერიალური თუ იდეალური) არსებას წარმოადგენს. დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა მეორე რიგის არსებაა. ისინი ამა თუ იმ საგნის შინაგან აუცილებლობას წარმოადგენენ, რამდენადაც საგნის არსებობას უშუალოდ ადგენენ, მაგრამ ვერ იძლევიან საგნის ასეთად არსებობის გასაღებს.

✔ მაგალითად: სიცოცხლე, როგორც მოვლენა, მისი დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების ობიექტების შინაგანი ერთიანობაა; იგი არსად და არასდროს არ არსებობს ამ ერთიანობის გარეშე, რომელიც წარმოადგენს მისი არსებობის შინაგან წესს და, ამდენად, შეადგენს მის არსებას. მაგრამ იგი არაფერს გვეუბნება, თუ რატომ აქვს სიცოცხლეს ასეთი არსებობა (ეთქვათ ქვისაგან განსხვავებული არსებობა), ხოლო ეს უკანასკნელი სიცოცხლის პირველი რიგის არსებით ასიმილაციისა და დისიმილაციის წინააღმდეგობათა ერთიანობით აიხსნება. ასიმილაციითა და დისიმილაციით დგინდება სიცოცხლე, როგორც სიცოცხლე, მისი დამოუკიდებელი და დამოკიდებული არსება. ერთიც და მეორეც სიცოცხლის არსებობის შინაგან

წესს გამოხატავს, მაგრამ პირველი ადგენს მეორეს, ამიტომ ერთს პირველი რიგის არსება უნდა ეწოდოს, მეორეს კი - მეორე რიგის.

ბ) დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება, როგორც საგნის წინააღმდეგობათა ერთიანობა, გარკვეული ზოგადობაა, რადგან ყოველგვარ წინააღმდეგობათა ერთიანობა არის არსება, ხოლო არსება საყოველთაობის ფორმაა(მრავლის არსებობის შინაგანი წესია). საყოველთაობის ფორმა კი, როგორც შინაგანი დასრულებულობა, არის ზოგადობის ფორმა.

გ) დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება გარკვეული აუცილებლობაცაა; თუ ისინი საგანთა საყოველთაო არსებობის შინაგან წესს წარმოადგენენ, საყოველთაო არსებობის ეს წესი კი, მისი საყოველთაობის გამო, საყოველთაო აუცილებელი წესიცაა.

დ) დამოუკიდებლობა - დამოკიდებულებას, როგორც საგანთა არსებითად სხვადასხვა განსაზღვრულობებს, შედარებითი არსებობა აქვთ; ეს შედარებითი არსებობა მათი ურთიერთგანსაზღვრა-დადგენით გაპირობებული არსებობაა. საგნებსა და მოვლენებში დამოუკიდებლობის განსაზღვრულობა დამოკიდებულების განსაზღვრულობით დგინდება და პირიქით.

ასეთია დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების, როგორც საგანთა არსებითი განსაზღვრულობების ბუნება.

§ 2. დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების პრობლემა სპორტში

სპორტი თავის თავში შეიცავს დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების არსებით განსაზღვრულოებებს, რომლითაც იგი არსებობს; თუ სპორტის დამოუკიდებლობა არ იქნებოდა, არც მისი გარკვეულობა იარსებებდა და არც დამოკიდებულება, ვინაიდან დამოუკიდებლობის გარეშე შეუძლებელია დამოკიდებულების არსებობა.

რა არის სპორტის დამოუკიდებლობა?

ეს არის მისი საკუთარი გარკვეულობის სახით არსებობა; სპორტის საკუთარი გარკვეულობა კი არის ის, რითაც სპორტის სპორტია და არა სხვა რაიმე, ე.ი. მისი თვისებრიობა, ბუნება; მაშ, სპორტის დამოუკიდებლობა თვით მისი ბუნებიდან უშუალოდ გამომდინარე აუცილებელი განსაზღვრულობაა; ის, რომ სპორტს აქვს საკუთარი ბუნება, მისი დამოუკიდებლობაა. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა აბსოლუტური დამოუკიდებლობა როდია, ის არის შედარებითი, უშუალო დამოკიდებულებით (სხვასთან დამოკიდებულებით) განსაზღვრული დამოუკიდებლობა; ე.ი. სპორტს ახასიათებს არა მხოლოდ დამოუკიდებლობა, არამედ დამოკიდებულებაც; სპორტი, როგორც მოქმედება, დამოუკიდებელიცაა და დამოკიდებულიც; რაში მდგომარეობს სპორტის დამოკიდებული ბუნება? მის არსებობაში სხვასთან დამოკიდებულებაში. რას ნიშნავს სპორტი სხვასთან დამოკიდებულებაში არსებობს? სპორტი რომ ასეთი და ასეთი მოქმედებაა და არა სხვა, ეს მისი დამოუკიდებლობაა,

მაგრამ ეს მოქმედება აუცილებელ კავშირშია სპორტსმენთან (რამდენადაც ის სპორტსმენის მოქმედებაა), ამდენად, ის დამოკიდებულიცაა; ასევე შეიძლება მოვიყვანოთ სხვა მაგალითიც; სპორტი რომ ასეთი და ასეთი მოქმედებაა და არა სხვა, ეს მისი დამოუკიდებლობაა, მაგრამ რამდენადაც ეს მოქმედება მიმდინარეობს გარკვეულ დროსა და სივრცეში, ის დამოკიდებული მოქმედებაცაა, როგორც დროსა და სივრცეში განსაზღვრული მოქმედება.

სპორტის დამოუკიდებელი და დამოკიდებული ბუნება შეიძლება დახასიათდეს სხვა მხრივაც. როგორც ითქვა, სპორტი საზოგადოების ნაწილია. როგორც ნაწილს, მას თავისი თვისებრიობა, - ბუნება გააჩნია, რაც სწორედ, მისი დამოუკიდებლობაა. მაგრამ სპორტის, როგორც ნაწილის, ეს დამოუკიდებლობა საზოგადოებასთან, მთელთან დამოკიდებულებაში არსებობს, რადგან თუ არ იარსებებდა მთელთან ნაწილის დამოკიდებულება, მაშინ არც ნაწილი იარსებებდა და არც მისი დამოუკიდებლობა. ამ აზრით, სპორტი დამოუკიდებელიცაა და დამოკიდებულიც. დამოუკიდებლობა და დამოკიდებულება საზოგადოებასთან და საზოგადოებისაგან სპორტის კავშირისა და გამოყოფის განსაზღვრულობებია.

სპორტის დამოუკიდებელი და დამოკიდებული ბუნების დახასიათებისათვის შეიძლება მივმართოთო სპორტის ცალკეულ სახეებსაც. ავიღოთ მაგალითად, ფეხბურთი. ფეხბურთი სპორტის სხვა სახეებისაგან სრულიად თვისებრიად განსხვავებული სპორტის ერთ-ერთი სახეა. მას, როგორც სპორტის ერთ-ერთ დამოუკიდებელ სახეს, აქვს მისთვის დამახასიათებელი ნიშნები, თვისებები და თავისებურებები, რაც ქმნის მის დამოუკიდებელ ბუნებას. მაგრამ ფეხბურთის ეს დამოუკიდებელი ბუნება აუცილებელ დამოკიდებულებაშია სპორტის იმ საყოველთაო ბუნებასთან, რომელთანაც დამოკიდებულებაში ის არსებობს, როგორც სპორტის ერთ-ერთი სახეობა და რომლის გარეშეც მისი არსებობა შეუძლებელია. ე.ი. ფეხბურთის დამოუკიდებელი ბუნება არსებობს მხოლოდ სპორტის საყოველთაო ბუნებასთან აუცილებელ დამოკიდებულებაში. მაშასადამე, სპორტის დამოკიდებულება და დამოუკიდებლობა, მისი ერთიანი ბუნების აუცილებელი განსაზღვრულობებია. ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ სპორტის სხვა ცალკეული სახეების შესახებაც.

უფრო დამაჯერებლად რომ ნათელვყოთ სპორტის დამოუკიდებელი და დამო-კიდებული ბუნება, როგორც სპორტის სხვა საგნებთან და სხვა საგნებისაგან კავშირისა და გამოყოფის განსაზღვრულობები, განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი ფეხბურთიდან. ფეხბურთის გუნდში მოთამაშე მეკარეს, როგორც მეკარეს, თავისი დამოუკიდებლობა გააჩნია; და ეს დამოუკიდებლობა მდგომარეობს იმაში, რომ მას, როგორც გუნდის ერთ-ერთ მოთამაშეს, აკისრია ერთი ძირითადი ფუნქცია - კარის დაცვა; ამ მხრივ, ის გამოყოფილია მოთამაშეებისაგან და მას, როგორც გარკვეული სახის მოთამაშეს, მკაცრად განსაზღვრული თავისი საკუთარი დამოუკიდებლობა აქვს. მაგრამ ეს დამოუკიდებლობა არ არის აბსოლუტური; იგი არსებობს

მხოლოდ გუნდის სხვა მოთამაშეებთან დამოკიდებულებაში. თუ ეს მოთამაშეები არ იარსებებენ, ცხადია, კარის მოთამაშის დამოუკიდებლობაც არ იარსებებდა. მაშ, როგორც ჩანს, მეკარე დამოუკიდებელიცაა და დამოკიდებულიც: დამოუკიდებლობით, როგორც გარკვეული სახის მოთამაშე, ის გამოყოფილია გუნდის სხვა მოთამაშეებისაგან, დამოკიდებულებით კი სხვა მოთამაშეებთან კავშირშია. ასეთია სპორტის დამოუკიდებელი და დამოკიდებული ბუნება.

§ 3. სპორტის შედარებითი დამოუკიდებლობა

სპორტის დამოუკიდებელი და დამოკიდებული ბუნება, თავისი არსით, შედარებითი ხასიათისაა, ხოლო შედარებითობა რაიმეს რაიმესთან მიმართებაში და ამ მიმართებით განსაზღვრული არსებობაა; ამიტომ მიმართებაში არსებული არსებობა, როგორც სხვით განსაზღვრული არსებობა, არა აბსოლუტური, არამედ შედარებითი არსებობაა. სპორტის დამოკიდებული ბუნებაა ის, რომ იგი საზოგადოებით, საზოგადოებრივი ყოფიერებით განსაზღვრული ბუნებაა; და, მაშასადამე, როგორც ასეთი, მხოლოდ მთელთან მიმართებაში არსებობს. ამ მხრივ სპორტის დამოკიდებულ ბუნებას შედარებითი არსებობა აქვს, მეორე მხრივ, სპორტის დამოკიდებული ბუნება მხოლოდ მისსაეე დამოუკიდებელ ბუნებასთან არსებობს, რომელსაც ასევე შედარებითი დამოუკიდებელი არსებობა აქვს.

რაში მდგომარეობს სპორტის შედარებითი დამოუკიდებელი არსებობა?

სპორტი მთლიანად საზოგადოებით წარმოშობილი და განსაზღვრული სხვა სინამდვილეა. ის საზოგადოების, როგორც მთელის ნაწილია. როგორც ნაწილს, ერთ-ერთ საზოგადოებრივ ურთიერთობას, მას აქვს თავისი შინაგანი განსაზღვრულობა - თვისებრიობა, რომელიც ქმნის სპორტის დამოუკიდებელ ბუნებას; სპორტის ეს დამოუკიდებლობა კი თავისი არსით, შედარებითი დამოუკიდებლობაა; ამ დამოუკიდებლობის შედარებითობა ისაა, რომ იგი საზოგადოებასთან დამოკიდებულებით და მის საფუძველზე არსებული დამოუკიდებლობაა. ამდენად, ეს არის არა განუსაზღვრელი, აბსოლუტური დამოუკიდებლობა, არამედ - განსაზღვრული, შედარებითი დამოუკიდებლობა.

ასეთია სპორტის შედარებითი დამოუკიდებლობა საერთოდ და ზოგადად. ახლა განვიხილოთ სპორტის შედარებითი დამოუკიდებლობა კონკრეტულად:

◆ სპორტს, როგორც გარკვეულ სოციალურ სინამდვილეს, ფაქტია, თავისი ისტორია აქვს, რაც მისი შედარებითი დამოუკიდებლობის აუცილებელი ნიშანია. შედარებითი დამოუკიდებლობა რომ არ ჰქონოდა, მას არც თავისი ისტორია ექნებოდა.

◆ როგორც ცნობილია, სპორტი, როგორც ერთ-ერთი სოციალური ურთიერთობა, აუცილებელ კავშირშია საზოგადოებასთან; ის გარკვეულ ზეგავლენას ახდენს მასზე, ეს კავშირი, ზეგავლენა შეუძლებელი იქნებოდა, სპორტს რომ არ ჰქონდეს შედარებითი დამოუკიდებლობა. სპორტის კავშირი, ზეგავლენა საზოგადოებაზე სპორტის შედარებითი დამოუკიდებლობის უშუალო დადასტურებაა.

◆ როგორც ვნახეთ, სპორტი სისტემაა და, და აქაც დროის პართვადი სისტემა. სპორტის სისტემის სახით არსებობა ნიშნავს იმას, რომ მას ახასიათებს თავისი ობიექტური კავშირ-მიმართებები და ურთიერთობები; სხვაგვარად სპორტი, როგორც სისტემა, ვერ იარსებებდა და, მაშასადამე, მართვადი სისტემაც ვერ იქნებოდა. სპორტის როგორც სისტემის არსებობა ადასტურებს იმას, რომ ის არის შედარებითი დამოუკიდებელი სინამდვილე.

◆ სპორტს მრავალი სხვადასხვა შეცნიერება სწავლობს, რაც ადასტურებს იმას, რომ მას აქვს თავისი ობიექტური კანონები, ობიექტური კანონზომიერება. სპორტში ობიექტური კანონებისა და კანონზომიერებათა არსებობა იმას ამტკიცებს, რომ მას ახასიათებს შედარებითი დამოუკიდებლობა.

◆ სპორტი უსასრულოდ განვითარებადი სინამდვილეა, სადაც მოქმედებენ არა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური კანონები, არამედ მისი განვითარების საყოველთაო კანონებიც, სხვაგვარად განვითარებაც შეუძლებელი იქნებოდა. სპორტში საკუთარი განვითარების პროცესის არსებობა და განვითარების საყოველთაო კანონების მოქმედება, სწორედ იმაზე მიგვითითებენ, რომ სპორტს ახასიათებს შედარებითი დამოუკიდებლობა.

◆ სპორტი ადამიანთა ურთიერთობაა. ეს ურთიერთობა შეუძლებელი იქნებოდა შედარებითი დამოუკიდებლობის გარეშე.

◆ სპორტულ შეჯიბრებებში მოქმედებენ სპორტული ბრძოლისათვის დამახასიათებელი სტრატეგია და ტაქტიკა, რაც სწორედ იმას ადასტურებს, რომ სპორტს ასახიათებს შედარებითი დამოუკიდებლობა.

◆ დაბოლოს, სპორტული მიღწევების, შედეგების, რეკორდების მუდმივი, განუწყვეტელი ზრდა, როგორც სპორტისათვის მინაგანად დამახასიათებელი პროცესი, სწორედ იმაზე მიგვითითებს რომ ის არის შედარებითი დამოუკიდებელი სინამდვილე.

ასეთია სპორტი, როგორც შედარებითი დამოუკიდებელი სინამდვილე.

მეშვიდე თავი. სპორტის ერთვნული და ინტერნაციონალური ხასიათი

მეოთხე თავში გაეცანით შეეხეთ სპორტის ამ ნიშნებს. მაგრამ სპორტზე სრულყოფილი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, აუცილებელია, სპორტის სხვა დამახასიათებელი ნიშნების ცოდნასთან ერთად, სპორტის ეროვნული და ინტერნაციონალური ხასიათის შესახებაც ვიცოდეთ. ამიტომ მოცემულ თავში შევეცდებით უფრო ღრმად და ფართოდ გავიხილოთ სპორტისათვის დამახასიათებელი ეს ნიშნები, რადგან სპორტს აქვს ეროვნული და ინტერნაციონალური ხასიათი, როგორც მისი განუყოფელი ნიშნები. საჭიროა გაირჩეს თვით ხასიათის ცნება.

§ 1. ხასიათის ცნება

ხასიათის ცნების ქვეშ იგულისხმება ერთის მხრივ, პიროვნების ძირითადი ფსიქიკური თვისება, მხარე, „კომპონენტი“, ე.წ. მისი „ნებელობითი დისპოზიცია“, რომელიც მიმღებლობა ადამიანის სხვა ადამიანებთან და საზოგადოდ გარე სამყაროსთან დამოკიდებულებაში და რომელიც ასევე უშუალოდ ელინდება მის ქცევაში. დ. უზნაძის დებულება ხასიათი არის პიროვნების „ნებელობითი დისპოზიცია“, სემი ჯრით, ნამსაჭის გენეტიკურ თავისებურებებზე დამოკიდებული პიროვნების ეროთიანი, მდგრადი ფსიქიკური თავისებურებების გარკვეულ შეხაბას, შეგნებულად და მიხანსწრაფულად ამა თუ იმ მოქმედების შესასრულებლად.

ხასიათის ძირითადი თვისებაა მიმართულობა, რომელიც ნიშნავს ობიექტური სინამდვილის მოთხოვნისადმი „პიროვნების ისეთ აქტიურ, არჩევით დამოკიდებულებას, რომელიც გაელენას ახდენს მთელ მის მოღვაწეობაზე“[40] (ე.ი. ის არის პიროვნების უადრესად გამოკვეთილი და ცხადი პოზიცია „ცხოვრების მრავალფეროვანი ამოცანების მიმართ...“[41] და რომელიც უშუალოდ ვლინდება მის მსოფლმხედველობასა და მრწამსში, ინტერესებსა და მოთხოვნილებებში. ამიტომ მიმართულობა პიროვნების ხასიათის ის ძირითადი თვისებაა, „ რომელშიც მთლიანად მოქცეი მისი ცხოვრების გზა, ცხოვრებასთან მისი დამოკიდებულებაა ასახული.“[42] მაგრამ ხასიათს მის ძირითად თვისებებთან ერთად არაძირითადი თვისებებიც აქვს; ეს თვისებებია: „ეგოისტობა“, „საზოგადოებრიობა“, პრინციპულობა, სიმამაცე, გამბედაობა, თავდადებულობა (საქმისადმი, ამხანაგების მიმართ და ა.შ.), გულგრილობა, სიმტკიცე, მერყეობა, გაუბედაობა, დაურწმუნებლობა, ხასიათის დამოუკიდებლობა, ინიციატივიანობა, კეთილსინდისიერება, შრომისმოყვარეობა, სიზარმაცე, სიზანტე, დაუდეგრობა, გულჩათხრობილობა, გულწრფელობა, ფლიდობა, შურიანობა, თავისთავში დაურწმუნებლობა, სიამაყე, ზვიადობა, თავაზიანობა, გულისყილობა, სენტიმენტალობა, მგრძნობიარობა, სათნოება, „ხასიათის სირბილე“, სიტლანქე, გულცივობა, უნდობლობა, ეჭვიანობა, დაუდეგრობა, ზერელობა, უპასუხისმგებლობა თუ მოყალეობისა და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნება, პუნქტუალობა, აკურატულობა, სიდინჯე და ა.შ“[43]. მეორე მხრივ, იგულისხმება ადამიანის განწყობაც, ე.წ. გუნება, რომელიც ემოციის რაოდენობრივი განსაზღვრულობების (მისი დიდი ექსტენსიობისა და ხანიერების) გამოვლენის ფორმაა. გუნება „...მთლიანი სუბიექტის ზოგადი, გაუნაწყვერებელი ემოციური მდგომარეობაა, რომელიც მთელ პიროვნებაზე ვრცელდება და ყველა მის განცდას თავისებურ ელფერს აძლევს, თავის შესატყვისად აფერადებს“[44].

[40] ნორაკიძე ვლ.. სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია. გვ. 441

[41] იქვე

[43] ნათაძე რ.. ზოგადი ფსიქოლოგია. გვ.116

[44] ნორაკიძე ვლ.. სპორტის ზოგადი ფსიქოლოგია. გვ. 441

მესამე მხრივ, ხასიათის ცნებაში იგულისხმება რისიმე თვისებაც: მაგრამ არა ნივთიერებების ქიმიური და ფიზიკური თვისებები: არ შეიძლება ვილაპარაკოთ ქვის, მეტალის, ან ჯოხის ხასიათზე და სხვა. ხასიათი მხოლოდ სოციალური სინამდვილის საგანია და მოვლენათა თვისებაა; ასე მაგალითად, ვამბობთ: შრომის საზოგადოებრივი ხასიათი, წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი, სპორტის სოციალური ხასიათი და სხვა.

ასეთია ხასიათის ცნების არსებითი მომენტები.

§ 2. სპორტის ეროვნული და ინტერნაციონალური ხასიათის შესახებ

რა არის ეროვნული და რა არის ინტერნაციონალური საერთოდ?

() ეროვნული არის ყველაფერი ის, რაც ერს, როგორც ადამიანთა გარკვეულ ერთობას, ახასიათებს და მის კუთვნილებას წარმოადგენს. მაგალითად: ეროვნული ენა, ეროვნული სიმდიდრე. ეროვნულში უშუალოდ ვლინდება ერის ბუნება, არსება. ყოველი დიდი ქმნილება ეროვნულია. ასე მაგალითად, დიდი პიროვნებები და გმირები, მხოლოდ, ეროვნული ქმნილებებია; მათს სიდიადეში ერის სიდიადეა მოცემული, მათ ჭკუაში ერის ჭკუაა, მათ შეხედულებაში ერის შეხედულება აისახება და ა.შ. შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ სიდიადე და უკვდავება ქართველი ერის სიდიადე და უკვდავებაა, მასში განსჯეთებული უდიდესი სიბრძნე და ოსტატობა, ქართველი ერის უდიდესი სიბრძნე და ოსტატობაა, მასში წარმოდგენილი ხასიათის სიმტკიცე ქართველი ერის სიმტკიცეა და სხვა და სხვა. ასევე ქართულის სპორტის დიდ ქმნილებებში ქართველი ერის ფიზიკური და სულიერი ძლიერებაა წარმოდგენილი და სხვა.

ასეთია მოკლედ ეროვნულის ბუნება.

() ინტერნაციონალურია ყველაფერი ის, რასაც საერთაშორისო ხასიათი და მნიშვნელობა აქვს, რაც ინტერნაციონალიზმის პრინციპების შესაბამისია და მათზეა დაფუძნებული. ასე მაგალითად, ინტერნაციონალურია მეცნიერება, ხელოვნება სპორტი და სხვა, რამდენადაც მათ აქვთ საერთაშორისო ხასიათი და მნიშვნელობა. ასევე ინტერნაციონალურია ერთა ძმობა, მეგობრობა, ურთიერთპატივისცემა, ურთიერთდახმარება და სხვა.

ეროვნული და ინტერნაციონალური აუცილებლობით ერთმანეთს გულისხმობენ. ყოველი ნამდვილად, ჭეშმარიტად დიდი, ეროვნული იმავდროულად ინტერნაციონალურიცაა; ასე მაგ., შ. რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ არა მხოლოდ ეროვნული ხასიათის ქმნილებაა, არამედ ინტერნაციონალური ხასიათისაც; ამ აზრით, ეროვნული აუცილებლობით გულისხმობს ინტერნაციონალურს. მაგრამ, მეორეს მხრივ, რამდენადაც ინტერნაციონალური თავისი არსებით, არ არსებობს ეროვნულისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე, იმდენად ინტერნაციონალურიც. ასეთივე აუცილებლობით გულისხმობს ეროვნულს.

ასეთია ინტერნაციონალურის ბუნება.

ახლა განვიხილოთ თვით სპორტის ეროვნული და ინტერნაციონალური ხასიათის აუცილებლობის საკითხი.

სპორტი ადამიანთა ურთიერთობაა: მაგრამ ადამიანი არ არის აბსტრაქტი, განყენებული რამ; იგი ცოცხალი, კონკრეტული, ისტორიული სახის პიროვნებაა, რომელიც ყველგან და ყოველთვის ამა თუ იმ ერის შვილად წარმოსადგენელია. თანამედროვე სპორტი, როგორც ამა თუ იმ ერის შვილად წარმოსადგენელთა სპორტსმენთა ურთიერთობა, თავისი არსებით, არის ეროვნული ხასიათის ურთიერთობა. სპორტი მისი წარმოშობის დღიდან დღემდე, არის და იქნება ეროვნული ხასიათის ურთიერთობა. ეროვნულობა სპორტის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია: აუცილებელი, რამდენადაც სპორტი როგორც მოქმედება არ არსებობს ეროვნულისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე; ერთ-ერთი ნიშანი, რამდენადაც ის სპორტისათვის დამახასიათებელ სხვა აუცილებელ ნიშნებს შორის ერთ-ერთია. მაგრამ თანამედროვე სპორტი არა მხოლოდ ეროვნული ხასიათის ურთიერთობაა, არამედ, - ერთა, საერთაშორისო ურთიერთობაც, ე.ი. იგი არსებობს არა როგორც მხოლოდ ეროვნული ურთიერთობა, არამედ როგორც ადამიანთა ურთიერთობა საერთოდ. ამ აზრით, სპორტი ინტერნაციონალური ხასიათის ურთიერთობაა. ინტერნაციონალური ხასიათი თანამედროვე სპორტის აუცილებელი ნიშანია, რამდენადაც ის არ არსებობს ამ ნიშნის გარეშე.

ამგვარად, თანამედროვე სპორტი, თავისი არსებით, ეროვნულიცაა და ინტერნაციონალურიც. ეროვნული და ინტერნაციონალური ურთიერთობების სახით არსებობა სპორტის აუცილებელი ნიშნებია.

§ 3. სპორტის ეროვნული ხასიათი

თანამედროვე სპორტის ეროვნული ხასიათი, ჩემი აზრით, მდგომარეობს შემდეგში:

() სპორტი ეროვნული ხასიათისაა იმ აზრით, რომ ესა თუ ის ერი მას ქმნის და აყალიბებს მისი საკუთარი ეროვნული ინტერესებისა და მისწრაფებების საფუძველზე; უსახავს მას გარკვეულ ეროვნულ მიზნებსა და ამოცანებს - ემსახუროს ერის ჯანმრთელობას და განვითარების საქმეს. სპორტი შეჯიბრია და ყოველი ერი სასიცოცხლოდ დაინტერესებულია ამ შეჯიბრებაში, როგორც უაღრესად დიდ
ჰუმანურ აქტში, მონაწილეობა მიიღოს და გამოავლინოს მისი ფიზიკური და სულიერი ძლიერება, გაიშარჯოს და ამით მოიპოვოს საერთაშორისო ეროვნული პრესტიჟი და აღიარება, რომელიც თავის მხრივ, ხელს უწყობს ისეთი გრძნობის განვითარებას, როგორიცაა ეროვნული სიამაყის გრძნობა.

() სპორტი ეროვნული ხასიათისაა იმ აზრითაც, რომ მასში მოცემულია ეროვნული ურთიერთობაც, ე.ი. სპორტული ურთიერთობა, როგორც

გარკვეული სპეციფიკური ურთიერთობა, ეროვნული ურთიერთობაცაა. ასე მაგალითად, ფეხბურთის გუნდი არა მხოლოდ სპორტული ურთიერთობაა, არამედ ეროვნულიც; სხვაგვარად ვერ იარსებებდა ეროვნული გუნდის ცნება.

სპორტულ ურთიერთობებში შერწყმული ეროვნული ურთიერთობა, სპორტის განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია; იგი შინაგანად განსაზღვრავს სპორტსმენის შეშარიებას და უსაზღვროდ ზრდის მისი მონდომების აქტიურობას, სპორტსმენს უნერგავს შეჯიბრებაში გამარჯვების დაუოკებელ წყურვილს და ხელს უწყობს მის მაქსიმალურ მობილიზაციას, აღანთებს მას გაბედული და გმირული მოქმედებისათვის და სხვა და სხვა.

() შემდეგ, სპორტის ეროვნული ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ მასში, როგორც მოქმედებაში, უშუალოდ მონაწილეობს ერის აზრები, წარმოდგენები, გრძნობები, მისწრაფებანი, განწყობილებანი, ინტერესები, განცდები, ხასიათები და სხვა. ე.ი. მასში მონაწილეობს მთელი ეროვნული ფსიქიკა, რომელიც წარმოადგენს ადამიანთა ამ ისტორიული ერთობის სულიერ სამყაროს.

მაგრამ ისმება კითხვა, როგორ შეიძლება მონაწილეობდეს მთელი ეროვნული ფსიქიკა სპორტში? სპორტსმენის მეშვეობით. სპორტსმენი ერის შვილია და მასში ჭეშმარიტად ასახება და გარდატყდება მისი ერის ეროვნული ფსიქიკა, რომელსაც ის შემდგომ უშუალოდ ავითარებს მის შემდგომ მოქმედებაში, როგორც სპორტში. ასე ყალიბდება სპორტის ერთ-ერთი ეროვნული ხასიათი.

() სპორტის ეროვნული ხასიათი მდგომარეობს იმაშიც, რომ სპორტულ საქმიანობაში უშუალოდ მონაწილეობს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკა, მთელი სახალხო მეურნეობა, როგორც მისი არსებობისა და განვითარების ერთ-ერთი საფუძველი. სპორტის არსებობა და განვითარება აუცილებლობით გულისხმობს სხვადასხვა სახის სპორტულ ბაზებს, სპორტულ კომპლექსებს, მოედნებს, სტადიონებსა და საცურაო აუზებს და მრავალ სხვა სპორტულ ნაგებობებს. მათი არსებობა კი აუცილებლობით მოითხოვს განვითარებულ ეროვნულ წარმოებას, ეკონომიკას. მაშასადამე, ეროვნული სპორტი განვითარებულ ეროვნულ წარმოებას, ეკონომიკას ეფუძნება, რაც უშუალოდ ქმნის და განსაზღვრავს სპორტის ეროვნულ ხასიათს.

() შემდეგ, სპორტის ეროვნული ხასიათი მდგომარეობს იმაშიც, რომ მისი, როგორც მოქმედების, უშუალო ძალებს, სუბიექტებს თვით ერის შვილები, ერის ახალგაზრდობა წარმოადგენს. სპორტის სუბიექტები, როგორც სპორტსმენები, ის ადამიანებია, რომლებიც თავისი არსებით, ერის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ბუნებას წარმოადგენენ და გამოხატავენ და რომელთაც ეს ბუნება უშუალოდ გადააქვთ თავიანთ მოქმედებაში, რითაც ეს მოქმედება ეროვნულ ხასიათს ღებულობს. ასე იქმნებოდა საერთაშორისო სპორტის სახეებშიც კი ჩვენთვის ცნობილი ეროვნული გუნდები და ნაკრებები.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება საერთაშორისო სპორტს ეროვნული ხასიათი ჰქონდეს? საერთაშორისო სპორტი, როგორც საყოველთაო სტანდარტის მოქმედება, უშუალოდ ეშყარება ეროვნულ ძალებს; იგი ეროვნულ ძალთა, როგორც სპორტსმენთა, ფიზიკური და სულიერი უნარების განვითარებით მიღწეულ მაქსიმალური სპორტული შეჯეგებისათვის ბრძოლაა. ამდენად, საერთაშორისო სპორტი ეროვნულ ხასიათს ატარებს და საერთოდ არ არსებობს მის გარეშე.

() დაბოლოს, სპორტის ეროვნული ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ ესა თუ ის ერი ქმნის მის ეროვნულ სპორტის სახეებს. ასე მაგ., ქართველმა ერმა მრავალი სხვადასხვა ეროვნული სპორტის სახეები შექმნა, როგორიცაა: ქართული ჭიდაობა, ლელო, ლახტი და სხვა. ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ სხვა ერების ეროვნული სპორტის შესახებაც.

§ 4. სპორტის ინტერნაციონალური ხასიათი

() სპორტის ინტერნაციონალური ხასიათი, ეროის მხრივ, მისი საერთაშორისო მოქმედების სახით არსებობაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მას, როგორც საერთაშორისო მოქმედებას, აქვს თავისი ასეთად არსებობის შინაგანი წესი, სტანდარტები, ნორმები, რეგლამენტაციები, დებულებები, კალენდრები და სხვა გააჩნია, რომლებიც შინაგანად განსაზღვრავენ სპორტის საერთაშორისო მოქმედების სახით არსებობას და, მაშასადამე, მის ინტერნაციონალურ ხასიათს.

() მეორეს მხრივ, სპორტის ინტერნაციონალური ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ მასში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ჩვენი პლანეტის ყველა მოქალაქემ, განურჩევლად ერისა, რასისა, რწმენისა, საზოგადოებრიული წოდებისა, სქესისა და სხვა. თანამედროვე სპორტი დღეს ყველა ადამიანის კუთვნილებაა, ამის დასტურია ოლიმპიური თამაშობები, სხვადასხვა ოლიმპიადები, ტურნირები და შეჯიბრებები, რაც რეგულარულად იმართება ჩვენს პლანეტაზე.

() მესამე მხრივ, სპორტის ინტერნაციონალური ხასიათი მდგომარეობს იმაში, რომ ის ჩვენი პლანეტის მილიონობით ადამიანთა ურთიერთობებისა და კავშირების ერთ-ერთი საუკეთესო პუმანური ფორმაა. სპორტის საშუალებით პლანეტის სხვა-დასხვა ქვეყნისა და ერის წარმომადგენლები ერთმანეთს ეცნობიან და ამყარებენ მეგობრულ ურთიერთობებს: ე.ი. სპორტი, როგორც საერთაშორისო ურთიერთობა, თავისი არსებით, ადამიანთა სხვადასხვა სახის საერთაშორისო პუმანური ურთიერთობაცაა, რაც სწორედ მის ინტერნაციონალურ ხასიათზე მიგვითითებს.

ასეთია სპორტის ეროვნული და ინტერნაციონალური ხასიათი.

მერვე თავი. სპორტი როგორც ღირებულება

სანამ სპორტის ღირებულებით ბუნებას გაეცნობოდეთ აუცილებელია გაერკვეს თვით ღირებულების, როგორც ფილოსოფიური და სოციოლოგიური კატეგორიის რაობა.

§ 1. ღირებულება როგორც ფილოსოფიური და სოციოლოგიური კატეგორია

ღირებულება არის ფილოსოფიური და სოციოლოგიური კატეგორია. როგორც კატეგორია, ღირებულება არც მხოლოდ წმინდა სუბიექტური წარმონაქმნია, რომელიც სუბიექტს უშუალოდ შეაქვს საგანში და არც მხოლოდ თავისთავად, ობიექტურად, სუბიექტამდე და სუბიექტისაგან დამოუკიდებლად არსებული რამ; ღირებულების ასეთი ახსნა ცალმხრივია და ამიტომ არ არის ჭეშმარიტი.

ღირებულება სინამდვილესა და ადამიანთა ურთიერთმიმართებაში იქმნება და არსებობს, რაც ნიშნავს იმას, რომ ორივე კომპონენტი, სინამდვილე და ადამიანი, როგორც ობიექტი და სუბიექტი, ღირებულების წარმოშობის აუცილებელი კომპონენტებია; თუ არ იარსებებდა სინამდვილე, ღირებულება ვერ შეიქმნებოდა. მაგრამ ასევე, თუ არ იარსებებდა ადამიანი, ღირებულება არც მაშინ შეიქმნებოდა; ღირებულება იქმნება მხოლოდ ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთმიმართებაში. ობიექტისა და სუბიექტის ურთიერთმიმართებაში იქმნება შეფასებაც, რომელიც გვაძლევს სინამდვილის, მისი კანონზომიერების გაგებას, ე.ი. იმას, თუ რას წარმოადგენს სინამდვილე ობიექტურად. სინამდვილის შეფასება ადამიანისათვის აუცილებელია, რადგან სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა მისი პრაქტიკული მოქმედება, მიმართული სინამდვილის გარდასაქმნელად; მაგრამ ადამიანს მხოლოდ სინამდვილის შემეცნება არ აკმაყოფილებს, რაგან ის საკმარისი არ არის მისი გარდამქმნელი მოქმედებისათვის. ადამიანის გარდამქმნელი მოქმედებისათვის აუცილებელია არა მარტო ის, თუ რა არის თაყისთავად ალებული ობიექტური სამყარო, არამედ ისიც, რა „ფასი“ აქვს ამ სამყაროს მისთვის; ის იწონებს ან იწუნებს, თაყვანს სცემს ან კიცხავს ამ სამყაროში რაიმეს. გარემომცველი საგნების შეფასების ამ აქტში თვით საგნები წარმოდგებიან როგორც გარკვეული მნიშვნელობის მქონენი კარგნი ან ცუდნი, ბოროტნი ან კეთილნი და სხვა. ამ აზრით, „ღირებულება არის ის, რის საფუძველზეც განიხილება რაიმე, როგორც მოწონების, პატივისცემის, მოწიწების ან პირუკუ, დაწუნების, გაკიცხვის ღირსი“[45] ე.ი. ის არის ფილოსოფიური და სოციოლოგიური კატეგორია, „...რომელიც აღნიშნავს სინამდვილის მოვლენათა სოციალურ და კულტურულ მნიშვნელობას“[46]; უფრო ფართოდ, ღირებულებანი წარმოადგენენ სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ისეთ სპეციფიკურ სოციალურ განსაზღვრებებს, რომლებშიაც ვლინდებიან პათი დადებით-უარყოფითი მნიშვნელობები ადამიანისა და საზოგადოების მიმართ(კეთილისა და ბოროტის, მშვენიერისა და მახინჯის

[45] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი. ტ.2. 1977. გვ.38

[46] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, თბილისი. ტ.10. 1986. გვ.502

და სხვათა სახით). ამგვარად, ღირებულების კატეგორია, ერთი მხრივ, აღნიშნავს რაშე ობიექტის დადებით ან უარყოფით მნიშვნელობას, თვით მისი არსებობისა და თვისებისაგან განსხვავებით[47], მეორე მხრივ კი, დახასიათებებს (საგნობრივ ღირებულებებს), როგორც საზოგადოებრივი მოვლენების ნორმატიულ, მიწერა-შეფასებით მხარეს"[48].

ღირებულება, როგორც ადამიანისა და სინამდვილის ურთიერთობაში არსებული განსაზღვრულობა, შემეცნების მსგავსად ობიექტურიცაა და სუბიექტურიც; რამდენადაც ღირებულება შეფასებით ობიექტს აუცილებლობით გულისხმობს (ეს ობიექტებია ობიექტურად არსებული ადამიანური ურთიერთობები, მოღვაწეობები და მათში ჩარიული ბუნებრივი მოვლენები) და არ არსებობს მის გარეშე, ის ობიექტურია, მაგრამ რამდენადაც ობიექტის ეს შეფასება სუბიექტის შეფასებაა და ღირებულება არ არსებობს მის გარეშე, ის ობიექტურია, მაგრამ რამდენადაც ობიექტის ეს შეფასებაა სუბიექტის შეფასებაა და ღირებულება არ არსებობს სუბიექტის ამ შეფასების გარეშე, ის სუბიექტურიცაა. ობიექტურობა და სუბიექტურობა ღირებულების არსებითი განსაზღვრულობებია, რომლებიც მის ბუნებას ადგენენ[49].

ასევე არსებობს რელატიური და აბსოლუტური, ანუ უპირობო ღირებულებანი. ჩემი აზრით, რელატიურობა, ერთის მხრივ, ნიშნავს ღირებულების რაიმე პირობით არსებობას, რელატიურობა კი მის უპირობო სახით არსებობას. ასე მაგალითად, პირველყოფილი თემური საზოგადოების, ე.წ. პირველყოფილი რელიგიის ფეტიშები მაგია, ტოტემიზმი და სხვა., გარკვეული საზოგადოებრივი ტრადიციები და ჩვეულებები მოცემული საზოგადოების ღირებულებებია და არსებობენ მხოლოდ გარკვეული პირობით; როგორც კი ეს საზოგადოება ისპობა, მოცემული ღირებულებები ძალას კარგავენ მოსაომჟლობელური საზოგადოების მიმართ. ანტიკურ კულტურასა და ხელოვნებაში კი, როგორც ზოგად საკაცობრიო ფორმებში, უშუალოდ ვლინდება ღირებულებათა აბსოლუტურობა და მარადიულობა.

მეორე მხრივ, რელატიურ და აბსოლუტურ ღირებულებაზე შეიძლება ვილაპარაკოთ თვით ღირებულებათა გამოყენების მიმართ. როგორც ითქვა,

---

47 ეს ნიშნავს იმას, რომ ღირებულება გვეძლევა მის მატარებელთან ერთად და შესაძლებელია მისი მატარებლის არსებობა შეწყვიტოს, მაგრამ ღირებულებას აბსოლუტურად მაინც განაგრძობს არსებობა. ასე მაგალითად, გმირის სიკეთესთან ერთად გმირობის ღირებულება არ კვდება: იგი განაგრძობს არსებობას. ასევე ღირებულება არ შეიძლება გაეუთვნოთ საგნის თვისებებს. ასე მაგალითად, ჩვენი ეროვნული დროშის ღირებულება არ შეიძლება გადავიდეს როგორც ამ დროშის თვისებები, ფიქსათ მატერიალური ქსოვილის თუ ფერის თვისებები. მასი ღირებულება ისაა, რომ ის არის გარკვეული ეროვნული სიმბოლო.

48 ადამიანურ ურთიერთობათა, მოღვაწეობათა და მათში ჩართულ ბუნებრივი მოვლენების შეფასების აქტში, რომელიც უშუალოდ ადამიანის განცდას ეკუთვნება (რასაც ადამიანი არ განიცდის, მისთვის ის არ ფასობს. ასე მაგ., ვისაც ჭადრაკის თამაში არ განუცდია, ეს თამაში მისთვის არ ფასობს), ვლინდება ღირებულება.

49 სუბიექტისა და ობიექტის დამოკიდებულებისაგან განსხვავებით შემეცნებაში, სულ სხვაგვარია ობიექტისა და სუბიექტის დამოკიდებულება ღირებულებაში. შემეცნებაში ობიექტი არსებობს სუბიექტისაგან დამოუკიდებლად. ღირებულებაში ეს ასე არ არის. ღირებულებაში ღირებულების ობიექტი უშუალოდ დგინდება სუბიექტის შეფასებით. მასთან ერთად მხოლოდ ობიექტური სინამდვილეა და არა ღირებულების ობიექტი. ეს ღირებულების ობიექტი კი არ არსებობს სუბიექტის შეფასებისაგან დამოუკიდებლად, არამედ რაშე ობიექტი ღირებულების ობიექტი ხდება მას შემდეგ, რაც მას სუბიექტი შეაფასებს სიკეთისა და ბოროტების, ჭეშმარიტებისა და მცდარობის, მშვენიერებისა და სიმახინჯის, სამართლიანობისა და უსამართლობის და სხვა თვალსაზრისით. მაშასადამე, ღირებულებაში, ღირებულების ობიექტი, შემეცნების ობიექტისაგან განსხვავებით, თვით სუბიექტის მიერ დგინდება და ამით დგინდება თვით სუბიექტიც, როგორც ღირებულების სუბიექტი.

ღირებულება არის ის, რაც არსებობს ადამიანის და სინამდვილის ურთიერთშიმართებაში. ასეთ მიმართებაში ღირებულებების ერთი გარკვეული ნაწილი შეიძლება გამოიყენოს ადამიანმა, როგორც საშუალება, მასზე უფრო მაღალი ღირებულების მისაღწევად. ღირებულების ერთი ნაწილი, რომელიც გამოიყენება როგორც გარკვეული საშუალებები, გარკვეული პირობით საშუალებების პირობით არსებული ღირებულებებია; ასეთი ღირებულებები რელატიური ღირებულებებია, უფრო მაღალი ღირებულებები კი, რომლებიც საშუალებების სახით არსებული ღირებულებებით მიიღწევა, როგორც გარკვეული მიზანი, უპირობო ღირებულება, აბსოლუტური ღირებულებაა. საერთოდ აბსოლუტური ღირებულება, როგორც ეს ჩანდა მიზანი, ყველაზე მაღალი ღირებულებაა, რომელიც ამიტომ სხვა ღირებულების მიღწევას საშუალებად არ შეიძლება იქცეს.

ღირებულებებში არსებულ, ე.წ. საგნობრივ და სუბიექტურ ღირებულებებს. საგ-ნობრივი ღირებულებებია:

ბუნებრივი სიკეთე და ბოროტება, რომელიც მოცემულია ბუნებრივ სიმდიდრეებში და სტიქიურ უბედურებებში, შრომითი პროდუქტების მოხმარებითი ღირებულება (სარგებლიანობა საერთოდ), სიცოცხლური სიკეთე და ბოროტება, რომელსაც საზოგადოებრივი მოვლენები შეიცავენ; ისტორიული მოვლენების პროგრესული და რეაქციული მნიშვნელობა; წარსულის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც თანამედროვეობის სიმდიდრის სახით გამოდის; მეცნიერული ჭეშმარიტების სასარგებლო ეფექტი და თეორიული მნიშვნელობა, მორალური სიკეთე და ბოროტება, რომელიც მოცემულია ადამიანთა მოქმედებაში; ბუნებრივი, საზოგადოებრივი და ხელოვნების ნაწარმოებების ესთეტიკური დასასიათებანი; რელიგიური თაყვანისცემის საგნები და სხვ.

სუბიექტური ღირებულებებია:

საზოგადოებრივი განწყობილებები და შეფასებები; იმპერატივები, აკრძალვები, მიზნები და პროექტები, რომელიც გამოსახატულია სიკეთისა და ბოროტების, სამართლიანობისა და უსამართლობის, ბედნიერებისა და მახინჯის, ისტორიის სპრისისა და ადამიანის დანიშნულების, იდეალების, ნორმების და მოქმედების პრინციპების შესახებ ნორმატიული წარმოდგენების ფორმაში.

საგნობრივი და სუბიექტური ღირებულებანი წარმოადგენენ სამყაროსადმი ადამიანის ღირებულებითი დამოკიდებულების ორ პოლუსს: პირველები გამოდიან როგორც ობიექტები(მოხმარების, ინტერესის საგნები, აღებული მხოლოდ მათს სუბიექტურ-ფსიქოლოგიურ, აფექტურ-ნებელობით გამოხატულებაში, მისწრაფებების, თაყვანისცემის, უპირატესობის მიკუთვნის, მოწონების და გაკიცხვის სახით), მეორენი კი, როგორც იმავე ურთიერთობების გამოხატულებანი სუბიექტის მხრიდან, რომელშიაც ინტერესები და მოთხოვნილებები თარგმნილია იდეალურის, ძრებადის, წარმოსადგენის ენაზე. ამიტომ საგნობრივი ღირებულებები წარმოადგენენ მიწიერისა და შეფასების ობიექტებს, სუბიექტურნი კი ამ შეფასებებისა და წარმოდგენების წესს და კრიტერიუმს. ამის გამო ეს უკანასკნელნი საგნობრივ და სოციალურ სინამდვილეში ადამიანის ცნობიერების გარკვეული ორიენტირისა და გარემოცველ საგნებთან და მოვლენებთან ადამიანის სხვადასხვაგვარი პრაქტიკული მიმართების გარკვეულ სამუალებებს წარმოადგენენ. ასე მაგალითად, ჭიქა, რომელიც წყლის დასალევი საშუალებაა, ერთ

მიმართებაში თვით ამ სასარგებლო თვისებას ამცლაყნებს, როგორც სახიფათო ღირებულება, პატერნიალური დოვლათი; მაგრამ მეორე მიმართებაში ჭიქა არის შრომის პროდუქტი, სასაქონლო ცვლის საგანი და გეველინება, როგორც ეკონომიკური ღირებულება. მესამე მიმართებაში ჭიქა შეიძლება იყოს ხელოვნების საგანი და მას პქონდეს ესთეტიკური ღირებულებაც შეეწინააღმდეგება. ერთი საგნის ყველა ეს სხვადასხვა თვისება გაიხატავს მის სხვადასხვა ფუნქციას ადამიანის მოქმედების სისტემაში. ისინი, თავიანთი არსებით, როგორც საგნობრივი ნიშნები, წარმოადგენენ იმ სახოგადოებრივი ურთიერთობების სიმბოლოებს, რომელშიც ადამიანი იმყოფება.

ღირებულების მოყვანებს, მის ფუნოშენოლგიურ-აღწერილობით ფორმებში, შეისწავლის გარკვეული ფილოსოფიური დისციპლინა აქსიოლოგია (ბერძ. αξια ღირებულება, λογος - მოძღვრება αξιαλογια - მოძღვრება ღირებულების შესახებ). აქსიოლოგია არკვევს ღირებულების რაობას მისი ბუნებისათვის დამახასიათებელ ძირითად ნიშნებს. ის ახდენს ღირებულებათა კლასიფიკაციის სახოგადოებრივი ცხოვრების სფეროებზე ტრადიციულად შექმნილი წარმოდგენების შიხედვით; მატერიალური და სულიერ ღირებულებანი; მწარმოებლურ-მომხმარებლური(უტილიტარული) ღირებულებანი; სოციალურ-პოლიტიკური, შემეცნებითი, მორალური, ესთეტიკური, რელიგიური ღირებულებანი. ამიტომ აქსიოლოგია უაღრესად პრაქტიკული სახის მეცნიერებაა და მას, როგორც ღირებულების შესახებ თეორიულ მეცნიერებას, უდიდესი მეთოდოლოგიური და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იმ ცალკეული მეცნიერებებისათვის, რომლებიც ღირებულების ცალკეულ სახეებს სწავლობენ.

ასეთია ღირებულების, როგორც ფილოსოფიური და სოციალური კატეგორიის ბუნება ზოგადად.

§ 2. სპორტის ღირებულებითი ბუნება

სპორტის ღირებულებითი ხასიათის გასარკვევად დავსვათ კითხვა, რა ფასი აქვს სპორტს, როგორც სოციალურ მოქმედებას, ადამიანისა და საზოგადოებისათვის, რადგან სპორტის ასეთ შეფასებაში უშუალოდ ვლინდება მისი ღირებულება. მაშ, დავსვათ კითხვა, რა ფასი აქვს სპორტს ადამიანისათვის ? ეს შეფასება, თავისი არსებით შეიძლება იყოს ორგვარი: დადებითი და უარყოფითი, მესამე გამორიცხულია. სპორტი დადებითი სოციალური მოქმედებაა, როგორც ადამიანისა და საზოგადოებისათვის უაღრესად სასარგებლო საქმე. მისი სასარგებლო ხასიათი ძირითადად მდგომარეობს შემდეგში:

- სპორტის მეშვეობით ვითარდება ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალები, ე.ი. ვითარდება ადამიანი; განვითარების გარკვეულ საფეხურზე კი ყალიბდება ფიზიკურად და სულიერად სრულყოფილი, პარმონიულად განვითარებული ადამიანი.
- სპორტი ადამიანის განვითარებით, უშუალოდ ემსახურება ადამიანის ჯანმრთელობის განმტკიცებისა და განვითარების, მთელი საზოგადოების სიჯანსაღის საქმეს; ადამიანის უდიდესი საზოგადოებრივი სიმდიდრეა.

- სპორტი ადამიანის, ამ უნიკალური არსების, ჩვენ პლანეტაზე ძლეულთაგანის დაჩქარებისა და განსტკიცების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა.
- სპორტი ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების, ფიზიკური და სულიერი შესაძლებლობების უსასრულო განვითარების შინაგანი წყარო და საშუალებაა.
- სპორტი, როგორც ადამიანზე და ადამიანისაკენ მიმართული მოქმედება, უაღრესად მაღალჰუმანური მოქმედებაა.
- სპორტის ეროვნული და ინტერნაციონალური ხასიათი სპორტის პროგრესულობის მაჩვენებელია და სხვა. სპორტის ეს მახასიათებლები იმას გვიჩვენებს, რომ სპორტი არის სოციალური სიკეთე. მაშასადამე სპორტი მნიშვნელობას.

ადამიანისა და საზოგადოების მიმართ როგორც სიკეთე; ის, რაც ადამიანისა და საზოგადოების მიმართ მნიშვნელობს, არის სწორედ სპორტის ღირებულება.

სიკეთე არის სპორტის ერთ-ერთი ღირებულება.

კიდევ რა „ფასი" აქვს სპორტს ადამიანისა და საზოგადოებისათვის? სპორტში როგორც ადამიანის ურთიერთობებში, ყველა ადამიანი მონაწილეობს თანასწორი უფლებით, განურჩეველად ერისა, რასისა, რწმენისა, სქესისა და სხვა. სპორტში გამორიცხულია სოციალური წარმოშობიდან გამომდინარე რაიმე უპირატესობა ან პრივილეგია. მას საფუძვლად უდევს მართებული საყოველთაო ჰუმანური პრინციპები: უშეღავათო ბრძოლა, მაგრამ ნაძდვილი და ჭეშმარიტი; გამარჯვება მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებული სპორტული ბრძოლის ნორმებით და ფორმებით. არაეთიკური აკრძალული საშუალებები სპორტულ შეჯიბრებაში და სხვ., მთელი სპორტი საკაცობრიო სპორტული მოქმედების ინტერნაციონალური ნორმებით შინაგანად მოწესრიგებული სისტემაა.

ასეყე მაღალჰუმანურია სპორტის მიზნები და ამოცანები მისი საწყისი და საბოლოოო მიზანია ადამიანი, მისი განვითარება. სპორტი ადამიანთა სიყვარული, მეგობრობა, ურთიერთისცემაა. სპორტის ეს ყველა ამდაგყარი მახასიათებლები ადამიანისა და საზოგადოების მიმართ მნიშველობს როგორც საშართლიანი საქმე, სამართლიანობა, რომელიც სწორედ სპორტის ღირებულებას წარმოადგენს.

მაშ, სიკეთე და სამართლიანობა სპორტის ღირებულებებია.

მთელი სპორტი ოსტატურად შესრულებული მოძრაობების და მოქმედებებისაგან შედგენილი სოციალური სისტემაა. სპორტის ცალკეული სახეები კი, როგორც ამ სისტემის ნაწილები, თავიანთ თავში შეიცავენ მათთვის დამახასიათებელ, სპეციფიკურ მოძრაობებს და მოქმედებებს, რომლებიც სპორტული მოძრაობის მაჩვენებლებთან ერთად ახასიათებთ თავიანთი მიხდულობა და სილამაზე. ე.ი. ამ სპეციფიკური მოძრაობებისა და მოქმედებების ოსტატური შესრულება თვით ქმნის მოძრაობებისა და

მოქმედებების მოხდენილობას და სილამაზეს. ამ აზრით, სპორტული მოძრაობებისა და მოქმედებებისაგან აბსოლუტურად განუყოფელია თვით ამ მოძრაობათა და მოქმედებათა მოხდენილობა და სილამაზე, როგორც მათი აუცილებელი თვისება; ბოლოდ, სპორტული მოძრაობები და მოქმედებები უშუალოდ ყალიბდება, როგორც მოხდენილი, ლამაზი მოძრაობები და მოქმედებები. სწორედ ეს შეადგენს სპორტული სანახაობის ერთ მხარეს.

ამ აზრით, ყველა სახის სპორტულ შეჯიბრებაში(რომელთა მიაყარი მიზანი მაღალი სპორტული მიღწევები, შედეგები და რეკორდებია) უშუალოდ საქმე გვაქვს მაღალოსტატურად შესრულებულ მოძრაობებთან და მოქმედებებთან, რომლებიც ადამიანსა და საზოგადოებასთან დამოკიდებულებაში წარმოდგებიან რა სპორტული მშვენიერების სახით და აშდენად, მნიშვნელობენ როგორც სპორტის ესთეტიკური ღირებულებანი.

მაშასადამე, სპორტი არა მხოლოდ საკეთე და სამართლიანობაა, არამედ მშვენიერებაც, ე.ი. ის არის ეთიკური და ესთეტიკური[30] ღირებულებანი.

დაბოლოს, სპორტი შესაძლებელია შეიცავდეს მისი მიღწევების, შედეგების, რეკორდების მხრითაც; სპორტზე იქმნება და მყარდება როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე ევროპისა და მსოფლიო ტურნირების, ოლიმპიური თამაშების მიღწევები, შედეგები და რეკორდები. ისინი წარმოადგენენ სპორტულ შეჯიბრებაში ადამიანის ფიზიკური და სულიერი ძალების განვითარებით მიღწეულ შედეგებსა და რეკორდებს, რომლებმაც სათანადო აღიარება ჰპოვეს სპორტული საზოგადოების მიერ. სპორტის ყველა სახეობაში განუწყვეტლივ იქმნება სულ ახალი და ახალი მიღწევები და რეკორდები, რომლებიც ადამიანის ფიზიკური ლა სულიერი განვითარების გარკვეულ დონეს ასახავს. სპორტული მიღწევებისა და რეკორდების განუწყვეტელი ცვლა, სპორტის არსებობისა და განვითარების ურყევი კანონია. სპორტი არსებობს და ვითარდება მანამდე, სანამ ამ განუწყვეტელ ცვლილებას მასში ადგილი აქვს. საკმარისია ეს პროცესი შეწყდეს, რომ სპორტმა შეწყვიტოს არსებობა და რა თქმა უნდა, განვითარებამაც.

სპორტული მიღწევები, შედეგები და რეკორდები, როგორც სპორტული მიღწევების ძირითადი მიზნები და ამოცანები, უშუალოდ მნიშვნელობენ ადამიანისა და ადამიანთა სახოგადოების მიმართ, როგორც სპორტის კულტურული ღირებულებანი.

ამგვარად, სპორტი როგორც სოციალური სისტემა, ერთნაირად წარმოადგენს ეთიკურ, ესთეტიკურ და კულტურულ ღირებულებებს. ასეთია მოცლელ სპორტის ღირებულებითი ბუნება.

---

[30] რამდენადაც სიკეთე და სამართლიანობა ეთიკური ღირებულებებია, შვენიერება კი - ესთეტიკური ღირებულება.

მეცხრე თავი. სპორტი როგორც ხელოვნება

სანამ სპორტს, როგორც ხელოვნებას განვიხილავდეთ, რამოდენიმე სიტყვა თავად ხელოვნების შესახებ.

§ 1. ხელოვნების შესახებ

ჩვეულებრივ ხელოვნებას ორნაირად განსაზღვრავენ; ფართო და ვიწრო გაგებით. ფართო გაგებით ხელოვნებას უწოდებენ ბუნებრივი სინამდვილის საპირისპირო ადამიანის ოსტატობით შექმნილ ახალ სინამდვილეს. მიღებული განსაზღვრების მიხედვით, ადამიანის მიერ შექმნილი ბუნებრივი სინამდვილის საპირისპირო ყოველი ახალი სინამდვილე, სრულიად არ არის ხელოვნება(მაგალითად, ყოველი ახალი სახლი), ის ადამიანის მიერ შექმნილი ისეთი ახალი სინამდვილეა, რომელშიაც ადამიანის ოსტატობა საგნობრივდება. ვიწრო გაგებით, ხელოვნება არის სინამდვილის ასახვა მხატვრულ სახეებში და მასში იგულისხმება მხოლოდ კაზმული ხელოვნება(ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, მუსიკა, ლიტერატურა, თეატრი, კინო), როგორც სინამდვილის ესთეტიკური ათვისების უმაღლესი ფორმა. ხელოვნების მოცემული ფორმა იძლევად მნიშვნელოვანია, რომ როცა მსჯელობენ საერთოდ ხელოვნებაზე, მასში გულისხმობენ, მხოლოდ და მხოლოდ, კაზმულ ხელოვნებას.

ხელოვნება არის სინამდვილის ასახვა მხატვრულ სახეებში ნიშნავს იმას, რომ მეცნიერებისაგან განსხვავებით, რომელიც სინამდვილეს ასახავს ცნებებში, მსჯელობებსა და დასკვნებში, ხელოვნება არის სინამდვილის ასახვა სახეებში ან როგორც ბესარიონ ბელინსკი იტყოდა: „ აზროვნება სახეებში“.

რა არის ხელოვნების საგანი? ხელოვნების საგანია ადამიანი, მისი ცხოვრება. მაგრამ ადამიანის ცხოვრება, ყველა მისი მრავალფეროვან გამოყლინებებში, ბუნებაში და ბუნებასთან კავშირში მიმდინარეობს. ამიტომ ხელოვნება ადამიანის ცხოვრების ასახვასთან ერთად ბუნების ასახვაცაა. აქედან გამომდინარე, მხატვრული სახე არა მხოლოდ ადამიანის ცხოვრების სურათია, არამედ, გარკვეული სახით, ბუნების სურათიც.

თუ ხელოვნება სინამდვილის ასახვაა მხატვრულ სახეებში, მისი სრულყოფილი გაგებისათვის აუცილებელია გაირკვეს თვით სახის ცნება. მაშ, დავსვათ კითხვა, რა არის მხატვრული სახე? სახეს, როგორც ასახვას, ახასიათებს თავისი ზოგადი ნიშნები, ხოლო როგორც მხატვრულ ასახვას თავისი სპეციფიკური ნიშნები.

სახის ზოგადი ნიშნებია:

სახე ადამიანის ცხოვრების და ბუნების ასახვაა. ეს ნიშანი ზოგადია იმ აზრით რომ ადამიანის ცხოვრებასა და ბუნებას ასახავს არა მხოლოდ ხელოვნება, არამედ სოციალური მეცნიერებები, ისტორია,

ბიოლოგიური შეცნიერებები, გეოგრაფია და სხვა.

- სახის ზოგადი ნიშანი ისიცაა, რომ ის ასახვაა და ახასიათებს ასახვისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი: ობიექტურობა, სუბიექტურობა, ჭეშმარიტობა (შეფარდებითობა, აბსოლუტურობა), განვითარება და სხვა.
- როგორც ყველა ასახვაში, ასევე სახის ჩამოყალიბებაში მონაწილეობს ადამიანის ისეთი უნარები, როგორიცაა: შეგრძნებები და აზროვნება, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავენ მისი ასახვის სახით არსებობას.

სახის სპეციფიკური ნიშნებია:

ზოგადობა და ინდივიდუალობა, ყოველი სახე არის არსებისა და მოვლენის ერთიანობა; სახის ზოგადობა მისი არსებაა, ინდივიდუალობა კი მისი მოვლენის სახით არსებობა. ასე მაგ., ი. ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძე, როგორც მხატვრული სახე, ერთისა და იმავე დროს, ერთსა და იმავე პირობებში ზოგადიცაა და ინდივიდუალურიც; რამდენადაც ლუარსაბ თათქარიძე თავადაზნაურული კლასის არსებით ნიშნებს, არსებას გამოხატავს, ის ზოგადია, მაგრამ რამდენადაც ამ ზოგადს კონკრეტული სახის ადამიანი - ლუარსაბ თათქარიძე წარმოგვიდგენს, როგორც ინდივიდი, ის ინდივიდუალურიცაა. ამასადამე, მხატვრული სახე ინდივიდუალურისა და ზოგადის დიალექტიკური ერთიანობაა და როგორც ასეთს გრძნობად-კონკრეტული ხასიათი აქვს.

მხატვრული სახის ერთ-ერთი არსებითი და აუცილებელი სპეციფიკური ნიშანია ის, რომ იგი არის ხელოვანის, მხატვრის გამოგონება; არც ერთი ჩვენს მიერ ცნობილი ლიტერატურული გმირი: შოთა რუსთაველის ტარიელი, ავთანდილი და ფრიდონი, ნესტან დარეჯანი, თინათინი და ასმათი, ა. პუშკინის ევგენი ონეგინი, ი.ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძე და სხვა, რეალურ სინამდვილეში არ არსებულა იმ სახით, როგორადაც აღნიშნული მხატვრები მათ გვიხატავდნენ. მაგრამ მხატვრული სახე მხოლოდ მხატვრის აბსოლუტური გამოგონება არ არის. მწერალი იგონებს მხატვრულ სახეს, მაგრამ იგონებს მას ცხოვრებაში არსებული მისთვის ცნობილი იმ ადამიანების საფუძველზე, რომლებიც მისი დაკვირვებისა და შესწავლის საგანია.

მხატვრულ სახეს, შემეცნებით ღირებულებასთან ერთად, ახასიათებს ემოციურობაც. მხატვრული სახე რომ მხოლოდ სინამდვილის შემეცნება იყოს, ის არ იქნებოდა მხატვრული სახე. მაგრამ მას რომ მხოლოდ ემოციური მხარე ჰქონდეს, არც მაშინ იქნებოდა მხატვრული სახე. მხატვრული სახე შემეცნებითი მხარის გარეშე უაზრია. მაგრამ მხატვრული სახე მისი გრძნობად - კონკრეტულობის გარეშე, რომლის გამოხატულებაც მისი ემოციურობაა, მხოლოდ აბსტრაქტული აზრია. მხატვრული სახე შემეცნებით და ემოციურ მხარეთა აუცილებელი ერთიანობაა.

მაგრამ არც შემეცნებით-ემოციური ნიშანი ამოწურავს მხატვრული სახის ბუნებას. მხატვრული სახის მეხუთე არსებითი ნიშანია ესთეტიკურობის,

მშვენიერების გრძნობა, რომელსაც ის იწვევს ადამიანში. ასე მაგ., რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ქალთა ტიპების კდემამოსილება და სიდიადე მშვენიერების გრძნობას იწვევს ადამიანში; ასევე ოსტატურად შესრულებული ფერწერული და სკულპტურული ქმნილებების აღქმა ადამიანის ესთეტიკურ გრძნობებს აღძრავს.

ამგვარად, მხატვრული სახე არის ინდივიდუალობის, ზოგადობის, გამოგონების, შემეცნებით-ემოციურობისა და ესთეტიკური გრძნობის არსებითი ნიშანთა ერთიანობა.

ასეთია სახე, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უჯრედი.

ახლა განვიხილოთ ხელოვნებისათვის საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამახასიათებელი კომუნიკაციური, შემეცნებითი, აღმზრდელობითი და ჰედონისტური ფუნქციები.

1. ხელოვნების კომუნიკაციური ფუნქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის არის ადამიანთა ურთიერთობის საშუალება; ხელოვნების საშუალებით ადამიანები, სხვადასხვა ქვეყნისა და ერის წარმომადგენლები ერთმანეთს გადასცემენ თავიანთ აზრებსა და გრძნობებს, ესთეტიკურ იდეალებს და სხვ.

2. ხელოვნების შემეცნებითი ფუნქციის არსი მდგომარეობს იმაში რომ ის ერთის მხრივ, გარკვეულ თეორიულ ცოდნას გვაძლევს საერთოდ სინამდვილის შესახებ, მეორე მხრივ, ის არის სინამდვილის ესთეტიკური შემეცნებაც ე.ი. სინამდვილის შემეცნება მშვენიერების მიხედვით და მშვენიერების პარამეტრებში.

3. ხელოვნებას ახასიათებს აღმზრდელობითი ფუნქციაც; ის არის ადამიანის ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საშუალება.

4. ხელოვნებას თავისი შინაარსითა და ფორმით, სინამდვილის ესთეტიკური იდეალის ასპექტში გამოხატვით, ახასიათებს ესთეტიკური ტკბობის, ადამიანისათვის სიამოვნების მინიჭების ფუნქციაც.

რამდენიმე სიტყვით ხელოვნების შინაარსისა და ფორმის შესახებ. ხელოვნება, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვა, თყითონ არის ფორმა; მაგრამ ამ ფორმას, თავის მხრივ, გარკვეული შინაარსი და ფორმა გააჩნია. ხელოვნების შინაარსს შეადგენს:

- ფაბულა (ნაწარმოებში გამოხატული ფაქტები, მოვლენები, შემთხვევები, ამბები);

  თემა (ნაწარმოების განზოგადოებული საგანი);

  ემოციურ-მსოფლმხედველობრივი შეფერილობა (ხელოვანის მიერ ნაწარმოებში ასახული მოვლენების ესთეტიკურ-პოზიციური შეფასება);

  იდეა (ნაწარმოების მთავარი აზრი, მაგალითად, პიესის ან სურათის მთავარი იდეა).

რაც შეეხება ფორმას, მასში იგულისხმება ყოველივე ის რითაც ხელოვნება თავის სათქმელს გამოთქვამს; მაგრამ როგორც ვნახეთ, ის, რითაც ხელოვნება

თაეის სათქმელს გამოთქვამს, არის სწორედ ფაბულა, თემა, ემოციური-მსოფლმხედველობრივი შეფერილობა. ამ აზრით ხელოვნების შინაარსის ყველა ელემენტი, იმავე დროს, ფორმის ელემენტიცაა. ამ მხრივ, ფორმა და შინაარსი ხელოვნებაში ერთმანეთს ემთხვევა; მაგრამ ეს არ არის და არც შეიძლება იყოს მათი აბსოლუტური დამთხვევა - ადვილია.

ხელოვნებისათვის დამახასიათებელია მხატვრული ასახვის სპეციფიკური ხერხები, წესები, მეთოდები. ეს მეთოდებია: რეალისტური(რეალიზმი), ნატურალისტური (ნატურალიზმი), ფორმალისტური(ფორმალიზმი) და სხვა. ამ მეთოდებიდან ყველაზე პროგრესული რეალისტური მეთოდია, რომელიც ცხოვრებას ასახავს ისე, როგორც ის არის და, იმავე დროს, ისე, როგორც უნდა იყოს ის. ასეთია მოკლედ ხელოვნების ბუნება.

§ 2. სპორტის ხელოვნებითი ბუნება

ხელოვნების ყიწრო გაგებით მოცემულ განსაზღვრებაში სპორტი ვერ მოთავსდება, რადგან ამ განსაზღვრებით ის წარმოდგენილია როგორც ასახვა. სპორტი კი მოქმედებაა. სპორტის, როგორც ხელოვნების, შესახებ შეიძლება ვილაპარაკოთ ხელოვნების ფართო განსაზღვრის მიხედვით. ხელოვნების ფართო განსაზღვრებით, ხელოვნება ბუნების საპირისპირო ახალი სინამდვილეა. ხელოვნების ეს ძირითადი ნიშანი ხომ სპორტის ნიშანიცაა. სწორედ სპორტი, ბუნებისაგან არსებითად განსხვავებული და, ამდენად, მისი საპირისპირო სრულიად ახალი სინამდვილეა. შემდეგ განსაზღვრება ხაზს უსვამს იმას, რომ ხელოვნება ადამიანის მიერ შექმნილი ახალი სინამდვილეა. ცხადია, ეს ნიშანიც საკმაებით ახასიათებს სპორტს: სპორტიც ადამიანის მიერ შექმნილი ახალი სინამდვილეა. და ბოლოს, ხელოვნების განსაზღვრების მიხედვით, ადამიანის ოსტატობით შექმნილი სინამდვილეა, რომელიც ადამიანის ოსტატობით განისაზღვრება, ე.ი. ისეთი სინამდვილე, რომელიც ადამიანის ოსტატობას გამოხატავს. ხელოვნებისათვის ოსტატობის ნიშანი ერთ-ერთი განუყოფელი, აუცილებელი ნიშანია, რადგან ოსტატობის ნიშანი ქმნის, სწორედ, ხელოვნებას; ადამიანის მიერ შექმნილი ახალი სინამდვილე, რომელიც მოკლებულია ოსტატობის ნიშანს, ხელოვნება არაა. ასე მაგალითად, ადამიანმა, რომელმაც გარკვეული სიმღერა შექმნა, მაგრამ ეს ახალი სინამდვილე არ იქნება ხელოვნება, თუ მას არ ახასიათებს ოსტატობის ნიშანი. ასევეა სპორტიც: სპორტის არის არა მხოლოდ ადამიანის მიერ შექმნილი ახალი სინამდვილე, არამედ ისეთი სინამდვილეც, რომელსაც ახასიათებს ოსტატობის ნიშანი. ოსტატობის ნიშანი სპორტის აუცილებელი ნიშანია. ნამდვილი სპორტი, ისევე როგორც ნამდვილი ხელოვნება, არ არსებობს ოსტატობის გარეშე.

ამგვარად, ხელოვნების ძირითადი ნიშნებია ის, რომ:

ის არის ბუნების საპირისპირო სინამდვილე;

ის არის ადამიანის მიერ შექმნილი ახალი სინამდვილე;

ისეთი სინამდვილეა, რომელსაც ადამიანის ოსტატობის ნიშანი ახასიათებს.

ზუსტად ასეთივე ნიშნებით ხასიათდება სპორტიც:

- ისიც ბუნების საბრისპირო ახალი სინამდვილეა;
- ადამიანის მიერ შექმნილი ახალი სინამდვილეა;
- ისეთი სინამდვილეა, რომელშიც ადამიანის ოსტატობა საგნობრივდება.

სპორტისათვის დამახასიათებელი ხელოვნების ყველა ეს ნიშანი(როგორც სპორტის აუცილებელი ნიშნები) ის ძირითადი ნიშნებია, რომლითაც სპორტი არის ხელოვნება.

სპორტი რომ ხელოვნებაა იქიდანაც ჩანს, რომ მას ახასიათებს კაზმული ხელოვნების დამახასიათებელი ძირითადი ფუნქციები: კომუნიკაციური, აღმზრდელობითი და
პედონისტური.

სპორტის კომუნიკაციური ფუნქცია. სპორტი როგორც ხელოვნება, არის ადამიანთა ურთიერთობების თუ კომუნიკაციის საშუალება; უფრო მეტი, სპორტი, თავისი არსებით, თვითონ არის ადამიანთა ურთიერთობა. ამ ურთიერთობის მიზანია, თვითონ ამ ურთიერთობის, როგორც სპორტის, ყოველმხრივი განვითარება, რომელსაც ადგილი აქვს შეჯიბრებამდე და შეჯიბრებაში. სპორტი ეროვნული ურთიერთობაცაა და ინტერნაციონალურიც. ამ აზრით სპორტს, როგორც ხელოვნებას, აქვს ეროვნული და ინტერნაციონალური ბუნება. სპორტში როგორც ეროვნულ ურთიერთობებში, ეროვნული მიღწევები და რეკორდები მყარდება, იგივე ეროვნული მიღწევები და რეკორდები, საერთაშორისო ურთიერთობებში დგინდება საერთაშორისო მიღწევების და რეკორდების სახით; ორივე შემთხვევაში, როგორც ეროვნულ შეჯიბრებებში, ისევე საერთაშორისო შეჯიბრებებში ადამიანები უმეტესად ერთმანეთს უდგებენ მათი ფარული მიღწევების შედეგებს და სპორტი გამოდის როგორც ადამიანთა ურთიერთობების, კომუნიკაციის გარკვეული საშუალება.

სპორტის აღმზრდელობითი ფუნქცია. სპორტის, როგორც ხელოვნების, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა აღმზრდელობითი ფუნქცია. სპორტი არის ფიზიკურად და სულიერად მაღალგანვითარებული ადამიანის აღზრდის საშუალება. სპორტში ხდება ადამიანის მორალური აღზრდა; აქ ყალიბდება ადამიანის მრავალფეროვანი მაღალი თვისებები.

სპორტში ხდება ასევე ადამიანის ესთეტიკური აღზრდაც. სპორტულ ურთიერთობებში ყალიბდება ადამიანის ესთეტიკური გრძნობები, გეშოვნებები, შეფასებები, განცდები, იდეები, როგორც ასახვის გარკვეული სპეციფიკური ფორმები.

სპორტთან ერთად საზოგადოებრივ აღზრდაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ, ე.წ. დიდ სპორტსმენებს, როგორც თავიანთი საქმის დიდ ხელოვანთ, რომელთა კვალობაზე და მაგალითზე ხდება ახალგაზრდობის აღზრდა დიდი, პროფესიონალური სპორტის მიმართულებით.

სპორტის ჰედონისტური ფუნქცია. სპორტს, როგორც დროსა და სივრცეში, მოძრაობებსა და მოქმედებებში გაშლილ ხელოვნებას, ახასიათებს ჰედონისტური ფუნქციაც, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ის იწყვევს

ადამიანის ესთეტიკურ ტკბობას, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს მას.

მოძრაობისა და მოქმედების ოსტატობაში წარმოდგენილი მშვენიერება, როგორც უდიდესი მიმზიდველი სოციალური ძალა, უშუალოდ ქმნის ალპანეტის ყველაზე ფართო აუდიტორიას, რომელიც სპორტის თავისებურ „მეითხველს“ წარმოადგენს. შეუძლებელია დაეასახელოთ მეორე ისეთი სოციალური მოვლენა, ესეიდენ მრავალფეროვანი და მრავალმილიონიანი მაყურებელი რომ პყავდეს, როგორც სპორტს. ადამიანს ესთეტიკურ ტკბობას, სიამოვნებას ანიჭებს არა მხოლოდ სპორტის ხელოვნებითი ბუნება, არამედ თვით სპორტში მიღწეული შედეგებიც, როგორც სპორტსმენის ოსტატური მოძრაობისა და მოქმედების შედეგები. სპორტი ხელოვნებაა ისე არ უნდა გაიგებოთ, რომ თითქოს ხელოვნება მთლიანად ამოწურაიყს სპორტს და სპორტი მხოლოდ და მხოლოდ ხელოვნებაა. საკითხის ასეთი დასმა მცდარია. სპორტი როგორც მოქმედება, მიმართული მისი ფიზიკური და სულიერი უნარების გარდაქმნა-განვითარებისაკენ შეჯიბრებაში მაქსიმალური შედეგების მისაღწევად, არის სპორტი. იგივე მოქმედება, როგორც ოსტატური და ოსტატის მოქმედება, არის ხელოვნება.

სპორტისა და ხელოვნების ბუნების დახასიათებისათვის მიეშველოთ, ე.წ. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მაგალითს ფეხბურთში, რომელიც ჩატარდა 1990 წელს. მასში მონაწილეობდა 24 ქვეყნის ეროვნული ნაკრებები. მსოფლიო ჩემპიონობისათვის ამ უმეტესავათო ბრძოლაში ყველა გუნდი მოქმედებდა თავისი საკუთარი სპორტული სტრატეგიის და ტაქტიკის, ე.წ. ბრძოლის უახლესი და საბოლოო მიზნები, მოწინააღმდეგის ნაკლოვანებების და საკუთარი უპირატესობების გამოყენება, გუნდის ფიზიკური შესაძლებლობების, მთელი თამაშის პერიოდში, თანაბარი, რაციონალური განაწილება, გუნდის ტექნიკისა და ოსტატობის უნარიანი და მაქსიმალური გამოყენება, მოწინააღმდეგის რიგებში არეულობის შეტანა, მწვრთნელის ჩანაფიქრისა და დარიგებების უნარიანი განხორციელება, მთელი გუნდის შემოქმედებითი თამაში და სხვა და სხვა. მაგრამ თითოეული ეროვნული გუნდის ამ საინტერესო სპორტული ბრძოლას უშუალოდ თან ახლდა თვით ამ ბრძოლის ხელოვნება, მის აუცილებელ მოძრაობათა და მოქმედებათა ოსტატობა (ხელოვნება) მოძრაობებსა და მოქმედებებში. ამ აზრით, ეს იყო არა მხოლოდ სპორტული ბრძოლა, არამედ თავისი არსებით სპორტული ხელოვნებაც; ის იყო დროსა და სივრცეში წარმოდგენილი ადამიანის ოსტატობა(ხელოვნება) მოძრაობებსა და მოქმედებებში.

ასევე შეიძლება ეილაპარაკოთ ოლიმპიურ შეჯიბრებებზე. ოლიმპიური შეჯიბრებები სპორტისა და ხელოვნების ერთი მთლიანი მონუმენტური ქმნილებებია: ოლიმპიური თამაშები, რამდენადაც მათში სპორტული ბრძოლის საფუძველზე, გარკვეული სპორტული შედეგები და რეკორდები მიიღწევა, სპორტულ ქმნილებებს წარმოადგენენ. მაგრამ რამდენადაც ამ ბრძოლაში უშუალოდ ხორციელდება ადამიანის ოსტატობა მოძრაობებსა და მოქმედებებში, ამდენად ისინი ხელოვნების ქმნილებებიცაა.

ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ ყველა ჩემპიონატისა და ტურნირის შესახებ. სპორტის ხელოვნებითი ბუნება რომ უფრო ნათლად ვთქვათ, განვიხილოთ კონკრეტულად ჭადრაკი, როგორც ხელოვნება. ჭადრაკი სპორტიცაა და ხელოვნებაც. ჭადრაკი როგორც მოქმედება, სპორტია, როცა ის მიმართულია ადამიანის ფიზიკური და სულიერი უნარების განსაზღვრებისაკენ საჭადრაკო შეჯიბრებებში მაქსიმალური შედეგების მისაღწევად, მაგრამ იგივე მოქმედება, როცა მასში ადამიანის ოსტატობაა წარმოდგენილი, ხელოვნებაა. ამ პირით, ოსტატობის დონეზე გათამაშებული ჭადრაკის ყველა პარტია, უდაოდ ხელოვნების ქმნილებად უნდა მივიჩნიოთ. მსოფლიო ჩემპიონატზე, საჭადრაკო ოლიმპიადებზე და სხვა დიდ საჭადრაკო ტურნირებზე გათამაშებული პარტიები, რა თქმა უნდა ხელოვნების ქმნილებებია; მაგრამ ხელოვნების ქმნილებაცაა და ქმნილებებიც. ისევე როგორც მწერლობაშია საშუალო დონის ნაწარმოებები, ასევე ჭადრაკშიც არის საშუალო დონის პარტიები, რომლებიც საჭადრაკო ხელოვნებას, შეიძლება ითქვას, არც არაფერს მატებენ, არც არაფერს აკლებენ. ისევე როგორც მწერლებში, პოეტებში, მხატვრებში და სხვ., არსებობენ უკუდავი მწერლები, პოეტები, მხატვრები და სხვა, თავიანთი ქმნილებებით, რომლებიც ნამდვილ ჭეშმარიტ ხელოვნებას ქმნიან, ასევე ჭადრაკშიაც არსებობენ უკვდავი მოჭადრაკეები, თავიანთი უკვდავი პარტიებით, რომლებიც ჭეშმარიტ საჭადრაკო ხელოვნებას ქმნიან. ასეთი ჭადრაკის ისტორიაში შრავალი იყო: ადოლფ ანდერსენი, პაულ მორფი, ვილჰელმ სტეინიცი, ემანუელ ლასკერი, ხოსე რაულ კაპაბლანკა, ალექსანდრე ალიოხინი, ბობ ფიშერი, მიხეილ ბოტვინიკი, რობერტ ფიშერი, მიხეილ ტალი და სხვა. ასეთები არიან დღეს გარი კასპაროვი, ანატოლი კარპოვი და სხვ.

ჭადრაკის უკვდავი პარტიები, როგორც ხელოვნების უნიკალური ნიმუშები, დროსა და სივრცეში მოძრაობისა და ბრძოლის ოსტატობის სახით გაშლილი ხელოვნებაა. როგორც ხელოვნებას, მათ აქვთ თავიანთი შინაარსი და ფორმა. შინაარსი არის პარტიის ძირითადი იდეა მოწინააღმდეგის დამარცხების მიზანი. ფორმა კი არის ყოველივე ის, რითაც პარტიის ძირითადი იდეა - მოწინააღმდეგის დამარცხების მიზანი ხორციელდება: ეს იქნება ფიგურების სწრაფი განვითარება, შეტევის მაღალი ორგანიზაცია, სხვადასხვა სახის კომბინაციები და სხვ. პარტიის სილამაზეს, მის სიდიადე-უკვდავყოფას, სწორედ, ფორმა ქმნის; მაგრამ არა ყოველგვარი ფორმა; ჭადრაკის ყოველ პარტიას თავისი შინაარსი და ფორმა აქვს, მაგრამ ამიტომ ისინი ხელოვნების ქმნილებებს არ მიეკუთვნებიან. მხოლოდ ის პარტიაა ხელოვნების ქმნილება, რომლის შინაარსი რეალიზდება უაღრესად მაღალ, განვითარებულ ფორმაში.

სწორედ ჭადრაკის ასეთ უკვდავ პარტიას და ხელოვნების ამბავს ნიმუშს წარმოადგენდა 1851 წელს ლონდონში გათამაშებული პარტია ანდერსენსა და კიზერიცკს შორის, სადაც თეთრებით მოთამაშე ანდერსენმა საბოლოოდ სამი მსუბუქი ფიგურით: ორი მხედრითა და კუთი დააშამათა შავების მეფე

და პარტია დასრულდა ისე, რომ შავების ყველა ფიგურა დაფაზე იყო. ასეთი უკედაო პარტიები ჭადრაკის ისტორიაში ბევრია და მოშაველშიც იქნება.

ჭადრაკის, როგორც სპორტის ხელოვნებითი ბუნების დახასიათებისათვის აუცილებელია გაირჩეს თვით ჭადრაკის პარტია, რომელიც ჩვენი აზრით, ჭადრაკის მხატვრული სახეა და წარმოგვიდგენს მას, როგორც ხელოვნებას. ამ მხრივ, ჭადრაკის დიდოსტატურ პარტიას ახასიათებთ მხატვრული სახისათვის დამახასიათებელი ყველა ნიშანი.

- როგორც ცნობილია, მხატვრული სახის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი მისი გრძნობად-კონკრეტული ხასიათია. ამთ ჩვენ უშუალოდ აღვიქვამთ, შევიგრძნობთ. მათ მკაცრად განსზღვრული ინდივიდუალობა ახასიათებთ. შთა რაოდენობის უკეთდაო მხატვრული სახეები? ტარიელი, ფრიდონი, ავთანდილი, ნესტანი, თინათინი და სხვა წარმოგვიდგებიან როგორც გარკვეული სახის ინდივიდები, თავიანთი გრძნობად-კონკრეტული თვისებებით. მაგრამ, მეორე მხრივ, ისინი არა მხოლოდ ინდივიდუალურები არიან, არამედ ზოგადნიც, რამდენადაც მათი ინდივიდუალური ნიშნები გარკვეულ ადამიანთა ჯგუფების საერთო ნიშნებია და ისინი ამ ჯგუფების წარმომადგენლებად გვევლინებიან. მხატვრული სახე ინდივიდუალურისა და ზოგადის ერთიანობაა.
- ასევე დიდოსტატური ტიპის საჭადრაკო პარტია, როგორც მხატვრული სახე, წარმოგვიდგება როგორც ინდივიდუალურისა და ზოგადის გარკვეული ერთიანობა. ასეთი პარტია გრძობად-კონკრეტულ ხასიათს ატარებს; მას ჩვენ უშუალოდ აღვიქვამთ, შევიგრძნობთ, რამდენადაც იგი დროსა და სივრცეში გრძნობად-კონკრეტული სახით გაშლილი მოძრაობაა. როგორც ასეთ მოძრაობას, მას ახასიათებს თავისი ინდივიდუალურობა, რომლითაც ის ეს პარტიაა და არა სხვა. მაგრამ, აქვე დროს, მას ახასიათებს საერთოდ ჭადრაკის პარტიისათვის დამახასიათებელი საერთო ნიშნები და კანონზომიერებაც. ამ მხრივ ის ინდივიდუალურიცაა და ზოგადიც.

მხატვრული სახისათვის დამახასიათებელია ემოციურობა, რაც ნიშნავს:

- იგი იქმნება შემოქმედის ემოციურ-ინტელექტუალური საქმიანობით;
- აქედან გამომდინარე მასში ჩაქსოვილია არა მხოლოდ ადამიანური აზროვნება, არამედ მისი ემოციებიც;
- მოქმედებს რა ადამიანთა გრძნობებსა და ემოციებზე, მათ ესთეტიკურ ტკბობა სიამოვნებას ანიჭებს.

დიდოსტატური ტიპის საჭადრაკო პარტიის შექმნა დიდი მოჭადრაკის მიერ ჰგავს დიდი პოეტის მიერ ლექსის შეთხზვას, ისე როგორც დიდი პოეტი ლექსს ვერ შეთხზავს მხოლოდ ინტელექტით, თუ მას არ დაუშატა გრძნობა, ემოცია, ასევე დიდი მოჭადრაკე დიდ პარტიას ვერ შექმნის ან მხოლოდ გრძნობით, ან მხოლოდ ინტელექტით. ჭადრაკის დიდი პარტია მოჭადრაკის ემოციურ-ინტელექტუალური მოღვაწეობის უშუალო შედეგია. მასში, ისევე როგორც დიდი პოეტის ლექსში, ჩაქსოვილია დიდი მოჭადრაკის აზრები, გრძნობები, ემოციები. ყოველივე ამის გამო საჭადრაკო პარტია

აქტიურად მოქმედებს აღაძიანთა გრძნობებსა და ემოციებზე და ანიჭებს მათ ესთეტიკურ ტკბობა-სიამოვნებას.

ამგვარად, საჭადრაკო დიდი პარტიის, როგორც მოჭადრაკის მხატვრული სახის, ერთ-ერთ არსებით ნიშანს ემოციურობა წარმოადგენს.

- მხატვრული სახის მესამე არსებითი ნიშანია ის, რომ იგი არის მწერლის, ხელოვანის გამოგონება. ასე მაგალითად, პუშკინის ევგენი ონეგინი, შექსპირის ჰამლეტი, ოტელო, რუსთაველის ტარიელი და ავთანდილი არიან მხატვრული გამოსაგონი, რეალურად ისინი არ არსებულან საწარმოებში წარმოდგენილი სახით და ფორმით.

ისმება კითხვა, ჭადრაკის დიდი პარტიები, როგორც ჭადრაკის დიდი სახეები, წარმოადგენენ თუ არა გამოგონებას?

მე ვფიქრობ, რომ ისინი მოჭადრაკე-ხელოვანის გამონაგონებია. ისინი წარმოადგენენ დროსა და სივრცეში მოძრავი ფიგურების საინტერესო და უმშვენიერეს სპექტაკლს, რომელიც ჩვეულებრივი სპექტაკლისაგან იმით განსხვავდება, რომ ამ უკანასკნელის სცენარი საპექტაკლის დადგმამდე იქმნებოდა, პირველი კი, თავისი სცენარით, თამაშის ობიექტური მიმდინარეობის პროცესში ყალიბდება, როგორც ობიექტური კასპაროვისა და კარპოვის ნაყარსახეები მხატვრულ-მეცნიერული გამოგონება (მხატვრულ-მეცნიერული, რამდენადაც ჭადრაკის პარტიაში ორგანულ ერთიანობაშია ჩაქსოვილია როგორც მხატვრულობა, ასევე მეცნიერულობაც). მაშასადამე, როგორც ჩანს, დიდი საჭადრაკო პარტიის, როგორც მხატვრული სახის ერთ-ერთ არსებით ნიშანს წარმოადგენს მისი გამოგონების ნიშანი.

ამგვარად, ჭადრაკის დიდი პარტიები ჭადრაკის მხატვრულ სახეებს წარმოადგენენ, რომლებიც ქმნიან საჭადრაკო ხელოვნებას; მაშასადამე, ჭადრაკი არა მხოლოდ სპორტია, არამედ ხელოვნებაც.

ჭადრაკში მხატვრულობასთან, ხელოვნებასთან ერთად ჩაქსოვილია მეცნიერულობაც. ჭადრაკის ყოველი პარტიაში მეცნიერებაა გასაგნობრივებული. ამიტომ ჭადრაკის პარტია საკმაოდ რთული ფენომენია; იგი სპორტის, ხელოვნების და მეცნიერების აუცილებელი ერთიანობაა.

ასეთია მოკლედ ჭადრაკის, როგორც სპორტის, ხელოვნებითი სახე.

ამგვარად, ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სპორტი არა მხოლოდ სპორტია, არამედ ხელოვნებაცაა. ამ აზრით, დიდი სპორტსმენი იმავე დროს დიდი ხელოვანიცაა. სპორტი და ხელოვნება განუყოფელია. რაც უფრო დიდი და პროფესიონალურია სპორტი, მით უფრო დიდი და პროფესიონალურია მისთვის დამახასიათებელი ხელოვნებაც.

მეათე თავი. სპორტი - განვითარებადი სისტემა. პროფესიონალიზმი როგორც სპორტის განვითარების უმაღლესი ფორმა

§ 1. განვითარების ცნება

ფილოსოფიის სინამდვილე, იქნება ეს ბუნება, საზოგადოება თუ აზროვნება, განუწყვეტელი განვითარების პროცესში იმყოფება. ისმება კითხვა - რა არის განვითარება? განვითარება საგანთა და მოყლენათა მოძრაობა-ცვალებადობის ისეთი
პროცესია სადაც ახლის, უფრო მაღალის, უფრო რთულის წარმოშობას აქვს ადგილი. ასე მაგალითად, ბუნების საგანთა და მოყლენათა მრავალი მილიონი წლების მოძრაობა-ცვალებადობაში თვისებრიყად ახლის, მაღალის, უფრო რთულის წარმოშობა იყო, სწორედ, სიცოცხლის წარმოშობა. ხოლო ბუნების ცოცხალი სამყაროს მოძრაობა-ცვალებადობის გარკვეულ საფეხურზე ასევე ადამიანსა და ადამიანთა საზოგადოების წარმოშობა იყო თვისებრიყად ახალის და უფრო რთულის წარმოშობა.

ამგვარად, განვითარება, ფილოსოფიის მიხედვით არის ბუნებაში, საზოგა-დოებასა და აზროვნებაში, თვისებრივად ახლის, მაღლის, უფრო რთულის წარმოშობა.

§ 2. სპორტი, როგორც განვითარებადი სისტემა

სპორტი გარკვეულ მოძრაობა-ცვალებადობას ემორჩილება. არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ მოცემული სპორტი. განუწყვეტელი მოძრაობა-ცვალებადობა სამყაროს საგანთა და მოვლენათა არსებობის ობიექტური წესია; სპორტი ერთ-ერთი სოციალური სინამდვილეა; ამიტომ მოძრაობა-ცვალებადობა სპორტის არსებობის ობიექტური წესიცაა. ე.ი. არ არსებულა, არ არსებობს და არ იარსებებს სპორტი მოძრაობა-ცვალებადობის გარეშე. მოძრაობა-ცვალებადობა სპორტის არსებობის აუცილებელი პირობაა.

თუ სპორტისათვის აუცილებლად დამახასიათებელია მოძრაობა-ცვალებადობა, ისმის კითხვა, რა არის შედეგი ამ მოძრაობა-ცვალებადობის? ხომ არ შეიძლება ვთქვათ, სპორტისათვის მოძრაობა-ცვალებადობა ყველაფერია, ხოლო შედეგი კი არაფერი. არა, არ შეიძლება. სპორტის მოძრაობა-ცვალებადობაში საკუთრივ სპორტი განვითარებას განიცდის. თუ სპორტი მის მოძრაობა-ცვალებადობაში ვითარდება, ისმის კითხვა, რა არის სპორტის განვითარება.

სპორტის განვითარება მისი სულ ახალ-ახალი მიღწევები, შედეგები და რეკორდებია. რამდენადაც სპორტი ადამიანთა მოღვაწეობაა შეჯიბრებაში მაქსიმალური შედეგების მისაღწევად, ამდენად სპორტის განვითარება

სრულიად იგივეა, რაც ადამიანთა მოღვაწეობის განვითარება. ამიტომ, სპორტის, როგორც ადამიანთა საშეჯიბრო მოღვაწეობის წინსვლა, რომელიც გამოიხატება გარკვეულ მიღწევებში, შედეგებსა და რეკორდებში, წარმოადგენდეს რაოდენობრივ განვითარებას.

სპორტის განვითარების პროცესი არ შეიძლება განვიხილოთ მისი ეიფორიული გაგებით, როგორც მხოლოდ სპორტულ მოძრაობათა და მოქმედებათა, გარკვეულ სპორტულ მიღწევათა, შედეგთა და რეკორდთა განვითარება; იგი მთელი სპორტული სისტემის ერთობლივი განვითარების პროცესია; იგი არის სპორტული მზადებისა და საწყისთნო სისტემის, სპორტული ბაზების, კომპლექსების, აღჭურვილობების, ტექნიკის, სპორტის პართვის სისტემების და სხვათა მუდმივი განახლებისა და განუწყვეტელი წინსვლის პროცესი. მთელი სპორტული სისტემა მხოლოდ განვითარებაში და განვითარებით არსებობს. განვითარება სპორტის ყოფიერების შინაგანი წესია.

თუ სპორტი განვითარებადი სისტემაა, როგორია თავისი არსებით, განვითარების ეს პროცესი. სპორტის განვითარება უსასრულოა. მაგრამ რა არის სპორტის უსასრულო განვითარება? ამ კითხვაზე რომ პასუხი გავცეთ, აუცილებელია გაირკვეს თვით სპორტის უსასრულო განვითარების ცნება.

§ 3. სპორტის უსასრულო განვითარების ცნების შესახებ

სპორტის უსასრულო განვითარება, ერთი მხრივ, მისი რაოდენობრივ-უსასრულო განვითარებაა, მეორე მხრივ კი, მისი თვისებრივ-უსასრულო განვითარება.

სპორტის რაოდენობრივი განვითარების უსასრულობაში იგულისხმება საერთოდ მისი რაოდენობრივი ზრდის, რიცხობრივი განვითარების უსასრულობას; ასე მაგალითად, ვთქვათ, სპორტსმენთა რიცხრობრიობის განუწყვეტელი უსასრულო ზრდა; ყოველ მოცემულ ისტორიულ პერიოდში სპორტი რაოდენობრივად განსაზღვრულია, რამდენადაც იგი ყოველ მოცემულ მომენტში სპორტსმენთა გარკვეულ რაოდენობას, არც მეტი და არც ნაკლები გულისხმობს, მაგრამ ასევე რაოდენობრივად განუსაზღვრელიცაა, რამდენადაც ეს რაოდენობა ისტორიულად სულ უფრო და უფრო უსაზღვროდ ძრდება.

ამგვარად, სპორტი რაოდენობრივად სასრულიცაა და უსასრულოც. იგი სასრულია დროის ყოველ მოცემულ მომენტში, მაგრამ რამდენადაც მის მთლიან მიმრაობაში მის რაოდენობრივ ზრდას საზღვარი არა აქვს ის უსასრულოცაა. წინამდებარე ნაშრომში ჩვენ არ გვაინტერესებს სპორტის რაოდენობრივი განვითარების უსას-რულობის საკითხი. ამიტომ მას გვერდს ავუვლით.

რა არის სპორტის თვისებრივი განვითარების უსასრულობა? როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს არის სპორტის ახალი მიღწევები და რეკორდები, რომელიც სპორტულ შეჯიბრებათა საფუძველზე, ერთი მხრივ, გამოიხატება

კილოგრამებში, წამებსა და მეტრებში, მეორე მხრივ, სპორტული მოღვაწეობის დაოსტატება-დახელოვნების განუწყვეტელ წინსვლაში. ახალი სპორტული მიღწევები და რეკორდები, როგორც სპორტის თვისებრივი განვითარების გარკვეული ფორმა, განუწყვეტელ ცვლილებებს განიცდის: ყოველი ახალი სპორტული მიღწევები და რეკორდები ძველდება და, თავის მხრივ, სულ უფრო და უფრო ახალი მიღწევებთა და რეკორდებით იცვლება; მიღწევათა და რეკორდთა ეს განუწყვეტელი ცვლა არის, სწორედ, სპორტის დიდებარსი, რომლითაც სპორტი არსებობს. მაშ, სპორტის უსასრულო განვითარების არსება მდგომარეობს იმაში, რომ ამ განვითარებას, როგორც ყოველ სპორტულ მიღწევათა და რეკორდთა განუწყვეტელ ცვლას, განუწყვეტელ უარყოფას არა აქვს საზღვარი, დასასრული, ის უსასრულოა.

მაგრამ მიღწევები და რეკორდები, როგორც სპორტის განვითარების ფორმები, თავისი არსით, სასრულონიც არიან და უსასრულონიც. რამდენადაც ყოველი მიღწევა და რეკორდი ყოველ მოცემულ დროში, სწორედ „ეს არის", ის სასრულია, მაგრამ რამდენადაც ის, ამავე დროს, განუწყვეტლიც იცვლება, იგი უსასრულოცაა, ე.ი. სპორტული მიღწევები და რეკორდები სასრულონი არიან მისი ისტორიული განხორციელების მიხედვით, მაგრამ ასევე უსასრულონი მათი ერთიანი საერთო ისტორიული ცვალებადობის მიხედვით. სასრულობა და უსასრულობა სპორტის განვითარების აუცილებელი შინაგანი მომენტებია.

სპორტი უსასრულოდ ვითარდება იმიტომ, რომ ის ამოუწურავია. აქედან გამომდინარე, სპორტის არსებობა მხოლოდ მის უსასრულო განვითარებაშია შესაძლებელი. როგორ არის შესაძლებელი სპორტის უსასრულო განვითარება?

სპორტის უსასრულო განვითარების შესაძლებლობა ადამიანის მოღვაწეობის უსასრულო განვითარების შესაძლებლობების, ამოუწურავობაზე შინაგანად დამყარებული ბუნებრივ-ისტორიული პროცესია, ე.ი. სპორტის უსასრულო განვითარების შესაძლებლობა ადამიანის უნართა უსასრულო განვითარების შესაძლებლობაა.

მაგრამ როგორ არის შესაძლებელი ადამიანის უნართა უსასრულო განვითარება?

§ 4. ადამიანის უნარები და მათი უსასრულო განვითარების შესაძლებლობების შესახებ საერთოდ. სპორტის უსასრულობა თეორიული და ისტორიული ასპექტით

ადამიანი გარკვეული უნარების ორგანული მთლიანობაა, რომელიც ძირითადად ორ ჯგუფად განიყოფა: ფიზიკური და სულიერი.

უნარი არის ბიოლოგების თვისება, მისი შინაგანი შემძლეობა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება.

უნარი არის ბიოლოგების თვისება, მისი შინაგანი შემძლეობა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება; ის საფუძვლად უდევს ადამიანის

ყოველგვარ მოქმედება-მოღვაწეობას. ასე მაგალითად, მოძრაობის უნარი საფუძვლად უდევს და განსაზღვრავს სპორტს.

ადამიანური უნარებისათვის დამახასიათებელია შემდეგი ძირითადი ნიშნები:

- ადამიანური უნარები ადამიანის ორგანიზმის, როგორც ფიზიკურ და სულიერ მხარეთა ერთიანობის ერთი მთლიანი წარმონაქმნები, თვისებრივად განსხვავდება ცხოველთა უნარებისაგან.

ადამიანური უნარები გარკვეული ძალებია, რომლებიც განუწყვეტელ ურთიერთ-კავშირსა და დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ისინი შეიძლება თანდათანობით რაოდენობრივად გაიზარდონ, რაც მათი განვითარების გარკვეულ საფეხურზე, ძალის თვისებრივ განვითარებას მოგვცემს; შემდეგ ისევ მოცემულ ოვისებრიობაში ძალის რაოდენობრივი ცვალებადობა ახალ თვისებრივ ცვალებადობაში გადაჯა და ასე უსასრულოდ. ძალის უსასრულო განვითარების ეს პროცესი კი, რომლის უშუალო მიზანი სპორტულ შეჯიბრებებში უმაღლესი მიღწევის ჩვენებაა, სწორედ სპორტის უსასრულო განვითარებაში ხორციელდება.

ადამიანური უნარები განუწყვეტლივ მოძრაობს და იცვლება და ამდენად, უსასრულოდ ვითარდება.

ადამიანური უნარების განუწყვეტელი მოძრაობა-ცვალებადობა ხორციელდება მათი ისეთი სპეციფიკური მოქმედებით, რომელსაც ვარჯიში ეწოდება; ადამიანები სხვადასხვა სახის ცალკეულ უნარებს უფარდებენ მის შესაბამის სპეციფიკური და ზოგად ვარჯიშებს და მათი საშუალებით აღწევენ უნარის განუწყვეტელი, უსასრულო განვითარების პროცესს. ვარჯიში, როგორც უნარის განვითარების წყარო, უნარის განვითარების შესაძლებლობებიდან ამოდის და ამ შესაძლებლობებს მისი განვითარების სინამდვილედ აქცევს. შემდეგ კი უნარის განვითარების მოცემულ სინამდვილეს, თავის მხრივ, განვითარების ახალი შესაძლებლობები გაუჩნდა, რომლებიც ასევე მისი შესაბამისი ვარჯიშებით, უნარის განვითარების სინამდვილედ იქცევა და ასე უსასრულოდ.

როგორც ცნობილია, ადამიანის ფიზიკური უნარები საფუძვლად უდევს და განსაზღვრავს ამა თუ იმ სპორტის უსასრულო განვითარებას. ადამიანის ფიზიკური უნარებიდან კი გამოიყოფა ერთი ძირითადი უნარი

მოძრაობის უნარი, რომელიც ჩემი აზრით, საფუძვლად უდევს თანამედროვე სპორტს; ის ერთგვარი კომპლექსური უნარია, რომელიც თავის თავში აერთიანებს მოძრაობასთან დაკავშირებულ ყველა სხვა უნარს: ხტომის, სიარულის და სირბილის, თამაშის, ცურვის, ვარჯიშის და სხვა.

ადამიანის ფიზიკური უნარებიდან ასევე შეიძლება გამოიყოს ბრძოლის უნარი, რომელიც საფუძვლად უდევს სპორტის ისეთ სახეობებს, როგორიცაა კრივი, ჭიდაობა, ფარიკაობა და სხვა.

და ბოლოს, ადამიანის ფიზიკური უნარებიდან შესაძლებელია გამოვყოთ ე.წ. ძალის უნარი, რომელიც საფუძვლად უდევს სპორტის ისეთ სახეობას როგორიცაა ძალოსნობა.

აქა თუ იმ უნარის სპორტის სხვადასხვა საფუძვლად გამოცხადება არ ნიშნავს იმას, რომ მოცემული სპორტის სახეობა მხოლოდ და მხოლოდ ამ უნარს ემყარება. სპორტის ესა თუ ის სახე, დამყარებული ადამიანის ამა თუ იმ უნარზე, მუდამ შეიცავს თავის თავში სხვა უნარების მონაწილეობასაც, როგორც მისი არსებობისა და განვითარების საფუძველს. უნარების ცალ-ცალკე გამოყოფა პირობით ხასიათს ატარებს. არც ერთი უნარი, მისი წმინდა სახით, არ არსებობს. ასე მაგალითად, ძალის უნარი მოძრაობის უნარის გარეშე და პირიქით, მოძრაობის უნარი ძალის უნარის გარეშე და სხვა.

თუ სპორტის უსასრულო განვითარება ადამიანის უნარის უსასრულო განვითარებას ემყარება, ისმება კითხვა, როგორ არის შესაძლებელი ადამიანის უნარის უსასრულო განვითარება? ამ საკითხის ახსნას, ჩემი აზრით, აქვს თეორიული და ისტორიული ასპექტი. განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

თეორიულად იმის გასარკვევად თუ რა არის ადამიანის უსასრულო განვითარება საერთოდ, განვიხილოთ რომელიმე კონკრეტული უნარი, ვთქვათ ძალის უნარი და მის მაგალითზე ვაჩვენოთ, როგორ არის შესაძლებელი ადამიანის უნარის უსასრულო განვითარება.

პირიქუნებისათვის დამახასიათებელი ძალის უნარი, გარკვეული ვარჯიშის საფუძველზე, ყალიბდება როგორც ძალის სპორტული უნარი, რომელიც საფუძვლად უდევს ძალოსნობას, შემდეგ კი იწყება მისი განუწყვეტელი განვითარება; ეს განვითარება ძალის სპორტული უნარის გარკვეული შემაძლეობის ზრდის უშუალო პროცესია, რომლის კრიტერიუმიც სპორტსმენის მიერ აწეული კილოგრამებია.

ძალის სპორტული უნარის განვითარება კი მიმდინარეობს მისი რაოდენობრივი და თვისებრივი ცვალებადობის საფუძველზე, სადაც ძალის სპორტული უნარის რაოდენობრივი ცვალებადობა უშუალოდ ამზადებს მის თვისებრივ ცვალებადობას. განვითარების ეს პროცესი უშუალოდ ხორციელდება მისი შინაგანი წინააღმდეგობის საფუძველზე. ძალის სპორტული უნარი ადამიანთა უნარის ერთ-ერთი განსაზღვრულობაა; როგორც განსაზღვრულობას მას აუცილებლად ახასიათებს შინაგანი წინააღმდეგობა; ეს წინააღმდეგობა, ჩემი აზრით, ძალის სპორტული უნარისა და მისი გარკვეული შინაგანი მოქმედების ვარჯიშის შინაგან წინააღმდეგობათა ერთიანობაა; ისინი, როგორც უნარი და მისი მოქმედება, ერთმანეთს გამორიცხავენ, უარყოფენ, რაც მათი შინაგანი წინააღმდეგობაა, მაგრამ ისინი ასეთივე აუცილებლობით ერთმანეთსაც გულისხმობენ: ძალის სპორტული უნარი ვარჯიშს გულისხმობს და ვარჯიში ძალის სპორტულ უნარს, რაც მათს ერთიანობას

შეადგენს.

მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, ძალის სპორტული უნარის ეს წინააღმდეგობა უშუალოდ მოგვცემდა მის განვითარებას; ძალის სპორტული უნარის წინააღმდეგობამ განვითარება რომ მოგვცეს, ადამიანი მას უნდა დაეძყაროს და შეგნებულად გამოიყენოს ის თავის სპორტულ პრაქტიკაში.

ძალის სპორტული უნარი და მისი შესაბამისი ვარჯიში აუცილებელ ურთიერთობებში იმყოფებიან: ძალის სპორტული უნარის შესაბამისი ვარჯიში ძალის სპორტული უნარის განვითარებას იწვევს, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, მისი შესაბამისი ვარჯიშის განვითარებას. ვარჯიშისა და ძალის სპორტული უნარების ეს ურთიერთქმედება, როგორც რეალური კანონზომიერი პროცესი, რომელიც ადამიანის შეგნებული მოღვაწეობით ხორციელდება, არსად და არასოდეს არ წყდება და, მაშასადამე, ძალის სპორტული უნარი უსასრულოდ ვითარდება.

ამგვარად, პიროვნების სპორტული უნარები, როგორც სპორტის არსებობისა და განვითარების საფუძვლები, თვით სპორტული უნარისა და ვარჯიშის ურთიერთმოქმედების საფუძველზე რაოდენობრივად და თვისებრივად უსასრულოდ ვითარდებიან და მის საფუძველზე, უსასრულოა სპორტის განვითარებაც.

სპორტის უსასრულო განვითარება შესაძლებელია დასაბუთდეს ლოგიკურადაც; დიალექტიკის მიხედვით, სინამდვილის საგანი და მოვლენა უსასრულო განვითარების პროცესში იმყოფება. პიროვნების სპორტული უნარები და თვით სპორტიც გარკვეული სახის სინამდვილეს წარმოადგენენ. მაშასადამე, ისინიც უსასრულო განვითარების პროცესში იმყოფებიან.

მეორე მხრივ, თვით სპორტის ისტორიული განვითარების მუდამ უწყვეტი, ზეაღმავალი პროცესი წარმოგვიდგება როგორც სპორტის უსასრულო განვითარების ფაქტიური მაჩვენებელი. მოცემული დებულების დასაბუთებისათვის განვიხილოთ მძლეოსნური სპორტის განვითარება სიმაღლეზე ხტომის და ჭოკით ხტომის მაგალითზე.

როგორც ცნობილია, სიმაღლეზე ხტომის რეკორდი 1896 წელს იყო 1,81[51]; შემდგომ რეკორდები განუწყვეტლივ ვითარდებოდა და შემდგომ მიაღწია 2,03[52]; 1960 წლისათვის მან მიაღწია 2,16[53] 1968 წელს კი -2,24[54]; 1988 წელს კი სიმაღლეზე ხტომის რეკორდის ზღვარმა მიაღწია - 2,43[55]-ს.

---

51 რეკორდი დამყარებულ იქნა ამერიკელი სპორტსმენის ე. კლარკის მიერ 1896 წელს, ათენში

52 რეკორდი დამყარებულ იქნა ამერიკელი სპორტსმენის კ. ჯონსონის მიერ, 1936 წელს, ბერლინში

53 რეკორდი დამყარებულ იქნა ქართველი სპორტსმენის რ. შავლაყაძის მიერ, 1961 წელს, რომში.

54 რეკორდი დამყარებულ იქნა ამერიკელი სპორტსმენის რ. ფოსბერის მიერ, მექსიკოში 1968 წელს

55 რეკორდი დამყარებულ იქნა 1988 წელს კუბელი სპორტსმენის ხალიერ სოტომაიორის მიერ, პავანაში.

ასევე ჭოცით ხტომაში რეკორდების პროგრესი 1910 წლიდან 1988 წლამდე გაიხარდა 3,93-დან[56] 5,90[57] მეტრამდე.

- მოყვანილი რეკორდები გვაჩვენებს, რომ სპორტის განვითარება ისტორიულად უწყვეტი პროცესია, რაც იმას ნიშნავს რომ ის უსასრულო პროცესია.

მოცემული რეკორდების პროგრესი გვიჩვენებს, რომ პიროვნების სპორტული განვითარების შესაძლებლობა განუსაზღვრელია; მართალია, ყოველ მოცემულ რეკორდში იგი განსაზღვრული და დასრულებულია, მისი უშუალო ისტორიული განხორციელების სახით, მაგრამ იგი ასევე განუსაზღვრელი და დასრულებულია ამ განხორციელებაში ახალი შესაძლებლობების წარმოშობით, ამ შესაძლებლობების ისევ განხორციელებით, მასში ისევ ახალი შესაძლებლობების გაჩენით და ასე უსასრულოდ.

სპორტის განვითარების უსასრულო პროცესი გვიჩვენებს, რომ ფილოსოფიის ცნობილი დებულება ობიექტი ქმნის მის შესაფერის და შესაბამის სუბიექტს, საყსებით რეალურად ხორციელდება სპორტში. სპორტი როგორც ობიექტი, ყოველი მოცემული განვითარების საფეხურზე აუცილებლობით წარმოშობდა და წარმოშობს მის შესაბამის სუბიექტებს, სპორტსმენ-რეკორდსმენების სახით, რომელთაც მისი განვითარება ახალ თვისებრივ საფეხურზე აჰყავთ; ასევე განვითარების ახალ თვისებრივ საფეხურზე მდგომი სპორტი შემდგომ, თავის კიდევ ახალი განვითარებისათვის, კვლავ ახალ სუბიექტებს შექმნის, რომლებიც მას განავითარებენ და ასე უსასრულოდ.

ამგვარად, სპორტის უსასრულო განვითარების პროცესი სუბიექტ-ობექტის ურთიერთმიმართებით შინაგანად განსაზღვრული აუცილებელი, ობიექტური პროცესია და ამდენად, თავისი არსებით, ამოუწურაჟი და მაშასადამე, უსასრულო პროცესი.

და ბოლოს, სიმაღლეზე ჭოკით ხტომების განვითარების განუწყვეტელი პროცესი უშუალოდ ამტკიცებს, რომ პიროვნების სპორტული უნარები და მასზე დამყარებული სპორტი მხოლოდ უსასრულო განვითარებაში და განვითარებით არსებობს. მოცემული რეკორდების პროგრესიდან შინაგანად გამომდინარე მაღალ სპორტულ მიღწევებში ჩანს არა მხოლოდ ადამიანების უნარების რეალური ფენომენალური შედეგი, არამედ ამ უნართა უსასრულო განვითარების შესაძლებლობაც: რამდენადაც მოცემულ შედეგში, ობიექტურად მოცემულია მასზე უფრო მაღალი შედეგის წარმოშობის ობიექტური ტენდენცია, რომელიც თავის განხორციელებაში მასზე უფრო მაღალი შედეგის წარმოშობის ტენდენციას წარმოშობს და ასე უსასრულოდ: ე.ი. სპორტული რეკორდების მოძრაობა სასრულო შედეგებიდან უსასრულო შედეგებისაკენ

[56] რეკორდი დამყარებულ იქნა ამერიკელი სპორტსმენის სკოტის მიერ, 1910 წელს.

[57] რეკორდი დამყარებულ იქნა საბჭოთა სპორტსმენის ს. პუტკას მიერ 1988 წელს, სეულის ოლიმპიურ თამაშობებში. საკუთარი რეკორდი ს. ბუბკამ გააუმჯობესა 6,4-მდე 1991 წელს.

სპორტის ობიექტური კანონია და, ამდენად, სპორტი უსასრულოდ განვითარებადი სოციალური სისტემაა.

ამგვარად, სპორტის თეორიული და ისტორიული განვითარების მიხედვით განხილვა საფუძვლით ცხადყოფს, რომ ის უსასრულო განვითარებაში მყოფი სოციალური სისტემაა.

§ 5. პროფესიონალიზმი როგორც სპორტის შინაგანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ფორმა

არსებობს სამოყვარულო და პროფესიონალური სპორტი. ერთი სპორტის განვითარების დაბალი ფორმაა, მეორე კი მაღალი ფორმა. სპორტული პროფე-სიონალიზმი სპორტის შინაგანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი ფორმაა, რამდენადაც სპორტის ნამდვილი, ჭეშმარიტი განვითარება შეუძლებელია სპორტული პროფესიონალიზმის გარეშე. თუმცა საბჭოთა იმპერია სულ იმას ამტკიცებდა, რომ საბჭოთა სპორტი მხოლოდ და მხოლოდ სამოყვარულოა და არ არის პროფესიული, მაშინ, როდესაც ე.წ. საბჭოთა დიდი სპორტი თავიდან ბოლომდე პროფესიული იყო.

სანამ პროფესიონალიზმის როლს გავარკვევდეთ სპორტის შინაგან განვითარებაში, მანამდე თვით სპორტული პროფესიონალიზმის შესახებ საერთოდ: სპორტული პროფესიონალიზმის გარკვევისათვის აუცილებელია გაირკვეს საერთოდ პროფე-სიონალიზმის და პროფესიონალის ცნებები.

პროფესიონალიზმი ადამიანის გარკვეული სახის საქმიანობის ამსახველი ცნებაა. მაგრამ რა არის ეს „გარკვეული სახის საქმიანობა"?[58] ჯერ ერთი, არაძირითადი საქმიანობისაგან განსხვავებით, იგი არის ადამიანის ძირითადი საქმიანობა. ასე მაგალითად, ექიმი შეიძლება მონაწილეობდეს სახელმწიფოს მართვაში, მისდევდეს სპორტს, მუშაობდეს ფიზიკურად, მართავდეს ავტომანქანას და სხვა, ყველფერი ეს იქნება მისი არაძირითადი საქმიანობა; მისი ძირითადი საქმიანობა კი ექიმობაა. მეორე, იგი არის ადამიანის მუდმივი საქმიანობა, ხელობა თუ სპეციალობა. ასე მაგალითად, არიან მუშები, რომლებიც ხან მტკიცითავად მუშაობენ, ხან მშენებლებად, ხან კი გზის შემკეთებლებად და სხვა, მათგან განსხვავებით არიან ე.წ. მუდმივი საქმიანობის თუ სპეციალობის მქონე მუშები: მეტალურგები, ჩარხმშენებლები, მემონტაჟეები, მქსოველები და სხვა, რომლებიც პროფესიონალ მუშებს წარმოადგენენ. მესამე, ეს „გარკვეული სახის საქმიანობა" როგორც ადამიანის ძირითადი და მუდმივი საქმიანობა, აუცილებლობით გულისხმობს მოცემული საქმის ღრმა ცოდნას, მისი კეთება-შესრულების მაღალ დაოსტატებას; ასე მაგალითად, პროფესიონალი მხატვარი საქმის კეთების დიდი ხელოვანი და დიდოსტატია. მეოთხე, იგი არის მისი შემოსავლების და არსებობის ერთადერთი წყარო. პროფესიონალი მხატვრის, ექიმის თუ მუშის შემოსავლისა და არსებობის

[58] სიტყვა „გარკვეულს" ჩვენ აქ ვხმარობთ ადამიანის ამ სახის საქმიანობის სხვა სახის საქმიანობისაგან გამოყოფის მიზნით.

ერთადერთი წყარო მათი მუდმივი საქმიანობაა. ეს ოთხი ნიშანი საქმიანობის ძირითადობა და მუდმივობა, ღრმა ცოდნა და დაოსტატება, მისი შეძოსავლისა და არსებობის ერთადერთ წყაროდ გადაქცევა, პროფესიონალიზმის აუცილებელი ნიშნებია.

მაშ, პროფესიონალიზმი რაიმე საქმის, ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შრომის ძირითად და მუდმივ ობიექტად გადაქცევის ის სპეციფიკური ფორმაა, რომელიც აუცილებლობით გულისხმობს ადამიანის მიერ მოცემული საქმის ღრმა ცოდნას და მისი კეთება-შესრულების მაღალ დახელოვნება-დაოსტატებას, ამასთან ეს საქმე ამ უკანასკნელის შემოსავლებისა და არსებობის წყაროა.

აქედან გამომდინარე პროფესია(ის წარმოდგება ლათინური სიტყვიდან profesio, რაც ნიშნავს ხელობას, საქმიანობასა და სპეციალობას), წარმოადგენს ადამიანის მუდმივ ხელობას და საქმიანობას, რომელიც სპეციალურ ცოდნას და განსაზღვრულ მომზადებას მოითხოვს. ასე მაგ., მფრინავის, მასწავლებლის, ფეიქრის და სხვა პროფესიები ადამიანის მუდმივი საქმიანობის ის სახეებია, რომლებიც მოცემული საქმიანობისადმი გარკვეულ სპეციალურ ცოდნასა და ასევე გარკვეულ მაღალ დახელოვნება-დაოსტატებას მოითხოვენ. პროფესიის ცნებიდან შინაგანად გამომდინარეობს პროფესიონალის ცნება. პროფესიონალია ის ადამიანი, რომელსაც რაიმე საქმიანობა თავის ძირითად და მუდმივ ხელობად, პროფესიად უქცევია. პროფესიონალი მუსიკოსი ის ადამიანია, რომელსაც მუსიკა თავის ძირითად, მუდმივ საქმიანობად უქცევია, ფლობს მის მაღალ სამუშაო შესრულებლო ხელოვნებას და ამასთან, ეს საქმიანობა გამხდარა მისი შემოსავლის ერთადერთ წყაროდ.

ასეთია პროფესიონალიზმისა და პროფესიონალის ცნებები ზოგადად.

ახლა შევეხოთ *სპორტულ პროფესიონალიზმს*. რა არის სპორტული პროფესიონალიზმი, უდრის კითხვას რა არის სპორტული პროფესიონალიზმის არსება? ეს უკანასკნელი კი ნიშნავს სპორტული პროფესიონალიზმის არსებითი ნიშნების გარკვევას. სპორტულ პროფესიონალიზმს ახასიათებს შემდეგი არსებითი ნიშნები:

- სპორტული პროფესიონალიზმი წარმოადგენს სპორტის გადაქცევას ადამიანის ფიზიკური და გონებრივი საქმიანობის ძირითად და მუდმივ ობიექტად, პროფესიად.

  იგი სპორტის პროფესიად გადაქცევის საფუძველზე, სპორტულ შეჯიბრებებში მაქსიმალური სპორტული შედეგების მისაღწევად, ამზადებს მაღალი სპორტული დაოსტატების, დახელოვნების პროფესიონალ სპორტსმენებს, რომლებიც მაღალ პროფესიულ მომზადებას ფლობენ არჩეული სპორტის სახეში.

  სპორტი როგორც პროფესია, ხდება სპორტსმენთა შემოსავლისა და არსებობის ერთადერთი, მთავარი წყარო.

ეს ნიშნები, ჩემი აზრით, საკმაოდ ამომწურავად წარმოგვიდგენენ სპორტული პროფესიონალიზმის არსებას. მოცემული არსებითი ნიშნების

მიხედვით, სპორტული პროფესიონალიზმი ასე შეიძლება განვასხვაოთ: *სპორტული პროფესიონალიზმი არის სპორტის გადაქცევა ადამიანის ძირითად და მუდმივ საქმიანობად, სპორტული შეჯიბრებისათვის მაღალი სპორტული დასტატების პროფესიონალი სპორტსმენების მოსამზადებლად, სადაც სპორტი ხდება სპორტსმენთა შემოსავლისა და არსებობის ერთადერთი, მთავარი წყარო.*

ახლა თვით სპორტული პროფესიონალიზმის როლისა და მნიშვნელობის შესახებ სპორტის განვითარებაში.

სპორტი მუდმივ განვითარებადი სისტემაა. ამ განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი შინაგანი ფაქტორი, სწორედ სპორტული პროფესიონალიზმია. ფილოსოფიის მიხედვით, ფორმა, საერთოდ განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, ვინაიდან განვითარება ყველგან და ყოველთვის მიმდინარეობს გარკვეული ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით. სპორტული პროფესიონალიზმი სპორტის არსებობის გარკვეული შინაგანი წესი, ფორმაა; ამიტომ ერთ-ერთი გარკვეული გადამწყვეტი ფაქტორია სპორტის შინაგან განვითარებაში:

- მხოლოდ ამ ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით ხდება მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენთა მომზადება, რომლებიც უშუალოდ განსაზღვრავენ სპორტის განვითარებას.

  მხოლოდ პროფესიონალური სპორტი ქმნის იმ ნამდვილ პირობებს და საშუალებებს, რომელიც აუცილებელია სპორტის ჭეშმარიტი განვითარებისათვის, რადგან ის ქმნის უაღრესად ფართო შესაძლებლობებს ადამიანის ფიზიკური და სულიერი უნარების განვითარებისათვის.

  სპორტსმენს მხოლოდ პროფესიულ სპორტში შეუძლია გამოავლინოს სრულყოფილად თავისი სპორტული შესაძლებლობები, რადგან პროფესიული სპორტი, თავისი არსებით, სწორედ მხოლოდ აქეთკენ არის მიმართული და მოწოდებული.

  სპორტის არსებობის პირობა მისი განუწყვეტელი განვითარებაა; სპორტის განუწყვეტელი განვითარება კი, როგორც მაღალი სპორტული შედეგების მუდმივი მიღწევა-უარყოფა, მხოლოდ და მხოლოდ პროფესიულ სპორტს შეუძლია უზრუნველყოს თვით სპორტისადმი პროფესიული დამოკიდებულების საფუძველზე.

  მაღალი სპორტული შედეგები ყოველ მოცემულ სპორტის სახეში შეუძლებელია არჩეული სპორტის სახისადმი სპორტსმენის დიდი სიყვარულის გარეშე. შეუძლებელია დიდი მოჭადრაკე იყო ჭადრაკისადმი დიდი სიყვარულის გარეშე. მაგრამ „ეს დიდი სიყვარული“ უშუალოდ დიდ სპორტულ საქმიანობაში პროფესიულ სპორტში იქმნება[59];

[59] რაც უფრო ღრმად ეუფლება სპორტსმენი მას მიერ არჩეულ სპორტს, მით უფრო ღრმავდება მისი სიყვარული სპორტის ამ არჩეული სახეობისადმი.

რადგან აქ ეუფლება სპორტსმენი დიდ სპორტს, რის საფუძველზეც ყალიბდება მისი დიდი სიყვარულიც სპორტის არჩეული სახეობისადმი, რომელიც, როგორც დიდი სპორტის აუცილებელი თანამგზავრი, ხელს უწყობს მაღალი პროფესიონალური სპორტის განვითარებას. პროფესიონალური სპორტი, როგორც სპორტსმენის მიერ არჩეული სპორტისადმი დიდი სიყვარულის წარმოშობის რეალური ფაქტორი, სპორტის განვითარების შინაგანი ფაქტორია.

და ბოლოს, პროფესიული სპორტის, როგორც გარკვეული სოციალური ინსტიტუტის ყველა ბერკეტები: სპორტსმენის ცხოვრების პირობების გაუმჯობესება, მაღალი გასამრჯელოები, სპორტულ შეჯიბრებებში მიღწეული მაღალი წარმატებებისათვის დიდი ფულადი სანქციები, საწერთნო პროცესის ჩვეულებრივზე მეტი ხნით ჩატარებისათვის გასამრჯელოს მოშატება და სხვა უშუალოდ მიმართულია სპორტში სულ უფრო და უფრო მაღალი შედეგების მოპოვებისაკენ, მისი მუდმივი, განუწყვეტელი განვითარებისაკენ.

ამგვარად, პროფესიული სპორტი, როგორც მაღალკვალიფიციური სპორტსმენის აღზრდის, მისი უმაღლესი დაოსტატების სკოლა, სპორტის შინაგანი განვითარების ერთ-ერთი აუცილებელი და უმნიშვნელოვანესი ფაქტორია.

მეთერთმეტე თავი. რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლა სპორტში

სანამ რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლას დავაბასიათებდეთ სპორტში, აუცილებელია გაირკვეს, თუ რას წარმოადგენს რაოდენობისა და თვისებრიობის ერთმანეთში გადასვლის კანონზომიერება საერთოდ; ხოლო აქ უკანასკნელის გარკვევისათვის აუცილებელია გაირკვეს რაოდენობის, თვისებრიობის ცნებები, საგნის რაოდენობრივი და თვისებრივი საზღვრები, რაოდენობრივი და თვისებრივი ცვალებადობის თავისებურებანი, ზომისა და ნაბტომის კატეგორიები და სხვა.

§ 1. რაოდენობისა და თვისებრიობის ცნებები

ფილოსოფიის მიხედვით, რაოდენობა და თვისებრიობა სინამდვილის საგანთა და მოვლენათა განსაზღვრულობებია. რაოდენობა საგნის რიცხობრივი სტრუქტურა, რიცხობრივი გარკვეულობაა. საგნის რიცხობრივ გარკვეულობაში იგულისხმება ნივთიერების გარკვეული რაოდენობა და მოცულობა. ასე მაგალითად, მცენარეთა სამყაროში ყოველი ხე, ნივთიერების გარკვეულ რაოდენობას შეიცავს და თავისი მოცულობა

აქვს. ასეევ არაორგანულ ბუნებაში ყოველი ხღვის, ოკეანის, ტბის რაოდენობრივ განსაზღვრულობებს შეადგენს წყლის ნივთიერების ის რაოდენობა, რომელსაც ისინი შეიცავენ და ის მოცულობა, რომელიც მათ უკავიათ.

საგნის რაოდენობრივი განსაზღვრულობები მხოლოდ მისი ნივთიერების რაოდენობითა და მოცულობით არ ამოიწურება. სინამდვილის, საგნის რაოდენობრივ განსაზღვრულობას ასევე განეკუთვნება სინამდვილის ერთეული საგანთა უსასრულო სიმრავლე და თვით ერთეულ საგანში მოცემული მისი მრავალი სხვადასხვა შემადგენელი ნაწილი. ასე მაგალითად, მთელი სამყაროს ერთ-ერთ რაოდენობრივ განსაზღვრულობას მის ერთეულ საგანთა განსაზღვრულობები შეადგენენ. ხის რაოდენობრივ განსაზღვრულობას სის ფესვების, შტოთა, ფოთოლთა და სხვათა რაოდენობა წარმოადგენს. ცხოველის რაოდენობრივ განსაზღვრულობას კი მისი ძვლების, კუნთების, სისხლძარღვების და სხვათა გარკვეული რაოდენობა შეადგენს.

რაოდენობაში იგულისხმება მოძრაობის რაოდენობაც. ყოველი მოძრაობა გარკვეული რაოდენობრივი სიდიდეა, რომელიც შეიძლება გადიდდეს და შემცირდეს, წყლის სითბო თუ ტემპერატურა შეიძლება გადიდდეს ან შემცირდეს და სხვ.

ასეევ რაოდენობას განეკუთვნება სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ისეთი მხარე, როგორიცაა ინტენსივობა. ინტენსივობა, როგორც რაიმეს გადიდება-გაძლიერება, რიცხობრივი სიდიდეა; მეტნაკლებლობა მისი თვისებრივი გარკვეულობაა. ამიტომ ინტენსივობა მუდამ რაიმეს რიცხობრივი მხარის გამოხატულებაა.

ასეთივეა საგანთა ისეთი მხარეც, როგორიცაა ხარისხი. ხარისხი, მისი დაბალი და მაღალი ნიშანმაჩვენებლებით, განსაზღვრული რიცხობრივი გარკვეულობაა და რაიმეს რიცხობრივ მხარეს ახასიათებს.

რაოდენობრივ განსაზღვრულობებს წარმოგვიდგენენ დრო და სივრცე. დროსა და სივრცის სასრულო და უსასრულო განსაზღვრულობები რაოდენობრივი გარკვეულობებია.

როგორც ჩანს, რაოდენობა, უწინარეს ყოვლისა, არის საგანთა და მოვლენათა რიცხობრივი განსაზღვრულობა და ამდენად, მათი ერთ-ერთი მხარე.

მოცემული განსაზღვრება გვიხასიათებს რაოდენობის ზოგად და სპეციფიკურ ნიშნებს. ზოგადი და სპეციფიკური ნიშნის მეშვეობით მოცემული განსაზღვრება ერთ-ერთ სწორ განსაზღვრებად ითვლება, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში ეს განსაზღვრება ყერ ამოწურაეს რაოდენობის არსებას. რაოდენობის ცნების სრულყოფილი განსაზღვრებისათვის აუცილებელია რაოდენობის არსებით ნიშანთა დახასიათებაც.

- რაოდენობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია მისი გარკვეულობის ობიექტური ხასიათი. იგი ობიექტურ საგანთა და მოვლენათა ობიექტური რიცხობრივი გარკვეულობაა.

რაოდენობა საგანთა და მოყალენათა ძირითადი განსაზღვრულობაცაა. იგი ძირითადია იმის გამო, რომ უშუალოდ განსაზღვრავს საგნის ყოფიერებას, რამდენადაც ის საწყისს ალევს თვით თვისებრიობას. რაოდენობა საგნის აუცილებელი განსაზღვრულობაცაა. აუცილებელი, რამდენადაც საგანი არ არსებობს მის გარეშე.

ამგვარად, რაოდენობის ზემოთ მოცემულ ნიშანთა დახასიათების შემდეგ მისი ცნება ასე შეიძლება განვსაზღვროთ: *რაოდენობა არის საგანთა და მოვლენათა ობიექტური, ძირითადი, აუცილებელი რიცხობრივი გარკვეულობა-განსაზღვრულობა.*

ახლა განვიხილოთ თვისებრიობის ცნება. თვისებრიობის ცნების გარკვევისთვის აუცილებელია გაირკვეს თვისებრიობისა და თვისების განსხვავება და მათი ურთიერთკავშირი. საგნის თვისებრიობა და თვისება არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ასე მაგალითად, ადამიანის თვისებრიობა და თვისება სრულიად სხვადასხვა რამეა. ადამიანი რომ ადამიანია, ეს მისი თვისებრიობაა, მაგრამ მას რომ სხვადასხვა ფერის კანი შეიძლება ჰქონდეს, ასევე სხვადასხვა ხასიათი, მისწრაფება, ტემპერამენტი თუ სხვა, ადამიანის თვისებებია. ისინი არ შეიძლება ერთი და იგივე იყოს, თუნდაც იმის გამო, რომ თვისებრიობა საგანში ერთია, თვისებები კი მრავალი. თუ ადამიანის თვისებრიობა არ იარსებებდა, მაშინ არც მისი თვისებები იარსებებდა და პირიქით.

თვისებრიობა და თვისება არ შეიძლება ერთმანეთს გავუიგივოთ იმ აზრითაც, რომ შეიძლება თვისებები იცვლებოდნენ, თვისებრიობა კი არა.

თვისებრიობას და თვისებას შორის შინაგანი კავშირია. რაში მდგომარეობს ეს შინაგანი კავშირი?

ის შინაგანი კავშირი მდგომარეობს იმაში, რომ თვისებები თვისებრიობის გამო-მჟღავნებაა, გამოვლენაა. ამიტომ თვისებრიობის თვისებებზე დაყვანა შეცდომაა.

თუ თვისებრიობა სრულიად განსხვავებულია თვისებისაგან, ისმება კითხვა - რა არის თვისებრიობა? თვისებრიობა არის ის რაც საგნის ერთ ბუნებას გამოხატავს. ასე მაგალითად, ის რაც ადამიანში მის ერთ ბუნებას ადამიანობას გამოხატავს ადამიანის თვისებრიობაა. აზრი რომ აზრია, ჭეშმარიტება რომ ჭეშმარიტებაა, საზოგადოება რომ საზოგადოებაა, როგორც მათი ერთი ბუნების გამომხატველი განსაზღვრულობები, თვისებრიობებია. ამ აზრით, თვისებრიობა არის ის, რომლითაც ყოველი საგანი არის ეს და არა სხვა. თვისებრიობის როგორც საგნის ბუნებასთან იგივეობრივი განსაზღვრულობა, საგნის ძირეული განსაზღვრულობაა, რადგან მისი არსებობა არ არსებობა საგნის არსებობა-არარსებობას უდრის. ასე მაგალითად, სიცოცხლის არსებობა მისი თვისებრიობის არსებობაა, სიცოცხლის თვისებრიობის უარყოფა სიცოცხლის მოსპობაა.

თვისებრიობა, როგორც საგნის ძირეული განსაზღვრულობა, საგნის არსების განსაზღვრულობაა. საგნის არსება კი მასში მოცემული ძირითადი მიმართებაა. ასე მაგალითად, კაპიტალიზმის არსება მასში მოცემული

ძირითადი მიმართება ზედმეტი ღირებულების წარმოების კანონია. კაპიტალისტური საზოგადოების ბუნება, თვისებრიობა, მისი არსების უშუალო განსაზღვრულობაა, რომელიც მიგვითითებს იმაზე, რომ კაპიტალიზმი ეს არის და არა სხვა.

ამგვარად, თვისებრიობა არის საგნის არსების განსაზღვრულობა და, ამდენად, საგნის ძირეული განსაზღვრულობა, რომლითაც ყოველი საგანი არის ეს და არა სხვა.

§ 2. რაოდენობრივი და თვისებრივი ცვალებადობის ბუნება

საგანს ორი ძირთადი მხარე აქვს: რაოდენობა და თვისებრიობა, ამიტომ საგნის ცვალებადობაც ორგვარი სახით მიმდინარეობს: რაოდენობრივად და თვისებრივად. რაოდენობრივი ცვალებადობა გარკვეულ საფეხურზე საგანს არ ცვლის. თვისებრიული ცვალებადობა კი ერთი საგნის სხვა საგნად შეცვლაა. საგნის რაოდენობრივი და თვისებრივი ცვალებადობის ბუნების გასარკვევად აუცილებელია გაირკვეს თვით საგნის რაოდენობრივი და თვისებრივი სახღვარი.

1. საგნის რაოდენობრივი და თვისებრივი საზღვარი.

ის, რომ საგანი შედგება ორი ძირითადი მხარისაგან, იმას ნიშნავს, რომ საგანს ახასიათებს რაოდენობრივი და თვისებრივი საზღვარი. რა არის საგნის რაოდენობრივი საზღვარი? ყოველი საგანი რაოდენობრივად გარკვეული სიდიდეა; და, როგორც სიდიდეს, მას აქვს სიდიდის საზღვარი - ის, სანამდეც მისი სიდიდე ვრცელდება, იმ ადგილის სიდიდის ზღვარი, რომელიც მას სივრცეში უკავია; ასე მაგალითად, *ტყის რაოდენობრივი საზღვარი ის საზღვარია, სანამდეც მისი სიდიდე, მის მიერ დაკავებული ადგილი ვრცელდება.* მაშასადამე, რაოდენობრივი საზღვარი, საგნის სიდიდის საზღვარია. თვისებრიულია ის საზღვარი, რომელიც ადგენს რაიმეს ასეთად არსებობას; მაგალითად, ტყის ტყედ, ტბის ტბად, ზღვის ზღვად არსებობას. თვისებრიული საზღვარი, რაოდენობრივი საზღვრისაგან განსხვავებით(რომელიც ერთი საგნის რაოდენობის მეორე საგნის რაოდენობისაგან გამოყოფის საზღვარია), საგანთა თვისებრივი განსხვავების, თვისებრიული გამოყოფის საზღვარია. ასე მაგალითად, სიცოცხლის თვისებრიული საზღვარი, როგორც მისი ასეთად არსებობის საზღვარი, სხვა არაცოცხალი საგნებისაგან მისი თვისებრივი განსხვავების, თვისებრიული გამოყოფის საზღვარია.

საგანთა და მოყვლენათა რაოდენობრივი და თვისებრიული საზღვრები ცვალებადია; ეს ცვალებადობა ორგვარია: შესაძლებელია საგნის რაოდენობრიული საზღვარი იცვლებოდეს ისე, რომ თვით საგნის ცვალებადობას არ იწვევდეს; ასე მაგალითად, შესაძლებელია ტბის რაოდენობრივი საზღვარი დიდებოდეს ან მცირდებოდეს[60], მაგრამ ტბა ისევ ტბად რჩებოდეს; მაგრამ შესაძლებელია მოცემული საგნის

[60] წაში წყლის ჭომატებით ან შემცირებით.

რაოდენობრივი ზღვრი, საგნის რაოდენობრივი ცვალებადობის გარკვეულ საფეხურზე, ისე დიდდებოდეს რომ ის თვისებრიულად ახალი საგნის ზღვრით იცვლებოდეს. ასე მაგალითად, ტბაში წყლის რაოდენობის მომატების გარკვეულ საფეხურზე, ტბის რაოდენობრივი ზღვარი ზღვის რაოდენობრივი ზღვრით შეიცვალოს, ასევე თვისებრივი ზღვარიც შეიძლება იცვლებოდეს თვით ზღვრის ზიგნით და მის გარეთ; როცა მოცემული თვისებრიული ზღვრის შიგნით ახალი ზღვარი ჩნდება, ეს იქნება თვისებრიული ზღვრის ცვალებადობა მის შიგნით; ასე მაგალითად თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმის შეცვლა თანამედროვე კაპიტალიზმით, მოახლოების კაპიტალიზმის, როგორც ზღვრის შიგნით ახალი თვისებრიული ზღვრის გაჩენას თავისუფალი კონკურენციის კაპიტალიზმისა და თანამედროვე კაპიტალიზმს შორის. რაც შეეხება თვისებრივი ზღვრის ცვალებადობას მის გარეთ, ეს ნიშნავს ერთი თვისებრივი ზღვრის მეორე თვისებრივი ზღვრით შეცვლას. ასე მაგალითად, ფეოდალური ზოგადოებიდან კაპიტალისტური ზოგადოების წარმოშობა, ფეოდალური ზოგადოების თვისებრივი ზღვრის კაპიტალისტური ზოგადოების თვისებრივი ზღვრით შეცვლა.

2. რაოდენობრივი ცვალებადობის ბუნება.

რაოდენობრივი ცვალებადობა, თანდათანობით, უწყვეტი, ევოლუციური ხასიათის ცვალებადობაა. ასე მაგალითად, წყლის გათბობის დროს მისი ტემპერატურის ზრდა ხორციელდება თანდათან, უწყვეტად ერთი გრადუსიდან ას გრადუსამდე, ისე რომ არ შეიძლება ერთი გრადუსის გამოტოვება. ასევე ნატურალური რიცხვის, როგორც რაოდენობის, ზრდა ხორციელდება თანდათან და უწყვეტად: რიცხვ 1-ს მოსდევს რიცხვი 2, რიცხვ 2-ს რიცხვი 3 და ასე შემდეგ უსასრულოდ ხორციელდება რიცხვის თანდათან და უწყვეტად ზრდა. მაგრამ რაოდენობრივი ცვალებადობა მისი ცვალებადობის გარკვეულ საფეხურზე უშუალოდ ამზადებს თვისებრივ ცვალებადობას.

3. თვისებრივი ცვალებადობის ბუნება.

თვისებრივი ცვალებადობა არის თანდათანობით გაწყვეტა და ახლებურად, ერთი საგნის, თავისი შინაგანი ბუნებით, მეორე საგნად შეცვლა, ერთი საგნის მეორეში გადასვლა. ასე მაგალითად, რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე ჟანგბადი თანდათანობით კი არ ხდება ოზონი, არამედ იგი(როგორც ჟანგბადის ორ ატომს მიემატება ერთი) უცბად იქცევა ოზონად. თვისებრივი ცვალებადობა ხორციელდება ნახტომისებურად. ასე მაგალითად, როცა ჟანგბადი, რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე ოზონში გადადის, ამ გადასვლაში ჩვენ არა გვაქვს საშუალო თვისებრიობა, რომლითაც ეს გადასვლა ხორციელდება, არამედ ჟანგბადი ნახტომისებურად გადადის მისგან თვისებრივად განსხვავებულ ოზონში. ასევე მოსაზომელობელური ზოგადოება ნახტომისებურად გადადის ფეოდალურ ზოგადოებაში.

ამგვარად, რაოდენობრივი ცვალებადობა თანდათანობით, უწყვეტი, ევოლუციური ხასიათისაა, თვისებრიული კი წყვეტილი, ნახტომისებრი,

რეაოლუციური ხასიათის ცვალებადობაა. თვისებრივი ცვალებადობა უშუალოდ მიზადება და ხორციელდება რაოდენობრივი ცვალებადობის საფუძველზე.

ახლა იმის შესახებ, თუ როგორ ხდება რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლა.

§ 3. რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლა

გარკვეული კანონზომიერება, ხორციელდება თვით რაოდენობრივი ცვალებადობის საფუძველზე. ამ გადასვლის კანონზომიერების ნათელსაყოფად განვიხილოთ საყოველთაოდ ცნობილი წყლის რაოდენობრივი ცვალებადობის მაგალითი, თუ წყალს გაუათბობთ მაშინ მოხდება რაოდენობრივი ცვალებადობა გაიზრდება წყლის მოლეკულების მოძრაობის სიჩქარე: 100 გრადუს წყლის ტემპერატურაზე, წყლის მოლეკულების მოძრაობის სიჩქარე ისეთ ზღვრულ დონეს აღწევს, რომ წყალი იწყებს ორთქლში(ახალ თვისებრიობაში) გადასვლას[61]. ახლა, თუ ორთქლში მოლეკულების მოძრაობის სიჩქარეს შეუამცირებთ იმით, რომ ორთქლს გაუაცივებ !!! გრადუს ტემპერატურამდე, მისგან მიიღებთ წყალს, ხოლო თუ წყლის ტემპერატურას თანდათან შეუამცირებთ, წყლის მოლეკულების მოძრაობის სიჩქარე შემცირდება და 0 გრადუს ტემპერატურაზე წყალი ყინულში გადავა. მაშ, სრულიად ნათელია, უბრალოდ რაოდენობრივი ცვალებადობით წყლის მოლეკულების მოძრაობის სიჩქარის თანდათანობით ზრდით, წყალი ორთქლში გადადის, ხოლო ორთქლში ასევე მოლეკულების მოძრაობის სიჩქარის შემცირება, რომელიც ასევე ორთქლის ტემპერატურის შემცირებით ხორციელდება, იწვევს ორთქლის წყალში გადასვლას, ხოლო წყალი, ასევე მისი მოლეკულური სიჩქარის შემცირებით 0 გრადუს ტემპერატურაზე გადადის ყინულში.

მოცემული მაგალითები გვიჩვენებს რაოდენობა რაოდენობრივი ცვალებადობის გარკვეულ საფეხურზე როგორ გადადის თვისებრიობაში. მაგრამ რაოდენობის თვისებრიობაში ეს გადასვლა, აბაკუ დროს, თვისებრიობის რაოდენობაში გადასვლაცაა. და ეს გადასვლა მდგომარეობს იმაში, რომ წყალი, ორთქლი, ყინული, როგორც გარკვეული სახის თვისებრიობები, უშუალოდ გულისხმობენ მოლეკულების მოძრაობის სიჩქარის გარკვეულ რაოდენობას; ამ აზრით, წყალი, ორთქლი, ყინული მათ შესაბამის და მათ განსაზღვრელ რაოდენობაში გადადიან.

მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ჟანგბადისა და ოზონის ნივთიერებებში. ჟანგბადის ორი ატომის შეერთება იძლევა გარკვეული სახის ნივთიერებას ჟანგბადის ნივთიერებას; თუ იგივე ჟანგბადის ორ ატომს დაეუშატებთ ჟანგბადის ერთ ატომს, ჟანგბადის ნივთიერების

[61] მართალია. წყალი და ორთქლი, თავისი შედგენილობით ერთი და იგივეა (ორივე H_2O საგან შედგება) მაგრამ ისინი თვისებრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მათში მოქმედი კანონების მიხედვით.

რაოდენობრიული სახღვარი შეიცვლება და მიაღწევთ ახალ რაოდენობას (რაოდენობრივად სამ ატომს), რომელიც ქმნის ჟანგბადისაგან თვისებრივად განსხვავებულ ახალ ნივთიერებას ოზონს. ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლას და, ამავე დროს, თვისებრიობის რაოდენობაში გადასვლასაც; ჟანგბადის ნივთიერებაში ჟანგბადის თვისებრიობა უშუალოდ გადადის ჟანგბადის ორი ატომის რაოდენობაში, ოზონის ნივთიერებაში კი ოზონის თვისებრიობა უშუალოდ გადადის ჟანგბადის სამი ატომის რაოდენობაში.

◆ ზომა. გარკვეული რაოდენობისა და გარკვეული თვისებრიობის აუცილებელი კავშირი არის ზომა. ჟანგბადის ნივთიერებაში გარკვეული რაოდენობა (ჟანგბადის ორი ატომი) თვითონ ქმნის გარკვეულ თვისებრიობას - ჟანგბადის ნივთიერების თვისებრიობას; ეს თვისებრიობა კი, ამდენად, გარკვეულ რაოდენობას (ჟანგბადის ორ ატომს) აუცილებლობით გულისხმობს.

ამ აზრით, ყოველი საგანი არის ზომა. ჟანგბადი არის გარკვეული რაოდენობისა (ჟანგბადის ორი ატომი) და გარკვეული თვისებრიობის ერთიანობა.

◆ საგნის რაოდენობრივი ცვალებადობის გარკვეულ საფეხურზე მისგან თვისებრიულად განსხვავებული საგნის წარმოშობა არის ნახტომი. სინამდვილის ყველა სფეროში - ბუნებაში, საზოგადოებასა და აზროვნებაში თვისებრივი განვითარება მიმდინარეობს ნახტომის ფორმით.

§ 4. რაოდენობრივ და თვისებრივ განსაზღვრულობათა შესახებ სპორტში

სპორტი, როგორც სოციალური სისტემა, განსაზღვრულია როგორც რაოდენობ-რიულად, ასევე თვისებრივადაც. სპორტის რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზ-ღვრულობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ ორგვარი აზრით:

- რაოდენობრივ და თვისებრივ განსაზღვრულობათა შესახებ სპორტში საერთოდ;
  სპორტის რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობების შესახებ სპორტის რომელიმე სახის მიხედვით.

◆ რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობების შესახებ სპორტში საერთოდ

სპორტის საერთო რაოდენობრივი გარკვეულობებია:

სპორტში დასაქმებულ სპორტსმენთა გარკვეული რიცხვი. სპორტი რომ არსებობდეს, აუცილებელია სპორტსმენთა გარკვეული რიცხვი. სპორტსმენთა გარკვეული რიცხვი, როგორც სპორტის ერთ-ერთი რაოდენობრივი გარკვეულობა, სპორტის არსებობის აუცილებელი

პირობაა.

- ასევე სპორტისათვის აუცილებელ ერთ-ერთ რაოდენობრივ განსაზღვრულობას გარეკუთხება აგრეთვე, ე.წ. სპორტის ცალკეული სახეები, როგორც ერთიანი სპორტის სხვადასხვა სტრუქტურა.
  სპორტის რაოდენობრივ განსაზღვრულობებს მიეკუთვნება ყველა სახის სპორტული შეჯიბრებები, დაწყებული ცალკეული ქვეყნის შეჯიბრებებით და ჩემპიონატებით, დამთავრებული სხვადასხვა სახის საერთაშორისო შეჯიბრებებით, ჩემპიონატებით, ოლიმპიური თამაშობებით.
  სპორტის რაოდენობრივი განსაზღვრულობებია ის კრიტერიუმებიც, რომლებითაც იზომება სპორტული შედეგები: წუთები, წამები, კილოგრამები, მეტრები და აგრეთვე სპორტული მოქმედების შემსრულებლობის დონე და ხარისხი;
  სპორტის რაოდენობრივ განსაზღვრულობებს წარმოადგენენ ასევე ყველა სახის სპორტული მიღწევები, შედეგები და რეკორდები;
  სპორტის რაოდენობრივ განსაზღვრულობებს შეადგენს ასევე მწვრთნელთა არჩია სპორტის სხვადასხვა სახეებში;
  სპორტის რაოდენობრივ განსაზღვრულოებებს შეადგენენ, ე.წ. სპორტული კოლექტივები და სპორტული სახოგადოებები;
  შემდეგ, სპორტის რაოდენობრივ განსაზღვრულოებებს განეკუთვნებიან მეცნიერ-მუშაკებიც, სპეციალური კვლევითი ინსტიტუტებითა და ლაბორატორიებით;
  სპორტის რაოდენობრივ განსაზღვრულობებს განეკუთვნება ასევე. სპორტული სტადიონები, ბაზები, კომპლექსები, აუზები და სხვა სახის სპორტული ნაგებობები, მაიმი მოსახერე მთელი პერსონალით;
  სპორტის რაოდენობრივ განსაზღვრულობებს მიეკუთნებიან აგრეთვე ექიმები, ფსიქოლოგები, მენეჯრები, სპონსორები და კიდევ სხვა კატეგორიის ადამიანები, რომლებიც ხელს უწყობენ სპორტული საქმიანობის წარმატებით წარმართვის საქმეს;
  და ბოლოს, სპორტის რაოდენობრივ განსაზღვრულობებს წარმოადგენენ, ე.წ სპორტის მართვისა და ხელმძღვანელობის ორგანოები, მმართველი და ხელმძღვანელ ადამიანებითურთ.

ასეთია ძირითადად, ჩემი აზრით, სპორტის რაოდენობრივი განსაზღვრულობები საერთოდ.

სპორტის მოცემულ რაოდენობრივ განსაზღვრულობათა ერთი მთლიანი ორგანიზაციით უშუალოდ იქმნება თვით ამ რაოდენობის გამომხატველი, მაგრამ მისგან სრულიად განსხვავებული, ახალი განსაზღვრულობა სპორტის თვისებრიობა, რომლითაც იგი სწორედ ეს არის, ე.ი. სპორტია და არა სხვა. მაშასადამე, სპორტი არის გარკვეული ზომა. როგორც ზომა, ის არის გარკვეული რაოდენობისა და გარკვეული თვისებრიობის აუცილებელი კავშირი. ეს აუცილებელი კავშირი იმაშია, რომ სპორტის გარკვეული რაოდენობა უშალოდ მის გარკვეულ თვისებრიობაში გამოიხატება; ეს უკანასკნელი კი აუცილებლობით მის განსაზღვრელ რაოდენობას გულისხმობს. ეს

აუცილებელი კაეშირი, როგორც მათი ურთიერთგანსაზღვრა, მათი ურთიერთგადასვლაა.

სპორტს თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი საზღვრები აქვს. სპორტს როგორც დროსა და სივრცეში გაშლილ ადამიანურ მოქმედებას, თავისი გარკვეული სიდიდე, მოცულობა აქვს და, მაშასადამე, გარკვეული ადგილი უკავია; ის, სანამდეც მისი გარკვეული სიდიდე, მოცულობა ვრცელდება, არის მისი რაოდენობრივი საზღვარი, რომლითაც ის რაოდენობრივად გამოყოფილია სხვა სოციალური სისტემებისაგან. სპორტის თვისებრივი საზღვარი კი არკვევს, რომ სპორტი ეს არის და არა სხვა, რომლითაც ის თვისებრივად გამოიყოფა სხვა სოციალური საგნებისა და მოვლენებისაგან.

◆ სპორტის რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულოების შესახებ. (ფეხბურთის და ჭადრაკის მაგალითზე)

1. ფეხბურთის რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობების შესახებ.

ფეხბურთის რაოდენობრიული განსაზღვრულობებია:

- ფეხბურთელ სპორტსმენთა გარკვეული რიცხვი;
- ფეხბურთის ყველა სახის კოლექტივების რაოდენობა;
- მწვრთნელები, მათი განსაზღვრული რაოდენობა;
- ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც ფეხბურთელ სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას ემსახურებიან;

  სხვადასხვა მოცულობისა და დანიშნულების სტადიონები;

  სათამაშო დრო;

  ის სპეციფიკური მოძრაობები და მოქმედებები, რომლებსაც ფეხბურთი როგორც სპორტი შეიცავს;

  სხვადასხვა სახისა და დონის საფეხბურთო შეჯიბრებები;

  თამაშის შესრულებლობის გარკვეული დონე და ხარისხი და მათი განსაზღვრისა და შეფასების კრიტერიუმები;

  თვით სხვადასხვა სახის მიღწევები და გამარჯვებები;

  ექიმები, მენეჯერები, და სხვა გარკვეული საქმიანობის ადამიანები;

  ფეხბურთის მართვისა და ხელმძღვანელობის ორგანოები.

რა შეადგენს ფეხბურთის თვისებრივ განსაზღვრულობას?

ფეხბურთს თავისი შინაგანი სტრუქტურა, შინაგანი ორგანიზაცია გააჩნია, რაც უშუალოდ დგინდება როგორც მისი ერთიანი გარკვეული განსაზღვრულობა, გარკვეული ბუნება, რომელიც გვასწავლებს, რომ იგი სწორედ ეს არის და არა სხვა. ფეხბურთის ეს ერთიანი განსაზღვრულობა, ბუნება არის სწორედ მისი თვისებრიობა. რამდენადაც ფეხბურთის თვისებრიობა ფეხბურთის ბუნებას გამოხატავს, ფეხბურთის ბუნებასთან იგიგეობრიული განსაზღვრულობაა, ამიტომ ის მისი ძირეული განსაზღვრულობაა.

ფეხბურთის თვისებრიობა არ შეიძლება გავუიგივოთ მის თვისებებს, იმიტომ რომ ფეხბურთის თვისებები მეტად მრავალია, თვისებრიობა კი ერთი. მაგრამ ამასთან ისინი შეუძლებელია ერთმანეთს მოვწყვიტოთ. ფეხბურთის თვისებები არ არსებობს მისი თვისებრიობის გარეშე და პირიქით; ასე

მაგალითად, ფეხბურთის ისეთი თვისებები, როგორიცაა სისწრაფე, მოხერხებულობა, ამტანობა, ძალა, ხტომის უნარი, ნებისყოფის სიმტკიცე, გამარჯვებისადმი სწრაფვა, თამაშის ოსტატობა, ურთიერთდახმარება, კოლექტივურობა, მეგობრობა, შეტევა, დაცვა და სხვა და სხვა, ცხადია, არ არსებობენ მისი ერთიანი განსაზღვრულობის თვისებრიობის გარეშე და პირიქით, ფეხბურთის თვისებები მისი თვისებრიობის გამოულენის ფორმებს წარმოადგენენ, თვისებრიობა კი მათ არსებას, ე.ი. ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან როგორც არსება და მოყლენა. ფეხბურთის თვისებრიობა მის თვისებებში ყლინდება, ხოლო ეს უკანასკნელნი თვისებრიობის გამოულინებებს წარმოადგენენ.

ამგვარად, ფეხბურთის თვისებრიობა არის ფეხბურთის ბუნება, მისი ძირეული განსაზღვრულობა, ის, რითაც ფეხბურთი ფეხბურთია და არა სხვა.

ფეხბურთის რაოდენობა და თვისებრიობა არ არსებობენ ერთმანეთის გარეშე: ისინი ერთმანეთის არსებობას განსაზღვრავენ და მხოლოდ მათს ერთიანობაში არსებობენ. ფეხბურთის რაოდენობის შინაგანი ორგანიზაცია, რომელიც საბოლოო ჯამში, წარმოგვიდგება, როგორც ფეხბურთის არსება, უშუალოდ ქმნის იმას, რასაც ფეხბურთის თვისებრიობა წარმოადგენს. ამდენად ფეხბურთი გარკვეულ ზომას გარკვეული რაოდენობისა და გარკვეული თვისებრიობის ერთიანობას წარმოადგენს, სადაც გარკვეული რაოდენობა გარკვეულ თვისებრიობას გამოხატავს, ხოლო გარკვეული თვისებრიობა აუცილებლობით გარკვეულ რაოდენობას გულისხმობს.

ამგვარად, ფეხბურთი თავის თავში მოიცავს ორ არსებითად განსხვავებულ განსაზღვრულობას: რაოდენობასა და თვისებრიობას, რომლებიც ერთმანეთს განსაზღვრავენ და ერთმანეთის არსებობას ადგენენ.

ასეთია ფეხბურთის რაოდენობრივი და თვისებრივ განსახღვრულობათა ურთიერთკავშირი.

ფეხბურთს თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი საზღვრები აქვს. რა არის ფეხბურთის რაოდენობრივი საზღვარი? ფეხბურთის რაოდენობრივი მახასიათებლებიდან გამომდინარე, ფეხბურთი რაოდენობრივად გარკვეული სიდიდეა. ეს გარკვეული სიდიდე არის მისი რაოდენობრივი საზღვარი, რომლითაც ის წარმოგვიდგება როგორც გარკვეულ დროსა და სივრცეში მიმდინარე პროცესი.

ფეხბურთის თვისებრივი საზღვარი აჩვენებს, რომ ფეხბურთი სწორედ ეს არის და არა სხვა, ე.ი. ის არის ფეხბურთის თვისებრიობა მისი გარკვეული საზღვრით.

ფეხბურთის რაოდენობრივი და თვისებრივი საზღვარი გარკვეულ აუცილებელ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან: ფეხბურთის რაოდენობრივი საზღვარი შინაგანი აუცილებლობით მის თვისებრივ საზღვარს გულისხმობს და პირიქით, თვისებრივი საზღვარი ასეთივე აუცილებლობით რაოდენობრივ საზღვარს.

2. ჭადრაკის რაოდენობრივ და თვისებრივ განსაზღვრულობათა შესახებ.

რამდენადაც ჭადრაკი არსებითად მის პარტიაშია წარმოდგენილი, ამდენად, ჭადრაკის რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების დახასიათებას ჩვენ არსებითად მისი პარტიის რაოდენობრივი და თვისებრივი მხარეების დახასიათებით შემოვიფარგლებით.

- ჭადრაკის პარტიის ერთ-ერთ რაოდენობრივ განსაზღვრულობას შეადგენს გარკვეული სივრცე, სამოცდაოთხუჯრიანი საჭადრაკო დაფა. ჭადრაკის პარტიის მეორე რაოდენობრივი განსაზღვრულობაა ფიგურები და პაიკები, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ერთმანეთის თანატოლი თეთრი და შავი ფიგურებისა და პაიკების სახით; თეთრები: რვა ფიგურა რვა პაიკით; ასევე შავები: რვა ფიგურა რვა პაიკით; ეს ფიგურებია: ეტლი, მხედარი, კუ, ლაშქარი, მეფე.

  ჭადრაკის პარტიის მესამე არსებითი რაოდენობრივი განსაზღვრულობაა ორი სპორტსმენი თუ ორი სპორტული კოლექტივი, რომლებიც თავის მხრივ, წარმოგვიდგებიან როგორც გარკვეული თვისებრიობანი.

  ასევე ჭადრაკის პარტიის რაოდენობრივ განსაზღვრულობას შეადგენს გარკვეული სათამაშო დრო.

  ჭადრაკის პარტიის რაოდენობას განეკუთვნება აგრეთვე საჭადრაკო სკოლებიც, როგორც გარკვეული სახის მოძრაობანი და მოქმედებანი საჭადრაკო პარტიის სივრცეზე საჭადრაკო დაფაზე.

  და ბოლოს, ჭადრაკის პარტიის ერთ-ერთ რაოდენობრივ განსაზღვრულობას განეკუთვნება ასევე მისთვის აუცილებელი მსაჯთა გარკვეული რაოდენობა.

  ყველაფერი ეს ერთად აღებული, ჩემი აზრით, შეადგენს ჭადრაკის პარტიის რაოდენობრივ განსაზღვრულობებს.

ახლა თვით ჭადრაკის პარტიის თვისებრივი განსაზღვრულობების შესახებ.

ჭადრაკის პარტიის ზემოგანსილული რაოდენობრივ განსაზღვრულობათა შინაგანი, ობიექტური მიმართება, წარმოგვიდგება, როგორც ჭადრაკის პარტიის შინაგანი სტრუქტურა, შინაგანი ორგანიზაცია. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ჭადრაკის პარტიის არსების წარმოადგენს. ამგვარად, ჭადრაკის პარტიის არსებას შეადგენს განსაზღვრულ დროში, განსაზღვრულ სივრცეზე სხვადასხვა ფუნქციების მქონე თექვსმეტ-თექვსმეტი ფიგურის მეშვეობით ორი სპორტსმენი, თუ ორი სპორტული კოლექტივის სათამაშო ბრძოლა გამარჯვებისათვის მოწინააღმდეგის მეფის დასამაძათებლად, მსაჯთა გარკვეული ჯგუფის ზედამხედველობით და კონტროლით.

ჭადრაკის პარტიის რაოდენობრივ განსაზღვრულობათა ერთიანობის ეს გარკვეული შინაგანი სტრუქტურა, შინაგანი ორგანიზაცია, როგორც ჭადრაკის პარტიის არსება, უშუალოდ დგინდება როგორც მისი ერთიანი გარკვეული განსაზღვრულობა, გარკვეული ბუნება, რომელიც გვიჩვენებს, რომ იგი სწორედ ეს არის და არა სხვა; ჭადრაკის პარტიის შინაგანი ორგანიზაციით წარმომდგარი ეს ერთიანი განსაზღვრულობა, ბუნება არის, სწორედ, მისი თვისებრიობა. ჭადრაკის პარტიის თვისებრიობა, როგორც მისი

არსების განსაზღვრულობა, ჭადრაკის პარტიის ძირეული განსაზღვრულობაა.

ჭადრაკის პარტიის თვისებრიობა არ შეიძლება გაეიგივეოთ მის თვისებებთან, რადგან ჭადრაკის პარტიის თვისებები მეტად მრავალია, მისი თვისებრიობა კი ერთია. მაგრამ ასევე შეუძლებელია ისინი ერთმანეთს მოვწყვიტოთ. ჭადრაკის პარტიის თვისებები არ არსებობენ მისი თვისებრიობის გარეშე, ხოლო ეს უკანასკნელი თვისებების გარეშე. ასე მაგალითად, ჭადრაკის პარტიის ისეთი თვისებები, როგორიცაა: შეტევა, დაცვა, პოზიციური თამაში, ფიგურების სწრაფი განვითარება, სხვადასხვა სახის თავდასხმები და კომბინაციები და სხვა, ცხადია, არ არსებობენ მისი ერთიანი განსაზღვრულობის თვისებრიობის გარეშე და პირიქით, ჭადრაკის პარტიის თვისებები მისი თვისებრიობის გამოვლინების ფორმებს წარმოადგენენ, თვისებრიობა კი მის არსებას, ე.ი. ჭადრაკის პარტიის თვისებრიობა და თვისება ერთმანეთთან დაკავშირებულია როგორც არსება და მოვლენა.

ჭადრაკის პარტიას აქვს თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი საზღვრები. ჭადრაკის პარტიის რაოდენობრივი საზღვარი სივრცეში მის შიერ დაკავებული ადგილის საზღვარია, ე.წ. გარკვეული სიდიდის საზღვარი. თვისებრივი საზღვარი კი მისი ასეთად და არა სხვაგვარად არსებობის საზღვარია, როგორც სხვა მოვლენებისაგან მისი თვისებრივი განსხვავების საზღვარი. ჭადრაკის პარტიის რაოდენობრივი და თვისებრივი საზღვრები ერთმანეთს განსაზღვრავენ და ერთმანეთში და ერთმანეთთან არსებობენ.

ასეთია ჭადრაკის პარტიის რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობები.

§ 5. რაოდენობის თვისებრიობაში და თვისებრიობის რაოდენობაში გადასვლა სპორტში

თუ მთელი სპორტი და მისი მოვლენები გარკვეული რაოდენობისა და თვისებრიობის ერთიანობას ზომას წარმოადგენენ, ეს იმას ნიშნავს რომ სპორტში აუცილებლობით მოქმედებს რაოდენობის თვისებრიობაში და თვისებრიობის რაოდენობაში ურთიერთგადასვლის კანონზომიერება. განვიხილოთ ეს კანონზომიერება ჯერ ისევ ჭადრაკის პარტიის მაგალითზე.

თავდაპირველად მიდით გავარკვიოთ რა შეადგენს ჭადრაკის პარტიის რაოდენობრივ და თვისებრივ ცვლილებებს.

ჭადრაკის პარტიის რაოდენობრივ ცვლილებებს მიეკუთვნება, ერთის მხრივ, ჭადრაკის პაიკებისა და ფიგურების სვლები, როგორც მათი მოძრაობები საჭადრაკო სივრცეზე, ამ სვლათა და მოძრაობათა ერთობლიობა. მეორე მხრივ, მასში იგულისხმება ჭადრაკის პაიკებისა და ფიგურების რაოდენობის შემცირება ან ჭადრაკის ფიგურების რაოდენობის გადიდება საჭადრაკო დაფაზე. პაიკებისა და ფიგურების რაოდენობრივი შემცირება ხორციელდება, ე.წ. გაცვლების, კომბინაციური შეწირვების და სხვათა სახით. ფიგურების რაოდენობრივ შომატებას კი დაფაზე მაშინ აქვს ადგილი, როცა თეთრი

პაიკი მიაღწეულს დაფის შე-8 ჰორიზონტალს და ამის საფუძველზე გადაიქცეული გარეგნულ ფიგურად: ლაზიერად, ეტლად, კუდ. მხედრად; საჭადრაკო დაფაზე პირიცების, როგორც სათამაშო მდგომარეობის, თანდათან გაუარესება ან გაუმჯობესება და ამით საჭადრაკო მოძრაობის სიერცის გაფართოება ან შეკიდულება; ფიგურათა ურიერთმოქმედების თანდათანობით ზრდა და სხვა.

ჭადრაკის პარტიის თვისებრივ ცვლილებებს კი, ჩემი აზრით, ერთი მხრივ, განეკუთვნება ახალი თვისებრივი გარეგნულობების წარმოქმნა საჭადრაკო პარტიის მსვლელობაში; ეს გარეგნულობებია: სრულიად გამოკვეთილი, ფორსირებული, ერთი მხარისათვის მისაგები მდგომარეობის წარმოქმნა დაფაზე; მატერიალური უპირატესობების მოპოვება, ე.წ. თვით საჭადრაკო პარტიის სტადიები: დებიუტი, მიტელშპილი, ენდშპილი, რომლებიც ჭადრაკის პარტიის განვითარების თვისებრივად განსხვავებული სტადიები. და ბოლოს, ჭადრაკის პარტიის თვისებრივ გარეგნულობას შეადგენს, ე.წ. მოწინააღმდეგის მეფის დატყვევება, დაშაშათება, რომელიც ყოველი საჭადრაკო პარტიის მიზანი და შინაარსია. მეორე მხრივ, ჩემი აზრით, ჭადრაკის პარტიის თვისებრივ ცვლილებებს განეკუთვნება ასევე, ე.წ. პაიკების სხვა ფიგურებად გადაქცევების გარეგნულობებიც.

განვიხილოთ ჭადრაკის პარტიის ცალკეული თვისებრივი განსაზღვრულობები ცალ-ცალკე.

- სრულიად გამოკვეთილი, ფორსირებული ერთი მხარისათვის წასაგები და მეორე მხარისათვის მოსაგები მდგომარეობის წარმოქმნა საჭადრაკო დაფაზე. ასეთ მდგომარეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს პარტიის საშუალო სტადიაში: დებიუტში, მიტელშპილიში, ენდშპილში; მაგრამ ჭადრაკის პარტიის ეს თვისებრივი მდგომარეობა, როგორც ღრმად მოფიქრებული და შორს გათვლილი ჭადრაკის გარკვეული რაოდენობის სვლათა უშუალო განსაზღვრულობა, თავისი არსით, რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლაა; ღრმად ჩაფიქრებული და შორს გათვლილი ჭადრაკის პარტიის სვლების გარკვეულმა რაოდენობამ[62] უშუალოდ მოგვცა გარკვეული თვისებრიობა სრულიად გამოკვეთილი, ფორსირებული ერთი მხარისათვის წასაგები და მეორე მხარისათვის მოსაგები მდგომარეობა. კი. ჭადრაკის სვლათა გარკვეული რაოდენობა მისგან განსხვავებულ თვისებრიობად დაიგვინდა: ეს დადგენა სწორედ არის ის. რასაც ეწოდება რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლა. მაგრამ რაოდენობის თვისებრიობაში ეს გადასვლა, იმავდროულად თვისებრიობის რაოდენობაში გადასვლაცაა, რამდენადაც ამ გადასვლაში თვისებრიობაც გარკვეულ რაოდენობად დგინდება.

  მაშ, ჭადრაკის პარტიაში წარმოქმნილი სრულიად გამოკვეთილი, ფორსირებული ერთი მხარისათვის წასაგები და მეორე მხარისათვის მოსაგები მდგომარეობა, რომელიც ჭადრაკის პარტიის თვისებრიეი

[62] სვლათა ეს მეტ-ნაკლები რაოდენობა უშუალოდ დამოკიდებულია სიტუაციაზე. მაგრამ ყველგან და ყოველთვის ეს რაოდენობა მუდამ გარკვეული სიდიდეა.

გარკვეულობა, გარკვეული თვისებრიობის და რაოდენობის ერთიანობას - ზომას წარმოადგენს.

- მატერიალური უპირატესობების მოპოვება.

მატერიალური უპირატესობების მოპოვება საჭადრაკო დაფაზე, რომელსაც ახორციელებს ერთი მოწინააღმდეგე მეორის მიმართ, ხდება არა ერთბაშად, არამედ თანდათან, ჯერ პოზიციური უპირატესობის თანდათან ზრდის და გამოკვეთის საფუძველზე, შემდეგ საჭადრაკო სელების გარკვეული რაოდენობის საფეხურზე მოწინააღმდეგე ვარდება გამოუვალ მდგომარეობაში, როცა ის, ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე, მატერიალურ ზარალს განიცდის, რაც ჩვენი აზრით გარკვეული თვისებრივი საფეხურია ჭადრაკის პარტიის მსვლელობაში. მატერიალური უპირატესობის მოპოვება მოწინააღმდეგეზე, როგორც საჭადრაკო პარტიის განვითარების თვისებრივი საფეხური, რაოდენობრივი ცვლილებების(სვლების გარკვეული რაოდენობის) გარკვეულ საფეხურზე წარმოიქმნება, როგორც ამ ცვლილებების უშუალო გამოხატულება; ეს წარმოქმნა, როგორც რაოდენობრივი ცვლილებების მატერიალური უპირატესობის მოპოვების თვისებრივ ცვლილებებად დადგენა, არის, სწორედ, რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლა. მაგრამ, ამავე დროს, ეს პროცესი, იმავდროულად გარკვეული თვისებრიობის, გარკვეულ რაოდენობად დადგენის პროცესიცაა. ამ აზრით, მოცემული თვისებრიობაც (მატერიალური უპირატესობის მოპოვება) გადადის რაოდენობაში.

ამგვარად, მატერიალური უპირატესობის მოპოვება ჭადრაკის პარტიაში, როგორც ჭადრაკის პარტიის ერთ-ერთი თვისებრივი განსაზღვრულობა, გარკვეულ ზომას წარმოადგენს.

- ჭადრაკის პარტიის სტადიები: დებიუტი, მიტელშპილი, ენდშპილი, როგორც ჭადრაკის პარტიის განვითარების თვისებრივად განსხვავებული სტადიები.

როგორც ცნობილია, საჭადრაკო პარტიის განვითარების საწყისი სტადიაა: დებიუტი. დებიუტი სვლათა გარკვეული რაოდენობის საფუძველზე იქმნება. ორი თუ ოთხი სვლა თეორიულად ექვსი სვლაც, გაკეთებული საჭადრაკო პარტიაში, ჯერ კიდევ ვერ ქმნის დებიუტის, როგორც დებიუტის, თვისებრივ გარკვეულობას. მაგრამ საკმარისია გაკეთდეს დაახლოებით 10-15 სვლა, რომ შეიქმნას საჭადრაკო პარტიის განსაზღვრული სტადია დებიუტი. მაშასადამე, დებიუტი, გარკვეული რაოდენობის -10-15 სვლის საფუძველზე წარმოიქმნება, რაც იმას ნიშნავს რომ რაოდენობა გადადის თვისებრიობაში. იმავდროულად თვისებრიობაც (როგორც დებიუტის თვისებრიობა) გადადის რაოდენობაში, ვინაიდან იგი წარმოდგენილია როგორც გარკვეულ სვლათა -10-15 სვლათა რაოდენობა. ამგვარად, დებიუტი ჭადრაკის პარტიის ერთ-ერთი თვისებრივად გამოყოფილი სტადიაა, რომელიც ასევე რაოდენობრივი ცვლილებების მეშვეობით (სვლათა გარკვეული რაოდენობის მეშვეობით) გადადის მისგან თვისებრივად განსხვავებულ სტადიაში მიტელშპილში.

მიტელშპილი დებუიუტისაგან თვისებრივად განსხვავებული სტადიაა. დებიუტის არსი ფიგურების სწრაფი განვითარება, მათი ისეთ უკრებზე

განლაგებაა, სადაც მაო შესაძლებლობა ექნებათ ჩაებან ბრძოლაში მაქსიმალური წარმატებით, ე.ი. გადამწყვეტი ბრძოლისათვის ფიგურაა გარკვეული მომზადება და მობილიზაციაა. მიტელშპილი კი პარტიის განვითარების ცენტრალური სტადიაა, სადაც შებრძოლ მხარეთა შორის დიდძალ მობილიზებულ ფიგურათა ბრძოლა ჩაღდება, მისიის მთავარი დამახასიათებელია შეფეთა პასიური როლი და მუქარის შექმნა იმ უბნებზე სადაც მეფეა განლაგებული. დებიუტის ამოცანებია, ფიგურების განვითარებასთან ერთად ცენტრის დაპყრობაც; მიტელშპილში, როდესაც ცენტრის მდგომარეობა მიიღებს რაღაც კონკრეტულ მოხაზულობას (ე.წ. დებიუტის მეშვეობით), საწინააღმდეგო მხარეები უკვე ქმნიან გეგმებს მობილიზებული მზადყოფნაში მყოფი ფიგურების მოქმედებისათვის. აქ ხდება პოზიციური, კომბინაციური ბრძოლის ურთიერთშეხამება. ყველა ეს ნიშანი მიტელშპილის ნიშნებია, ნიშნები, რომლითაც ის გამოყოფილია დებიუტისაგან, როგორც მისგან თვისებრივად გამოყოფილი სტადია.

როგორც ცნობილია, დებიუტიდან მიტელშპილზე გადასვლის ზუსტად, მკვეთრად მოხაზული საზღვრის დადგენა, საზღვრისა, რომლითაც შეიძლება გვეთქვა, აი, აქ მთავრდება დებიუტი და შემდეგ იწყება მიტელშპილი, საერთოდ ძალიან ძნელია, რადგან ისინი ერთმანეთთან მეტისმეტად მჭიდროდ არიან დაკავშირებული: დებიუტში მიტელშპილის ჩანასახებია მოცემული. ხოლო მიტელშპილი ასევე დებიუტის გარკვეული შესახვაცაა. მაგრამ ასევე რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე, ე.ი. როცა შემდეგ გარკვეული რაოდენობის ყლები კეთდება, იწყება დებიუტის რაოდენობრივი საზღვრის გადალახვა; ცხადია, ეს ყლები, გარკვეულ საფეხურამდე, თავიდანვე მკვეთრად გამოსახული სახით მიეტლშპილის, როგორც პარტიის განვითარების ახალ, თვისებრივ საფეხურს ჯერ კიდევ ვერ ქმნიან, თუმცა გარკვევით მიუთითებენ პარტიის სხვა მიმართულებაზე; მაგრამ რა წამს დებიუტის რაოდენობრივი საზღვრის თანდათანობით გადალახვისას გაკეთდება დაახლოებით 10-12 ყლა[63], უკვე ყალიბდება პარტიის ახალი სტადია მიტელშპილი, ზემოთ დახასიათებული მისი ძირითადი ნიშნებით. მიტელშპილის ჩამოყალიბება კი, თავისი არსით, სწორედ რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლას, ან რაც იგივეა, ერთი თვისებრიობიდან მეორე თვისებრიობის წარმოშობას წარმოადგენს. გარკვეულმა რაოდენობამ გარკვეული თვისებრიობა წარმოშვა, ე.ი. გარკვეული რაოდენობა გადავიდა გარკვეულ თვისებრიობაში და, ამასთან, გარკვეული თვისებრიობაც, როგორც გარკვეული რაოდენობის გამოხატულება, ასევე გარკვეულ რაოდენობაში გადავიდა. იქმნება რაოდენობისა და თვისებრიობის ახალი ერთიანობა ახალი ზომა: ეს კი არის ნახტომი დებიუტიდან მიტელშპილში.

რაც შეეხება მიტელშპილის რაოდენობრივი გარკვეულობის ზუსტად დადგენას, ეს, ჩემი აზრით, საერთოდ შეუძლებელია, რამდენადაც ის სხვადასხვა პარტიაში სხვადასხვაა. ეს ერთი მხრივ, მეორე მხრივ, იმის

[63] ყლათა ეს კონკრეტული რაოდენობა პარტიაზეა დამოკიდებული.

გამოც, რომ პასში, როგორც ითქვა მოხსნილი სახით შემონახულია დებიუტის რაოდენობრივი გარკვეულობაც. მაგრამ ყველა ეს რიდი ნიშნავს იმას, რომ მიტელშპილი გარკვეული რაოდენობის გარეშეა. მართალია ეს რაოდენობა სხვადასხვა პარტიაში, შესაძლებელია სხვადასხვა იყოს, მაგრამ ის ყველგან და ყოველთვის წარმოდგენილია მხოლოდ და მხოლოდ როგორც გარკვეულ სვლათა რაოდენობა, რომლითაც, სწორედ, გარკვეული თვისებრიობა, როგორც მიტელშპილი, ყალიბდება. ამ აზრით მიტელშპილი მუდამ მხოლოდ გარკვეული რაოდენობის გამოხატულებაა, სხვაგვარად მისი თვისებრიობა ვერ იარსებებდა.

ამგვარად, საჭადრაკო პარტიაში უბრალოდ რაოდენობრივ ცვლილებებს პარტიის ერთი სტადია - დებიუტის სტადია, უშუალოდ გადაჰყავს მისგან განსხვავებულ ახალ სტადიაში მიტელშპილის სტადიაში; მაგრამ მიტელშპილში ჭადრაკის პარტიისათვის დამახასიათებელი რაოდენობრივი ცვლილებები არ წყდება და ამ ცვლილებების საფუძველზე დაფიდან, სარბიელიდან ქრება ფიგურები; პარტია მარტივდება; საგრძნობლად იზრდება მეფეთა და პაიკთა როლი; მეფე აქტიურად ებმება ბრძოლაში, მატულობს თითოეული პაიკის ღირებულება; ე.ი. მიტელშპილის დასკვნით ეტაპზე თანდათან იკვეთება ენდშპილის კონტურები; ენდშპილისათვის დამახასიათებელია ფიგურების შეღარებით მცირე რაოდენობის არსებობა საჭადრაკო დაფაზე. მეფეებზე პირდაპირი იერიშების შესაძლებლობის არ არსებობა და ამის საფუძველზე მეფეთა აქტიური ჩაბმა ბრძოლაში, პაიკების როლისა და ღირებულების საგრძნობი ზრდა; ყველა ამ ძირითადი ნიშნის შეშველობით ენდშპილი წარმოგვიდგება როგორც პარტიის მიტელშპილისაგან თვისებრივად განსხვავებული სტადია. მაგრამ კონკრეტულად როგორ ხდება ამ სტადიის ჩამოყალიბება. რა თქმა უნდა, რაოდენობრივი ცვლილებები საფუძველზე; ეს ცვლილებებია: ერთი მხრივ, გარკვეულ სვლათა რაოდენობა, მეორე მხრივ, ამ სვლების საფუძველზე ფიგურათა რაოდენობის შეცვლა, მათი რიცხობრიობის შემცირება დაფაზე.

ცხადია, ამ სვლათა რაოდენობის ზუსტი განსაზღვრა, რომელსაც მიტელშპილიდან ენდშპილისაკენ მიეყვეართ, ერთობ ძნელია, მაგრა მე ვფიქრობ, ამ სვლათა დაახლოებით საჭარაუდო რაოდენობა 16-18 სვლას უნდა შეადგენდეს, რომლის დროსაც ფიგურების გარკვეული რაოდენობა და, შესაძლებელია, მთელი ფიგურებიც, პაიკის ან პაიკების გამოკლებით, ტოვებენ საბრძოლო სივრცეს.

მაშასადამე, ენდშპილი, როგორც საჭადრაკო პარტიის განვითარების თვისებრივად განსაზღვრული ბოლო სტადია, შინაგანი აუცილებლობით წარმოიშობა გარკვეულ რაოდენობრივ ცვლილებათა საფუძველზე ერთის მხრივ, სვლათა გარკვეული რიცხობრიობისა და ჭადრაკის ფიგურების რაოდენობრივი შემცირების საფუძველზე საჭადრაკო დაფაზე. მაშ მიტელშპილიდან ენდშპილისაკენ გადასვლა, თავისი არსებით, არის გარკვეული რაოდენობის გადასვლა გარკვეულ თვისებრიობაში და, ამასთან, მისი შებრუნებული პროცესიც გარკვეული თვისებრიობის

გადასვლა გარკვეულ რაოდენობაში. ამასთან, ეს წარმოშობა თვისებრივი ნახტომია მიტელშპილიდან ენდშპილისაკენ, რადგან ამ უკანასკნელში გვაქვს რაოდენობისა და თვისებრიობის სრულიად ახალი ერთიანობა ახალი ზომა.

ამგვარად, რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე ჭადრაკის პარტიის თვისებრიობად განსხვავებული სტადიები: დებიუტი მიტელშპილში და ეს უკანასკნელი ენდშპილში გადადის.

- მოწინააღმდეგის მეფის დატყვევება რომ ერთ-ერთი ძირეული, თვისებრივი ცვლილებაა ჭადრაკის პარტიაში. ჩვენი აზრით, სადაყო არ უნდა იყოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჭადრაკის ყოველი პარტიის ერთადერთი მიზანი მეფის დატყვევებაა. მეორე, ეს დატყვევება ჭადრაკის პარტიის დამთავრებაცაა; ამიტომ ის ჭადრაკის პარტიის ერთ-ერთი ძირეული განსაზღვრულობაა. ეს ძირეული განსახღვრულობა, ჭადრაკის პარტიის რომელ სტადიაშიც არ უნდა იყოს ის, უდავოდ გარკვეული რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე საჭადრაკო სვლების გარკვეული რაოდენობის საფეხურზე ხორციელდება. ეს რაოდენობა არ შეიძლება იყოს 2 ან 3 თუ 5, მაგრამ, იგი ყველგან და ყოველთვის გარკვეული სვლების რაოდენობას აუცილებლობით გულისხმობს. მართალია, ეს „გარკვეული სვლები" სტანდარტულად არ შეიძლება განისაზღვროს, რამდენადაც ის სხვადასხვა პარტიაში სხვადასხვაა, მაგრამ ფაქტია, რომ ის ხორციელდება სხვადასხვა რაოდენობის სვლათა საფუძველზე. ეს სხვადასხვა რაოდენობის სვლები არსებითად მის ზოგადობაში ის „გარკვეული რაოდენო-ბის" სვლებია, რომელიც აუცილებელია მოწინააღმდეგის მეფის დასატყვევებლად. ამიტომ შეფის დატყვევება, როგორც გარკვეული თვისებრიობა, გარკვეული რაოდენობის საფუძველზე წარმოიშობა; ეს კი იმას ნიშნავს, რომ რაოდენობა გადადის თვისებრიობაში. მაგრამ რაოდენობის მიერ თვისებრიობის შექმნა იმასაც ნიშნავს, რომ გარკვეული თვისებრიობა გარკვეულ რაოდენობას აუცილებლობით გულისხმობს, ეს კი თვისებრიობის (შეფის დატყვევების, როგორც გარკვეულობის) რაოდენობაში (გარკვეული სვლების რაოდენობაში) გადასყლაა.

მაშ, შეფის დატყვევება, როგორც თვისებრივი გარკვეულობა, გარკვეული რაოდენობისა და თვისებრიობის აუცილებელი ერთიანობაა.

ასევე რაოდენობრივი და თვისებრივი ცვლილებების ურთიერთში გადასვლას გამოხატავს, ე.წ. გამსვლელი პაიკების მოძრაობა. გამსველელი პაიკების მოძრაობაში თანდათან გროვდება რაოდენობრივი ცვლილებები (ე.ი. სვლათა გარკვეული რაოდენობა), რომლებიც მისი დაგრეგების გარკვეულ საფეხურზე იწვევენ თვისებრივ ცვლილებებს. ასე მაგალითად, თეორი პაიკი, რომელიც მოძრაობს მისი საწყისი პოზიციიდან, თანამიმდევრულად გაივლის მე- 3, 4, 5, 6, პორიზონტალებს. ასევე შავი პაიკი რომელიც მოძრაობს მისი საწყისი პოზიციიდან, თანამიმდევრულად გაივლის მე-6,5,4,3,2 პორიზონტალებს;

ეს ხუთ-ხუთი სელა თვითეულისათვის ჯერ კიდევ არ არის საკმარისი პაიკის, როგორც პაიკის, მისგან თვისებრივად განსხვაებული ფიგურად გადაქცევისათვის. მაგრამ საკმარისია ზემოთ დასახელებულ ხუთ-ხუთ სელას მიეშატოს კიდევ ერთი სელა თეთრი პაიკისთვის, მე-8 პორიზონტალზე. შავი პაიკისათვის კი 1 პორიზონტალზე, რაც ფაქტიურად იქნება თეთრი პაიკის გასვლა მე-8 პორიზონტალზე, შავი პაიკის გასვლა კი 1 პორიზონტალზე, რომ პაიკისაგან მიეღოთ მისგან თვისებრივად განსხვაებული ფიგურა, მხედარი იქნება ეს თუ კუ, ეტლი თუ ლაშქერი. როგორც ჩანს, რაოდენობამ (პაიკის სელათა გარკვეულმა რაოდენობამ) მოგვცა ახალი თვისებრიობა: პაიკი მისგან სრულიად თვისებრივად განსხვაებულ ფიგურად გადაიქცა, ე.ი. რაოდენობა გადავიდა თვისებრიობაში; მაგრამ რაოდენობის გადასვლა თვისებრიობაში, ამავე დროს, წარმოადგენს თვისებრიობის გადასვლასაც რაოდენობაში. მოცემულ შემთხვევაში ახლად გაცოცხლებული ფიგურა წარმოგვიდგება როგორც ზომა, ე.ი. როგორც გარკვეული რაოდენობისა (ექვსი საჭადრაკო სელისა) და თვისებრიობის ერთიანობა. ეს ერთიანობა იმაშია, რომ გარკვეული რაოდენობა (ექვსი სელა) გარკვეულ თვისებრიობას გვაძლევს, გარკვეული თვისებრიობა კი გარკვეულ რაოდენობას გულისხმობს, როგორც მისი გარკვეულობის საფუძველს. ამ აზრით, მოცემულ შემთხვევაში, არა მხოლოდ რაოდენობა გადადის თვისებრიობაში (ექვსი სელა ფიგურის გარკვეულობაში) არამედ პირიქითაც, თვისებრიობაც (ფიგურის გარკვეულობაც) გადადის რაოდენობაში(ექვსი სელის რიცხობრივ გარკვეულობაში).

და ბოლოს, თუ ჭადრაკის პარტიის სტადიებს თვით ჭადრაკის პარტიის მიმართ განვისილავთ, ერთი მხრივ, ეს ურთიერთდამოკიდებულება შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც გარკვეული რაოდენობისა (პარტიის საში სტადია) და თვისებრიობის ამ სტადიათა შინაგანი გარკვეულობის, ერთიანობა. ეს ერთიანობა მდგომარეობს იმაში, რომ რაოდენობა გადადის თვისებრიობაში და პირიქით - თვისებრიობა - რაოდენობაში. პარტიის საში სტადია, როგორც რაოდენობა, პარტიის ერთიან გარკვეულობაში, მის თვისებრიობაში გადადის, პარტიის თავისებრიობა კი მისსავე რაოდენობრივ განსაზღვრულობაში (პარტიის საში სტადია). ასევე, მეორე მხრივ, ჭადრაკის პარტია, მის მთლიანობაში, შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც მისი გარკვეული რაოდენობის სელათა და გარკვეული თვისებრიობის, როგორც ამ სელათა შინაგანი გარკვეულობის, ერთიანობა, სადაც ისინი ერთმანეთში გადადიან. ამდენად, ჭადრაკის პარტია წარმოგვიდგება, როგორც გარკვეული ზომა.

ჭადრაკის პარტია, როგორც ზომა, თავის თავში შეიცავს ორ არსებითად განსხვაებულ განსაზღვრულობას: რაოდენობასა და თვისებრიობას. ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ. არსებითად განსხვაებულთა და ურთიერთუარყოფა-გამორიცხვა არის, სწორედ ჭადრაკის პარტიის შინაგანი წინააღმდეგობა: შინაგანი,

რამდენადაც ის მოცემულია ჭადრაკის პარტიის შიგნით: წინააღმდეგობა, რამდენადაც ისინი ჭადრაკის პარტიის ურთიერთ-უარმყოფელი მხარეებია.

მაგრამ რაოდენობა და თვისებრიობა, როგორც ჭადრაკის პარტიის არსებითად განსხვავებული მხარეები, არა მხოლოდ ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ, არამედ ერთმანეთის არსებობასაც ადგენენ. ჭადრაკის პარტიის რაოდენობრივი განსაზღვრულობა უშუალოდ ადგენს ჭადრაკის პარტიის თვისებრიობას, როგორც ამ რაოდენობის უშუალო შინაგან განსაზღვრულობას, როგორც ამ რაოდენობის თვისებრიობას და პირიქით, ამ რაოდენობას იმდენად შეუძლია არსებობა, რამდენადაც იგი გარკვეული თვისებრიობის რაოდენობაა. მაშასადამე, ჭადრაკის პარტია წარმოგვიდგება არა მხოლოდ როგორც წინააღმდეგობა, არამედ როგორც წინააღმდეგობის ერთიანობაც.

ასეთია რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლის კანონზომიერება ჭადრაკში, როგორც სპორტში.

რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლა სპორტში ასევე შესაძლებელია ნათელყოთ, ე.წ. სპორტული ფორმის წარმოქმნის მაგალითზე. სპორტული ფორმა სპორტსმენის გარკვეული თვისებრივი წადგომარეობაა სპორტული სრულყოფის აქა თუ იმ საფეხურზე. ის არის „...სპორტსმენის სპორტული შედეგების მიღწევისადმი ოპტიმალური (საუკეთესო) მზადყოფნის მდგომარეობა, რომელიც მიიღწევა გარკვეულ პირობებში წვრთნის ყოველი დიდ ციკლში (წლიური ან ნახევარწლიური ტიპის)"[64]. იგი სპორტსმენის ფიზიკური, ფსიქიკური, სპორტული-ტექნიკური და ტაქტიკურ მხარეთა აუცილებელი ერთიანობაა. როგორც ვნახეთ, ფილოსოფიის მისეული, ყოველი თვისებრივი გარკვეულობა რაოდენობრივი ცვლილებების, რაოდენობრივი გარკვეულობების საფუძველზე წარმოიშობა და არსებობს. ასევე სპორტსმენის სპორტული ფორმაც, როგორც მისი თვისებრივი გარკვეულობა, იქმნება რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე. განვიხილოთ ეს პროცესი ძალოსნობაში წლიური ან ნახევარწლიური წვრთნის ციკლის მიხედვით. სპორტსმენ-ძალოსნის შეჯიბრებისათვის მზადება აუცილებლობით გულისხმობს მის ფიზიკურ მხარეთა გარკვეულ განვითარებას, რომელიც უშუალოდ ხორციელდება წლიური ან ნახევარწლიური წვრთნის ციკლში, შემდეგი ძირითადი საშუალებებით: ე.წ. კლასიკური ვარჯიშები სპორტსმენ-ძალოსნის ცალკეულ კუნთთა ჯგუფების განვითარებისა და ტექნიკის სრულყოფისათვის. ამასთან ერთად, გამოიყენება დამხმარე სპეციალური და ზოგადგანმავითარებელი ვარჯიშებიც.

ძალოსნის სპეციალური მომზადება და სპეციალური დატვირთვა: სპორტსმენის თვიური დატვირთვა უმჩატეს. მჩატე, ქვეშსუბუქი კატეგორიებისათვის შეიძლება აღწევდეს 100-120 ტონას, მსუბუქი და

[64] ლ.მატვეევი. სპორტული წვრთნის საფუძვლები, თბილისი, 1987 წ., გვ.310

ქვესამუალო კატეგორიისათვის 120-140 ტონას; საშუალო და ქვემძიმე კატეგორიებისათვის - 140-160 ტონას და მძიმე კატეგორიებისათვის - 160-170 ტონას; აწევათა თვიური დატვირთვის მოცულობა კი შესაძლებელია ცვალებადობდეს პოსაიზადებელ თვეში 750-დან 1500-მდე, საშეჯიბრო თვეში კი 650-ადან 750-მდე.

ე.წ. იზომეტრული და დათმობითი ხასიათის ვარჯიშები, რომლებიც გამოიყენებიან ცალკეულ კუსთა ჯგუფებზე ლოკალური გაელენისათვის.

მოცემულ სამუალებათა საფუძველზე ჯერ თანდათანობით, რაოდენობრივად ხდება ძალოსნის ძალისა და სისწრაფის უნარის განვითარება და შემდგომ მისი განვითარების განსაზღვრულ საფუძველზე, გარკვეული რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვების საფუძველზე, უმუალოდ ყალიბდება ძალის, სისწრაფის ახალი, თვისებრივი განსაზღვრულობანი"[65], რომლებიც სპორტული ფორმის აუცილებელ ელემენტებს შეადგენენ.

მაგრამ ძალოსნის სპორტული ფორმა მხოლოდ მისი ფიზიკური მხარით არ ამოიწურება. ის ასევე აუცილებლობით გულისხმობს მის ფსიქიკურ მხარესაც, ე.ი. საშეჯიბრო სიტუაციის სრულ შესატყვის ფსიქიკურ განწყობას, ნებელობით მზადყოფნას, ემოციურ მდგრადობას და ინტელექტუალურ მომზადებას.

სპორტული ფორმა შეუძლებელია ამ ნიშანთა გარეშე.

სპორტსმენ-ძალოსნის ფსიქიკური მომზადება არ არის მისი ფიზიკური მომ-ზადებისაგან დამოუკიდებელი პროცესი. იგი ამ უკანასკნელში შინაგანად ჩართული, მისი უმუალო მოთხოვნებით განსაზღვრული პროცესია. ამიტომ სპორტსმენ-ძალოსნის ფსიქიკური მომზადება სპეციალიზებულ სახეობას ატარებს. ეს სპეციალიზებული ხასიათი, ჯერ-ერთი, მდგომარეობს იმაში, რომ იგი ძალოსნის და არა სხვა რომელიმე სახის სპორტსმენის ფსიქიკური მომზადებაა, მეორე იმაში, რომ ის გარკვეულ უახლეს მიზანს, ამოცანას დაქვემდებარებული მოქმედებაა. ძალოსნის ფსიქიკურ მომზადებაში გადამწყვეტი ფაქტორია შეჯიბრებაში რა მიღწევისათვის ვამზადებთ მას. თუ ძალოსანს ვამზადებთ, ვთქვათ, ევროპის ჩემპიონობისათვის, აქის შესაბამისად მწვრთნელი განსაზღვრავს მის ფიზიკურ დატვირთვებს და ყოველივე იმას, რაც აუცილებელია მოცემულ შეჯიბრებაში მისი ოპტიმალური ფიზიკური მზადყოფნისათვის. მაგრამ, ამასთან, მთელ საწყრთნო ციკლის პროცესში მწვრთნელი ასევე გამუდმებით ეწევა ძალოსნის ფსიქიკურ მომზადებასაც, რაც ნიშნავს შეჯიბრებისათვის მისი სრული ფსიქიკური მზადყოფნის მდგომარეობას: თანდათან ვითარდება საშეჯიბრო მიღწევის შესატყვისი განწყობები, ნებელობა, მიზანსწრაფვა, ინიციატივიანობა, თავდაჭერილობა, დაჟინებულობა, სიმტკიცე და სხვა, ფსიქიკური მდგრადობა - საკუთარი თავის ოპტიმალური ფლობის უნარი: მაღალი დაძაბულობის და ფსიქიკური მდგომარეობის მაქსიმალური რეგულირება; ასევე ადგილი აქვს ძალოსნის ინტელექტუალურ მომზადებასაც, რომელიც გულისხმობს მოელი სპორტული საქმიანობისა და მასთან დაკავშირებული მოულენების და პროცესების ინტელექტუალური შესაძლებლობების

[65] ცხადია, ახალი თვისებრივი განსაზღვრულობანი გარკვეული მოცემული პერიოდისათვის, ვინაიდან შემდეგ მოცემული თვისებრივი განვითარება ისევ რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე. ახალ თვისებრივ ცვალებადობაში გადადის და ასე უსასრულოდ.

განვითარების გაარჩევას.

ძალოსნის მთელი ფსიქიკური მომზადების განვითარება ხდება არა ერთბაშად, არამედ თანდათან, რაოდენობრივად ყველა მის ძირითად კომპონენტში განწყობებში, ნებელობაში, ფსიქიკური მდგომარეობის ჩამოყალიბებაში და ინტელექტუალურ მომზადებაში და მათი რაოდენობრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე ისინი მოცემული შეჯიბრებისათვის აუცილებელ გარკვეულ თვისებრივ განსაზღვრულობებად ყალიბდებიან.

ასე ყალიბდება, რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე, ძალოსნის ფსიქიკური მომზადება, როგორც მისი სპორტული ფორმის ერთ-ერთი ძირითადი განსაზღვრულობა.

მაგრამ ძალოსნის სპორტული ფორმა არც მხოლოდ ფიზიკური, არც მხოლოდ ფსიქიკური მომზადებით არ ამოიწურება. იგი, ამასთან, აუცილებლობით გულისხმობს სპორტულ-ტექნიკურ მომზადებასაც, რომელიც ძალოსნის მიერ ძალოსნობისათვის დამახასიათებელ მოძრაობათა ტექნიკის მაღალოსტატური დაუფლებისა და სრულყოფის, ძველი ტექნიკის გარდაქმნისა და ახალი ტექნიკის ჩამოყალიბების განუწყვეტელი პროცესია; მისი მთავარი ამოცანაა ტექნიკური დაოსტატების საფუძველზე ძალოსნის მაქსიმალური შესაძლებლობების გამოვლენა შეჯიბრებაში. ამიტომ სპორტულ-ტექნიკური მომზადება ხანგრძლივ დროს მოითხოვს და იგი ხორციელდება წვრთნის ყოველი დიდი ციკლის (წლიური და ნახევარწლიური ტიპის) პირობებში. მაგრამ სპორტული ფორმის და სხვა კომპონენტების მსგავსად, ძალოსნის სპორტულ-ტექნიკური მომზადება ხორციელდება არა ერთბაშად, არამედ თანდათან, თანდათანობით რაოდენობრივი ცვლილებების შეჯამებით, რომელიც ამ ცვლილებების გარკვეულ საფეხურზე ყალიბდება გარკვეულ თვისებრიობად, როგორც რომელიმე სახის შეჯიბრებისათვის ძალოსნის სპორტულ-ტექნიკური მომზადების ახალი თვისებრივი ფორმა.

მაგრამ ვერც სპორტულ-ტექნიკური მომზადება ამოწურავს ძალოსნის სპორტულ ფორმას. მის აუცილებელ კომპონენტს, სხვა კომპონენტებთან ერთად წარმოადგენს ასევე მისი ტაქტიკური მომზადება, მისი შეიარაღება შეჯიბრების პროცესში ბრძოლის წარმოების გარკვეული ხერხებით და ფორმებით; იგი გულისხმობს რაციონალური ტაქტიკის შემუშავებას მოწინააღმდეგის საფუძვლიანი ცოდნის საფუძველზე; ძალოსნის ყველა ტაქტიკური მომზადების უშუალო დაქვემდებარებას კოლექტივის ინტერესებისადმი; ძალთა სწორი განაწილებას საბოლოო მიზნის მისაღწევად; მოწინააღმდეგის ტაქტიკური გეგმის გამოცნობისა და საკუთარ განზრახვათა დაფარვის უნარს და სხვა და სხვა.

ძალოსნის ტაქტიკური მომზადება წვრთნის დიდი ციკლის პერიოდში უშუალოდ მიმდინარეობს მომზადების სხვა ფორმებთან აუცილებელ კავშირსა და დამოკიდებულებაში. იგი ჩვეულებრივ მიმდინარეობს თანდათან, რაოდენობრივი ცვლილებების ფორმით და რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვების გარკვეულ საფეხურზე ყალიბდება, როგორც ძალოსნის

ტაქტიკური მომზადების თვისებრივი გარკვეულობა, გარკვეული სახის შეჯიბრებისათვის.

ასე ყალიბდება რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე ძალოსნის სპორტული ფორმა, როგორც მისი გარკვეული თვისებრიობა; ე.ი. ძალოსნის სპორტული ფორმის ჩამოყალიბების პროცესი, თავისი არსებით, წარმოგვიდგება როგორც რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლის პროცესი. ერთი მხრივ, როგორც ვნახეთ, რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე წარმოიქმნება სპორტული ფორმის რაოდენობრივი კომპონენტები: ფიზიკური მომზადება, ფსიქიკური მომზადება, სპორტულ-ტექნიკური მომზადებდა და ტაქტიკური მომზადება. ეს რაოდენობრივი კომპონენტები კი მათს ერთიობლიობაში, თავიანთი შინაგანი ორგანიზაციით გვაძლევენ ძალოსნის სპორტულ ფორმას, როგორც გარკვეულ თვისებრიობას. ამ აზრით, რაოდენობა გადადის თვისებრიობაში, მაგრამ ასევე თვისებრიობაც, რომელიც ამ ოთხ რაოდენობრივ კომპონენტს აუცილებლობით გულისხმობს, გადადის რაოდენობაში. მაშასადამე, ძალოსნის სპორტული ფორმა, როგორც გარკვეული თვისებრიობა, გარკვეულ ზომას (გარკვეული რაოდენობისა და თვისებრიობის ერთიანობას) წარმოადგენს.

ასევე თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა, როგორც სპორტის გარკვეული სახეობა ჩემი აზრით, რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლის ერთ-ერთი მაგალითია. როგორც ცნობილია, თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომა, ხტომის ხუთი რაოდენობრივი ერთეულისაგან[66] შედგება. ეს ერთეულებია: 1. გაქანება,
2. კვრა, 3. ფრენა, 4. დახტომა და 5. გადარბენის ბოლო. ისინი როგორც ერთი ხტომის (თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომის) ერთეულები, ერთს ადგენენ. ამ აზრით, ეს ერთეულები, როგორც რიცხობრიობანი გარკვეულ თვისებრიობაში თხილამურებით ხტომის თვისებრიობაში გადადის; და პირიქით, თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომის თვისებრიობა, რამდენადაც იგი ხუთი რაოდენობრივი ერთეულის გარკვეულობაა, გადადის რაოდენობაში. მაშ, თხილამურებით ტრამპლი-ნიდან ხტომა, როგორც განსაზღვრული რაოდენობისა და თვისებრიობის ერთიანობა, გარკვეულ ერთიანობას, გარკვეულ ზომას წარმოადგენს.

ასეთია, მოკლედ, რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლის კანონზომიერება სპორტში.

---

[66] ეს ერთეულები, ცხადია, თავის მხრივ გარკვეული თვისებრიობებიცაა, მაგრამ თხილამურებით ტრამპლინიდან ხტომის მიმართ, როგორც გარკვეული თვისებრიობის მიმართ, ისინი გარკვეულ რაოდენობებს წარმოადგენენ.

მეთორმეტე თავი. დიალექტიკური უარყოფა და უარყოფის უარყოფა როგორც სპირტის განვითარების ფორმა

დიალექტიკური უარყოფის და უარყოფის უარყოფის დახასიათებისათვის სპორტში აუცილებელია ჯერ განხილულ იქნეს ცნებები: უარყოფა, დიალექტიკური უარყოფა და უარყოფის უარყოფა.

§ 1. უარყოფა, დიალექტიკური უარყოფა და უარყოფის უარყოფა

უარყოფა რამედან რამის განსხვავებულის წარმოშობაა; ასე მაგალითად, წყლიდან ყინულის წარმოშობა - ყინულის მიერ წყლის უარყოფაა, არაცოცხალიდან ცოცხლის წარმოშობა ცოცხლის მიერ არაცოცხალის უარყოფაა და სხვა. უარყოფა ორგვარი ფორმით ხორციელდება: მექანიკური და დიალექტიკური უარყოფა. მექანიკური უარყოფა რაიმეს მოსპობა-განადგურებაა[67]. ასე მაგალითად, სახლის დანგრევა, ხის მოჭრა, მათი მოსპობაა. მექანიკურია ისეთი უარყოფა, როდესაც განვითარებას არა აქვს ადგილი.

მექანიკური უარყოფა არ შეიძლება მივიჩნიოთ „ცუდ" უარყოფად. მას ადამიანი პრაქტიკულად იყენებს თავის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობაში. მის გარეშე ადამიანთა საზოგადოება, ადამიანთა ცხოვრება შეუძლებელია.

დიალექტიკურია ისეთი უარყოფა, როცა უფრო მაღალი, უფრო რთული, უფრო განვითარებული წარმოიშობა. ასე მაგალითად, არაცოცხალი ბუნებიდან ცოცხალი ბუნების წარმოშობა, პირველყოფილი თემური საზოგადოებიდან მონათმფლობელური საზოგადოების წარმოშობა დიალექტიკური უარყოფაა.

დიალექტიკური უარყოფა, თავისი არსებით, ორი აუცილებელი მომენტის ერთიანობაა. ეს მომენტებია: „მოხსნა" და „შენახვა". განვითარება რომ განხორციელდეს, აუცილებელია ძველის როგორც „მოხსნა", ასევე „შენახვაც". ასე მაგალითად, მონათმფლობელური საზოგადოება, რომელიც პირველყოფილი საზოგადოების საფუძველზე წარმოიშვა, უარყოფს პირველყოფილი თემური საზოგადოების საზოგადოებრივ საკუთრებას, მმართველობას, ამ საზოგადოებაში არსებულ ადამიანთა ისტორიულ ერთობას, მის რელიგიურ ფორმებს და სხვა. მაგრამ, ამასთან, ინახავს მის საწარმოო ძალებს, ადამიანებს, ადამიანის ცხოვრებისა და კულტურის განვითარების მოცემულ დონეს და სხვა.

ამგვარად, დიალექტიკური უარყოფა საგანთა და მოვლენათა წინსვლითი მოძრაობის, განვითარების აუცილებელი ფორმაა. მის საფუძველზე ხორციელდება ისტორია და მისი პროგრესული

[67] მაგრამ ეს არ ნიშნავს რაიმეს აბსოლუტურ მოსპობას, ასეთი რამ საერთოდ არ არსებობს.

განვითარება. დიალექტიკური უარყოფისას ახალი ძველში უარყოფს იმას, რაც მის არსებობას ეწინააღმდეგება და ინახავს მისი არსებობისათვის აუცილებელს.

ახალში შენახული ძველი, ახლის კანონზომიერებას უშუალოდ დაქვემდებარებული, თავისი ბუნებით, ახალი ხდება. ასე მაგალითად, პირველყოფილი თემური სახოგადოებიდან შემონახული საწარმოო ძალები, ადამიანები და სხვა., პირველყოფილი თემური სახოგადოების საწარმოო ძალები და ადამიანები კი არა არიან, არამედ მონათმფლობელური სახოგადოების საწარმოო ძალები და ადამიანებია.

რამდენადაც ახალი ინახავს ძველის, ახალში მოჩანს მოხსნილი სახით ძველის ნიშანსახები. მაგრამ ახალში მოჩანს მომაყალიც რაღაც ჩანასახის, შესაძლებლობის თუ სხვაობა სახით; მონათმფლობელურ სახოგადოებაში მოჩანს ფეოდალური სახოგადოების გარკვეული ჩანასახები შესაძლებლობის სახით.

ასეთია დიალექტიკური უარყოფის ბუნება.

მაგრამ მხოლოდ დიალექტიკური უარყოფა არ ამოწურავს საგანთა და მოვლენათა განვითარებას; საგანთა და მოვლენათა განვითარება ასევე აუცილებლობით მომდინარეობს უარყოფის უარყოფის ფორმით.

საგანთა განვითარებაში, როგორც უსასრულო პროცესში, განვითარების გარკვეულ საფეხურზე, უარყოფა მეორდება; უარმყოფელი თვითონ უარიყოფა. განვითარების პროცესის ასეთ კანონზომიერებას უარყოფის უარყოფას უწოდებენ[68]. უარყოფის უარყოფის ნათელსაყოფად მოვიყვანოთ მაგალითები ბუნებიდან, საზოგადოებიდან აზროვნებიდან. ქერის მარცვალი, რომელიც მიწაში მოხვდა, ნორმალურ პირობებში ცვლილებას განიცდის და მისგან წარმოიშობა ქერის მცენარე, რომელიც ქერის მარცვლის უარყოფას წარმოადგენს. მცენარე კი შემდგომ იზრდება, ყვავის და მარცვლებს ისხამს, რომლებიც მწიფდებიან, ქერის მცენარის ღერო კვდება, ის უარიყოფა; ე.ი. ქერის მარცვალი უარყოფილ იქნა ქერის მცენარის ღეროს მიერ, ეს უკანასკნელი კი - ქერის მარცვლების მიერ; მოხდა უარყოფის უარყოფა, რომელმაც მოგვცა განვითარება: ერთმა მარცვალმა მოგვცა მრავალი მარცვალი. მართალია, მოცემული განვითარება რაოდენობრივი განვითარებაა (რამდენადაც ერთმა მარცვალმა მრავალი მარცვალი მოგვცა) მაგრამ რაოდენობრივი განვითარებაც ხომ განვითარებაა. მაგრამ, მეორე მხრივ, უარყოფის უარყოფის პროცესში შესაძლებელი ხდება თვით ქერის მარცვლის ჯიშის გაუმჯობესებაც, რამდენადაც უარყოფის უარყოფის შედეგად ვღებულობთ არა მარტო მეტ თესლს, არამედ თვისებრივად გაუმჯობესებულ თესლს და შემდგომ ეს გაუმჯობესება სულ

---

[68] უარყოფის უარყოფა გამოხატავს ისეთ კანონზომიერ პროცესს, როცა ერთი უარიყოფა მეორის მიერ, ეს მეორე კი თავის მხრივ, მესამის მიერ. ე.ი. ის გვიჩვენებს, რომ განვითარებას სამი საფეხური აქვს; თუმცა ეს არ არის მთავარი (რომ განვითარებას სამი საფეხური აქვს); ის უფრო „დაქვემდებარებული რამ არის". უარყოფის უარყოფის პროცესში „მთავარია დიალექტიკური უარყოფის ხასიათი და უარყოფის განმეორების აუცილებლობა, რომელიც განვითარების ზეგამყვლობას იძლევა" (ივროყ. ს. წერეთელი, დიალექტიკური მატერიალიზმის საკითხები, თბილისი, 1955 გვ.206)

უფრო და უფრო ვითარდება, რადგან ყოველი ახალი უარყოფა აძლიერებს ამ გაუმჯობესებას.

ასევე საზოგადოებაშიც აღგილი აქვს უარყოფის უარყოფას. ასე მაგალითად, შინათმფლობელური კერძო საკუთრების უარყოფას ფეოდალური კერძო საკუთრება წარმოადგენს, ამ უკანასკნელის უარყოფას კი - ბურჟუაზიული კერძო საკუთრება; უარყოფის უარყოფის შედეგად მივიღეთ ზეაღმაფალი განვითარება: ფეოდალური კერძო საკუთრება უფრო განვითარებული კერძო საკუთრებაა, ვიდრე მონათმფლობელური ბუნებრივი კერძო საკუთრება; ხოლო ბურჟუაზიული კერძო საკუთრება, როგორც მონათმფლობელური და ფეოდალური კერძო საკუთრების სინთეზი, ორივე საკუთრებაზე უფრო მაღალგანვითარებული საკუთრებაა.

უარყოფის უარყოფას, როგორც განვითარების ფორმას, ასევე აღგილი აქვს აზროვნებაშიც. ფილოსოფიური აზროვნების განვითარებაში პირველდაწყებითი ანტიკური სტიქიური მატერიალიზმი უარყოფილ იქნა იდეალიზმის მიერ, ეს უკანასკნელი კი უფრო მაღალი ტიპის მატერიალიზმის, თანამედროვე მატერიალიზმის მიერ.

ამგვარად, დიალექტიკური უარყოფა და უარყოფის უარყოფა სინამდვილის განვითარების აუცილებელი ფორმებია.

§ 2. მექანიკური და დიალექტიკური უარყოფის შესახებ სპორტში

1. მექანიკური უარყოფა

მექანიკურ უარყოფას აღგილი აქვს სპორტშიც. ასე მაგალითად გერმანული ფაშისტები, რომლებიც ომის პერიოდში სპობდნენ და ანადგურებდნენ სპორტულ ბაზებს, საცურაო აუზებს, სპორტსმენებს[69], ეწეოდნენ სპორტის მექანიკურ განადგურებას.

მაგრამ მექანიკურ უარყოფას სპორტში აღგილი ჰქონდა და აქვს არა მხოლოდ ისტორიულად, არამედ ყოველდღიურ სპორტულ ცხოვრებაშიც; ამასთან, ის არა მხოლოდ ზიანს აყენებს სპორტს, არამედ სპორტისათვის უაღრესად სასარგებლო უარყოფაცაა: ყველა სახელმწიფოში, სადაც სპორტი განვითარების განიცდის, აღგილი აქვს ძველი სპორტული ნაგებობების, ბაზების, სტადიონებისა და სხვათა ნგრევისა და ახლის შენებას. ნგრევის ეს პროცესი მექანიკურ უარყოფას წარმოადგენს. ასევე სპორტში აღგილი აქვს ძველი სპორტული ფორმების ახალი სპორტული ფორმებით შეცვლის ჩვეულებრივ მარტივ პროცესს, რომელიც, ასევე თავის მხრივ, სწორედ რომ მექანიკური უარყოფაა.

ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის გუნდებში შეჯიბრების დროს მოთამაშეთა შეცვლა, თავისი არსებით მექანიკურ უარყოფას წარმოადგენს.

[69] მაგ. დახვრიტეს კიევის დინამოს ფეხბურთელები, რომლებიც თავგანწირული თამაშით მოუგეს გერმანელი ფაშისტების ფეხბურთელთა გუნდს.

ჭადრაკის პარტიაში პაიკთა და ფიგურათა სულები, თავიანთი არსით, მექანიკური მოძრაობებია, რამდენადაც ისინი უბრალოდ პაიკთა და ფიგურათა მარტივ გადაადგილებას წარმოადგენენ საჭადრაკო სივრცეში. პაიკთა და ფიგურათა მოძრაობა საჭადრაკო სივრცეში ერთი უჯრიდან მეორეში და ასე შემდეგ, ე.ი. სივრცის ერთი ადგილიდან მეორეში, არის პაიკისა და ფიგურის შიერ დაკავებული ერთი ადგილის (თუ მდგომარეობის) მეორე ადგილით შეცვლა, პაიკთა და ფიგურათა ეს გადასვლა ერთი ადგილიდან მეორეში, არსებითად სხვა არაფერია, თუ არა - ერთი ადგილის(ადგილსამყოფელის) მეორე ადგილით უარყოფა. ეს უარყოფა თვისებრივი ხასიათისაა, რამდენადაც იგი ერთი თვისებრივად განსხვავებული ადგილიდან (უჯრიდან) მეორე თვისებრივად განსხვავებულ ადგილზე (უჯრაზე) გადასვლაა. იგი თავისი ბუნებით მექანიკური უარყოფაა, როგორც უბრალოდ მექანიკური გადაადგილებით ერთი ადგილის მეორით უარყოფა. მოცემული უარყოფა გარკვეულ როლს თამაშობს ჭადრაკის პარტიაში. მისი საშუალებით ხორციელდება პაიკთა და ფიგურათა განვითარება, პოზიციურ უპირატესობათა მოპოვება და სხვა და სხვა. ასეთე მექანიკურ უარყოფას მიეკუთვნება ჭადრაკის დაფაზე მიმდინარე პაიკებისა და ფიგურების „კელა“ და გაცვლა, რომელთა გარეშე შეუძლებელია ჭადრაკის პარტია. მაშ, მექანიკური უარყოფა ჭადრაკის პარტიის აუცილებელი მომენტია. ასევე ითქმის ფეხბურთის, კალათბურთის, ხელბურთის თამაშის შესახებაც, სადაც მოთამაშეთა შეცვლა, როგორც მექანიკური უარყოფა, თამაშის ერთ-ერთი განუყოფელი აუცილებელი მომენტია.

ამგვარად, მექანიკური უარყოფა სპორტისათვის სასარგებლო, აუცილებელი უარყოფაა.

2. დიალექტიკური უარყოფის ბუნება სპორტში ჭადრაკის პარტიისა, ძალოსნური სპორტის ერთ-ერთი სახეობის სიმაღლეზე ხტომისა და ძალოსნობის მაგალითზე

დიალექტიკური უარყოფა საჭადრაკო პარტიის მაგალითზე.

დიალექტიკური უარყოფის თვალსაჩინო მაგალითებს საჭადრაკო პარტიებში შეიძლება მივაკუთვნოთ, ერთი მხრივ, გამსვლელი პაიკის მისგან თვისებრივად განსხვავებულ ფიგურად გადაქცევის პროცესი, მეორე მხრივ კი, ჭადრაკის პარტიის განვითარების სტადიების დებიუტის მიტელშპილით და ამ უკანასკნელის ენდშპილით უარყოფის პროცესი.

განვიხილოთ ჯერ პირველი მათგანი. როგორც ზემოთ ვაჩვენეთ, რაოდენობრივ ცვლილებათა საფუძველზე, პაიკი მისგან განსხვავებულ ფიგურად გადაიქცევა; იგი შეიძლება საჭადრაკო პარტიის კონკრეტული პირობებიდან გამომდინარე, გადავაქციოთ კუდ, მხედრად, ეტლად, ლაშიერად; პაიკის ეს გადაქცევა რომელიმე ფიგურად, თავისი არსებით,

დიალექტიკური უარყოფაა; იგი პაიკის გარკვეული მოხსნაცაა და შენახვაც: ლაზიერი ხსნის პაიკს, როგორც ჭადრაკის გარკვეულ მცირე ძალას, მის პაიკისებრ გარკვეულობას და აქედან გამომდინარე, მისთვის დამახასიათებელ გარკვეული სახის მოქმედებებსა და ფუნქციებს. მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა; იგი ამასთან ერთად, ინახავს მის ზოგად გარკვეულობას ძალის სახით; ლაზიერიც ხომ ძალაა, რომელიც თავისი ძალით ზე პაიკს უცრის[70], ე.ი. ლაზიერი ინახავს პაიკს, როგორც ძალა ძალას. ამ მხრივ, ისინი საერთოა, იგივეობრივ მოქმედებს შეიცავენ. პაიკის ლაზიერად გადაქცევა ნიშნავს უფრო მაღალის, უფრო რთულის წარმოშობას. ლაზიერი უფრო მაღალი და რთული სტრუქტურის ფიგურაა, ვიდრე პაიკი, როგორც ათი პაიკის რიცხობრიობის თვისებრივი გარკვეულობა.

ჭადრაკის პარტიაში, როგორც ეს რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლის კანონზომიერების განხილვისას ვნახეთ, რაოდენობრივ ცვლილებათა შეშეებით ჭადრაკის პარტიის დებიუტის სტადია მიტელშპილის სტადიაში გადადის, ეს უკანასკნელი კი ენდშპილის სტადიაში. ეს გადასვლები ხორციელდება მოხსნა-შენახვის დიალექტიკური კანონზომიერების საფუძველზე. დებიუტიდან მიტელშპილის წარმოშობა ნიშნავს უფრო მაღალის წარმოშობას და ამდენად, მის განვითარებას. მიტელშპილი ხსნის დებიუტს, როგორც დებიუტს, მაგრამ აბსოლუტურად არ უარყოფს მას; ის ხსნის დებიუტის ისეთ აუცილებელ განსაზღვრულობებს, როგორიცაა: ფიგურათა მობილიზაციის მდგომარეობა;[71] მისი გარკვეული ტაქტიკა (ეს იქნება ცენტრის დაპყრობა ერთი მხარის მიერ თუ მისთვის ძირის გაშოთხრა მეორე მხარის მიერ) და სხვა. მაგრამ, ამასთან, ის მისგან ინახავს საჭადრაკო ბრძოლის ძირითად მიმართულებას, ე.წ. სტრატეგიას, რომლის მიზანია, მოწინააღმდეგის მეფის დატყვევება, დაშამათება. ამგვარად, მიტელშპილი დებიუტის მოხსნაცაა და შენახვაც და იგი, დებიუტთან შეფარდებით, ჭადრაკის პარტიის განვითარების უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს.

მაგრამ ასევე რაოდენობრივი ცვლილებების საფუძველზე, მიტელშპილი ენდშპილში გადადის. აქ ენდშპილი ხსნის მიტელშპილის ისეთ განსაზღვრულობებს, როგორიცაა: მებრძოლ მხარეთა შედარებით დიდი რაოდენობის ძალთა შეტევითი მოქმედება; მეფეთა პასიური როლი და სწრაფვა ისეთი კომბინაციებისაკენ, რომლებიც ქმნიან პირდაპირ შეტევას მოწინააღმდეგის მეფეზე. ამასთან ინახავს და უმძღავრებს ახორციელებს საჭადრაკო ბრძოლის ერთადერთ ძირითად მიმართულებას, სტრატეგიას: მოწინააღმდეგის მეფის დაშამათებას. ამ მხრივ, ენდშპილი ჭადრაკის პარტიის განვითარების უფრო მაღალი საფეხურია, ვიდრე მიტელშპილი.

---

[70] მართალია, ლაზიერი ათ პაიკს უდრის. მაგრამ იგი არ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ათი პაიკის უბრალო რიცხობრივი ერთიანობა. იგი ამ რიცხობრიობის გარკვეული თვისებრიობაა. უფრო ზუსტად, იგი წარმოვიდგინება როგორც ზომა, როგორც გარკვეული რაოდენობისა და თვისებრიობის ერთიანობა, სადაც გარკვეული რაოდენობა გარკვეულ თვისებრიობაში გადადის და პირიქით, გარკვეული თვისებრიობა გარკვეულ რაოდენობაში.

[71] იგი ფიგურათა ამ მდგომარეობიდან ქმნის, ე.წ. ფიგურების შეტევით მდგომარეობას.

ასეთია დიალექტიკური უარყოფა, წარმოდგენილი ჰეგელის პარტიის განვითარების სტადიებში.

დიალექტიკური უარყოფა მძლეოსნური სპორტის ერთ-ერთი სახეობის სიმაღლეზე ხტომის მაგალითზე

დიალექტიკური უარყოფის ნათელსაყოფად სიმაღლეზე ხტომაში, განვიხილოთ ორი მაგალითი ოლიმპიური რეკორდებიდან. 1896 წელს ქ. ათენის ოლიმპიურ თამაშებში ამერიკელმა სპორტსმენმა კლარკმა დააყარა ოლიმპიური რეკორდი - 1,81, რომელმაც იარსება 1900 წლამდე. 1900 წელს ეს რეკორდი მოხსნილ იქნა ასევე ამერიკელი სპორტსმენის ი. ბექსტერის მიერ ქ. პარიზის ოლიმპიურ თამაშობებზე დაწყარებულ ახალი ოლიმპიური რეკორდით 1,90. ი. ბექსტერის რეკორდი წარმოადგენს დიალექტიკურ უარყოფას, რამდენადაც ეს უკანასკნელი ე. კლარკის რეკორდის მოხსნაცაა და შენახვაც; რამდენადაც ბექსტერმა 9 სმ-ით გააუმჯობესა კლარკის ოლიმპიური რეკორდი, მისი რეკორდი კლარკის რეკორდის მოხსნაა, მაგრამ მეორე მხრივ, ის, როგორც კლარკის რეკორდის გაუმჯობესება, ამ რეკორდის გარკვეული სახით - მოხსნილი სახით შემოინახავსა (სხვაფრვარად თვით ახალი რეკორდიც შეუძლებელი იქნებოდა). მაშასადამე, ყოველი ახალი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში წინა რეკორდის მოხსნაცაა და შენახვაც და ამდენად, მისი განვითარებაა.

ამგვარად, ყოველი ახალი რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში მოხსნა-შენახვის დიალექტიკური კანონზომიერებით შინაგანად განსაზღვრული აუცილებელი პროცესია.

• დიალექტიკური უარყოფა ძალოსნობის მაგალითზე

ძალოსნობაში დიალექტიკური უარყოფის დახასიათებისათვის განვიხილოთ ორი მაგალითი უმძიმესი წონის მსოფლიო რეკორდებიდან ორჭიდის ჯამში (ორივე ხელით, ატაცება და აკვრაში) უმძიმეს წონაში ირანელმა სპორტსმენმა მოჰამედ ნასირმა 1973 წლის 15 აგვისტოს ჰავანაში დააყარა მსოფლიო რეკორდი ორჭიდის ჯამში (ორივე ხელით ატაცება და აკვრაში) - 240 (100+140). მაგრამ მან მხოლოდ 1975 წლამდე იარსება. 1975 წლის 12 აპრილს უმძიმეს წონაში საბჭოთა სპორტსმენმა ალექსანდრე ვორობიოვმა ქ. შეფილდში ორჭიდის ჯამში (ორივე ხელებით ატაცება და აკვრაში) დააყარა ახალი მსოფლიო რეკორდი - 242,5 (107,5+135) და ორნახევარი კილოგრამით გააუმჯობესა მოჰამედ ნასერის რეკორდი. ვორობიოვის რეკორდი დიალექტიკური უარყოფის თვალსაჩინო მაგალითია; ვორობიოვის რეკორდი მოჰამედ ნასერის რეკორდის მოხსნაცაა და შენახვაც. რამდენადაც ვორობიოვმა მოხსნა ნასირის რეკორდი, - 240 კგ 242 კგ-ით შეცვალა, მან მოხსნა ნასერის რეკორდი, მაგრამ არა აბსოლუტურად; მან 2,5 კგ ნახევრით გააუმჯობესა ნასერის რეკორდი, ე.ი. 240 კგ ნასერის რეკორდი მოხსნილი სახით შემოინახა და შემდგომ მას 2,5 კგ ნახევარი დაუმატა და ასე

წარმოსდგა ეორონინის ახალი რეკორდი ძველის არა მხოლოდ მოხსნაა, არამედ შენახვაც. მოხსნა-შენახვის ეს დიალექტიკური პროცესი კი უშუალოდ განსაზღვრავს ძალოსნური სპორტის ალმავალ განვითარებას; ამასთან ძველი რეკორდის მოხსნასა და ახალი რეკორდის დამყარებაში უშუალოდ წარმოდგენილია რაოდენობის თვისებრიობაში გადასვლაც; მო-
პაშკო ნასარის მიერ დამყარებული რეკორდის - 240 კგ-ზე 2,5 კილოგრამის დამატებამ მოგვცა თვისებრივად სრულიად ახალი რეკორდი, რომორც ახალი ზომა გარკვეული რაოდენობისა და თვისებრიობის აუცილებელი ერთიანობა.

დიალექტიკური უარყოფა არის ძალოსნური სპორტის განვითარების აუცილებელი ფორმა, რომლითაც ხორციელდება მისი განუწყვეტელი და უსასრულო განვითარება.

ასეთია დიალექტიკური უარყოფის ბუნება ძალოსნობაში.

§ 3. უარყოფის უარყოფა სპორტში
(ჭადრაკის პარტიისა, სიმაღლეზე ხტომისა და ძალოსნობის მაგალითზე)

უარყოფის უარყოფა საჭადრაკო პარტიის მაგალითზე

როგორც ვნახეთ, დიალექტიკური უარყოფის საფუძველზე, დებიუტი უარიყოფა მიტელშპილით, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, ენდშპილით, რაც უარყოფის უარყოფას წარმოადგენს. უარყოფის უარყოფა ჭადრაკის პარტიის განვითარების ფორმაა. ამ ფორმის მეშვეობით ჭადრაკის პარტია განვითარების სამ სტადიას გაივლის: დებიუტის, მიტელშპილს, ენდშპილს. დებიუტი ჭადრაკის პარტიის განვითარების უფრო დაბალი საფეხურია, ვიდრე მიტელშპილი; ეს უკანასკნელი კი უფრო დაბალი საფეხური, ვიდრე ენდშპილი; უარყოფის უარყოფის საფუძველზე დებიუტი მიტელშპილში გადადის, ეს უკანასკნელი კი - ენდშპილში. განვითარებაში უანასკნელი საფეხური პირველ საფეხურს უბრუნდება დებიუტის განვითარების მაღალ ფორმაში. როცა ელაპარაკობთ - ენდშპილი უბრუნდება დებიუტს განვითარების მაღალ ფორმაში, მხედველობაში გვაქვს ჭადრაკის პარტიის ძირითადი მიზანი. დებიუტი უშუალოდ ყალიბდება პარტიის ძირითადი მიზნის მოწინააღმდეგის მეფის დატყვევება-დაშაშათების მიზნის საფუძველზე. დებიუტი შეუძლებელია ამ მიზნის გარეშე. მისი ასეთად და არა სხვაგვარი გარკვეულობა (როგორც თვისებრიობა) ამ ძირითადი მიზნით იქმნება. ენდშპილი უშუალოდ წყვეტს ამ ძირითად მიზანს ან დადებითად ან უარყოფითად[72], თუკი ამ მიზნის გადაწყვეტა დადებითად ან უარყოფითად შეუძლებელი ხდება დებიუტისა და მიტელშპილის სტადიაში; და თუ მოცემული ძირითადი მიზანი დადებითად ან უარყოფითად გადაწყდება დებიუტისა და მიტელშპილის სტადიაში, ენდშპილი, როგორც საჭადრაკო

[72] მიზნის დადებით გადაწყვეტაში გვესმის მოწინააღმდეგის მეფის დაშაშათება. უარყოფით გადაწყვეტაში კი საჭადრაკო ბრძოლის ყოველი დამთავრება.

პარტიის უკანასკნელი სტადია, სადაც საბოლოოდ უნდა გადაწყდეს პარტიის ძირითადი მიზანი დადებითად ან უარყოფითად, იხსნება. ამგვარად, ენდშპილი, პარტიის ძირითადი მიზნის დადებითად ან უარყოფითად გადაწყვეტის ბოლო სტადიაა. ამ აზრით ენდშპილი უბრუნდება დებიუტს, მაგრამ რამდენადაც ის მას საბოლოოდ უშუალოდ წყვეტს და ახორციელებს, იგი უბრუნდება დებიუტს განვითარების მაღალ ფორმაში.

უარყოფის უარყოფისათვის არ არის აუცილებელი განვითარების ისეთი ტრიადული ფორმა, სადაც განვითარების შესაძე საფეხური პირველ საფეხურს უბრუნდება განვითარების მაღალ ფორმაში; მისთვის მთავარი და აუცილებელია, რომ განვითარებას აღმავალი ხასიათი ჰქონდეს: რომ უარყოფის მეორე საფეხური, მის განვითარებაში პირველზე მაღლა იდგას, მესამე საფეხური კი უფრო მაღალგანვითარებული იყოს, ვიდრე მეორე იძლეოდეს, ხოლო მეორის უარყოფა კი, რომელიც უარყოფის უარყოფაა, მასზე უფრო განვითარებულ მესამეს წარმოშობდეს.

ამგვარად, ჭადრაკის პარტია, როგორც უარყოფის უარყოფა, განვითარების საფეხურებად შეკავშირებული ერთი მთლიანი პროცესია, სადაც მოცემული საფეხურები პარტიის შინაგან განსაზღვრულობებს შეადგენენ.

ასეთია უარყოფის უარყოფა, როგორც ჭადრაკის პარტიის განვითარების აუცილებელი ფორმა.

• უარყოფის უარყოფა სიმაღლეზე ხტომის მაგალითზე

უარყოფის უარყოფისათვის დახასიათებისათვის სიმაღლეზე ხტომაში განვიხილოთ საში ოლიმპიური რეკორდი, სამ ოლიმპიურ შეჯიბრებებზე ერთმანეთის შემდეგ დამყარებული. 1960 წელს რომში გამართულ ოლიმპიურ თამაშობებზე რ. შაველაყაძის მიერ, სიმაღლეზე ხტომაში დამყარებულ იქნა ახალი ოლიმპიური რეკორდი 2,16; რ. შაველაყაძის ოლიმპიური რეკორდი 1964 წელს ტოკიოში გამართულ ოლიმპიურ შეჯიბრებებზე საბჭოთა სპორტსმენის ვ. ბრუმელის რეკორდით - 2,18; ვ. ბრუმელის რეკორდი კი 1968 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მექსიკოში მოხსნილ იქნა ამერიკელი სპორტსმენის რ. ფოსბერის მიერ, მის მიერ დამყარებული ახალი რეკორდით 2,24; რას გვიჩვენებენ მოყვანილი მაგალითები? მოცემული რეკორდები უშუალოდ წარმოგვიდგენენ უარყოფის უარყოფის ობიექტურ კანონზომიერებას სიმაღლეზე ხტომაში: ბრუმელის რეკორდი რ. შაველაყაძის რეკორდის უარყოფაა, ხოლო ამ უარყოფის უარყოფა, თავის მხრივ არის ფოსბერის რეკორდი; უარყოფის უარყოფის, როგორც ობიექტური კანონზომიერების შედეგად მივიღეთ აღმავალი განვითარება - რ. შაველაყაძის რეკორდის უარყოფით მასზე უფრო განვითარებული ბრუმელის რეკორდი, ხოლო ბრუმელის რეკორდის უარყოფით - ამ უკანასკნელზე უფრო განვითარებული ფოსბერის რეკორდი.

ამგვარად, სიმაღლეზე ხტომაში განვითარების პროცესი უშუალოდ ხორციელდება უარყოფის უარყოფის ფორმით; ის მოცემული სპორტის უსასრულო განვითარების ფორმაა.

უარყოფის უარყოფა ძალოსნობაში

ძალოსნობაში უარყოფის უარყოფის დახასიათების მიზნით განვიხილოთ საშუალო წონაში მსოფლიო რეკორდები ორჭიდის ჯამში (ორივე ხელით აკვრასა და ატაცებაში) მოვიყვანოთ ერთმანეთის თანამიმდევრობით დამყარებული სამი მსოფლიო რეკორდი.

1972 წლის 24 დეკემბერს ქ. სოჭში საბჭოთა სპორტსმენმა დაეიტ რიგერტმა და-ამყარა მსოფლიო რეკორდი ორჭიდის ჯამში (ორივე ხელით ატაცება და აკვრაში) 355 (155+200), 1973 წლის 16 დეკემბერს ქ. ტუაფსეში ისევ საბჭოთა სპორტსმენის ვლადიმერ რიჟენკოვის მიერ დამყარებულ იქნა ახალი მსოფლიო რეკორდი - 357 (160+197,5). მოცემული რეკორდები გვიჩვენებენ უარყოფის უარყოფის ობიექტური კანონზომიერებით განსაზღვრულ ძალოსნობის აღმავალი განვითარების პროცესს: რიჟენკოვის პირველი რეკორდით უარიყო რიგერტის რეკორდი. ამ უარყოფამ მოგვცა განვითარების მეორე საფეხური[73]. მაგრამ რიჟენკოვემა ის ჩაიერ დამყარებული მეორე რეკორდით მოახდინა მისი პირველი რეკორდის უარყოფა ან, რაც იგივეა, უარყოფის უარყოფა, რომელმაც მოგვცა განვითარების ორივე საფეხურზე უფრო მაღლა მდგომი, განვითარების მესამე საფეხური, როგორც განვითარების ორი მოცემული საფეხურის დიალექტიკური სინთეზი, რიჟენკოვის მეორე რეკორდი: 360 (162,5+197,5).

მოცემული მაგალითი ნათლად გვიჩვენებს, რომ ძალოსნობის, როგორც სპორტის, განვითარება რეალურად მიმდინარეობს უარყოფის უარყოფის ფორმით.

ამგვარად, დიალექტიკური უარყოფისა და უარყოფის უარყოფის ბუნების განხილვა ჭადრაკის პარტიის, სიმაღლეზე ხტომასა და ძალოსნობაში, უტყუარად ადასტურებს, რომ დიალექტიკური უარყოფა და უარყოფის უარყოფა სპორტის აუცილებელი კანონზომიერებაა და მისი განვითარება მიმდინარეობს დიალექტიკური უარყოფისა და უარყოფის უარყოფის ფორმით.

ასეთია დიალექტიკური უარყოფისა და უარყოფის უარყოფის ბუნება სპორტში.

[73] განვითარების პირველ საფეხურს თავისთავად თვით რიგერტის რეკორდი წარმოადგენდა.

მეცამეტე თავი. შინაგანი წინააღმდეგობისა და წინააღმდეგობის ერთიანობა სპორტში

სანამ შინაგანი წინააღმდეგობისა და წინააღმდეგობის ერთიანობის ბუნებას გაეარჩევდეთ სპორტში, მოკლედ დაგახასიათოთ წინააღმდეგობის, წინააღმდეგობის ერთიანობისა და შინაგანი წინააღმდეგობის ფილოსოფიური ცნებები.

§ 1. წინააღმდეგობის, წინააღმდეგობათა ერთიანობისა და შინაგანი წინააღმდეგობის ფილოსოფიური ცნებები

ფილოსოფიის მიხედვით, სინამდვილის საგნებსა და მოვლენებს ახასიათებთ შინაგანი წინააღმდეგობა; შინაგანი, რამდენადაც ის მოცემულია სინამდვილის ყოველ ცალკე ალებულ საგანში; ხოლო წინააღმდეგობა, რამდენადაც საგანში არსებობს ორი ურთიერთგამომრიცხველი, ურთიერთუარმყოფელი მხარეები და ტენდენციები. ასე მაგალითად, ატომი არის ატომგულის, როგორც დადებითის და ელექტრონის, როგორც უარყოფითის, შინაგანი წინააღმდეგობა. ატომის შიგნით ატომგული, როგორც დადებითი, თავის თავში გამორიცხავს და უარყოფს ელექტრონს, როგორც უარყოფითის და პირიქით. ეს ურთიერთგამორიცხვა-უარყოფა არის, სწორედ, ატომის შინაგანი წინააღმდეგობა. ამ წინააღმდეგობის საფუძველზე არსებობს ატომი; როგორც კი ეს წინააღმდეგობა ისპობა, ისპობა ატომიც. მაშასადამე, შინაგანი წინააღმდეგობა ატომის, საერთოდ კი ყოველი საგნის არსებობის შინაგანი საფუძველია. მაგრამ ატომში და საერთოდ საგნებში ადგილი აქვს არა მხოლოდ შინაგან წინააღმდეგობას, როგორც არსებითად ურთიერთგანსხვავებულთა ურთიერთგამორიცხვა-უარყოფის, არამედ ამ არსებითად განსხვავებულთა ურთიერთდადგენასაც. ატომის შიგნით ატომგული, როგორც დადებითი, თავისი დადებითობით უშუალოდ მის საწინააღმდეგოს ელექტრონს, როგორც უარყოფითს ადგენს და პირიქით, ელექტრონი, როგორც უარყოფითი, ასევე ადგენს მის საწინააღმდეგო დადებითს ატომგულს, ე.ი. ატომში და ასევე საერთოდ საგნებში ადგილი აქვს არა მხოლოდ წინააღმდეგობას, არამედ წინააღმდეგობათა ერთიანობას საწინააღმდეგო მხარეთა მიერ მათს ურთიერთდადგენას, მათი არსებობის ურთიერთგანსაზღვრას. მაშასადამე, ატომი, როგორც ერთი და ამდენად, ყოველი ერთიანი საგანი საერთოდ, არის არა მხოლოდ ერთიანის გაორება, არამედ გაორებულთა ერთიანობა. ატომში და საერთოდ საგნებში, გაორება (როგორც წინააღმდეგობა) ერთიანის გაორებაა, ხოლო ერთიანობა გაორებულთა ერთიანობაა. ამიტომ ატომში და საერთოდ საგნებში წინააღმდეგობა და ერთიანობა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არ არსებობენ; წინააღმდეგობა ყოველთვის ერთიანის წინააღმდეგობაა, ერთიანობა კი წინააღმდეგობის ერთიანობა.

შინაგანი წინააღმდეგობა და წინააღმდეგობის ერთიანობა საგნის არსებობის საფუძველია; საგნის არსებობა შინაგანი წინააღმდეგობისა და წინააღმდეგობის ერთიანობის არსებობაა; შინაგანი წინააღმდეგობა არის საგნის განვითარების საფუძველიც (განვითარება კი როგორც ვნახეთ წარმოადგენს უფრო მაღალის, უფრო რთულის წარმოშობას). ასე მაგალითად, შინაგანი წინააღმდეგობის, როგორც არსებითად განსხვავებული თვალსაზრისებისა და შეხედულებების, არსებობა მეცნიერების განვითარების ერთ-ერთი საფუძველია. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი როლი შეასრულა ფიზიკის მეცნიერების განვითარებაში ნიუტონისა და პიუგენსის განსხვავებული თვალსაზრისების ბრძოლამ სინათლის სხივის სტრუქტურის შესახებ. ნიუტონი ფიქრობდა, რომ სინათლე ნაწილაკებისაგან შედგება, სინათლე ნაწილაკებია. პიუგენსს კი საწინააღმდეგო მოსაზრება ჰქონდა: სინათლე არ არის ნაწილაკი, ის ტალღაა. ამ ბრძოლამ, როგორც წინააღმდეგობამ, განავითარა ფიზიკის მეცნიერება. ბრძოლის შედეგად საბოლოოდ დადგინდა, რომ სინათლე არის ქვანტი, ე.ი. ისეთი რამ, რომელიც ერთსა და იმავე დროს ნაწილაკიცაა და ტალღაც, წყვეტილიცაა და უწყვეტიც.

ზემოთქმულის მიხედვით, წინააღმდეგობის, წინააღმდეგობათა ერთიანობის და შინაგანი წინააღმდეგობის ცნებების განსაზღვრებები ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

წინააღმდეგობა არის საგანში არსებითად ურთიერთგანსხვავებულ მხარეთა, ტენდენციათა არსებობა და მათი ურთიერთგამორიცხვა-უარყოფა. წინააღმდეგობათა ერთიანობა კი არის საგნის ამ არსებითად ურთიერთგანსხვავებულ მხარეთა, ტენდენციათა აუცილებელი კავშირი, მათი ურთიერთგანსაზღვრა-დადგენა; შინაგანი წინააღმდეგობა კი არის საგნის არსებაში არსებული წინააღმდეგობა.

ასეთია წინააღმდეგობის, წინააღმდეგობათა ერთიანობისა და შინაგანი წინააღმდეგობის ფილოსოფიური გაგება.

§ 2. შინაგანი წინააღმდეგობის შესახებ სპორტში

სპორტი აუცილებლობით შეიცავს თავის თავში შინაგან წინააღმდეგობას, სხვაგვარად მისი არსებობაც შეუძლებელი იქნებოდა[74]. *სპორტის შინაგანი წინააღმდეგობა ძირითადად შეიძლება ორი ასპექტით დახასიათდეს: 1. ერთი მხრივ, როგორც სპორტის არსების წინააღმდეგობა; 2. მეორე მხრივ, როგორც სპორტის აუცილებელი ძირითადი განსაზღვრულობების მისი რაოდენობრივის და თვისებრიობის წინააღმდეგობა. განვიხილოთ თვითოეული ცალ-ცალკე.*

[74] რადგან თუ შინაგანი წინააღმდეგობა საერთოდ მთელი სინამდვილის საგანთა და მოვლენათა გარეგნულობის და ამდენად არსებობის საფუძველია, ის ასეთივე აუცილებლობით სპორტის, როგორც ერთ-ერთი სინამდვილის, გარეგნულობისა და არსებობის საფუძველია.

1. სპორტის არსების წინააღმდეგობა

ფილოსოფიის მიხედვით ყოველ საგანს, მოვლენას თავისი არსება გააჩნია, რომელიც განსაზღვრავს მათს ასეთად, ასეთ განსაზღვრულობად არსებობას; ე.ი. მათს ბუნებას. ის განსაზღვრავს საგნის ყველა ძირითად მხარეს, ყველა ძირითად პროცესს. არსება არის საგანში მოცემული ძირითადი მიმართება. ასე მაგალითად, ადამიანის არსება არის მის ორ ძირითად მხარეთა - ბიოლოგიურ და სოციალურ მხარეთა მიმართება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ბუნებას, მის ყველა ძირითად მხარეს და ძირითად პროცესს.

რა არის სპორტის არსება? ჩემი აზრით სპორტის არსების შეჯიბრება, როგორც სპორტში არსებული ძირითადი მიმართება წარმოადგენს. იგი არის ყველა სპორტულ კოლექტივთა, გუნდია (ცალკეული ქვეყნის ნაკრებია თუ მსოფლიო ნაკრებია) ძირითადი მიმართება, ძირითადი კავშირი. შეჯიბრება შინაგანად განსაზღვრავს სპორტის თვისებრიობას, მის ასეთ და არა სხვაგვარ ბუნებას. შეჯიბრება არის ის, რითაც სპორტი სპორტია და არა სხვა; ის სპორტის გარეგნულობის (განსაზღვრულობის) არსებაა; ამიტომ სპორტის გარეგნულობის (განსაზღვრულობის) არსებაა; ამიტომ სპორტის არსებობა შეჯიბრების არსებობაა, ამ უკანასკნელის არსებობა კი სპორტის არარსებობა, მისი არსებობის შეწყვეტაა; უფრო მეტი, სპორტი შეჯიბრების არსებობის ფორმაა.

შეჯიბრება, როგორც სპორტის ძირითადი კავშირ-მიმართება, თავისი არსებით, შინაგან წინააღმდეგობას გამოხატავს. ის სპორტში და სპორტის შიგნით არსებული წინააღმდეგობაა. იგი სპორტის განსხვავებულ, ურთიერთგამომრიცხველ და ურთიერთუარმყოფელ მხარეთა კავშირ-მიმართებაა. განვიხილოთ ეს წინააღმდეგობა.

შეჯიბრებას ადგილი აქვს იქ, როდესაც და რამდენადაც არსებობენ ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეები, როგორც ურთიერთმოწინააღმდეგე ადამიანები (სპორტსმენები), გუნდები, ნაკრებები თუ სხვა. რას ნიშნავს ურთიერთსაწინააღმდეგო მხარეთა არსებობა? ეს ნიშნავს იმას, რომ შეჯიბრებაში მუდამ მონაწილეობს ორი მხარე, იქნება ეს ერთეული სპორტსმენი, თუ გუნდი, რომელთაც აქვთ თავიანთი მთავარი მიზნები და ამოცანები შეჯიბრებაში გაძარჯვება (შეჯიბრებაში მაქსიმალური შედეგების ჩვენება, საპირისპირო მხარის დამარცხება). ამდენად, შეჯიბრების მოცემული მხარეები, თავიანთი უშუალო მიზნებით და ამოცანებით, ურთიერთგანსხვავებულ, საპირისპირო მხარეებს წარმოადგენენ. როგორც ურთიერთგანსხვავებული მხარეები, ისინი ერთიმანეთს გამორიცხავენ, ერთიმანეთს უარყოფენ. შეჯიბრების მხარეთა ეს ურთიერთგამორიცხვა, უარყოფა არის სწორედ, მათი წინააღმდეგობა. ასე მაგალითად, საჭადრაკო შეჯიბრება აუცილებლობით გულისხმობს ორ ურთიერთგანსხვავებულ მხარეს[75] (არსებითად ეს ურთიერთგანსხვავება გამოიხატება იმაში, რომ თითეულ მხარეს

[75] ასევე შეიძლება ვიმსჯელოთ სპორტის ყველა სხვა სახეობის შესახებ.

აქვს თავისი განსაზღვრული მიზნები და ამოცანები: მოწინააღმდეგე მხარის დამარცხება), ამდენად, შეჯიბრების მხარეები, როგორც განსხვავებული მხარეები, ურთიერთს გამორიცხავენ, ურთიერთს უარყოფენ, რაც მათ წინააღმდეგობას წარმოადგენს.

ამგვარად, შეჯიბრების, როგორც სპორტის არსებობის ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება წინააღმდეგობაა.

2. რაოდენობისა და თვისებრიობის წინააღმდეგობა სპორტში

რაოდენობისა და თვისებრიობის წინააღმდეგობა სპორტში, არსებითად შეჯიბრებისათვის, როგორც სპორტის არსებისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობის გამოყენებას წარმოადგენს, რამდენადაც თვით სპორტი უშუალოდ იქმნება და ყალიბდება შეჯიბრების საფუძველზე. როგორც ვნახეთ სპორტი აუცილებლობით შეიცავს რაოდენობრივ და თვისებრივ განსაზღვრულობებს, ის გარკვეული ზომა გარკვეული რაოდენობისა და თვისებრიობის ერთიანობაა. რაოდენობა და თვისებრიობა, თუ წინააღმდეგობის კატეგორიის მიხედვით განვიხილავთ, წარმოგვიდგებიან როგორც სპორტის წინააღმდეგობრივი მხარეები და ამდენად, მათი ურთიერთობა გარკვეული წინააღმდეგობრივი ურთიერთობებია.

რაოდენობა და თვისებრიობა სპორტის არსებითად განსხვავებული მხარეებია, ერთი სპორტის რიცხობრივ სიდიდის, მოცულობის, ხარისხის თუ სხვა გარკვეულობებს გამოხატავს, მეორე კი იმას რითაც სპორტი სპორტია და არა სხვა. ამ მხრივ, ისინი სპორტის არსებითად განსხვავებული მხარეებია; როგორც სპორტის არსებითად განსხვავებული განსაზღვრულობები ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ. ეს ურთიერთგამორიცხვა-უარყოფა არის, სწორედ, სპორტის წინააღმდეგობა.

მაშ, რაოდენობისა და თვისებრიობას წინააღმდეგობა სპორტის აუცილებელი ნიშანია. მაგრამ წინააღმდეგობა მხოლოდ ერთი მხარეა; მას ახასიათებს წინააღმდეგობის ერთიანობაც. განვიხილოთ ეს ერთიანობა.

§ 3. წინააღმდეგობის ერთიანობა სპორტში

შინაგანი წინააღმდეგობრივი მხარეები, როგორც სპორტის აუცილებელი შინაგანი გარკვეულობები, არა მხოლოდ ერთმანეთს გამორიცხავენ, და უარყოფენ, არამედ გარკვეულ ერთიანობაშიც არიან, ერთმანეთს განსაზღვრავენ, ერთმანეთს ადგენენ. წინააღმდეგობრივ მხარეთა ეს ურთიერთგანსაზღვრა-დადგენა სპორტის წინააღმდეგობათა ერთიანობას წარმოადგენს; ე.ი. სპორტი, როგორც ერთიანი სინამდვილე, არა მხოლოდ წინააღმდეგობა, ერთიანის გაორებაა, არამედ ის წინააღმდეგობათა ერთიანობა, გაორებულთა ერთიანობაცაა. ამ აზრით, შეჯიბრება, როგორც სპორტის არსება, არა მხოლოდ წინააღმდეგობაა, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობაც.

შეჯიბრებაში წინააღმდეგობრივი მხარეები (გუნდი და ერთეული სპორტსმენი),
როგორც წინააღმდეგობრივი მხარეები, არა მხოლოდ ერთმანეთს გამორიცხავენ და ერთმანეთს უარყოფენ, ე.ი. წინააღმდეგობაში იმყოფებიან, არამედ ერთმანეთსაც ადგენენ, გარკვეულ ერთიანობაში არიან.

შეჯიბრების, როგორც ძირითადი კავშირ-მიმართების, ერთი მხარის არსებობა აუცილებლობით გულისხმობს მისი მეორე მხარის არსებობას და პირიქით; ე.ი. შეჯიბრების ერთი მხარე იმდენად არის შეჯიბრების ერთი მხარე, რამდენადაც არსებობს მისი საწინააღმდეგო მეორე მხარე და პირიქით, შეჯიბრების მეორე მხარე იმდენად არის შეჯიბრების მეორე მხარე, რამდენადაც არსებობს მისი საწინააღმდეგო პირველი მხარე; ისინი როგორც ერთის[76] წინააღმდეგობრივი მხარეები, საფუძველს უდებენ ერთმანეთის არსებობას და ამდენად, უშუალოდ წარმოგვიდგენენ შეჯიბრებას, როგორც მათს ერთიანობას. ასე მაგალითად. შეჯიბრება მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად ჭადრაკში, არა მხოლოდ განსხვავებულთა ურთიერთობას ურთიერთგამორიცხვა-უარყოფას, როგორც წინააღმდეგობას გულისხმობს, არამედ წინააღმდეგობის ერთიანობასაც. რომ არ ყოფილიყო შეჯიბრების ერთი მხარე, კასპაროვის სახით, არც შეჯიბრების მეორე მხარე კარპოვის სახით იარსებებდა და პირიქით, რომ არ ყოფილიყო შეჯიბრების მეორე მხარე, კარპოვის სახით, არც შეჯიბრების პირველი მხარე - კასპაროვის სახით იარსებებდა. ე.ი. მოცემულ შეჯიბრებაში წინააღმდეგობრივი მხარეები არა მხოლოდ ერთმანეთს გამორიცხავენ, არამედ ერთმანეთსაც ადგენენ. შეჯიბრების მხარეთა ეს ურთიერთდადგენა, სწორედ, უშუალოდ განსაზღვრავდა მოცემულ საჭადრაკო შეჯიბრებას, როგორც წინააღმდეგობის ერთიანობას.

ამგვარად, შეჯიბრება, როგორც სპორტის არსება, წინააღმდეგობაცაა და წინააღმდეგობის ერთიანობაც.

2. რაოდენობისა და თვისებრიობის წინააღმდეგობის ერთიანობა სპორტში

შეჯიბრების მსგავსად, სპორტის რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობები, როგორც სპორტის (ერთიანი სპორტის) წინააღმდეგობრივი მხარეები, არა მხოლოდ ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ, არამედ ერთმანეთსაც ადგენენ. ეს ურთიერთდადგენა მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ერთმანეთთან აუცილებელ კავშირში იმყოფებიან, არ არსებობენ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად და ერთმანეთის გარეშე და ერთმანეთში

[76] შეჯიბრების როგორც ერთის.

გაღადიან. რაოდენობისა და თავისებრიობის ეს ურთიერთდადგენა კი არის სწორედ ერთიანი სპორტი.

მაშასადამე, სპორტი, როგორც გარკვეული რაოდენობისა და თვისებრიობის ერთიანობა, როგორც ზომა, არის შინაგან წინააღმდეგობათა ერთიანობა.

§ 4. შინაგანი წინააღმდეგობა როგორც სპორტის არსებობისა და განვითარების საფუძველი

სპორტის არსების, რაოდენობისა და თვისებრიობის წინააღმდეგობები, სპორტის, როგორც სპორტის, არსებობის წინააღმდეგობებს წარმოადგენენ. თუ არ იარსებებდა სპორტში რაოდენობისა და თვისებრიობის წინააღმდეგობა, არ იარსებებდა მისი განსაზღვრულობაც, ე.ი. არ იარსებებდა თვით სპორტიც. ასევე, თუ არ იარსებებდა შეჯიბრება, როგორც სპორტის არსება, მისი შინაგან წინააღმდეგობათა ერთიანობა, არ იარსებებდა სპორტიც. ამ აზრით, შინაგანი წინააღმდეგობა არის სპორტის არსებობის საფუძველი.

მაგრამ შინაგანი წინააღმდეგობა არის არა მხოლოდ სპორტის არსებობის საფუძველი, არამედ მისი განვითარების საფუძველიც. სპორტის განუწყვეტელი განვითარება უშუალოდ მიმდინარეობს შეჯიბრებაში და შეჯიბრების საფუძველზე. ის არის სპორტის, როგორც განვითარების წყარო, ასევე მისი განვითარების შეუცნებელიცა და კრიტერიუმიც; ამიტომ სპორტის განვითარება არ არსებობს შეჯიბრების გარეშე. ამ აზრით, შეჯიბრება არის სპორტის წინსვლის, განვითარების უშუალო წყარო და საფუძველი.

მეთოთხმეტე თავი. ცალკეულის, განსაკუთრებულის და ზოგადის კატეგორიები სპორტში

სპორტის ფილოსოფიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას ფილოსოფიური კატეგორიების სპორტში მოქმედების პრობლემა წარმოადგენს. ამ პრობლემის განხილვის გარეშე, რა თქმა უნდა, სპორტის ფილოსოფიას გაღმოცემას დასრულებული, სრულყოფილი ხასიათი არ ექნებოდა. ამიტომ ჩვენ დავახასიათებთ რამდენიმე ძირითადი ფილოსოფიური კატეგორიის მოქმედებას სპორტში.

მოცემული თავის ძირითადი მიზანია გადმოსცეს ცალკეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის კატეგორიების მოქმედება სპორტში. მაგრამ სანამ ამ მოქმედების ბუნებას დავახასიათებდეთ, აუცილებელია დახასიათდეს თვით ცალკეული, განსაკუთრებული და ზოგადის ფილოსოფიური

კატეგორიები. მაშ, ჯერ განვიხილოთ, მოკლედ, ცალკეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის კატეგორიები.

§ 1. ცალკეულის ფილოსოფიური კატეგორიის არსებითი ნიშნები

ცალკეული ყოფიერების, რეალური სამყაროს საგანია და მოვლენათა განუყოფელი, აუცილებელი მხარეა. განუყოფელი, რამდენადაც მოცემული საგნები და მოვლენები არ არსებობენ მის გარეშე. მხარე, რამდენადაც ის მათი ერთ-ერთი გარკვეულობაა.

ამ აზრით, საგანთა და მოვლენათა განუყოფელ, აუცილებელ მხარედ არსებობა ცალკეულის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია.

ცალკეულის მეორე არსებითი ნიშანია ობიექტურობა. ცალკეული, როგორც საგანთა განუყოფელი, აუცილებელი მხარე არსებობს ჩვენი ნებისყოფა - სურვილისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად.

ცალკეულის მესამე არსებით ნიშანს მისი ზოგადობა წარმოადგენს. ცალკეული (როგორც კატეგორია) გამოხატავს ყველა ცალკეულისათვის საერთო დამახასიათებელ არსებით ნიშნებს, რაც სწორედ, მისი ზოგადობაა. აშკარაა, ცალკეულობა, როგორც რეალურ საგანთა საყოველთაო გარეგნულობა, გარკვეული ზოგადობაა.

ცალკეულის დამახასიათებელი ეს არსებითი ნიშნები ცალკეულის ზოგადი არსებითი ნიშნებია.

ცალკეულს ახასიათებს სპეციფიკური ნიშნებიც.

ცალკეულის ერთ-ერთი სპეციფიკური არსებითი ნიშანია მისი ინდივიდუალობა და განუმეორებლობა. ასე მაგალითად, იმპერატორები - ალექსანდრე მაკედონელი, ნაპოლეონ ბონაპარტე და სხვა, როგორც ცალკეულნი, სრულიად ინდივიდუალურნი და განუმეორებელნი არიან.

ამგვარად, ინდივიდუალობა და განუმეორებლობა ცალკეულის აუცილებელი, ობიექტური ნიშანია.

ცალკეულის მეორე სპეციფიკურ არსებით ნიშანთა ჯგუფს მიეკუთვნება მისი რაოდენობრივ და თვისებრივ განსაზღვრულობათა არსებობა გარკვეულ სხვადასხვა დროსა და სივრცეში. ცალკეული სხვადასხვა სივრცეში არსებული ესა თუ ის საგანი თუ მოვლენაა. ასე მაგალითად, მზე, დედამიწა, მთავარე და სხვა პლანეტები ცალკეული საგნებია, რამდენადაც ისინი არსებობენ გარკვეულ სხვადასხვა სივრცეში.

ასეთ ცალკეული სხვადასხვა დროში არსებული საგანი თუ მოვლენაა. ასე მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელი და ნაპოლეონ ბონაპარტე არსებობდნენ არა მხოლოდ სხვადასხვა სივრცეში, არამედ სხვადასხვა დროშიც.

ცალკეულის არსებითი ნიშნების ზემოთქმულის ანალიზის საფუძველზე ცალკეული შეიძლება განისაზღვროს: ცალკეული არის

ყოფიერების ისეთი განუყოფელი, აუცილებელი, ობიექტური, ზოგადი მხარე, რომელიც თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობებით არსებობს სხვადასხვა სივრცეში და დროში და ხასიათდება სრულიად ინდივიდუალური, განუმეორებელი ნიშნებით.

§ 2. განსაკუთრებულის ფილოსოფიური კატეგორიის არსებითი ნიშნები

ყოფიერება არა მხოლოდ ცალკეულია, არამედ განსაკუთრებულიც. იგი არის ყოფიერების განუყოფელ-აუცილებელი, ობიექტური ზოგადი მხარე.

როგორც აღინიშნა, ცალკეულსაც ახასიათებს მისი საკუთარი გარკვეული ზოგადობა, როგორც ყოფიერების ცალკეულ საგანთა საყოველთაო გარკვეულობა; მაგრამ ეს ზოგადობა, ჩვენი აზრით, ცალკეულში მოცემულია, როგორც განუყოფარებელი რამ; განვითარებული ზოგადობა გვაძლევს განსაკუთრებულის კატეგორიას, როგორც ცალკეულისა და ზოგადის ურთიერთობის განვითარებულ მთლიანობას.

განსაკუთრებულის, როგორც განსაკუთრებულის, სპეციფიკური ბუნება იმაშია, რომ იგი ერთსა და იმავე დროს არის ცალკეულიც და ზოგადიც; ეს უშუალოდ ვლინდება მის სხვადასხვა მიმართებაში. ასე მაგალითად, იოსები - ცალკეულია, ქართველი -განსაკუთრებული, ადამიანი - ზოგადი. ქართველი, როგორც განსაკუთრებული იოსების მიმართ გამოდის როგორც ზოგადი, ხოლო ადამიანის მიმართ როგორც ცალკეული. ამ აზრით, განსაკურთებული არის ერთიანის გაორება და გაორებულთა ერთიანობა, გარკვეული შინაგანი წინააღმდეგობა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე განსაკუთრებული შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: განსაკუთრებული არის ცალკეულისა და ზოგადის დიალექტიკური ერთიანობით შინაგანად განსაზღვრული ყოფიერების განუყოფელ-აუცილებელი, ობიექტური მხარე.

§ 3. ზოგადის ფილოსოფიური კატეგორიის არსებითი ნიშნები

ზოგადი ყოფიერების, საგანთა და მოვლენაა ისეთიკე განუყოფელი, აუცილებელი და ობიექტური მხარეა, როგორც ცალკეული და განსაკუთრებული; ისევე როგორც ყოფიერება შეუძლებელია ცალკეულისა და განსაკუთრებულის გარეშე, ასევე შეუძლებელია ის ზოგადის გარეშეც. თუ ცალკეული და განსაკუთრებული არსებითად ყოფიერების მხარეებია, რომლისაც ის თავის სხვადასხვაობადაა დასახსრული, ზოგადი ყოფიერების ის მხარეა, რომელიც ამ სხვადასხვაობათა საერთო თვისებებსა და ნიშნებს გამოხატავს. ის არის

რეალურ საგანია და მოყვანილია ობიექტურად არსებული საყოველთაო მხარე.

იგი ყველგან და ყოველთვის უშუალოდ და რეალურად მოცემულია ცალკეულში, როგორც მისი ზოგადობა. ასე მაგალითად გიორგი რომ ადამიანია, ეს მისი ზოგადობაა. ადამიანობა გიორგის არსებაა; გიორგი, კი როგორც ცალკეული, მისი არსებობის ფორმაა. ე.ი. ზოგადი, როგორც ცალკეულის არსება, ცალკეულის არსებობის საყოველთაო წესია, რომელიც უშუალოდ ვლინდება საგანთა და მოვლენათა, თვისებათა, მხარეთა და მიმართებათა მსგავსებაში. ასე მაგალითად, ადამიანობა უშუალოდ ვლინდება თითოეულ ადამიანთა მსგავს თვისებებსა, მხარეებსა და მიმართებებში.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე ზოგადი დახასიათებით ასე შეიძლება განესაზღვროთ: ზოგადი არის რეალურად არსებული საგნის არსებობის საერთო ობიექტური წესი, არსება, რომელიც ვლინდება საგანთა და მოვლენათა, თვისებათა, მხარეთა და მიმართებათა მსგავსებაში; ზოგადი არის რეალური საგნის ობიექტური, საყოველთაობა, საყოველთაო მხარე.

§ 4. ცალკეულისა და ზოგადის ურთიერთობის დიალექტიკა

ცალკეულისა და ზოგადის დიალექტიკა, ჩემი აზრით, მათი ურთიერთგანსაზღვრებაა. როგორია ეს ურთიერთგანსაზღვრება?

ცალკეული და ზოგადი საგნის არსებითად განსხვავებული მხარეები, განსაზღვრულობებია. როგორც საგნის არსებითად განსხვავებული განსაზღვრულობები, ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ. ეს უარყოფა-გამორიცხვა, სწორედ, მათს შინაგან წინააღმდეგობას წარმოადგენს. ასე მაგალითად, ხორბალში, თვით ხორბალი, როგორც ცალკეული და მისი ზოგადობა მცენარე, ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ, ე.ი. შინაგან წინააღმდეგობაში იმყოფებიან; მაგრამ ისინი არა მხოლოდ ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ, არამედ ერთმანეთის არსებობასაც ადგენენ. ცალკეული იმდენად არის ცალკეული, რამდენადაც ის თავის თავში შეიცავს ზოგადს, ხოლო ზოგადი იმდენად არის ზოგადი, რამდენადაც ის ცალკეულის ზოგადობაა. ასე მაგალითად, ხორბალი თავის თავში შეიცავს მცენარის ზოგად განსაზღვრულობებს და ის არ არსებობს ზოგადის გარეშე და ასევე მცენარის ზოგადი განსაზღვრულობები აუცილებლობით ხორბალს გულისხმობს. ამ აზრით, ცალკეულისა და ზოგადის ურთიერთობა არა მხოლოდ წინააღმდეგობაა, არამედ წინააღმდეგობათა ერთიანობაც.

§ 5. ცალკეულის კატეგორია სპორტში

სპორტში თაყვის გამოხატულების პოულობს ცალკეულის კატეგორია. ცალკეული სპორტსმენები, გუნდები და სპორტული კოლექტივები, ცალკეული სპორტული გამოსვლები და შეჯიბრებები, ცალკეული ჩემპიონატები და ოლიმპიადები და სხვა, ჩვეულებრივ ასახება სპორტის ცალკეულ კატეგორიაში.

სპორტის ცალკეულს ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

◆ სპორტის ცალკეული სპორტის აუცილებელი მხარეა, რადგან სპორტი არ არსებობს სპორტის ცალკეულის გარეშე.

ასე მაგალითად, დღეს თითოეული ქვეყნის სპორტი წარმოგვიდგება როგორც ცალკეული: ე.ი. ჩვენი პლანეტის სპორტის ყოფიერება მისი ცალკეული ქვეყნის სპორტის სახით ყოფიერებაა; ერთიანის მსოფლიო სპორტი არსებობს, როგორც ცალკეული ქვეყნის სპორტი. ამგვარად, სპორტი არსებობა მისი ცალკეულის არსებობაა; სპორტი არ არსებობს ცალკეულის გარეშე და პირიქით. ცალკეული თავით სპორტის გარეშე. ამდენად, სპორტის ცალკეული სპორტის ყოფიერების აუცილებელი მხარეა.

სპორტის ცალკეული მეორე არსებითი ნიშანი მისი ობიექტურობაა. სპორტის ცალკეული რეალურად არსებობს ადამიანის ნებისურვილისა და ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, რაც, სწორედ, მის ობიექტურ გარკვეულობას წარმოადგენს. ასე მაგალითად, სპორტის სახეები[77], სპორტის არსებობის რეალური ფორმებია და თავი-ანთი ბუნებით ობიექტურ გარკვეულობებს წარმოადგენენ.

სპორტის ცალკეულის ეს ორი არსებითი ნიშანი მისი აუცილებელი ნიშნებია, მაგრამ არასაკმარისი. სპორტის ცალკეულის მესამე არსებითი ნიშანია მისი ზოგადობაა. სპორტის ცალკეული, როგორც სპორტის ცალკეულისათვის დამახასიათებელი საყოველთაო ნიშანთა ერთობლიობა გარკვეული ზოგადობაა. ასე მაგალითად, ფეხბურთის გუნდში შეკარე ცალკეულია, მაგრამ რამდენადაც მას, როგორც ცალკეულს, ახასიათებს საერთოდ სპორტის ცალკეულის ყველა ნიშანი, ის ზოგადია. ძოკლედ რომ ვთქვათ, სპორტის ცალკეულს, როგორც ასეთად გარკვეულობას, მისი ასეთად გარკვეულობის არსება გააჩნია. სპორტის ცალკეულის ასეთად გარკვეულობის არსება, სწორედ მისი ზოგადობაა.

მაგრამ სპორტის ცალკეულის ეს ნიშნები სპორტის ცალკეულის ზოგადი არსებითი ნიშნებია, რომლიც მას საერთო აქვს სპორტის განსაკუთრებულობისა და ზოგადის კატეგორიებთან. ამიტომ სპორტის ცალკეულის ეს ნიშნები არსებითად ის ნიშნებია, რომლითაც სპორტის ცალკეულის კატეგორია უკავშირდება სპორტის განსაკუთრებულისა და ზოგადის კატეგორიებს. ყოველივე ამის გამო, სპორტის ცალკეულის კატეგორიის სრულყოფილი

[77] ეს იქნება ტანვარჯიში, მძლეოსნობა, ჭიდაობა, ძალოსნობა, სათხილამურო და საწყალოსნო სპორტი, კრივი, ფეხბურთი, ხელბურთი, კალათბურთი, პოლო და სხვა.

დახასიათებისათვის აუცილებელია დახასიათდეს მისი სპეციფიკური ნიშნებიც.

სპორტის ცალკეულის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი მისი ინდივიდუალობა და განუმეორებლობა.

რაშია ინდივიდუალობა საერთოდ. მსგავსი ინდივიდების ურთიერთგანსხვავების, ურთიერთგამოყოფის ნიშანია. ასე მაგალითად, ადამიანები ერთმანეთისაგან გამოიყოფიან როგორც ინდივიდები. ადამიანი ინდივიდი მეორე ინდივიდისაგან, სწორედ, მისი ინდივიდუალური ნიშნებით გამოიყოფა; ეს ნიშნები საკმაოდ ბევრია, მათგან შეიძლება დავასახელოთ რამოდენიმე; ამა და ამ დროს დაბადებული, ამა და ამ შობლების შვილი, რომელსაც ესა და ეს სივრცე უკავია, აქვს გარკვეული გარეგნობა და სხეა და სხვა.

ინდივიდუალობა იმის გამო, რომ იგი ინდივიდუალობაა, არ მეორდება. განსხვავებადობა ინდივიდუალობის უარყოფაა.

სპორტის ცალკეულის ინდივიდუალობა და განუმეორებლობა სპორტსმენია, სპორტულ მოვლენათა, სპორტულ შეჯიბრებათა თუ თამაშობათა, სპორტულ ჩემპიონატთა, სხვადასხვა სპორტული საქმიანობათა თუ პროფესიათა და სხვა, ინდივიდუალობა და განუმეორებლობაა.

ამგვარად, სპორტის ცალკეულის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია მისი ინდივიდუალობა და განუმეორებლობა.

სპორტის ცალკეულის მეორე სპეციფიკური არსებითი ნიშანი მისი რაოდენობრივ და თვისებრივ განსაზღვრულობათა სხვადასხვა დროსა და სივრცეში არსებობაა. სპორტის ცალკეულს თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობები გააჩნია. ასე მაგალითად, მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში, როგორც სპორტის ცალკეულს, აქვს თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობანი, რომლებიც არსებობენ გარკვეულ სივრცესა და დროში.

ასევე შეიძლება ვილაპარაკოთ სპორტის სხვა სახეების მსოფლიო ჩემპიონატების შესახებაც. ყველა ისინი, როგორც სპორტის ცალკეული, სხვადასხვა სივრცესა და დროში არსებული მოვლენებია. მაშასადამე, სხვადასხვა სივრცესა და დროში არსებობა სპორტის ცალკეულის ერთ-ერთი არსებითი სპეციფიკური ნიშანია.

როგორც ვხედავთ, სპორტს ახასიათებს ცალკეულის კატეგორია. იგი არის სპორტის ისეთი განუყოფელი, აუცილებელი, ობიექტური, ზოგადი მხარე, რომელიც თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობებით არსებობს სხვადასხვა სივრცესა და დროში და ხასიათება ინდივიდუალური და განუმეორებელი ნიშნებით. მაშასადამე, ცალკეულის კატეგორია სპორტში წარმოგვიდგება, როგორც ცალკეულის ფილოსოფიური კატეგორიის გამოვლინების ფორმა. როგორც გამოყოლენის ფორმას, სპორტის ცალკეულს, საერთოდ ცალკეულის ზოგად ნიშნებთან ერთად, ახასიათებს მისი სპეციფიკური ნიშნებიც.

§ 6. განსაკუთრებულის კატეგორია სპორტში

სპორტი არსებობს არ მხოლოდ როგორც ცალკეული, არამედ როგორც განსაკუთრებულიც. განსაკუთრებულის სახით არსებობა სპორტის განუყოფელი, აუცილებელი, ობიექტური და ზოგადი მხარეა. განსაკუთრებული

სპორტის ისეთი განსაზღვრულობაა, რომელიც სპორტის ცალკეულისადმი დამოკიდებულებაში გაიოდის, როგორც ზოგადი, ხოლო სპორტის ზოგადისადმი დამოკიდებულებაში როგორც ცალკეული. ის სპორტის ცალკეულისა და ზოგადის რეალურად დამაკავშირებელი განსაზღვრულობაა. გავარკვეოთ ეს ფეხბურთის მაგალითზე. ფეხბურთის გუნდი თბილისი „დინამო" ცალკეულია. მისი განსაკუთრებული იქნება „ქართული გუნდი", რომელიც უფრო ზოგადი გარკვეულობაა, რადგან ქართულ გუნდში „დინამოს" გარდა იგულისხმება სხვა გუნდებიც, ეს იქნება ფეხბურთში, კალათბურთში, ხელბურთში, წყალბურთში, რაგბში თუ სხვა. ამიტომ ქართული გუნდი უფრო ზოგადი განსაზღვრულობაა, რომელშიც თვით დინამოს გუნდი შედის; ეს ზოგადობა, სპორტის ცალკეულობასთან ერთად, მისი განსაკუთრებულობაა. ქართული გუნდი, როგორც განსაკუთრებული, ცალკეულის თბილისის „დინამოს" მიმართ ზოგადია; მაგრამ იგივე განსაკუთრებული მასზე უფრო ზოგადის - (საერთოდ) გუნდის მიმართ, თვითონ არის ცალკეული.

ამგვარად, განსაკუთრებული სპორტში, სპორტის ისეთი განსაზღვრულობაა, რომელიც თავის მიმართებაში ცალკეულთან ზოგადია, ხოლო ზოგადთან - ცალკეული.

განსაკუთრებული სპორტში, როგორც სპორტის განსაკუთრებულის კატეგორია, თავისი არსებით არის განსაკუთრებულის ფილოსოფიური კატეგორიის გამოვლენის ფორმა, რომელსაც განსაკუთრებულის ფილოსოფიურ კატეგორიასთან, საერთო ნიშნებთან უსათუოდ თავისი სპეციფიკა ახასიათებს.

§ 7. ზოგადის კატეგორია სპორტში

ზოგადი სპორტში სპორტულ პროფესიათა და მოყვანილობათა ისეთიეე განუყოფელი, აუცილებელი ზოგადი მხარეა, როგორც ცალკეული და განსაკუთრებული. თუ ცალკეული და განსაკუთრებული არსებითად სპორტის ის მხარეებია, რომლითაც სპორტი თავის სხვადასხვაობად არსებობს, ზოგადის კატეგორია სპორტში სპორტული ყოფიერების ის მხარეა, რომლებიც ამ სხვადასხვაობათა საერთო თვისებებსა და ნიშნებს გამოხატავს; ამდენად, ის არის სპორტის რეალურ პროფესიათა და მოვლენათა ობიექტურად არსებული საყოველთაო მხარე. ასე მაგალითად, წერილი, სპორტული შეჯიბრება, ჩემპიონატი, ჩემპიონი, სპორტული გუნდი, სპორტული კოლექტივი, რეკორდსმენი. სპორტსმენი, სპორტი და სხვა სპორტის კატეგორიები გამოხატავენ სპორტის რეალურ პროცესსა და მოვლენათა ობიექტურ ზოგადობას. ეს ნიშნავს იმას, რომ ზოგადი სპორტში ყველგან და ყოველთვის უშუალოდ და რეალურად მოცემულია მის ცალკეულში, როგორც ამ ცალკეულის საყოველთაობა. ასე მაგალითად, ცნობილი მძლეოსანი, ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში რობერტ შავლაყაძე, როგორც სპორტსმენი ცალკეულია, მაგრამ, ამავე დროს, მას ახასიათებს სპორტსმენის ყველა არსებითი ნიშნებიც, ე.ი. იგი თავის თავში

შეიცავს ობიექტურ ზოგადობას სპორტსმენის არსებას; იგი ამ შრით არა მხოლოდ ცალკეულია, არამედ ზოგადიც.

მაშასადამე, სპორტში ყოველი ცალკეული რეალურად თავის თავში შეიცავს მის არსებას, როგორც გარკვეულ ზოგადობას; ამ შრით, სპორტის ცალკეული არა მხოლოდ ცალკეულია, არამედ ზოგადიცაა.

ამგვარად, სპორტში ზოგადი არის ცალკეულის არსება, მისი ობიექტური ზოგადობა; ზოგადი სპორტში თავის არსით, არის ზოგადის ფილოსოფიური კატეგორიის გამოყენების ერთ-ერთი ფორმა. როგორც გამოყენების ფორმას, მას ზოგადის ფილოსოფიურ კატეგორიის საერთო ნიშნებთან ერთად ახასიათებს თავისი სპეციფიკური ბუნებაც.

§ 8. სპორტის ცალკეულის, განსაკუთრებულის და ზოგადის ურთიერთობების დიალექტიკა

სპორტის ცალკეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის კატეგორიები გარკვეულ დიალექტიკურ ურთიერთობებში იმყოფებიან. ეს დიალექტიკური ურთიერთობა მათი რეალური ბუნებით, მათი საკუთარი არსებობის ურთიერთდადგენაა.

სპორტის ცალკეული თავის თავში შეიცავს, როგორც თვით მისი გარკვეულობის აუცილებელ მომენტებს, - განსაკუთრებულსა და ზოგადობას; ცალკეულობა, განსაკუთრებულობა, ზოგადობა სპორტული მოვლენის შინაგანი მომენტებია, რომლებიც რეალურად მხოლოდ მათ ურთიერთგანსაზღვრულობაში არსებობენ: სპორტის ცალკეულობა იმდენად არის ცალკეულობა, რამდენადაც იგი, იმავე დროს, განსაკუთრებულობაცაა და ზოგადობაც, ხოლო, თავის მხრივ, სპორტის განსაკუთრებული და ზოგადი, როგორც გარკვეულობები, იმდენად არიან განსაკუთრებული და ზოგადი, რამდენადაც ისინი ცალკეულის განსაკუთრებულობასა და ზოგადობის ბუნებას წარმოგვიდგენენ; ე.ი. ისინი მათს აუცილებელ მიმართებაში დგინდებიან. ეს ურთიერთდადგენა კი სწორედ, მათი ურთიერთობის ობიექტური დიალექტიკაა. განვიხილოთ ეს დიალექტიკა კონკრეტული მაგალითის საფუძველზე.

ცნობილი ოლიმპიური ჩემპიონი სიმაღლეზე ხტომაში, რობერტ შაყლაყაძე მისი ისტორიული ყოფიერებით, ცალკეული, ერთეული სპორტსმენია, რადგან მას ახასიათებს ყველა ის არსებითი ნიშნები, რაც ცალკეულ, ერთეულ სპორტსმენებს საერთოდ. მაგრამ ცალკეულ, ერთეულ სპორტსმენად არსებობა მისი მხოლოდ ერთ-ერთი აუცილებელი გარკვეულობაა.

მაგრამ რობერტ შაყლაყაძეს, როგორც ცალკეულ, ერთეულ სპორტსმენს, აქვს თავისი უახლოესი გვარი, როგორც მისი საკუთარი განსაზღვრულობა, რომელიც როგორც მოცემული ცალკეულის „თავის სხვად" არსებობა, არის სწორედ, განსაკუთრებული. რობერტ შაყლაყაძისათვის, როგორც ცალკეული, ერთეული სპორტსმენისათვის, განსაკუთრებულია, რომ ის არის ქართველი სპორტსმენი; გამოდის, რომ რობერტ შაყლაყაძისათვის, როგორც

ცალკეული, ერთეული სპორტსმენისათვის, შინაგანად დამახასიათებელია უფრო ზოგადი განსაზღვრულობა: ქართველი სპორტსმენობა; ეს კი ნიშნავს იმას, რომ შაყლაყაძე არსებობს არა მხოლოდ როგორც ცალკეული სპორტმენი, არამედ, ამასვე დროს, როგორც ქართველი სპორტსმენი და ამდენად, როგორც განსაკუთრებული; შაყლაყაძისათვის, როგორც ცალკეული, ერთეული სპორტსმენისათვის, შინაგანად აუცილებელია ქართველი სპორტსმენობა; და ეს აუცილებლობა იმდგომარეობს იმაში, რომ ქართველი სპორტსმენობა, როგორც უფრო მეტი ზოგადობა, შაყლაყაძის როგორც ცალკეული, ერთეული სპორტსმენის სახით დგინდება. ე.ი. განსაკუთრებული - ქართველი სპორტსმენი, როგორც გარკვეული ზოგადობა, ცალკეულ, ერთეულ სპორტსმენში: შაყლაყაძეში ვლინდება, ეს უკანასკნელი კი ქართველი სპორტსმენის არსებას, როგორც განსაკუთრებულს, გამოაცალკევებს. მაშ, ცალკეული და განსაკუთრებული სპორტში აუცილებელ კავშირში იმყოფებიან: განსაკუთრებული ცალკეულში ვლინდება, ეს უკანასკნელი კი განსაკუთრებულს გამოაცალკევებს; ამდენად, განსაკუთრებული სპორტში ცალკეულის მეშვეობით დგინდება, როგორც მისი ბუნება, ხოლო თვით ცალკეული, როგორც განსაკუთრებულის გამოყალიბების ფორმა, განსაკუთრებულითვე დგინდება. ცალკეულისა და განსაკუთრებულის ეს ურთიერთდადგენა სპორტში არის, სწორედ, მათი დიალექტიკური ურთიერთობა.

მაგრამ ცალკეული სპორტში განისაზღვრება არა მხოლოდ როგორც განსაკუთრებული, არამედ როგორც ზოგადიც. ასე მაგალითად, რობერტ შაყლაყაძე ცალკეული, ერთეული სპორტსმენია[78], მაგრამ ის, ამასთან ერთად, ქართველი სპორტსმენიცაა, ე.ი. ის განსაკუთრებულიცაა, ხოლო რამდენადაც იგი სპორტმენია[79], ის ზოგადიცაა.

ამგვარად, რობერტ შაყლაყაძე ერთსა და იმავე დროს თავის თავში შეიცავს სამ აუცილებელ შინაგან გარკვეულობას; ცალკეულს, განსაკუთრებულს და ზოგადს; რობერტ შაყლაყაძის, როგორც სპორტსმენის, ეს გარკვეულობები, მხოლოდ მათ შინაგან, აუცილებელ კავშირში არსებობენ; რობერტ შაყლაყაძე, როგორც ცალკეული სპორტმენი, არ არსებობს მისი განსაკუთრებულობისა და ზოგადობის გარეშე; ეს კი ნიშნავს იმას, რომ რობერტ შაყლაყაძე იმდენად არის ცალკეული სპორტსმენი, რამდენადაც იგი ქართველი სპორტსმენი და საერთოდ სპორტსმენია; ე.ი. მასში მოცემულია როგორც ქართველის სპორტსმენის, ასევე საერთოდ სპორტსმენის არსება; ამიტომ მისი, როგორც ცალკეული სპორტსმენის, გარკვეულობა არ არსებობს ამ უკანასკნელთა გარეშე; მაგრამ არც ეს უკანასკნელნი, როგორც ცალკეული სპორტსმენის შინაგანი რეალური გარკვეულობები, არ არსებობენ ამ ცალკეულის, როგორც გარკვეული მოვლენის, გარეშე. ცალკეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის ეს ურთიერთდადგენა სპორტში არის, სწორედ, მათი ურთიერთკავშირ-დამოკიდებულების რეალური დიალექტიკა.

---

[78] ე.ი. ის სპორტის ცალკეული, ერთეული მოვლენაა

[79] მას ახასიათებს სპორტსმენის ყველა არსებითი ნიშანი

მეთხუთმეტე თავი. ნაწილისა და მთელის კატეგორიები სპორტში (კალათბურთისა და ფეხბურთის მაგალითზე)

ნაწილისა და მთელის კატეგორიების სპორტში მოქმედების საკითხი საინტერესოა არა მხოლოდ თეორიულად, არამედ პრაქტიკულადაც; პრაქტიკულად იმდენად, რამდენადაც ნაწილისა და მთელის ბუნების თეორიული გარკვევის საფუძველზე კალათბურთისა და ფეხბურთის მაგალითზე. შესაძლებელია მთელი რიგი ზოგადი ხასიათის პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, რომელიც სასარგებლო იქნება ჩვენი ქართული სამამულო სპორტის ისეთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა განვითარებისათვის, როგორიცაა კალათბურთი და ფეხბურთი.

მოცემულ თავში ჯერ დავახასიათებთ საერთოდ ნაწილისა და მთელის ფილოსოფიურ კატეგორიებს, მათს ძირითად ნიშნებს, მათ დიალექტიკურ ურთიერთობას და შემდეგ გავარჩევთ უშუალოდ ნაწილისა და მთელის კატეგორიებს სპორტში, ფეხბურთისა და კალათბურთის მაგალითზე, დავახასიათებთ ამ კატეგორიების სპეციფიკურ ნიშნებსა და მათს ურთიერთდამოკიდებულებებს.

§ 1. ნაწილის კატეგორიის განსაზღვრის საკითხისათვის

ნაწილს, როგორც კატეგორიის გარკვევა, მისი არსების, არსებითი ნიშნების გარკვევაა. ნაწილს ახასიათებს არსებითი ნიშნების ორი ჯგუფი:

1. ე.წ. ნაწილის ზოგადი ნიშნები
2. ნაწილის სპეციფიკური ნიშნები

პირველი ნაწილის კატეგორიის სხვა ფილოსოფიურ კატეგორიებთან კავშირის ნიშნებია, მეორე კი სხვა ფილოსოფიური კატეგორიებიდან მისი გამოყოფის ნიშნები.

ნიშანთა ორივე ჯგუფი ნაწილის არსების აუცილებელი ნიშნებია. და თუ ნაწილის განსაზღვრებამ ნაწილის არსება უნდა ახსნას, მისი განსაზღვრისათვის აუცილებელია ნაწილის არსებით ნიშანთა ორივე ჯგუფის გარკვევა.

1. ნაწილის ზოგადი არსებითი ნიშნები:

ნაწილი სინამდვილის საგანთა და მოვლენათა განსაზღვრულობაა. ე.ი. ნაწილი თავისი არსებით, მატერიალური განსაზღვრულობაცაა და იდეალურიც და ამდენად, უზოგადესი განსაზღვრულობაა.

განსაზღვრულობა არის ის, რომლითაც ყოველი არსებული ეს არის და არა სხვა, ის, რაც ასეთად არსებობას განსაზღვრავს; ასე მაგალითად, რაოდენობა, თვისებრიობა, ნაწილი, მთელი და სხვა. საგანთა და მოვლენათა განსაზღვრულობებია; ამ აზრით, ნაწილი სინამდვილის საგანთა და მოვლენათა ერთ-ერთი განსაზღვრულობაა.

ამგვარად, ნაწილის აუცილებელი ნიშანია ის, რომ იგი სინამდვილის

ერთ-ერთი განსაზღვრულობაა.

ნაწილი ობიექტური განსაზღვრულობაცაა; ე.ი. იგი არსებობს ჩვენი ნებისა და სურვილის, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად; ასე მაგალითად, ჩვენს ქეყანის ნაწილები ობიექტურ განსაზღვრულობებს წარმოადგენენ. გაიოდის, რომ ნაწილი, ეს იქნება მატერიალური თუ იდეალური, ობიექტური განსაზღვრულობაა. ამ აზრით, ნაწილის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი მისი ობიექტურობაა.

ნაწილი ასეევე აუცილებელი განსაზღვრულობაცაა. აუცილებელი, რამდენადაც ყოველი საგანი და მოვლენა, ეს იქნება მატერიალური თუ იდეალური, ობიექტური თუ სუბიექტური, ნაწილის განსაზღვრულობას აუცილებლობით გულისხმობს. ამ აზრით, ნაწილი აუცილებელი განსაზღვრულობაა.

და ბოლოს, ნაწილის არსებითი ნიშანია მისი უზოგადესობა; ნაწილი საგანთა და მოვლენათა უზოგადესი განსაზღვრულობაა. ნაწილის განსაზღვრულობის სახით არსებობა მთელი სინამდვილის ბუნების საზოგადოებისა და აზროვნების საყოველთაო ნიშანია. ამიტომ ის უზოგადესი განსაზღვრულობაა.

ჩემი აზრით, ნაწილის ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანს მთელისაგან, რომლის ნაწილ-საც ის წარმოადგენს, მისი არსებითი განსხვავება წარმოადგენს; ნაწილი მთე-ლისაგან არსებითად, თვისებრივად განსხვავებულია.

რაში მდგომარეობს ნაწილის მთელისაგან თვისებრივი განსხვავება ?

მთელი რაოდენობრივად მის ნაწილებს ემთხვევა, მაგრამ, ამავე დროს, ნაწილებისაგან თვისებრივად განსხვავებულია. ასე მაგალითად, წყლის ფორმულა
(H_2O), რომელიც შედგება ორი ატომის წყალბადისა და ჟანგბადისაგან, რაოდენობრივად მის შემადგენელ ელემენტებზე არც მეტია და არც ნაკლები, მაგრამ თვისებრივად სრულიად განსხვავებულია მათგან. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ორგანულ მთელშიც. ყოველი ცოცხალი ორგანიზმი რაოდენობრივად იგივეა, რაც მისი ნაწილები, ხოლო თვისებრივად ისინი ერთიმეორისაგან განსხვავებულნი არიან.

აქედან, ნაწილის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანი მისი მთელისაგან თვისებრივი განსხვავებაა.

ნაწილი ჩემი აზრით, არის ის რაოდენობრივი განსაზღვრულობა, რაოდენობრიობა, რომელიც მთელის თვისებრიობას ქმნის. ამ აზრით ნაწილი მთელში, რაოდენობა თვისებრიობაში გადადის. ასე მაგალითად, ატომში ნაწილები, ატომგული, ელექტრონები, პროტონები, პოზიტორონები და სხვა, როგორც რაოდენობანი, ატომის, როგორც მთელის თვისებრიობას ადგენენ.

ამგვარად, ნაწილის მეორე სპეციფიკური ნიშანი ისაა, რომ იგი არის მთელის რაოდენობრივი განსაზღვრულობა, რაოდენობრიობა, რომელიც მთელის თვისებრიობას ქმნის.

ზემოთ თქმულის მიხედვით, ნაწილი შეიძლება განისაზღვროს:

ნაწილი არის საგანთა და მოვლენათა ობიექტური, აუცილებელი, ზოგადი განსაზღვრულობა, რაოდენობრიობა, რომელიც მთელის, თვისებრიობას ქმნის.

§ 2. მთელის კატეგორია

ნაწილის მსგავსად, მთელი წარმოგვიდგება როგორც საგანთა და მოვლენათა განსაზღვრულობა. ასე მაგალითად, სამყარო, როგორც ბუნება, ადამიანთა საზოგადოება და ცხოვრება, არის სწორედ მთელი.

თუ მთელი სამყაროს, მისი ნაწილია, მის საგანთა და მოვლენათა განსაზღვრულობა, ისმება კითხვა: როგორი განსაზღვრულობა?

პასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს: ერთ-ერთი, ობიექტური, აუცილებელი და საყოველთაო განსაზღვრულობა. განვიხილოთ მოცემის განსაზღვრულობის ეს მომენტები.

მთელი სამყაროს, მისი ნაწილთა, მის საგანთა და მოვლენათა ერთ-ერთი განსაზღვრულობაა; ერთ-ერთი იმიტომ, რომ მათ სხვა განსაზღვრულობებიც აქვთ: ასე მაგალითად, რაოდენობა, თვისებრიობა, ნაწილი, ერთეული, განსაკუთრებული, ზოგადი და სხვა. ამიტომ მთელის საყოველთაო არსებითი ნიშანი სწორედ ის არის, რომ ის სამყაროს საგანთა და მოვლენათა ერთ-ერთი განსაზღვრულობაა.

მთელი სამყაროს, მის ნაწილთა, მის საგანთა და მოვლენათა ობიექტური განსაზღვრულობაა. რამდენადაც ის არსებობს ჩვენი ნებისა და სურვილებისაგან დამოუკიდებლად. სამყაროს საგნები და მოვლენები ობიექტურია, ასევე ობიექტურია მთელი, მათი ერთ-ერთი განსაზღვრულობაც. მაშასადამე, მთელი სამყაროს, მის ნაწილთა, საგანთა და მოვლენათა ობიექტური განსაზღვრულობაა.

მთელი სამყაროს, მის ნაწილთა, მის საგანთა და მოვლენათა აუცილებელი განსაზღვრულობაცაა, რამდენადაც სამყაროს ნაწილები, საგნები და მოვლენები არ არსებობენ ამ განსაზღვრულობის გარეშე.

აშკარაა, მთელი სამყაროს, მის ნაწილთა, მის საგანთა და მოვლენათა აუცილებელი განსაზღვრულობაა.

და ბოლოს, მთელი წარმოგვიდგება როგორც საყოველთაო განსაზღვრულობა. ე.ი. მთელის სახით არსებობა დამახასიათებელია როგორც მთელი სამყაროსათვის, ასევე მის ნაწილთათვის. მთელი, როგორც სამყაროს ყოველ საგანთა და მოვლენათათვის დამახასიათებელი განსაზღვრულობა, საყოველთაო განსაზღვრულობაა.

როგორც ვხედავთ, მთელი წარმოადგენს მთელი სამყაროს, ბუნების, საზოგადოების ცხოვრების და მათი საგანთა და მოვლენათა დამახასიათებელ ერთ-ერთ ობიექტურ, აუცილებელ და საყოველთაო განსაზღვრულობას. მთელის ეს ნიშნები მისი არსების ზოგადი ნიშნებია, რომელიც მთელის ზოგად ბუნებას გვიხასიათებს. ამიტომ მთელის განსაზღვრისათვის ისინი აუცილებლები არიან, მაგრამ არასაკმარისნი; მთელის განსაზღვრისათვის აუცილებელია მთელის არსების სპეციფიკური ნიშნების დადგენაც.

მთელის ერთ-ერთი სპეციფიკური ნიშანია, ჩვეი ახრით, ის, რომ იგი სრულიად თვისებრივად განსხვავდება მის შემადგენელ და განმსაზღვრელ ნაწილთა თვისებისაგან; მთელი არ არის ნაწილთა და მათ თვისებათა უბრალო ჯამი: იგი ნაწილებით, თვისებებით განსაზღვრული, ამ თვისებებზე მაღლა მდგომი, ახალი თვისებრიეი განსაზღვრელობაა. ასე მაგალითად, წყლის მოლეკულა (H_2O) როგორც მთელი, არის არა მისი შემადგენელი ნაწილების: H და O თვისებათა უბრალო ჯამი, არამედ იგი არის იეისებრივად ახალი განსაზღვრულობა. H და O თავიანთი თვისებებით სულ სხვას წარმოადგენენ, ვიდრე მათ მიერ შედგენილი მთელი, წყლის მოლეკულა (H_2O); ამიტომ არ შეიძლება მთელის ნაწილების ჯამად გამოცხადება; მთელი ნაწილებით განსაზღვრული თვისებრიეად ახალი განსაზღვრულობაა.

ამგვარად, მთელის ერთ-ერთი არსებითი სპეციფიკური ნიშანი ისაა, რომ იგი მისი ნაწილების თვისებებით განსაზღვრული, ამ ნაწილთა თვისებებისაგან სრულიად თვისებრივად განსხვავებული ახალი განსაზღვრულობაა.

მთელის, როგორც განსაზღვრულობის, მთელის არსებითი სპეციფიკური ნიშანი მისი სისტემურობაა, მთელი, ე.წ. სისტემური განსაზღვრულობაა, სისტემაა. სისტემა არის ურთიერთდაკავშირებული ნაწილების, ელემენტების ერთობლიობა. ასე მაგალითად, საზოგადოება, როგორც ცალკეული ინდივიდების ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, სულიერი, ოჯახური და სხვა ურთიერთობების ერთობლიობა, გარკვეულ სისტემას, - სოციალურ სისტემას წარმოადგენს.

ამრიგად, მთელი ნაწილთა ერთობლიობით განსაზღვრული სისტემაა; ე.ი. მთელი სისტემის სახით არსებული განსაზღვრულობაა.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიხედვით, მთელის ცნება ასე შეიძლება განვსაზღვროთ:

მთელი ეწოდება სამყაროს, მის ნაწილთა, საგანთა და მოვლენათა ობიექტურ აუცილებელ, საყოველთაო განსაზღვრულობას, რომელსაც აქვს მისი ნაწილებისაგან განსხვავებული სრულიად ახალი თვისებრიობა და ახასიათებს სისტემურობა.

§ 3. ნაწილისა და მთელის დიალექტიკა

ნაწილი და მთელი ერთმანეთთან დაკავშირებული განსაზღვრულობებია. ეს შინაგანი კავშირი არის სწორედ მათი დიალექტიკა. რაში მდგომარეობს ეს შინაგანი კავშირი?

ჩვეი ახრით, მათს ურთიერთგანსაზღვრებაში ნაწილი (ნაწილები) მთელს ადგენენ, მთელი კი მათი ნაწილის არსებობას განსაზღვრავს. ნაწილისა და მთელის დიალექტიკა თვალსაჩინო სახით მოცემულია ადამიანში და ადამიანთა სახოგადოებაში. ამიტომ ჩვენ ამ დიალექტიკას მათი მიხედვით განვიხილავთ.

ამ ურთიერთობას ადამიანში ჩვენ განვიხილავთ ჯერ ფიზიკურბიოლოგიური ურთიერთობების სფეროში და შემდეგ საერთოდ, ფიზიკური და სულიერის

ურთიერთობათა სფეროში. ადამიანი მრავალ ანატომიურ და ფიზიოლოგიურ სისტემათა ერთობლიობაა, რომელითაც იგი არსებობს როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური სისტემა[80]. ეს სისტემებია: საჭიმიარაო აპარატი ან ე.წ. ძვალკუნთოვანი სისტემა, საჭმლის მომნელებელი სისტემა, სასუნთქი სისტემა, შარდ-სასქესო სისტემა, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების სისტემა, გულისისხლძარღვთა სისტემა, ნერვიული სისტემა და სხვა. ეს სისტემები, როგორც ადამიანის ნაწილები, თავიანთი სხვადასხვა ფუნქციებით ქმნიან თვით მათგან განსხვავებულ ერთ მთლიან სისტემას, ადამიანს, როგორც ბიოლოგიურ მთელს. აქ ანატომიურ-ფიზიოლოგიური სისტემები ადამიანს, როგორც მთელს განსაზღვრავენ, ხოლო მთელი კი, მის სისტემებს. ისინი მხოლოდ ერთიანეობაში და ერთიანეობით არსებობენ: ანატომიურ-ფიზიოლოგიური სისტემები მთელის განსაზღვრულობას მოკლებულნი, არაფითარ ანატომიურ-ფიზიოლოგიურ სისტემებს არ წარმოადგენენ და პირიქით, მთელი მის ანატომიურ ფიზიოლოგიურ სისტემებს, როგორც სტრუქტურულ ნაწილებს მოკლებული, მთელს არ წარმოადგენს; ნაწილისა და მთელის ეს შინაგანი ურთიერთგანსაზღვრება არის, სწორედ, მათი დიალექტიკა.

- ადამიანი, როგორც ბიოლოგიური მთელი, ჩვენი აზრით, ადამიანის ერთ მხარეს წარმოადგენს და ამ მხარეს მე ეწოდებ ადამიანის ფიზიკურ მხარეს, იმ მეორე მხარისაგან განსხვავებით, რომელიც სულიერი მხარეა. ერთიც და მეორეც, როგორც განსხვავებული მხარეები, თავის მხრივ, სისტემებს წარმოადგენენ; ერთი ფიზიკურ სისტემას, მეორე კი სულიერ სისტემას, რომელთა ერთიანობა არის ადამიანი. მოცემული ნაწილები, როგორც სისტემები, მათს ურთიერთ-კავშირში უშუალოდ მათგან თვისებრივად განსხვავებულ ახალ სისტემას, ადამიანს განსაზღვრავენ. ხოლო ადამიანი, როგორც უფრო მაღალი სისტემა, მის შემადგენელ სისტემას შინაგანად იქვემდებარებს და განსაზღვრავს. ადამიანის, როგორც მთელის, და მის ძირითად ნაწილთა ეს ურთიერთ-განსაზღვრა-დადგენა, არის სწორედ მათი დიალექტიკა.

მსგავს მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ადამიანთა საზოგადოებაში. ადამიანთა საზოგადოება ადამიანთა სხვადასხვა ურთიერთობების სისტემაა; აქ ადამიანთა სხვადასხვა ურთიერთობები საზოგადოებას, როგორც სისტემას, ადგენენ, ეს უკანასკნელი კი მის ნაწილს, თვით ადამიანს, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობას. ადამიანთა საზოგადოება ნაწილებით განსაზღვრული ამ ნაწილებისაგან თვისებრივად განსხვავებული მთელია, ნაწილები კი მთელით განსაზღვრული ნაწილებია. არ არსებობს ადამიანთა საზოგადოება, როგორც მთლიანობა, ადამიანთა გარეშე, მაგრამ არც ადამიანები არსებობენ საზოგადოების გარეშე. მაშასადამე, ნაწილი და მთელი საზოგადოებაში დიალექტიკურად დაკავშირებული განსაზღვრულობებია.

ასეთია ნაწილისა და მთელის დიალექტიკური ურთიერთობა.

[80] Футбол. Москва, 1978, с.73

§ 4. ნაწილისა და მთელის კატეგორიები სპორტში
(კალათბურთისა და ფეხბურთის მაგალითზე)

თუ ნაწილი და მთელი სინამდვილის საყოველთაო განსახღვრულობებია, მაშინ სპორტიც თავის თავში აუცილებლობით შეიცავს ნაწილისა და მთელის განსაზღვრულობებსაც. განვიხილოთ ეს განსაზღვრულობები ჯერ საერთოდ კალათბურთისა და ფეხბურთის როგორც სპორტის, შემდეგ კი კალათბურთის გუნდისა და ფეხბურთის გუნდის მაგალითზე.

- ნაწილისა და მთელის კატეგორიები საერთოდ კალათბურთისა და კალათბურთის გუნდის მაგალითზე.

ა. ნაწილისა და მთელის კატეგორიები საერთოდ კალათბურთის, როგორც სპორტის მაგალითზე.

კალათბურთი ადამიანთა გარკვეულ ურთიერთობათა სისტემაა. ის ადამიანის გარკვეული სახის მოქმედებაა. ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედება, რომელიც მიმართულია მისი ფიზიკური და სულიერი უნარების თუ ძალების განვითარებისაკენ საერთოდ. მისი საკალათბურთო ფიზიკური და სულიერი უნარების თუ ძალების განვითარებისაკენ, კერძოდ, საკალათბურთო შეჯიბრებაში უმაღლესი შედეგების მისაღწევად.

ისმება კითხვა, რა ნაწილებისაგან შედგება კალათბურთი, როგორც ადამიანთა გარკვეული ურთიერთობა, როგორც სპორტი?

კალათბურთის ერთ-ერთი ნაწილია თვით კალათბურთელი სპორტსმენები. რომლე-ბიც სისტემატურად და განუწყვეტლივ ივითარებენ თავიანთ ფიზიკურ და სულიერ უნარებს საკალათბურთო სპორტულ შეჯიბრებებში მაღალი შედეგების მისაღწევად. შემდეგ. კალათბურთის გუნდები, დაწყებ-ული მოზარდისა და ბავშვთა ჯგუფებიდან და სხვადასხვა ასაკის ჭაბუკთა გუნდებიდან (თუ ნაკრებებიდან). დამთავრებული პირველი ლიგისა და უმაღლესი ლიგის გუნდებით და ქვეყნის ნაკრებით. ასევე კალათბურთის მართვის და ხელმძღვანელობის ორგანოები, ფედერაციები.

კალათბუროთის სისტემის ნაწილს განეკუთვნება, ე.წ. ფინანსური ნაწილი, რომელსაც სახელმწიფო გამოყოფს კალათბურთის სპორტის არსებობისა და განვითარებისათვის.

კალათბურთის სისტემის უმნიშვნელოვანეს ნაწილს წარმოადგენენ სხვადასხვა რანგის მწვრთნელები, ადამიანები, შეიარაღებული გარკვეული თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით.

კალათბუროთის ნაწილს განეკუთვნება, აგრეთვე, ე.წ. კალათბურთის მოედნები, რომლებშიც ხორციელდება წვრთნის პროცესი.

კალათბუროთის ნაწილს განეკუთვნება, ე.წ. სერიული სახის ბურთი, რომლის საფარი შეიძლება იყოს ტყავის, სინთეტური ან რეზინის; ბურთი იწონის 600-დან 650 გრამამდე.

შემდეგ, კალათბუროთის ნაწილს შეადგენს თამაშის კალენდრები, ყველა სახეობის გუნდისათვის, დაწყებული მოზარდისა და ბავშვთა ჯგუფებიდან

და სხვადასხვა ასაკის ახალგაზრდული გუნდებიდან, დაშთავრებული პირველი ლიგის და უმაღლესი ლიგის გუნდებით.

და შემდგომ, კალათბურთის განუყოფელი ნაწილია, ე.წ. გუნდის სათამაშო დრო, რომელიც ორი ნახევრისაგან შედგება - პირველი და მეორე ნახევარი; მოზრდილთა და იუნიორებისათვის 40 წუთი - 20-20 წუთი თითოეული ნახევრისათვის; ბავშვთა, მოზარდთა გუნდებისათვის კი, რომელიც ასევე ორი სათამაშო ნახევრისაგან შედგება - 24 წუთი, 12-12 წუთი თამაშის თითოეული ნახევარი; ჭაბუკთა გუნდებისათვის კი სულ 39 წუთი, 15-15 წუთი თამაშის თითოეული ნახევარი. პირველი ლიგისა და უმაღლესი ლიგის გუნდებისათვის სათამაშო დრო განისაზღვრება 20-20 წუთით, სულ ორმოცი წუთი თამაშის ორივე ნახევარში.

კალათბურთის ყველაზე მთავარი და ძირითადი ნაწილი, ჩემი აზრით, შეჯიბრების ნაწილია, რომელიც კალათბურთის არსებობისა და განვითარების შინაგანი წყაროა.

ასევე კალათბურთის ნაწილად აუცილებლად ჩაითვლება იმ ადამიანთა ჯგუფი, მსაჯების სახით, რომლებიც საკალათბურთო შეჯიბრებას უმუალოდ სჯიან და განაგებენ.

კალათბურთის შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება ასევე ე.წ. სპორტული წოდებები და ტიტულები.

კალათბურთის შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება სპორტული წოდებები და ტიტულები.

დაბოლოს, კალათბურთის შემადგენელ ნაწილად ჩვენ მიგვაჩნია სპორტული საზოგადოებები და კლუბები.

ასეთია კალათბურთის, როგორც სპორტის შემადგენელი ნაწილები.

ყველა ზემოთ დასახელებულ ნაწილს თავისი გარკვეული განსახღვრულობა და ფუნქცია აქვს. მათი ურთიერთკავშირებითა და ფუნქციებით იქმნება ნაწილთაგან სრულიად განსხვავებული ახალი თვისებრიობა, კალათბურთის, როგორც მთელის და სისტემის თვისებრიობა. ყველა ნაწილს მთელისაგან განსხვავებული შინაგანი სტრუქტურა, ბუნება და თვისებრიობა ახასიათებს, მაგრამ მათი ერთობლიობა მათგან განსხვავებულ მთელს გვაძლევს.

კალათბურთის ნაწილები ის რაოდენობრივი გარკვეულობებია, რომლითაც მისი თვისებრიობა იქმნება; აქ ნაწილები, როგორც რაოდენობრივი გარკვეულობები, გადადიან თვისებრივ გარკვეულობაში და პირიქით, თვისებრიობაც რაოდენობაში გადადის, ე.ი. კალათბურთი, როგორც სპორტი, გარკვეული რაოდენობისა და თვისებრიობის ერთიანობაა. ნაწილის და მთელის ეს ურთიერთგადასვლა, ურთიერთგანსაზღვრა არის სწორედ მათი დიალექტიკური ერთიანობა. ამგვარად, კალათბურთი, როგორც სპორტი, ნაწილისა და მთელის, რაოდენობისა და თვისებრიობის დიალექტიკური ერთიანობაა.

◆ ნაწილისა და მთელის კატეგორიები უმაღლესი ლიგის კალათბურთის გუნდის

მაგალითზე.

უმაღლესი ლიგის კალათბურთის გუნდის ერთ-ერთი ნაწილი მისი მოთამაშეებია; კალათბურთის გუნდის მოთამაშეთა რაოდენობა, როგორც ცნობილია, 5-ით განისაზღვრება; გარდა ამისა, გუნდს უფლება აქვს ჰყავდეს 7 შემცვლელი მოთამაშე; გუნდის 5 მოთამაშიდან ერთ-ერთი არის კაპიტანი, რომელსაც გუნდი სათამაშოდ გამოჰყავს და ხელმძღვანელობს თამაშს. კაპიტანს გარკვეული განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გუნდში; იგი გუნდის თამაშს წარმართავს მწვრთნელის მიერ დასახული მიზნით, და ეს აქცევს მას თავისებურ ნაწილად. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ კაპიტანს გუნდში სხვა ფუნქციები არ შეიძლება ჰქონდეს. კაპიტანი, უწინარეს ყოვლისა, მოთამაშეა და ის შეიძლება იყოს დამცველი, განაპირა თავდამსხმელი და ცენტრის მოთამაშეც.

კალათბურთი შინაგანი აუცილებლობით გულისხმობს ფუნქციების მიხედვით მოთამაშეთა სპეციალიზაციას; რადგან კალათბურთისათვის აუცილებელი სათამაშო მოღვაწეობის ორი პოლუსი შეტევა და დაცვაა, ამიტომ კალათბურთის მოთამაშეთა სპეციალიზაციაც ძირითადად ამ ფუნქციებით განისაზღვრება: დამცველები, განაპირა თავდამსხმელები და ცენტრის მოთამაშეები. მაგრამ თანამედროვე პერიოდში ეს ფუნქციები არ არის უცვლელი. ხდება მათი დიფერენციაცია თვით ამ ფუნქციის შიგნით. ასე მაგალითად, თანამედროვე კალათბურთში დამცველებს შორის გამოიყოფა, ე.წ. „შეშტევი“ დამცველები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ კალათის შეტევაში მოწინააღმდეგის ფართან ასხლეტილი ბურთისათვის ბრძოლაში და „უკანა დამცველები“, რომლებიც ბურთის გათამაშებასა და გუნდის ზურგის დახვევას ხელს უწყობენ; რაც შეეხება ცენტრის მოთამაშეებს, აქ გამოიყოფა ცენტრის პირველი ან ძირითადი მოთამაშეები, რომლებიც უშთაგრესად მოქმედებენ მოწინააღმდეგის ფარის ახლოს მწვავე შეტევებში და ე.წ. ცენტრის მეორე მოთამაშეები, რომლებიც თავისუფლად მანევრირებენ საჯარიმო ხაზის უბანში და ხშირად უტევენ კალათს შეუჩერებლივ.

თანამედროვე კალათბურთი მოითხოვს კალათბურთელთა უნივერსალიზაციას როგორც შეტევაში, ასევე დაცვაში, მაგრამ ეს სრულიად არ გამორიცხავს იმას, რომ ესა თუ ის კალათბურთელი იყოს უშუალოდ ამა თუ იმ ფუნქციის შემსრულებელი; უფრო მეტიც, კალათბურთის უნივერსალიზაცია იმის შემდეგ ხდება შესაძლებელი, როცა ის სრულყოფილად, უაღრესად მაღალ განვითარებულ ფორმაში ფლობს იმ ფუნქციას, რომელიც მას გუნდში უკავია. კალათბურთელის უნივერსალიზაცია მისი დაოსტატების განვითარებაა; და ის უშუალოდ ამოდის სპორტსმენის ამა თუ იმ ფუნქციაში უაღრესად მაღალი დაოსტატებიდან; მხოლოდ გარკვეულ ფუნქციაში უაღრესად დაოსტატებულ სპორტსმენს შეუძლია შეითვისოს სხვა ფუნქცია.

ამგვარად, უმაღლესი ლიგის გუნდში მკვეთრად გამოიყოფა მოთამაშეთა სამი ჯგუფი: დამცველები, განაპირა თავდამსხმელები და ცენტრის მოთამაშეები, რომელთაც განსაკუთრებული ფუნქციები აკისრიათ გუნდში; ამ სპეციფიკური ფუნქციების გამო, მოთამაშეთა თითოეული ჯგუფი წარმოგვიდგება, როგორც გუნდის გარკვეული ნაწილები, რომლებიც იაფიანთ ერთიანობაში სხვა ნაწილებთან ერთად, ქმნიან თვისებრივად ახალ ორგანულ მთელს, რომელსაც გუნდი წარმოადგენს.

მაგრამ გუნდის არსებობა ასევე შეუძლებელია მწვრთნელის ან მწვრთნელთა გარეშე. მწვრთნელი გუნდის მომზადებისა და მისი ყოველმხრივი ორგანიზაციის, განსაკუთრებით, სათამაშო ორგანიზაციის უდიდესი ორგანიზატორი და სულისჩამდგმელია; ამიტომ მწვრთნელი გუნდის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია...

მაშასადამე, გუნდში, როგორც მთელში, გამოიყოფა შემდეგი ნაწილები:

გუნდის 5 წევრი, შეიდი შემცვლელი მოთამაშით;

განსხვავებული ფუნქციის მქონე მოთამაშეთა სამი ჯგუფი: დამცველები, განაპირა თავდამსხმელები და ცენტრის მოთამაშეები;

ე.წ. გუნდის კაპიტანი;

გუნდის მწვრთნელი, თუ მწვრთნელები;

გუნდი ამ, ერთმანეთისაგან განსხვავებული, ნაწილების ორგანული მთლიანობაა და ამდენად, ნაწილებისაგან თვისებრივად განსხვავებული სისტემა.

უმაღლესი ლიგის კალათბურთის გუნდი მთელისა და ნაწილის მაღალგანვითარებული ერთიანობაა, სადაც ამიტომ მთელისადმი ნაწილის დაქვემდებარება ძლიერ განვითარებულ ხასიათს ატარებს.

კალათბურთის ყოველი გუნდი, იქნება ეს დაბალგანვითარებული თუ მაღალგანვითარებული, საერთოდ მთელისა და ნაწილის დიალექტიკური მთლიანობაა, სხვაგვარად მათი არსებობა შეუძლებელია, მაგრამ განვითარების მიხედვით მათ შორის გარკვეული განსხვავება არსებობს. უმაღლესი ლიგის კალათბურთელთა გუნდი უფრო მაღალგანვითარებული გუნდია და ეს განვითარება დამოკიდებულია ნაწილთა განვითარებაზე. უფრო განვითარებული ნაწილები, როგორც წესი, მათს შესაბამის მოლიანობას, უფრო განვითარებულ მთელს ქმნიან.

რა იგულისხმება კალათბურთის გუნდის ნაწილთა განვითარებაში?

საერთოდ სპორტსმენის ფიზიკური და სულიერი განვითარების მაღალი დონე.

ფიზიკურ განვითარებაში იგულისხმება:

სისწრაფის განვითარება;

გამძლეობა-ანტანობის განვითარება;

დაოსტატების განუწყვეტელი პროგრესი;

ინდივიდუალური და კოლექტიური თამაშის ორგანული შეხამება და მისი შეძდგომი სრულყოფა;

ფიზიკური ძალისა და მოქნილობის განვითარება;

სიმტკიცისა და შეუპოვრობის განვითარება და სხვ.

სულიერ განვითარებაში კი იგულისხმება:

ნებისყოფის განვითარება;
სწრაფი ანროვნების უნარის განვითარება;
გამარჯვებისადმი სწრაფვის უნარის გაძლიერება და მისი შემდგომი განვითარება;
სწრაფი გადაწყვეტილების უნარის განვითარება;
საკუთარი და გუნდის ძალებისადმი რწმენის შემუშავების უნარის განვითარება;
მაღალმორალური გრძნობების განვითარება და სხვა.

ამგვარად, უმაღლესი ლიგის კალათბურთის გუნდი, როგორც მაღალი ფიზიკური და სულიერი კონდიციების მქონე სპორტსმენთა ერთობლიობა, უფრო მაღალგანვითარებული მთელია. ამასთან, ეს მთლიანობა სულ უფრო და უფრო ვითარდება. თუ მაღალი ტიპის სპორტსმენები მაღალი ტიპის კალათბურთის გუნდს, როგორც მთელს, წარმოქმნიან, თავის მხრივ, მაღალგანვითარებულ მთელში სულ უფრო და უფრო ვითარდება ნაწილების მთელისადმი დაქვემდებარების პროცესი, რაც ნიშნავს ნაწილების ფუნქციის ზრდას და, ამდენად, ნაწილების განვითარებას. ე.ი. არა მხოლოდ განვითარებული ნაწილებით მთელი ვითარდება, არამედ განვითარებული მთელი, თავის მხრივ, განსაზღვრავს ნაწილების შემდგომ განვითარებას. ნაწილები კი ისევ მთელის განვითარებას და ასე უსასრულოდ. ასეთია ნაწილისა და მთელის ობიექტური დიალექტიკა უმაღლესი ლიგის კალათბურთის გუნდის განვითარებაში. ეს ურთიერთობა თავისი შინაარსით, უსასრულო პროცესია, ამდენად, უსასრულოა კალათბურთის განვითარებაც.

ამგვარად, უმაღლესი ლიგის კალათბურთის გუნდი ნაწილისა და მთელის დიალექტიკური ერთიანობაა, სადაც ნაწილები მათგან თვისებრივად განსხვავებულ მთელს, როგორც სისტემას, წარმოქმნიან. მთელი კი, თავის მხრივ, მის ნაწილებს განსაზღვრავს. ნაწილისა და მთელის ურთიერთგანსაზღვრა, როგორც შინაგანი წინააღმდეგობა, კალათბურთის გუნდის განვითარების შინაგანი წყაროა.

ასეთია ნაწილისა და მთელის ურთიერთობა კალათბურთის გუნდში, რიგორც მაღალგანვითარებულ სისტემაში.

◆ ნაწილისა დ მთელის კატეგორიები საერთოდ ფეხბურთის, როგორც სპორტის

და ფეხბურთის გუნდის მაგალითზე.

ნაწილისა და მთელის კატეგორიები საერთოდ ფეხბურთის, როგორც სპორტის მაგალითზე.

ფეხბურთი სპორტის, როგორც ერთი მთლიანი სისტემის, შემადგენელი ნაწილია. მაგრამ, თავის მხრივ, ფეხბურთი ასევე ნაწილებისაგან შედგება და ისიც სისტემას, მთელს წარმოადგენს.

ფეხბურთის, როგორც სპორტის, სისტემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია ფეხბურთის მართვის ორგანოები, ფედერაციები, რომლებიც ახორციელებენ ფეხბურთის, როგორც სპორტის ხელმძღვანელობას.

ფეხბურთის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია ფეხბურთელი სპორტსმენები, რომლებიც განუწყვეტლივ იშაღლებენ სპორტულ დონეს შეჯიბრებაში მაღალი წარმატებების მისაღწევად.

ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია ფეხბურთის გუნდები: დაწყებული მინი ფეხბურთის გუნდებიდან, დამთავრებული უმაღლესი ლიგის გუნდებით.

ფეხბურთის ნაწილად, ჩვენი აზრით, ასევე უნდა მიეკისრათ სპორტული საზოგადოებები, კლუბები, რომლებიც წარმართავენ ფეხბურთის გუნდების საქმიანობას.

ფეხბურთის, როგორც მოვლის, ნაწილს განეკუთვნება, ე.წ. ფინანსური ნაწილი, რომელსაც ესა თუ ის ქვეყანა გამოყოფს და ახმარს ფეხბურთის სპორტს, მის საქმიანობასა და შემდგომ განვითარებას.

ფეხბურთის სისტემის ერთ-ერთი განუყოფელი ნაწილია, ე.წ. მწვრთნელები, რომლებიც თავიანთი თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული გამოცდილებით წვრთნიან და ამზადებენ ფეხბურთელებს ამა თუ იმ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად.

ფეხბურთის, როგორც სპორტული სისტემის, ნაწილს განეკუთვნება აგრეთვე, ე.წ. ოფიციალურად დადგენილი სტანდარტული სათამაშო სივრცე, ფეხბურთის სტადიონი, სადაც ხორციელდება როგორც ფეხბურთელთა წვრთნის პროცესი, ასევე მათი სხვადასხვა სახის შეჯიბრებები.

ფეხბურთის ნაწილს შეადგენს ასევე ტყავის ან სხვა მასალებისაგან სპეციალურად დამზადებული მრგვალი ფორმისა და გარკვეული წონის ბურთი, რომლის წრეხაზი 68-71 სანტიმეტრია, ხოლო წონა 396-453 გრამი: ამ ბურთით წარმოებს წვრთნაცა და თამაშიც.

ფეხბურთის ნაწილს შეადგენს ასევე თამაშის სხვადასხვა კალენდრები.

ფეხბურთის ნაწილს განეკუთვნება აგრეთვე ე.წ. სათამაშო დრო, რომელიც შედგება ორი ნახევრისაგან (პირველი და მეორე ნახევარი).

ფეხბურთის ყველაზე ძირითადი ნაწილია ჩემი აზრით, ე.წ. შეჯიბრების ნაწილი.

ფეხბურთის ნაწილებს განეკუთვნება ასევე სპეციალურად კვალიფიციური ადამიანების ჯგუფები, ე.წ. მსაჯები.

და ბოლოს, ფეხბურთის შემადგენელ ნაწილს განეკუთვნება სპორტული წოდებები და ტიტულები.

ითითოეული ნაწილი აუცილებელია, ყველა კი სრულიად საკმარისია ფეხბურთის, როგორც მოვლისა და სისტემის არსებობისათვის.

მოცემული ნაწილები, მათს ურთიერთკავშირსა და დამოკიდებულებაში, მათს შინაგან ორგანიზაციაში ქმნიან მათგან თვისებრივად განსხვავებულ მთელს, ფეხბურთს, როგორც ერთ მთლიან სპორტულ სისტემას. ფეხბურთის ნაწილები და მთელი, როგორც სხვადასხვა თვისებრივი განსახღვრულობები, ერთმანეთს უარყოფენ, მაგრამ, ამავე დროს, ერთმანეთის არსებობასაც ადგენენ.

ნაწილები იმდენად არიან ნაწილები რამდენადაც მთელის ნაწილებია და, ამდენად, მთელით განისაზღვრებიან, ხოლო მთელი იმდენად არის მთელი, რამდენადაც ის ნაწილებით განსაზღვრული მთელია. მთელისა და ნაწილის ეს ურთიერთდადგენა, არსებითად რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთდადგენაა. მოცემული ნაწილები ფეხბურთის, როგორც მთელის, რაოდენობრივ განსაზღვრულობებს წარმოადგენენ, რომლითაც ფეხბურთის თვისებრიობა დგინდება. აქ რაოდენობა თვისებრიობაში გადადის, რამდენადაც ნაწილების რაოდენობით იქმნება მთელი და პირუკუ, თვისებრიობა რაოდენობაში გადადის, რამდენადაც მთელის თვისებრიობის არსებობა გარკვეული რაოდენობის არსებობას გულისხმობს. ამდენად, ფეხბურთი რეალურად ნაწილისა და მთელის, რაოდენობისა და თვისებრიობის დიალექტიკური ერთიანობაა.

ასეთია ნაწილისა და მთელის დიალექტიკა ფეხბურთის სისტემაში.

ახლა განვიხილოთ ნაწილისა და მთელის დიალექტიკა ფეხბურთის უმაღლესი ლიგის გუნდის მაგალითზე.

- ნაწილისა და მთელის კატეგორიები ფეხბურთის უმაღლესი ლიგის გუნდის მაგალითზე

ფეხბურთის უმაღლესი ლიგის გუნდი ფეხბურთის სისტემაში წარმოგვიდგება, როგორც მაღალგანვითარებული ორგანული მთელი, ამიტომ ნაწილისა და მთელის კატეგორიების დახასიათებისათვის სპორტში ამ მაღალგანვითარებული ორგანული მთელის ანალიზს მივმართავთ.

ფეხბურთის უმაღლესი ლიგის გუნდი, ფეხბურთის როგორც სისტემის, ერთ-ერთი ნაწილია, მაგრამ თვითონაც გარკვეულ მთელს და, ამასთან, მაღალორგანიზაციაქმნილ მთელს წარმოადგენს. განვიხილოთ ასპში ნაწილისა და მთელის ურთიერთობა.

ფეხბურთის გუნდის ერთ-ერთ ნაწილს ჩემი აზრით, გუნდის უფროსი უნდა წარმოადგენდეს, როგორც ერთიანი კოლექტივის აუცილებელი ნაწილი.

გუნდის ნაწილს შეადგენენ ე.წ. მწვრთნელები და უფროსი მწვრთნელი, რომლებიც მათს ხელმძღვანელობაში არსებულ გუნდს ამზადებენ ყოველმხრივად სხვადასხვა სახის პირველობებისა და შეჯიბრებებში უმაღლესი შედეგების მისაღწევად.

გუნდის განუყოფელი ნაწილია ასევე გუნდის ექიმიც, რომელსაც გუნდის წევრთა ჯანმრთელობა აბარია.

შემდეგ, გუნდის ნაწილია აგრეთვე, თვით გუნდის კაპიტანიც, რომელიც თამაშამდე მწვრთნელებთან ერთად ხელმძღვანელობს თავისი გუნდის საწვრთნელ-სათამაშო მზადებას, ხოლო თამაშის პერიოდში უშუალოდ ხელმძღვანელობს გუნდის თითოეული წევრისა და მთელი გუნდის თამაშის სამეცნიერებლო მოქმედებას.

შემდგომ, გუნდის ნაწილებს წარმოადგენენ, ე.წ. გუნდის თერთმეტი მოთამაშე, დაწყებული მეკარით (ა№ I მოთამაშით) და დამთავრებული თავდასხმის ხაზის მოთამაშით (ა№ II მოთამაშით), რომელთაც გუნდში სხვადასხვა ფუნქციები აკისრიათ.

მართალია, გუნდის თერთმეტ მოთამაშეს სხვადასხვა ფუნქცია აკისრია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გუნდში ცალკე გამოიყოფა მოთამაშეთა ცალკეული ჯგუფები, როგორც გუნდის აუცილებელი ნაწილები: 1. მეკარე; 2. დაცვის ხაზის მოთამაშეები, გვერდითი და ცენტრალური მცველები; 3. შუა ხაზის მოთამაშეები და 4. თავდასხმის ხაზის მოთამაშეები, გვერდითი თავდამსხმელები და ცენტრალური თავდამსხმელი.

ფეხბურთის ყოველ გუნდს ჰყავს ძირითადი და სათადარიგო მეკარე, ანუ მეკარეები. მისი მოვალეობა ფუნქციაა გუნდის კარის უშუალო დაცვა: მეკარედ ირჩევა განსაკუთრებული თვისებების მქონე მოთამაშე, რომლის სიმაღლე უნდა იყოს 175 სმ და მეტიც; მას უნდა

ჰქონდეს საუკეთესო ათლეტური მომზადება და ელვისებრი რეაქცია; უნდა იყოს გაბედული და შეუპოვარი, საუკეთესო მსტომული, მოქნილი და ძლიერი; უნდა ფლობდეს მოძრაობის კარგ კოორდინაციას, ორგანიზაციას და გაანგარიშებას; უნდა შეეძლოს სწრაფად განსაზღვროს ბურთის ფრენის მიმართულება, სიჩქარე და ტრაექტორია, აშასთან, ის უნარიანად უნდა ხელმძღვანელობდეს დაცვასაც-მისცეს მას სიმწყობრე ლა ორგანიზებულობა; ის საუკეთესოდ უნდა ფლობდეს ადგილზე მოძრაობასა და ხტომაში თამაშის ტექნიკური ხერხების ყველა არსენალს. მან საუკეთესოდ უნდა შეუხამოს კარში თამაში კარიდან გამოსულებზე მოქმედებებს და სხვ. მეკარე გუნდის, როგორც მთელის, ერთ-ერთი აუცილებელი და განუყოფელი ნაწილია.

გუნდის მოთამაშეების მეორე აუცილებელ ნაწილს წარმოადგენს დაცვის ხაზის მოთამაშეები: გვერდითი მცველები და ცენტრალური დამცველები. მათი მოვალეობა ფუნქციაა მოწინააღმდეგის შეტევის ჩაფუშვა, ე.ი. საკუთარი კარის დაცვა და აქტიური ჩართვა და მონაწილეობა თავისი გუნდის შეტევაში.

გუნდის მოთამაშეების მესამე აუცილებელ ნაწილს მიეკუთვნება შუა ხაზის მოთამაშეებიც, რომელთა ძირითადი ფუნქციებია შეტევაში:

- დაცვიდან შეტევაზე გადასვლის ორგანიზაცია და შეტევის შემდგომი განვითარება;
  მინდერის შუაგულის კონტროლი და გუნდისათვის ბურთის სანგრძლივად ფლობის უზრუნველყოფა და, მაშასადამე, ინიციატივასაც;
  შეტევის დასრულებაში მონაწილეობა;
  ურთიერთქმედება, როგორც მახლობელ, ასევე შორეულ პარტნიორებთანაც;
  უკრობის შექმნა შეტევის განვითარებაში, ფლანგიდან ბურთის გაგზავნასა და განაყოფიერებულ ზონაში სწრაფი გასვლის მეშვეობით.

რაც შეეხება დაცვაში მათ ძირითად ფუნქციებს, იგი მდგომარეობს შემდეგში:

- მოწინააღმდეგის საპასუხო შეტევის განვითარებისათვის დაბრკოლებების შექმნა მინდერის სიგანესა და სიღრმეში სწორი განლაგებით;
  მოცემულ ზონაში კონტროლის განხორციელება მახლობელი მოწინააღმდეგის ან პერსონალურად მომაგრებული მოწინააღმდეგეებისათვის;

საწინააღმდეგო მოქმედება გადაცემით და კარგი დარტყმით;
პარტნიორის დაზღვევა და ურთიერთქმედება მათიასთან.[80]

ასეთია შუა ხაზის მოთამაშეების, როგორც გუნდის გარკვეული ნაწილის, ფუნქციები.

დაბოლოს, გუნდის მოთამაშეების მეოთხე ნაწილს წარმოადგენს ე.წ. თავდასხმის ხაზის მოთამაშეები განაპირა თავდამსხმელები და ცენტრალთავდამსხმელი. მათი მთავარი ფუნქციაა შეტევის შედეგიანი დაგეგმარება და ბრაგალი სხვადასხვა საშუალებით; ეს საშუალებებია: სწრაფი გარღვევა და უშოკლესი გზით გადამწყვეტ პოზიციებზე გასვლა და უეცარი, მოულოდნელი დარტყმა კარში, მოწინააღმდეგის დაცვის მოშლა, თამაშის სხვადასხვა ხერხებით და შანეერებით, კარის ალების უმცირესი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, თავდასხმის მოქმედებების აგების მრავალფეროვნება, შეტევის განვითარების ტემპის შეცვლა, ორიენტირების ტექნიკური ხერხების მრავალფეროვნება და სხვა და სხვა.

ამგვარად უმაღლესი ლიგის გუნდი შედგება შემდეგი ძირითადი ნაწილებისაგან:

1. გუნდის უფროსი;
2. გუნდის ძირითადი მწვრთნელები და უფროსი მწვრთნელი, ე.წ. მწვრთნელთა კოლექტივი;
3. გუნდის ექიმი;
4. გუნდის კაპიტანი;
5. გუნდის წევრები, ე.წ. თერთმეტი მოთამაშე. მისი სხვადასხვა ფუნქციებით;
6. გუნდის მეკარე;
7. დაცვის ხაზის მოთამაშეები;
8. შუა ხაზის მოთამაშეები;
9. თავდასხმის ხაზის მოთამაშეები.

ყველა ესენი გუნდის ორგანული და აუცილებელი ნაწილებია. ფეხბურთის უმაღლესი ლიგის გუნდი მოცემულ ნაწილთა ორგანული მთლიანობაა. ეს ნაწილები მხოლოდ მთელით ან მთელთან კავშირში არსებობენ.

უფრო შეტი, მთელი თვითონ ქმნის მის შესაბამის ორგანულ ნაწილს; მთელის ნაწილები, მთელის კანონზომიერებას დაქვემდებარებული, მთელის განვითარების მიხედვით იცვლებიან და ვითრდებიან; მთელის განვითარება ნაწილების განვითარებას განსაზღვრავს. და ასე, ნაწილისა და მთელის დიალექტიკური ურთიერთმოქმედებით ხორციელდება მათი განუწყვეტელი განვითარების უსასრულო პროცესი.

მაგრამ რას ნიშნავს მთელის მიერ ნაწილების განვითარება? ეს ნიშნავს ნაწილების სულ ახალ-ახალი ფუნქციების განვითარებას, ე.ი.

[80] ადამიანის წარმოდგენილი განსხვავება არ ნიშნავს იმას რომ ადამიანი მხოლოდ ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ორგანოთა სისტემაა; ცხადია, ადამიანს ასე წარმოდგენა შეცდომა იქნებოდა. აქ ჩვენ ვიხილავთ ადამიანის ერთ მხარეს, მის ანატომიურ-ფიზიოლოგიურ ნაწილ-ორგანოთა სისტემას, რომელიც, ცხადია, არ არსებობს ადამიანის სულიერი მხარის, როგორც სისტემის გარეშე. მე ადამიანის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური სისტემის, დახასიათებისთვის, გონებრივად ამ სისტემას გამოვყოფ ადამიანის სულიერი სისტემისაგან.

ნაწილების თვისებრივ განვითარებას, რომელიც თავის მხრივ, შინაგანად იწვევს მთელის ფუნქციების განვითარებასაც. მთელის ფუნქციების განვითარება კი, თავის მხრივ, ნაწილების ახალი ფუნქციების წარმოშობა-განვითარებას იწვევს და ასე უსასრულოდ.

ნაწილისა და მთელის ურთიერთობა ფენბურთის გუნდში არსებითად რაოდენობრიობისა და თვისებრიობის ურთიერთობაა. აქ რაოდენობა თვისებრიობაში გადადის და, პირიქით, თვისებრიობა რაოდენობაში.

მაგრამ ფენბურიში რაოდენობისა და თვისებრიობის ეს ერთიანობა არ არის უცვლელი; პართალია, ფენბურთის ნაწილების რაოდენობა უცვლელი რჩება, მაგრამ მთელის ობიექტური მოთხოვნილების საფუძველზე, ჯერ რაოდენობრივი ცვლილებები ხდება თითოეული ნაწილის ფუნქციათა განვითარებაში. შემდგომ ეს რაოდენობრივი ცვლილებები ხდება თითოეული ნაწილის ფუნქციათა განვითარებაში, შემდგომ ეს რაოდენობრივი ცვლილებები ახალი ფუნქციების წარმოშობას იწვევს, ახალი ფუნქციების წარმოშობა კი ნაწილთა ახალ ფუნქციურ ურთიერთდამოკიდებულებას წარმოშობს, რომელიც თავის მხრივ, მთელის განვითარებას განსაზღვრავს; განვითარებული მთელი კი ისევ ახალ მოთხოვნებს აყენებს ნაწილების წინაშე და ნაწილებიც ამ მოთხოვნების საფუძველზე ვითარდებიან ახალ-ახალ ფუნქციებს იძენენ, ასე უსასრულოდ, რაოდენობისა და თვისებრიობის შინაგანი დიალექტიკით ვითარდება ფენბურთის გუნდი, როგორც ერთ-ერთი სპორტული კოლექტივი.

უმაღლესი ლიგის ფენბურთის გუნდი მაღალგანვითარებული ორგანული მთელია; ამიტომ მასში მაღალია ნაწილთა ფუნქციების განვითარების დონე, ნაწილთა უნივერსალიზმი.

ნაწილისა და მთელის ურთიერთობა ფენბურთის გუნდში არსებითად წარმოადგენს შინაგან წინააღმდეგობათა ერთიანობას. ნაწილი და მთელი, რაოდენობა და თვისებრიობა, როგორც ერთი მთელის არსებითად განსხვავებული მხარეები. ერთმანეთის გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ, რაც მათს შინაგან წინააღმდეგობას წარმოადგენს. მაგრამ ისინი არა მხოლოდ უარყოფენ და გაშორიცხავენ ერთმანეთს, არამედ ერთმანეთსაც ადგენენ; ეს ურთიერთგანსაზღვრა-დადგენა სწორედ, მათს შინაგან წინააღმდეგობათა ერთიანობას წარმოადგენს. ფენბურთის გუნდი წინააღმდეგობაცაა და წინააღმდეგობათა ერთიანობაც.

ᲔᲗᲘᲙᲔᲢᲡᲛᲔᲢᲔ ᲗᲐᲕᲘ. ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲔᲑᲘ ᲡᲐᲠᲔᲠᲢᲨᲘ

(ᲦᲘᲜᲔᲑᲠᲘᲗᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲠᲗᲘᲡ ᲒᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲗ)

შინაარსისა და ფორმის კატეგორიების გაშუქების სპორტში არა მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვს, არამედ პრაქტიკულიც. რაციონალურ სპორტი ხელოვნებაა და, ამასთან, პროფესიული ხელოვნება, იმდენად მას განუსაზღვრელ უსასრულო განვითარებაში, სპორტის ყოველი სახეობის მიზანიც უსასრულოდ ვითარდება და სრულიყოფა სპორტის შინაარსისა და ფორმის მხარეები; ამ განვითარებისა და სრულყოფაში თავისი პრაქტიკული რეკომენდაციებით უაღრესად დიდი მნიშვნელობის საქმე შეუძლია შეასრულოს სპორტის ესთეტიკური ბუნების განუსაზღვრელ განვითარებაში, თვით შინაარსისა და ფორმის განვითარების საფუძველზე.

მოკლემულ თავში ჩვენ გავარჩევთ ჯერ შინაარსისა და ფორმის ფილოსოფიურ კატეგორიებს საერთოდ, მათს ურთიერთდამოკიდებულებას, შემდეგ კი განვიხილავთ ამ კატეგორიების მოქმედებას სპორტში ფეხბურთისა და კალათბურთის გუნდების მაგალითზე.

§ 1. შინაარსის ფილოსოფიური კატეგორია

ფილოსოფიის მიხედვით, ყოველ საგანს, მოვლენას თავისი შინაარსი გააჩნია. არ არსებობს საგანი, მოვლენა შინაარსის გარეშე: საგნის, მოვლენის არსებობა მათი შინაარსის არსებობაა, მოსპობა კი მათი შინაარსის მოსპობა. შინაარსი საგნის აუცილებელი გარკვეულობაა. საგანი მრავალგვარია, ამდენად, მრავალგვარია მათი შინაარსიც. მართალია, შინაარსი მრავალგვარია, მაგრამ მას საყოველთაო ბუნება, ზოგადობა ახასიათებს.

კითხვა, რა არის შინაარსი, იგივეა რაც კითხვა რა არის შინაარსის ზოგადი განსაზღვრულობები?

1. შინაარსის ერთ-ერთი ზოგადი განსაზღვრულობა მისი ობიექტურობაა. შინაარსი ადამიანის სურვილებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური გარკვეულობაა. ასე მაგალითად, ობიექტურად არსებობენ ბუნებაში წყლის შინაარსი? წყალბადი და ჟანგბადი: სახოგადოებაში: წარმოებითი ურთიერთობების შინაარსი, საწარმოო ძალები და სხვა.

ამ აზრით, ობიექტურობა შინაარსის ერთ-ერთი ზოგადი განსაზღვრულობაა.

2. შინაარსია მეორე არსებითი ნიშანი და, ამდენად, მისი ზოგადი განსაზღვრულობაა ის, რომ იგი ობიექტისა თუ საგნის ყველა ელემენტის ერთობლიობაა. ასე მაგალითად, ყოველი ცოცხალი ორგანიზმის შინაარსი არის ყველა მისი ორგანოს ქსელების, ქსოვილების, სისხლძარღვოვანი და ცენტრალური ნერვიული სისტემის, საჭმლის მომნელებელი, სუნთქვის ორგანოთა და სხვა ყველა მისთვის დამახასიათებელი ორგანიების ერთობლიობა.

3. შინაარსი არის ობიექტის თუ საგნის თვისებების, შინაგანი პროცესების, კავშირების, წინააღმდეგობათა და განვითარების ტენდენციათა ერთიანობაც. გაყვარისიოთ შინაარსის ეს მომენტები ცალ-ცალკე.

ობიექტის თუ საგნის თვისებების ერთიანობა არის შინაარსი. ყოველ საგანს ახასიათებს მრავალი სხვადასხვა თვისება. ასე მაგალითად, წყლის შინაარსია არა მხოლოდ წყალბადისა და ჟანგბადის ერთობლიობა, არამედ მისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა თვისებების (რომ ის არის თხევადი ნივთიერება, რომელიც არ იწვის, რომელიც ორთქლდება და იყინება და სხვა) ერთიანობაც.

ასევე შინაარსს შეადგენს ობიექტსა თუ საგანში მიმდინარე შინაგანი პროცესებიც. ასე მაგალითად, ღელე საქართველოს გარდამავალი პერიოდის შინაარსს შეადგენს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და საგარეო ურთიერთობებში მიმდინარე შინაგანი პროცესები.

შინაარსში იგულისხმება აგრეთვე ობიექტის თუ საგნის კავშირების, წინააღმდეგობათა და განვითარების ტენდენციათა ერთიანობა. ასე მაგალითად, სიცოცხლის შინაარსს შეადგენს ასიმილაციისა და დისიმილაციის შინაგანი კავშირი, მათი წინააღმდეგობა და, მისგან გამომდინარე, განვითარების ტენდენციების ერთიანობა.

არ არსებობს ობიექტის, საგნის გარეგანი შინაარსი. შინაარსი ყველგან და ყოველთვის არის საგნის შინაგანი შინაარსი. შინაარსის შინაგანობა მისი არსებითი ზოგადი განსაზღვრულობაა.

არ არსებობს ერთხელ და საშუალოდ მოცემული, უცვლელი შინაარსი. შინაარ-სი, როგორც საგნის შინაგანი სტრუქტურა, მუდამ იცვლება და ყოთარდება. ასე მაგალითად, მონათმფლობელურ საზოგადოებაში საზოგადოების შინაარსს შეადგენს მონისა და მონათმფლობელის კავშირი და წინააღმდეგობათა ერთიანობა და მათგან შინაგანად გამომდინარე საზოგადოების განვითარების ტენდენციების ერთიანობა. ფეოდალურ საზოგადოებაში ეს შინაარსი ვითარდება ყმისა და ფეოდალის კავშირისა და წინააღმდეგობებისა და, მათგან გამომდინარე, განვითარების ტენდენციების ერთიანობის სახით. ბურჟუაზიულ საზოგადოებაში კი ის წარმოგვიდგება, როგორც პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის კავშირი და წინააღმდეგობანი და, მათგან გამომდინარე, განვითარების ტენდენციების ერთიანობა.

მაშასადამე, როგორც ვხედავთ, შინაარსი საგნის მუდამ მოძრაობი, განუწყვეტელ ცვალებადობაში მყოფი მხარეა. საგნის განვითარება, თავისი არსებით, არის მხოლოდ და მხოლოდ შინაარსის განუწყვეტელი განვითარების პროცესი.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ობიექტის საგნის შინაარსი ასე შეიძლება განვსაზღვროთ: შინაარსი არის ობიექტის, საგნის ელემენტთა ერთობლიობა, მისი თვისებების, შინაგანი კავშირების, წინააღმდეგობათა და, მათგან გამომდინარე, განვითარების ტენდენციათა ერთობლიობა,

საგნის შუდამ ცვალებადობასა და განვითარებაში მყოფი მხარე, ხოლო ელიც უშუალოდ განსაზღვრავს თვით საგნის განვითარებას.

§ 2. ფორმის კატეგორია

ფორმის კატეგორიას ფილოსოფია განიხილავს ორგვარი მიმართებით: ერთი მხრივ, ფორმის გაგებაში გულისხმობს ობიექტის, საგნის გარეგნულ მხარეს, მეორე მხრივ კი მის შინაგან მხარეს.

რა არის გარეგანი ფორმა? ყოველი საგნის, იქნება ეს ბუნების, საზოგადოებისა თუ აზროვნების, ყოფიერება აუცილებლობით გულისხმობს მის გარკვეულობას. ყოველი საგნის ყოფიერება მისი გარკვეულობის არსებობაა. შეუძლებელია გაურკვეველი არსებობა. გაურკვეველობა საგანთა ყოფიერების უარყოფაა. საგანთა ყოფიერების ამ გარკვეულობას ფილოსოფია უწოდებს ფორმას. მაგრამ იგი, როგორც ყოფიერების გარკვეულობის გარეგანი სახე, გარეგან ფორმას წარმოადგენს. ასე მაგალითად, ხის არსებობის გარკვეულობა (მისი არსებობა ფესვების, ტანის, შტოების, ფოთლების), მის გარეგან ფორმას წარმოადგენს.

ამგვარად, ყოფიერების გარკვეულობა არის სწორედ ყოფიერების გარეგანი ფორმა.

შინაგანი ფორმის ცნებაში ფილოსოფია გულისხმობს ობიექტის, საგნის შინაარსის შინაგან ორგანიზაციას, სტრუქტურას ან, რაც იგივეა, შინაარსის გარკვეულ შინაგან წესს. ასე მაგალითად, წყლის შინაარსია ჟანგბადისა და წყალბადის ერთობლიობა, ხოლო მის ფორმას წარმოადგენს ჟანგბადისა და წყალბადის გარკვეული ოდენობით შეერთების შინაგანი წესი, ის, რომ ორი ატომი წყალბადი უერთდება ერთ ატომ ჟანგბადს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საბოლოოდ ფორმის საერთო განსაზღვრება ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ფორმა არის ობიექტის, საგნის გარეგანი გარკვეულობა, ასევე მისი შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია, შინაგანი წესი.

§ 3. ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულება

ფორმა და შინაარსი ობიექტის, საგნის არსებითად განსხვავებული მხარეებია. როგორც არსებითად განსხვავებული მხარეები, ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ, უარყოფენ. ეს ურთიერთუარყოფა, გამორიცხვა არის, სწორედ, წინააღმდეგობა; ფორმა და შინაარსი საგნის წინააღმდეგობრივი მხარეებია. როგორც წინააღმდეგობრივი მხარეები, არა მხოლოდ ერთმანეთს გამორიცხავენ და უარყოფენ, არამედ ერთმანეთის არსებობასაც ადგენენ. ამიტომ არ არსებობს შინაარსი ფორმის გარეშე, ხოლო ფორმა შინაარსის გარეშე, რადგან შინაარსი მისი არსებობის წესის გარეშე შინაარსს არ წარმოადგენს, ხოლო არსებობის წესი, როგორც ფორმა, იმის გარეშე, მას არსებობის წესსაც ის წარმოადგენს, ცხადია, ფორმა არ არის: შინაარსისა

და ფორმის ურთიერთუარყოფა-გამორიცხვა მათს ურთიერთდადგენას გაჟალეცს, ე.ი. ისინი ერთმანეთით არსებობენ. ასე მაგალითად, ასიმილაცია და დისიმილაცია, რიგორც შინაარსი, მისი არსებობის წესს სიცოცხლეს, რიგორც ფორმას, ადგენს, ეს უკანასკნელი ასიმილაციასა და დისიმილაციას.

ფორმა და შინაარსი, რიგორც საგნის შეღარებითი დამოუკიდებელი მხარეები, ერთმანეთს შეესაბამებიან; რადგან ფორმას უშუალოდ შინაარსი განსაზღვრავს, რიგორც შინაარსით განსაზღვრული, ფორმა შინაარსის შესაბამისი ფორმაა, შინაარსის შესაბამისი ფორმა კი ხელს უწყობს შინაარსის განვითარებას. ასე მაგალითად, კაპიტალისტური საწარმოო ძალების განვითარებამ, რიგორც შინაარსმა, უშუალოდ განსაზღვრა, კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების, რიგორც შინაარსის შესაბამისი ფორმის, წარმოშობა, რომელმაც თავის მხრივ, ისეთი უდიდესი ბიძგი მისცა კაპიტალისტური საწარმოო ძალების განვითარებას, რომ ამ ასეულ წლებში გაიარა ის მანძილი, რომელიც კაცობრიობას მთელს მის ისტორიაში საერთოდ არ გაუვლია. მაგრამ განვითარებაში ეს შესაბამისობა შეიძლება დაირღვეს და შესაბამისობა შეუსაბამობად იქცეს, ე.ი. შეიძლება შინაარსის განვითარებამ წინ გაუსწროს ფორმის განვითარებას და განვითარებული შინაარსი კონფლიქტში მოექცეს მისგან განვითარებით ჩამორჩენილ, ე.წ. ძველ ფორმასთან. განვითარებული შინაარსი, ე.წ. ახალი შინაარსი მის შესაბამის ახალ ფორმას მოითხოვს, მაგრამ ძველი ფორმა თავისთავად არ ისპობა, საჭიროა მისი ძალით მოსპობა და ახალი ფორმის დამკვიდრება; ეს კი უშუალოდ რევოლუციის გზით ხორციელდება; რევოლუცია სპობს ძველ ფორმას და ქმნის ახალი შინაარსის შესაბამის ფორმას. ახალი ფორმა კი ისევ უდიდესი ძალით ხელს უწყობს საწარმოო ძალების განვითარებას და ასე განვითარება ხორციელდება უსასრულოდ ახალი შინაარსისათვის, მისი შესაბამისი ახალი ფორმის შექმნის საფუძველზე.

ფორმა და შინაარსი არა მხოლოდ ერთმანეთს გამორიცხავენ, უარყოფენ, არამედ ისინი ერთიმეორეში გადადიან; ე.ი. არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ მოცემული შინაარსი, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული ფორმა. შესაძლებელია ფორმა შინაარსად იქცეს და პირიქით, შინაარსი - ფორმად. ასე მაგალითად, საწარმოო ძალების მიმართ წარმოებითი ურთიერთობანი - ფორმას წარმოადგენენ, მაგრამ სამოგადოებაში იგივე წარმოებითი ურთიერთობანი, რიგორც ეკონომიკური წყობა, ბაზისი ზედნაშენის (სამოგადოების პოლიტიკური, უფლებრივი, რელიგიური, მხატვრული, ფილოსოფიური შეხედულებანი და მათი შესაბამისი პოლიტიკური, უფლებრივი და სხვა დაწესებულებანი) მიმართ შინაარსს წარმოადგენს.

ასეთია ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის დიალექტიკა.

§ 4. შინაარსისა და ფორმის კატეგორიები სპორტში
(ფეხბურთის გუნდის მაგალითზე)

ფეხბურთის გუნდი, თავისი გარკვეულობით, ერთ-ერთი სპორტული კოლექტივია; მას გააჩნია თავისი შინაარსი და ფორმა.

ფეხბურთის გუნდის შინაარსი, ჩემი აზრით, შეიძლება ეწოდოს იმ თერიმეტ მოთამაშეთა (დაწყებული მეკარით, № 1 მოთამაშით და დამთავრებული

თაყდასხმის ხაზის №№ II მოთამაშით) ერთობლიობას, რომელთაგან გუნდის უშუალო შეშადგენლობა იქმნება და თვით იმაყე თერთმეტ მოთამაშეთაგან შექმნილი გუნდის იმ აუცილებელ ცალკეულ ნაწილებსაც, რომელ ერთეულებადაც გუნდი იყოფა. ეს ერთეულებია: 1. მეკარე, 2. დაცვის ხაზის მოთამაშეები, ცენტრალური და გვერდითი მცველები, 3. შუა ხაზის მოთამაშეები და 4. თავდასხმის ხაზის მოთამაშეები: გვერდითი თავდასხმელები და ცენტრალური თავდამსხმელი. ფეხბურთის გუნდის თითოეული მოთამაშე და მისი ცალკეული ნაწილ-ერთეულები, როგორც გუნდის ელემენტები, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ბუნებას მეიცავენ. ასე მაგალითად, მეკარე სულ სხვა ბუნების მოთამაშეა, ვიდრე დამცველი ან თავდამსხმელი. ასევე სხვადასხვაა მეკარის, ხაზის მოთამაშეების, შუა ხაზის მოთამაშეებისა და თავდასხმის ხაზის მოთამაშეების ბუნება და თავისებურება. მოთამაშეთა და გუნდის ცალკეულ რგოლთა ბუნება-თავისებურებებიდან შინაგანად გამომდინარე, იქმნება მოთამაშეთა და გუნდის ცალკეულ რგოლთა, როგორც გუნდის ელემენტთა, კაეშირის წესი, რომელიც, სწორედ, ფორმას წარმოადგენს. თუ შინაარსი გუნდის ცალკეული მოთამაშეები და ცალკეული რგოლებია, ფორმა წარმოგვიდგება როგორც გუნდის ელემენტთა, კაეშირის წესი, რომელიც, სწორედ, ფორმას წარმოადგენს. თუ შინაარსი გუნდის ცალკეული მოთამაშეები და ცალკეული რგოლებია, ფორმა წარმოგვიდგება როგორც მათი შინაგანი სტრუქტურა, შინაგანი ორგანიზაცია, ე.ი. როგორც მათი შინაგანი კაეშირის წესი; ფეხბურთის გუნდის ელემენტები და ამ ელემენტების კაეშირის წესი, უშუალოდ ქმნიან ერთ, მთლიან გარეგნულობას, რომელსაც ფეხბურთის გუნდი ეწოდება.

ამგვარად, ფეხბურთის შინაარსს წარმოადგენს მისი თერთმეტი მოთამაშე და მისგან შექმნარი გუნდის ცალკეული რგოლები მეკარის, დაცვის ხაზის, შუა ხაზის და თავდასხმის ხაზის მოთამაშეებია, ფორმას კი თვით მოთამაშეებისა და გუნდის ცალკეული რგოლების შინაგანი ორგანიზაცია, კაეშირის წესი; ასევე ფორმად მიიჩნევა ფეხბურთის გუნდის გარეგნულობაც: ფეხბურთის გუნდის გარეგნულობა ის არის, რომ ის ფეხბურთის გუნდია და არა სხვა რაიმე.

ფეხბურთის გუნდის ეს გარეგნულობა, სწორედ ფორმას წარმოადგენს; მაგრამ ფეხბურთის შინაგანი ფორმისაგან განსხვავებით, იგი მისი გარეგანი ფორმაა. ფეხბურთის გუნდის შინაარსი და ფორმა გუნდის არსებობად განსხვავებული პოლუსები და მხარეებია; ისინი, როგორც არსებობად განსხვავებულნი, ერთმანეთს უარყოფენ, ერთმანეთს გამორიცხავენ. ფეხბურთის გუნდის თერთმეტი მოთამაშე და მათგან შექმნარი გუნდის ცალკეული რგოლები, როგორც შინაარსი, თავიანთი ბუნებითა და არსებით, ფორმისაგან არსებითად განსხვავებული მხარეა, ხოლო ფორმა, როგორც მოცემული ელემენტების (თერთმეტი მოთამაშე და მისგან შექმნარი გუნდის ცალკეული რგოლები), კაეშირის წესი, ასევე სრულიად (არსობრივად) განსხვავებულია შინაარსისაგან. ეს არსობრივი განსხვავება, ერთიანი

გუნდის შიგნით, არის სწორედ მათი ურთიერთუარყოფა-გამორიცხვა ან, რაც იგივეა, შინაგანი წინააღმდეგობა, მაგრამ საპირისპირო განსაზღვრულობები (შინაარსი და ფორმა) არა მხოლოდ წინააღმდეგობაში იმყოფებიან, არამედ ისინი ერთმანეთსაც ადგენენ. ფეხბურთის შინაარსი, როგორც გუნდის ერთერთი წინააღმდეგობრიეი მხარე, აუცილებლობით გულისხმობს მისი არსებობის შინაგან წესს ფორმას, ხოლო ეს უკანასკნელი შინაარსს, რომლის არსებობის წესსაც ის წარმოადგენს. მართალია, ფეხბურთის შინაარსი თვითონ ქმნის მისი არსებობის წესს, მაგრამ, როგორც ითქვა, ეს წესი არსებითად განისაზღვრება მისი შემქმნელი შინაარსისაგან. შინაარსი და ფორმა ფეხბურთის გუნდის თვისებრივად განსხვავებული მხარეებია, მაგრამ ისინი არ არსებობენ ერთიმეორის გარეშე. ასე მაგალითად, ფეხბურთის გუნდის შინაარსი უკვე არ არის შინაარსი მისი შინაგანი ორგანიზაციის ფორმის გარეშე.[81] შინაარსი ფორმას განსაზღვრავს, მაგრამ თავის მხრივ, ფორმაც განსაზღვრავს შინაარსს, შინაარსი ფორმას ადგენს, მაგრამ მის მიერ დადგენილი ფორმა, თავის მხრივ, შინაარსს, როგორც შინაარსს ადგენს. შინაარსისა და ფორმის ურთიერთდადგენა არის, სწორედ, მათი ერთიანობა; ეს ერთიანობა კი ფეხბურთის გუნდია.

ამგვარად, ფეხბურთის გუნდი არა მხოლოდ შინაარსისა და ფორმის წინააღმდეგობაა, არამედ იგი მათი ერთიანობაცაა, სადაც წინააღმდეგობა შინაგანად ერთიანობას განსაზღვრავს, ერთიანობა კი - წინააღმდეგობას.

მართალია, ფეხბურთის გუნდის შინაარსი და ფორმა არ არსებობს ერთმანეთის გარეშე და მათი არსებობა ერთმანეთით განსაზღვრული არსებობაა, მაგრამ ისინი მაინც შედარებით დამოუკიდებელი მხარეებია.

ახლა განვიხილოთ ფორმისა და შინაარსის ურთიერთობა უშუალოდ ფეხბურთის გუნდის განვითარების პროცესში. ფეხბურთის გუნდის განვითარების პროცესი, ჩემი აზრით, თავისი არსებით, არის შინაარსისა და ფორმის განვითარების პროცესი. მოცემული ეს უსარმაზარი პრაქტიკული შუშაობა, რომელიც ფეხბურთის განვითარებისათვის წარმოებს როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, ფეხბურთის ფედერაციების, კლუბებისა და მწვრთნელთა უზარმაზარი არმიის მიერ, საბოლოო ჯამში, სწორედ რომ ფორმისა და შინაარსის განვითარებას ემსახურება და ემსახურება. როგორ ხორციელდება განვითარების ეს რეალური პროცესი?

როგორც წესი, ისევე როგორც ყოველი განვითარება, ფეხბურთის გუნდის განვითარებაც, თეორიულად ესმით თუ არ ესმით ეს ფეხბურთის მწვრთნელებს, ფეხბურთის შინაარსის განვითარებით იწყება. ის, რასაც საწარმოო ძალები წარმოების წესის განვითარებისათვის წარმოადგენენ, ზუსტად იმასვე წარმოადგენს ფეხბურთის გუნდის შინაარსი ფეხბურთის გუნდის განვითარებისათვის. როგორც ვიცით, საწარმოო ძალები გადამწყვეტი ფაქტორია წარმოების წესის განვითარებაში, ასევე ფეხბურთის გუნდის

[81] თუნდაც მოთამაშე და მასზე შემდგარი ცალკეული როლები არავითარ მოთამაშეებს და ცალკეულ როლებს არ წარმოადგენენ მათი ფორმის გარეშე. გუნდის მოთამაშეები და ცალკეული როლები, გუნდის ფორმას მოკლებულნი, როგორც გუნდის მოთამაშეები და ცალკეული როლები, არ არსებობენ.

შინაარსი გადამწყვეტი ფაქტორია ფეხბურთის გუნდის განვითარებაში. ისევე როგორც საწარმოო ძალები წარმოადგენენ წარმოების წესის ყველაზე მოძრავ და ცვალებად ელემენტებს, ასევე ფეხბურთის გუნდის შინაარსი, როგორც მასში შემავალი ელემენტების ერთობლიობა, ფეხბურთის გუნდის ყველაზე მოძრავი და ცვალებადი ელემენტებია. ამიტომ მთელი ძირითადი თავდაპირველი მუშაობა გუნდის განვითარებაში მიმართულია შინაარსის, გუნდის ამ ორგანიზებური „საწარმოო ძალების“ განვითარებისაკენ, როგორ იქმნება და ვითარდება, ვთქვათ, უმაღლესი ლიგის ფეხბურთის გუნდის „საწარმოო ძალები“, როგორც მისი შინაარსი? აქ გადამწყვეტი ფაქტორია მწვრთნელია, მისი სასელექციო, საწვრთნელი და სხვა მრავალფეროვანი პრაქტიკული საქმიანობით. ფეხბურთის ყოველი ძლიერი გუნდის სიძლიერე მისი მოთამაშეების, როგორც შინაარსის, სიძლიერეა. ცხადია, აქედან გამომდინარე, ყოველი გუნდის ხელმძღვანელობის სტრატეგიული გეგმაა გუნდის მოთამაშეების ოპტიმალური შერჩევა, თვით მოთამაშეთა აღზრდის, სხვა გუნდებიდან მათი გადმოყვანის ან ყიდვის გზით და სხვა.

რას ნიშნავს მოთამაშეების შერჩევა? ეს ნიშნავს მწვრთნელთა მიერ ფეხბურთის გუნდისათვის ისეთი მოთამაშეების სელექციურ შერჩევას, რომელიც ფეხბურთისათვის საჭირო უნარი უხვად აქვთ ჩაშენებული. მაგრამ ასეთი შერჩევისათვის აუცილებელია ორი რამ: პირველი, თვით მწვრთნელ-სელექციონერის მიერ შერჩევის დიდი ნიჭისა და უნარის ფლობა; კარგი მწვრთნელი მარტო მოთამაშეთა მწვრთნელი როდია; იგი მოთამაშეთა შემრჩევი დიდოსტატიცაა. მეორე, შერჩევისათვის აუცილებელია, რომ შესარჩევი ფეხბურთის თამაშობდეს, რომ მასზე მოხდეს დაკვირვება და მისი მონაცემების ანალიზი, სხვაგვარად თვით შერჩევა შეუძლებელია; მაგრამ ეს შერჩევა მხოლოდ მასობრივ ფეხბურთშია შესაძლებელი, რამდენადაც მასობრიობაში განუზომლად იზრდება საუკეთესოს შერჩევის ალბათობა. და როდესაც მწვრთნელი ასეთ ძლიერ მოთამაშეებს შეარჩევას, მერე იწყებს მათთან საფუძვლიან მუშაობას. ვარჯიშის საფუძვლზე უნარების განვითარება, რომელსაც, თავის მხრივ, დასასრული არა აქვს. ფეხბურთი უსასრულოდ განვითარებადი სპორტია, ამ უსასრულო განვითარების საფუძველი კი ფეხბურთელის, როგორც სპორტსმენის, უსასრულოდ განვითარებადი უნარებია.

მაშ, ფეხბურთელთა უაღრესად გონივრული შერჩევა და შემდგომ მათი უნარების კანონზომიერი განვითარება, აი ის, საიდანაც იწყება ჭეშმარიტი ფეხბურთის გუნდის შინაარსის, როგორც მისი „საწარმოო ძალების“ განვითარება.

ფეხბურთის გუნდის შინაარსის განვითარება ასევე შეიძლება მიმდინარეობდეს გუნდიდან გუნდში მოთამაშეთა გადაყვანის წესით, როცა ერთი გუნდის სუსტი მოთამაშეები იცვლებიან მეორე გუნდიდან გადმოყვანილი ძლიერი მოთამაშეებით. ასეთი შეცვლაც უშუალოდ მიმართულია ფეხბურთის „საწარმოო ძალების“ განვითარებისაკენ.

ფეხბურთის გუნდის შინაარსის განვითარება ხორციელდება, ე.წ. ერთი

გუნდის მიერ მეორე გუნდიდან ძლიერი მოთამაშის ყიდვის მეშვეობითაც, რომელიც უაღრესად ზრდის გუნდის სათამაშო პოტენციალს და იწვევს გუნდის გარეგნულ განვითარებას.

როგორც ვხედავთ, ფეხბურთის გუნდის განვითარება იწყება და მიმდინარეობს მხოლოდ მისი შინაარსის განვითარებით; გუნდში გუნდის განვითარების სხვა წყარო და საფუძველი არ არის და არც შეიძლება არსებობდეს. მაშ, ფეხბურთის გუნდის ცვლილება და განვითარება იწყება და მიმდინარეობს მისი შინაარსის ცვლილებებით და განვითარებით; მაგრამ ეს ცვლილება და განვითარება არ არის და არც შეიძლება მიმდინარეობდეს გარეგნული ფორმის გარეშე; იგი მიმდინარეობს გარეგნული ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით, რომელიც უმეტესად შეესაბამება შინაარსის განვითარების დონეს. მაგრამ მუდამ განუწყვეტელ ძიძირაობა-განვითარებაში მყოფი შინაარსი მისი განვითარებისათვის მუდამ მის შესაბამის ახალ ფორმას მოითხოვს და შინაარსის საფუძველზე იქმნება ეს ახალი ფორმაც. ასე მაგალითად, დღევანდელი ფეხბურთის შინაარსი განვითარების ახალ ფორმას, სწორედ, შინაარსის ტოტალური ორგანიზაციის ფორმას წარმოადგენს, რომელიც საკუთარი შეესაბამება თანამედროვე ფეხბურთის გუნდების მაღალგანვითარებულ შინაარსს. ჯერ-ჯერობით მიღებული ფორმა საკუთარ სრულად ემსახურება თანამედროვე ფეხბურთის გუნდების შინაარსისა და განვითარების დონეს, მაგრამ დადგება დრო, როდესაც ეს ფორმაც შეტისშეტად ვიწრო გახდება ფეხბურთის გუნდის მუდამ ცვალებადი და განვითარებადი შინაარსისათვის. ფეხბურთის გუნდის შინაარსი უსასრულოდ ვითარდება. ფეხბურთის გუნდის უსასრულო განვითარება კი, თავის მხრივ, მისი შესაბამისი ფორმების უსასრულო განვითარებას გამოიწვევს. მაშასადამე, ფეხბურთის უსასრულო განვითარება მისი წინააღმდეგობრივი პოლუსების შინაარსისა და ფორმის უსასრულო განვითარებით ხორციელდება. ეს უსასრულო განვითარება კი შესაძლებელი ხდება მათი დიალექტიკური ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე: ახალი შინაარსის საფუძველზე ახალი ფორმის წარმოშობით, რომელიც, თავის მხრივ, შინაარსის ახალ განვითარებას განსაზღვრავს და ასე უსასრულოდ.

ასეთია შინაარსისა და ფორმის ურთიერთობათა დიალექტიკა ფეხბურთის გუნდის განვითარებაში.

§ 5. შინაარსისა და ფორმის კატეგორიები სპორტში (კალათბურთის გუნდის მაგალითზე)

კალათბურთის გუნდი, როგორც გარეგნული რაოდენობისა და თვისებრიობის ერთიანობა, გარეგნული სპორტული მოვლენაა; როგორც სპორტული მოვლენა[82], მას თავისი შინაარსი და ფორმა აქვს.

კალათბურთის გუნდის შინაარსს წარმოადგენს 5 ძირითადი მოთამაშისა

[82] კალათბურთის გუნდს, როგორც სპორტული მოვლენას, გააჩნია საერთოდ მოვლენისათვის დამახასიათებელი თავისი ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები.

და 7 შეჩვეულებული მოთამაშის და მათგან წარმოქმნილი გუნდის ცალკეული რგოლების დამკვეთების, განაპირა თავდამსხმელების, ცენტრის მოთამაშეებისა და კაპიტანის ერთობლიობა. კალათბურთის გუნდის შინაარსის თითოეული ელემენტი აუცილებელია[1], ხოლო ყველა ერთად აღებული სრულიად საკმარისია კალათბურთის გუნდის არსებობისათვის. რა ნიშნები ახასიათებს კალათბურთის გუნდის შინაარსს? კალათბურთის გუნდის შინაარსს ახასიათებს როგორც ზოგადი, ასევე სპეციფიკური არსებითი ნიშნებიც. კალათბურთის გუნდის შინაარსის ზოგადი ნიშნებია:

- რომ ის არის გარკვეული ელემენტების ერთობლიობა;
- რომ ის უშუალოდ განსაზღვრავს საგნის ფორმას, როგორც მისი ელემენტების კავშირს;

რომ ის არის საგნის შედარებით მოძრავი და ცვალებადი ელემენტი;

რომ მას ამასთან ახასიათებს შედარებით მყარი გარკვეულობაც;

რომ მას ახასიათებს შედარებითი დამოუკიდებლობა;

რომ ის არის საგნის განვითარების საწყისი და სხვა.

კალათბურთის გუნდის სპეციფიკური ნიშნებია:

- რომ ის არის გარკვეული სოციალური მოვლენის კალათბურთის სპორტული გუნდის შინაარსი და, როგორც ასეთი, წარმოადგენს 5 ძირითადი და 7 შეჩვეულად მოთამაშისა და მათგან წარმოქმნილი გუნდის ცალკეული რგოლების დამკვეთების, განაპირა თავდამსხმელების, ცენტრის მოთამაშეებისა და კაპიტანის ერთობლიობას;

რომ კალათბურთის გუნდის შინაარსი, როგორც თავისი რაოდენობრივი და თვისებრივი განსაზღვრულობით, თვისებრივად განსხვავებულია სხვა საგნისა და მოვლენათა შინაარსისაგან;

რომ აქედან გამომდინარე, მას ახასიათებს განვითარების სპეციფიკური ფორმა.

ამგვარად, კალათბურთის გუნდის შინაარსი ობიექტურად წარმოადგენს მისთვის დამახასიათებელი საყოველთაო და სპეციფიკური ნიშნების ერთიანობას.

კალათბურთის გუნდის ფორმას, ერთი მხრივ, წარმოადგენს მისი ასეთად გარკვეულობა, ე.ი. ის, რომ ის არის კალათბურთის გუნდი და არა სხვა რაიმე. ეს გარკვეულობა კალათბურთის გუნდის გარეგანი გარკვეულობაა. ამდენად, ის კალათბურთის გუნდის გარეგანი ფორმაა. მეორე მხრივ, ფორმა შეიძლება ეწოდოს ფეხბურთის გუნდის მაღალ სათამაშო მდგომარეობას, ე.წ გუნდის თამაშის იმ ზენიტურ დონეს, რისდასაც ამბობენ, რომ გუნდი „ფორმაშია“. ასეთად მოცემული ფორმასაც, როგორც გუნდის შინაგანი პოტენციალის, მისი შინაგანი გაწურთნილობის გარეგან, მაღალ სათამაშო მდგომარეობად გამოხატულებას, გარეგანი ფორმა შეიძლება ეწოდოს. მესამე მხრივ, კალათბურთის გუნდის ფორმაა, ე.წ. მისი ელემენტების, როგორც შინაარსის კავშირი, შინაარსის ორგანიზაცია, შინაგანი სტრუქტურა.

როგორც კალათბურთის გუნდის შინაარსს, ასევე მის ფორმასაც

[1] რადგან ფორმის მოცემული შინაარსი უკვე შინაარსს არ წარმოადგენს.

ახასიათებს, ე.წ. ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები. გაანალიზოთ რაში მდგომარეობს ეს ნიშნები:

I. კალათბურთის გუნდის, როგორც კალათბურთის გუნდის, გარკვეულობის ზოგადი ნიშნები:

- კალათბურთის გუნდის ასეთად გარკვეულობა. როგორც მისი გარეგანი ფორმა, თავის თავში შეიცავს ფორმის, როგორც ფორმის, საყოველთაო გარკვეულობებსაც, რაც მის ზოგად ნიშანს წარმოადგენს;

  კალათბურთის გუნდის გარკვეულობა, როგორც მისი გარეგანი ფორმა, ასევე თავის თავში შეიცავს საერთოდ გარეგანი ფორმისათვის დამახასიათებელ საყოველთაო ნიშნებსაც, რამდენადაც იგი გარეგან ფორმას წარმოადგენს, რაც მოცემული ფორმის ზოგადი ნიშანია;

  კალათბურთის გუნდის გარკვეულობას, როგორც მის გარეგან ფორმას, ახასიათებს საერთო გარეგანი ფორმისათვის დამახასიათებელი საყოველთაო ნიშანი: შედარებითი დამოუკიდებლობა.

მაგრამ კალათბურთის გუნდის გარეგანი ფორმა, საყოველთაო ნიშნებთან ერთად, შეიცავს მის სპეციფიკურ ნიშნებსაც. რაში მდგომარეობს კალათბურთის გუნდის ასეთად გარკვეულობის გარეგანი ფორმის სპეციფიკური ნიშნები? კალათბურთის გუნდის გარეგანი ფორმის სპეციფიკური ნიშნებია:

- რომ ის არის მხოლოდ კალათბურთის გუნდის ფორმა;
- რომ ის ასევე არის კალათბურთის გუნდის გარეგანი ფორმა;
- რომ ის არის კალათბურთის გუნდის შინაარსით განსაზღვრული და ამ შინაარსის შესაბამისი ფორმა.

II. კალათბურთის გუნდის მაღალ სათამაშო მდგომარეობის, როგორც გარეგანი ფორმის ზოგადი ნიშნებია:

- რომ მას, როგორც კალათბურთის გუნდის მაღალ, ჩვენიტურ სათამაშო სპეცი-ფიკურ მდგომარეობას, ახასიათებს საერთოდ მაღალი სპორტული „ფორმის“ ნიშნები;

  რომ ის, როგორც გარეგანი ფორმა, თავის თავში შეიცავს საერთოდ გარეგანი ფორმისათვის დამახასიათებელ ზოგად ნიშნებსაც.

  ის, რომ ის თავის თავში გამოხატავს საერთოდ შინაარსის მიერ ფორმის გან-საზღვრულობას;

კალათბურთის გუნდის სპორტული „ფორმის“ სპეციფიკური ნიშნებია:

რომ ის არის მხოლოდ კალათბურთის გუნდის მაღალი სპორტული „ფორმა“;

რომ ის არის კალათბურთის გუნდის მაღალი სპორტული გაწვრთნილობის გა-რეგანი „ფორმა“;

და რომ ის არის კალათბურთის გუნდის გაწვრთნილობით, როგორც შინაარსით, განსაზღვრული ფორმა.

III. შინაგანი ფორმის ზოგადი ნიშნებია:

რომ ის არის საერთოდ ელემენტების კავშირი, შინაგანი ორგანიზაცია, სტრუქ-ტურა;

რომ ის არის შინაგანი ფორმა;

რომ ის არის საერთოდ შინაარსის გარკვეულობა.

შინაგანი ფორმის სპეციფიკური ნიშნებია:

რომ ის არის მხოლოდ კალათბურთის გუნდის 5 ძირითადი მოთამაშისა და 7 შეცვლელი მოთამაშის და მაიგან წარმოქმნილი გუნდის ცალკეული რგოლების კავშირი, მათი შინაგანი ორგანიზაცია, სტრუქტურა;

რომ ის არის კალათბურთის გუნდის შინაგანი ფორმა;

რომ ის არის კალათბურთის გუნდის შინაარსის გარკვეულობა.

ამგვარად, კალათბურთის გუნდის როგორც შინაგან, ასევე გარეგან ფორმას, ახასიათებს გარკვეული ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები და, აძლევად, კალათბურთის გუნდის ფორმა წარმოგვიდგება, როგორც განსახღვრული ზოგადი და სპეციფიკური ნიშნები, როგორც ერთი ფორმის არსებითად განსხვავებული ნიშნები, ერთმანეთთან აუცილებელ კავშირში, ერთმანეთის არსებობას ადგენენ. კალათბურთის გუნდის ფორმის სპეციფიკური ნიშანი მხოლოდ მის საყოველთაო, ზოგად ნიშანთან დიალექტიკურ კავშირში არსებობს, როგორც სპეციფიკური ნიშანი და, პირიქით, კალათბურთის გუნდის ფორმის საყოველთაო, ზოგადი ნიშანი, მხოლოდ მის სპეციფიკურ ნიშანთან შინაგან კავშირში არსებობს, როგორც საყოველთაო ნიშანი. ისინი ერთმანეთით ერთმანეთის არსებობას ადგენენ; ორიგეს ეს ერთიანობა კი კალათბურთის გუნდის ერთიან ფორმას ქმნის.

ახლა განვიხილოთ კალათბურთის გუნდის შინაარსისა და ფორმის დიალექტიკა. ეს დიალექტიკა, თავისი არსებით, სრულიად არ განსხვავდება ფეხბურთის გუნდის შინაარსის და ფორმის დიალექტიკისაგან. მხოლოდ განსხვავება, ერთა მხრივ, იმაშია, რომ ერთი ფეხბურთის გუნდის შინაარსის და ფორმის დიალექტიკაა, მეორე კი, კალათბურთის გუნდის შინაარსისა და ფორმის დიალექტიკა; მეორე მხრივ კი იმაში, რომ პირველი ფეხბურთის გუნდს ადგენს, მეორე კი კალათბურთის გუნდს, მათი ხვადასხვა შინაარსისა და ფორმის დიალექტიკიდან გამომდინარე. ფეხბურთის გუნდი და კალათბურთის გუნდი, ერთიმეორისაგან თვისებრივად სრულიად განსხვავებული გუნდებია, თუმცა მათი შინაარსისა და ფორმის დიალექტიკა ერთია, სხვადასხვა შინაარსისა და ფორმის ბუნებაში ერთი და იმავე დიალექტიკის სახით გამოვლენილი. კალათბურთის გუნდის შინაარსი, როგორც კალათბურთის გუნდის შემადგენელი ელემენტების ერთობლიობა, არ არსებობს თვით ამ ელემენტების შინაგანი კავშირის, ორგანიზაციის გარეშე და პირიქით, ეს კავშირი, ორგანიზაცია გუნდის ელემენტების გარეშე. ეს იმას ნიშნავს, რომ კალათბურთის გუნდის შინაარსი თავისი გარკვეულობას ფორმის მეშვეობით ღებულობს, ე.ი. შინაარსი შინაარსად ფორმის საფუძველზე ჩდება[83], ხოლო ფორმა ფორმად მხოლოდ შინაარსის მიხედვით დგინდება. ამ ურთიერთდადგენაში საწყისი მოშენტი მაინც შინაარსია, რადგან ის თვით ქმნის მის ფორმას, როგორც

[83] კალათბურთის გუნდი არ არსებობს თითოეული ამ ელემენტის გარეშე.

მის შინაგან ორგანიზაციას, მისი გარკვეულობის განმსაზღვრელ „თავის სხვას“, როგორც შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია, ასევე არ არსებობს თვით იმის გარეშე, რომლის შინაგან ორგანიზაციასაც ის წარმოადგენს, ე.ი. შინაარსის გარეშე. მათი ერთმანეთის გარეშე არარსებობა არის მათი დიალექტიკური კავშირი. აშკარად, შინაარსი და ფორმა, არსებობის მხრივ, ერთმანეთის გარკვეულობებს წარმოადგენენ. ფორმა შინაარსის გარკვეულობაა, აქიტომ არც ერთი და არც მეორე არ არსებობს უერთმანეთოდ: გარკვეულობის ფორმა და გარკვეულობის შინაარსი.

ასეთია შინაარსისა და ფორმის არსებობის შინაგანი დიალექტიკა.

ახლა შეეცადოთ მათი ურთიერთობების დიალექტიკას განვითარების პროცესში. კალათბურთის გუნდის ფორმა და შინაარსი არაა გუნდის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული უძრავი და უცვლელი მხარეები, ისინი განუწყვეტლივ მოძრაობაგანვითარებაში მყოფი მხარეებია. კალათბურთის გუნდის განვითარების საწყისი კი, ისევე როგორც ფეხბურთში, შინაარსია. შინაარსის გეგმაზომიერი განვითარება კალათბურთის გუნდის კანონზომიერი განვითარების პროცესია; შინაარსის გეგმაზომიერი განვითარება კი კალათბურთელ სპორტსმენთა მაღალ სელექციურ შერჩევას და მათი ფიზიკური და სულიერი უნარების უსასრულო განვითარების პროცესს ემყარება. მაგრამ კალათბურთის გუნდის შინაარსის განვითარების პროცესი არ არის მისი ფორმისაგან დამოუკიდებლად მიმდინარე პროცესი; იგი გარკვეული ფორმის შიგნით და ამ ფორმის შეშველობით მიმდინარე პროცესია. ეს იმას ნიშნავს, რომ შინაარსის ელემენტების განვითარება[84] მხოლოდ და მხოლოდ თვით ამ ელემენტების კავშირში, მათს შინაგან ორგანიზაციაში, როგორც ფორმაში, შეიძლება განხორციელდეს; შინაარსი არ არსებობს ფორმის გარეშე და, მაშასადამე, მისი განვითარებაც შეუძლებელია ფორმის გარეშე; კალათბურთის გუნდის შინაარსი მხოლოდ მისი შესაბამისი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით ეითარდება. შესაძლებელია კალათბურთის გუნდის განვითარებამ გაუსწოროს მისი ფორმის განვითარებას და წარმოშვას, ე.წ. განვითარების დამაბრკოლებელი წინააღმდეგობა შინაარსსა და ფორმას შორის. ამ შემთხვევაში კალათბურთის გუნდის ხელმძღვანელთა ქალია განვითარებული შინაარსის მიხედვით და მის შესაბამისად გარდაქმნან შინაარსის შინაგანი ორგანიზაცია - ფორმა და შინაარსისა და ფორმის სრული შესაბამისობის საფუძველზე შექმნან კალათბურთის ძლიერი გუნდი.

კალათბურთის გუნდის შინაარსი და ფორმა ობიექტურად არსებობენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ თავისთავად, ადამიანთა მოღვაწეობის გარეშე შეუძლიათ განვითარება. კალათბურთის გუნდის შინაარსისა და ფორმის ობიექტური განვითარება უშუალოდ ხორციელდება ადამიანთა (კალათბურთის გუნდის ხელმძღვანელთა) გეგმაზომიერი, კანონზომიერი მოღვაწეობის საფუძველზე. სადაც ამ კანონზომიერი მოღვაწეობით ადამიანები

[84] ეო. უფრო მაღალგანვითარებული კალათბურთელების, ე.წ. კალათბურთელ-დიდოსტატების ჩამოყალიბება.

ჯერ ანყითარებენ კალათბურთის შინაარსს და შემდეგ მის საფუძველზე გარდაქმნიან ფორმას და ასე მიმდინარეობს კალათბურთის გუნდის განვითარების პროცესი; მაგრამ ეს განვითარება არასოდეს არ არის სუბიექტური; იგი უშუალოდ ემყარება კალათბურთის გუნდის შინაარსის და ფორმის ობიექტურ ურთიერთობას და ამ ობიექტური მიმართების გათვალისწინების საფუძველზე ხდება მათი ობიექტური განვითარება.

შესაძლებელია მწვრთნელს, რომელიც კალათბურთის გუნდს წვრთნის და მის გეგმაზომიერ განვითარებას ეწევა, არ ესმოდეს, რომ ის თავის მოღვაწეობაში რეალურად ემყარება მისი გუნდის შინაარსისა და ფორმის ობიექტურ მიმართებას; მას ესმის თუ არ ესმის ეს, სულ ერთია, ის თავის მოღვაწეობაში ამ მიმართებას ემყარება და მისი მოქმედება უშუალოდ ამ მიმართებითაა განსაზღვრული.

ამგვარად, კალათბურთის გუნდის განვითარების პროცესი, შინაარსისა და ფორმის ობიექტურ დიალექტიკაზე შინაგანად დამყარებული ადამიანთა მიზანმიმართული მოღვაწეობის პროცესია, სადაც ადამიანები ავითარებენ რა კალათბურთის გუნდის შინაარსს მისი გარკვეული ფორმის შიგნით, შემდეგ განვითარებული შინაარსის საფუძველზე, გარდაქმნიან მას ფორმას, რომელიც შინაარსის შემდგომი განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი ხდება, ხოლო განვითარებული შინაარსის საფუძველზე ისევ ფორმის გარდაქმნა ხდება და ასე განუწყვეტლივ მიმდინარეობს შინაარსისა და ფორმის განვითარების საფუძველზე კალათბურთის გუნდის განვითარება.

ასეთია შინაარსისა და ფორმის ურთიერთობის დიალექტიკა კალათბურთის გუნდის განვითარებაში.

მეცხრამეტე თავი. არსებისა და მოვლენის კატეგორიები სპორტში

არსებისა და მოვლენის კატეგორიების გარკვევას სპორტში უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. თეორიული, რამდენადაც არსებითად რა არის სპორტი, ეს ჩრის კითხვას, რა არის სპორტის არსება; ხოლო რა არის სპორტი, როგორია მისი განვითარების კანონზომიერებანი და ტენდენციები, მისი დამოკიდებულებანი სხვა სოციალურ მოვლენებთან, მისი ადგილი და როლი საზოგადოებაში და სხვა, გულისხმობს სპორტის არსების გარკვევას; ამიტომ სპორტის არსების გამოკვლევას უდიდესი მეცნიერული ღირებულება აქვს.

ასევე დიდია სპორტში არსებისა და მოვლენის კატეგორიების ცოდნის

პრაქტიკული მნიშვნელობაც. სპორტში არსებისა და მოვლენის კატეგორიების ცოდნა, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სპორტული პროცესების მართვის განუწყვეტელი სრულყოფისა და განვითარების საქმეში. ასევე ამ კატეგორიების ცოდნა საშუალებას გვაძლევს მეცნიერულად წარვმართოთ სპორტის ყველა ძირითად მხარეთა და პროცესთა ერთობლივი განვითარება და სხვა და სხვა.

მოცემულ თავში თავდაპირველად მოკლედ დავახასიათებთ არსებისა და მოვლენის ფილოსოფიურ კატეგორიებს, მათის ურთიერთდამოკიდებულების, შემდგომ განვიხილავთ არსებისა და მოვლენის კატეგორიების მოქმედებას და ურთიერთდამოკიდებულებას სპორტში.

§ 1. არსების ფილოსოფიური კატეგორია

რა არის, ფილოსოფიის მიხედვით, არსების კატეგორია?

არსება არის საგანთა ძირითადი კავშირ-მიმართება. სამყაროს ყოველ საგანს (იქნება ეს ბუნების, საზოგადოების თუ აზროვნების) გააჩნია თავისი ძირითადი მხარეები. საგნის ეს ძირითადი მხარეები გარკვეულ კავშირსა და მიმართებაში იმყოფებიან. ძირითად მხარეთა ეს კავშირ-მიმართება, სწორედ, საგნის არსებას შეადგენს. ასე მაგალითად, სიცოცხლეს, როგორც სინამდვილის ერთ-ერთ გარკვეულობას, როგორც საყოველთაოდ ცნობილია, აქვს ორი ძირითადი მხარე: ასიმილაციისა და დისიმილაციის. ამ მხარეთა კავშირ-მიმართება, როგორც სიცოცხლის ძირითადი კანონი, ასიმილაციისა და დისიმილაციის კანონი - არის, სწორედ, სიცოცხლის არსება.

ამგვარად, საგნის ძირითად მხარეთა კავშირ-მიმართება, როგორც ძირითადი კავშირ-მიმართება, არის საგნის არსება.

საგნის არსება, როგორც ძირითადი კავშირ-მიმართება, უშუალოდ განსაზღვრავს საგნის განვითარების ყველა ძირითად მხარეს, ყველა ძირითად პროცესს. ასე მაგალითად, სიცოცხლის ძირითადი კავშირ-მიმართება, როგორც ასიმილაციისა და დისიმილაციის კანონი, შინაგანად განსაზღვრავს სიცოცხლის განვითარების ყველა ძირითად მხარეს, ყველა ძირითად პროცესს.

საგნის არსებას ახასიათებს შემდეგი ძირითადი ნიშნები:

არსების ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია ობიექტურობა. არსება, როგორც ჩვენი ცნობიერებისაგან და ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებული საგნის ძირითადი კავშირ-მიმართება, ობიექტური მიმართებაა.

არსების განსაზღვრულობის მეორე არსებითი ნიშანი აუცილებლობაა. არსება, როგორც საგნის ძირითადი კავშირ-მიმართება, საგნის აუცილებელი კავშირ-მიმართებაა, რაც ნიშნავს იმას, რომ საგნის ერთი მხარე არ არსებობს მეორე მხარის გარეშე და პირიქით და, ამასთან, ნიშნავს იმასაც, რომ არსებისაგან გარკვეული მოვლენის წარმოშობა,

გარკვეულ პირობებში გარდაუვალია.

- არსება, გარკვეული საყოველთაობა, ზოგადობაა. ის, რომ არსება, როგორც ძირითადი კავშირ-მიმართება, აუცილებელი ბუნებისაა, სწორედ იმას ნიშნავს, რომ ის საყოველთაო, ზოგადი ბუნების კავშირ-მიმართებაა. ასე მაგალითად, ასიმილაცია და დისიმილაცია, როგორც სიცოცხლის ძირითადი კავშირ-მიმართება, სიცოცხლის ყველა სხვადასხვა ფორმისათვის დამახასიათებელი საყოველთაო, ზოგადი ძირითადი კავშირ-მიმართებაა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სრულიად არსების განსაზღვრა შეიძლება ასე: შეიძლება ჩამოყალიბდეს: არსება არის საგნის ობიექტური, აუცილებელი, საყოველთაო ბუნების ძირითადი კავშირ-მიმართება.

არსება შედარებით უცვლელი კავშირ-მიმართებაა. მაგრამ იგი არ არის აბსოლუტურად უცვლელი რამ. იცვლება და ვითარდება თვით საგნის ცვალებადობისა და განვითარების პროცესში.

ასეთია არსების ფილოსოფიური კატეგორია.

§ 2. მოვლენის ფილოსოფიური კატეგორია

ფილოსოფიის მიხედვით, მოვლენა არის არსების გამოვლენის, არსებობის ფორმა. ასე მაგალითად, ასიმილაციისა და დისიმილაციის, როგორც არსების, არსებობის ფორმებს წარმოადგენს თვით სიცოცხლე, მისი არსებობის მრავალფეროვანი ფორმებითაა და მასში მიმდინარე განუწყვეტელი ცვალებადობისა და განვითარების პროცესებით და სხვა.

მოვლენას, როგორც არსების არსებობის ფორმას, ახასიათებს შემდეგი არსებითი ნიშნები:

- არსებასთან შედარებით, მოვლენა არის მუდმივი, მოძრავი და ცვალებადი განსაზღვრულობა.

  არსებისაგან განსხვავებით, მოვლენა არის ცალკეული, ერთეული ბუნების განსაზღვრულობა.

თუ გავითვალისწინებთ მოვლენის ამ ნიშნებს, მისი განსაზღვრება ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: მოვლენა არის ერთეული, ცალკეული ბუნების მუდამ მოძრავი, ცვალებადი, შედარებით უცვლელი ზოგადი არსების არსებობის ფორმა.

§ 3. არსებისა და მოვლენის ურთიერთდამოკიდებულება

არსება და მოვლენა ერთმანეთთან განუყრელად დაკავშირებული განსაზღვრულობებია: არსება არ არსებობს მოვლენისაგან დამოუკიდებლად და მოვლენის გარეშე და პირიქით, მოვლენა არსებისაგან დამოუკიდებლად და არსების გარეშე. არსება შიგნით მოვლენაშია, ხოლო მოვლენა შიგნით არსებას გამოაყალებს, მისი არსებობის ფორმას წარმოადგენს. ასე მაგალითად,

სიცოცხლეში როგორც მოყვლენაში, მისი არსება ასიმილაცია და დისიმილაცია ჭლიბდება, თჳით სიცოცხლე კი ამ უკანასკნელთა გამოყვლენის, არსებობის ფორმას წარმოადგენს; არ არსებობს სიცოცხლე ასიმილაციისა და დისიმილაციის გარეშე და პირიქით, ასიმილაცია და დისიმილაცია სიცოცხლის გარეშე. სიცოცხლე არსებობს იქ და მაშინ, რადესაც და რამდენადაც ასიმილაციასა და დისიმილაციას აქვს ადგილი, რაღესაც ეს უკანასკნელი წყდება, ისპობა სიცოცხლე, როგორც მისი არსებობის ფორმა.

არსება და მოყვლენა ასეე ერიმანეთთან აუცილებლობით დაკავშირებულნი არიან, როგორც ერთი და მრავალი. არსება როგორც გარკვეული ზოგადობა, ერთია, მოყვლენა კი მრავალი; ერთი მრავალში ვლინდება და მრავალი ერთს გამოავლენს; ე.ი. ერთი იმდენად არსებობს, რამდენადაც არსებობს ერთი, ერთისა და მისრავლის ეს ერთიანობა გარკვეულ მთლიანობას, არსებისა და მოყვლენის მთლიანობას სინამდვილეს წარმოადგენს. ასეთია არსებისა და მოყვლენის განუყრელი, აუცილებელი ურთიერთობა.

§ 4. შეჯიბრება, როგორც სპორტის არსება

შეჯიბრება არის ადამიანთა ურთიერთობა (ადამიანთა ორი მხარის ძალთა დაპირისპირება) მაიი რომელიმე მოღვაწეობის სფეროში უძლიერესისა და საუკეთესოს გამოსავლენად; ასე მაგალითად, შეჯიბრება შრომაში არის შეჯიბრება შრომის საუკეთესო ხელოვანისა და ოსტატის გამოსაყვლენად: შეჯიბრება მუსიკაში არის შეჯიბრება საუკეთესო მუსიკოსის, მუსიკის საუკეთესო შემსრულებლის გამოსავლენად და სხვა. სპორტული შეჯიბრება კი, როგორც შეჯიბრების ერთ-ერთი ფორმა, არის ორი მხარის სპორტსმენთა ძალთა დაპირისპირება სპორტულ მოღვაწეობაში (სპორტის ამა თუ იმ სახეობაში) უძლიერესის, უძლიერესი ოსტატისა და ხელოვანის გამოსავლენად.

შეჯიბრება სპორსტმენთა, სპორტულ კოლექტივთა, გუნდთა, ე.ი. სპორტის ორ ძირითად მხარეთა ის ძირითადი კავშირ-ზიმართებაა, რომელიც უშუალოდ განსაზღვრავს სპორტის ბუნებას და ამდენად, მის არსებობას. შეჯიბრება არის სპორტის ძირითადი კავშირ-ზიმართება, რამდენადაც ის საფუძვლად უდევს და განსაზღვრავს სპორტის ყველა სხვა კავშირ-ზიმართებას; შეჯიბრება, როგორც სპორტის ძირითადი კავშირ-ზიმართება, განსაზღვრავს სპორტის არსებობისა და განვითარების ყველა ძირითად მხარეს, ყველა ძირითად პროცესს: ამიტომ შეჯიბრება არის სპორტის არსება.

რა ძირითადი ნიშნებით ხასიათდება შეჯიბრება, როგორც სპორტის არსება? მას ახასიათებს ყველა ის ძირითადი ნიშანი, რაც არსების ფილოსოფიურ კატეგორიას:

- სპორტი არის ჩვენი სურვილებისა და ნებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტურად არსებული სინამდვილე. ობიექტურად არსებობს მისი ძირითადი კავშირ-ზიმართება - შეჯიბრება; იგი ობიექტური სპორტის ობიექტური კავშირ-ზიმართებაა.

შეჯიბრების, როგორც სპორტის არსების, გარკვეულობის მეორე არსებითი ნიშანია მისი აუცილებლობა. შეჯიბრება, როგორც სპორტის ძირითადი კავშირ-მიმართება, აუცილებელი კავშირ-მიმართებაა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ სპორტის მხარეები, რომელთა ძირითად კავშირ-მიმართებასაც ის გამოხატავს, არ არსებობენ ერთი მეორის გარეშე და იმაშიც, რომ შეჯიბრებისაგან გარკვეული მოვლენის წარმოშობა გარდაუვალია. ასე მაგალითად, შეჯიბრებისაგან გარდაუვალად წარმოიშობიან ისეთი მოვლენები, როგორიცაა: სპორტული წვრთნა, მზადება, სპორტული ფორმა, სპორტული მიღწევები, შეკვეთები, რეკორდები და სხვა, რომელიც შეჯიბრების გამოვლენისა თუ არსებობის ფორმებია. მოვლენათა ასეთი წარმოშობა გარკვეული აუცილებლობის ხასიათს ატარებს. ამ აზრით, შეჯიბრება, როგორც სპორტის ძირითადი კავშირ-მიმართება, აუცილებელი ხასიათის კავშირ-მიმართებაა. მაგრამ არც აუცილებლობის ნიშანი ამოწურავს შეჯიბრების ბუნებას.

შეჯიბრება გარკვეული საყოველთაო, ზოგადი კავშირ-მიმართებაცაა. ის ყველა სპორტულ საგანთა და მოვლენათა საყოველთაო, ზოგადი კავშირ-მიმართებაა. აქიტომ ის ზოგადია.

თუ გაეითვალისწინებთ ყოველივე ზემოთქმულს, შეჯიბრების განსაზღვრა ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: შეჯიბრება არის სპორტის ობიექტური, აუცილებელი, საყოველთაო ხასიათის ძირითადი კავშირ-მიმართება.

შეჯიბრება როგორც სპორტის არსება, შედარებით (სპორტულ მოვლენებთან შედარებით) უცვლელი კავშირ-მიმართებაა, მაგრამ არ შეიძლება ვთქვათ, რომ ის არის აბსოლუტურად უცვლელი კავშირ-მიმართება. სპორტი, თუით შეჯიბრების საფუძველზე განუწყვეტლივ და უსასრულოდ ვითარდება; თუით სპორტის განვითარების მიხედვით კი, მართალია, შედარებით ნელა, მაგრამ მაინც ხვეწება, სრულყოფილი ხდება და ვითარდება სპორტული შეჯიბრებაც. ამ აზრით, შეჯიბრებაც, როგორც ყველაფერი, განვითარების პროცესს დაქვემდებარებული კავშირ-მიმართებაა.

თუ შეჯიბრება სპორტის არსებაა, ისმის კითხვა, გვიხსნის თუ არა ის, რაც არსებობს, ცალკეული სპორტის სახეობების სპეციფიკურ ბუნებას, მათს თვისებრიობებს? შეიძლება გადაჭრით ითქვას, არა. თუ არა რაღაც შეიძლება შეჯიბრება სპორტის არსება იყოს? საქმე ისაა, რომ შეჯიბრება გვიხსნის, ვთქვათ ფეხბურთის, კალათბურთის, როგორც სპორტის ბუნებას, მაგრამ რას წარმოადგენენ ისინი, თავიანთი სპეციფიკური ბუნებით, სპორტის სხვა სახეობებისაგან განსხვავებით (ასე მაგალითად, წყალსათხილამურო სპორტისაგან განსხვავებით), არ შეუძლია აგვიხსნას, სპორტის ცალკეულ სახეობებს გააჩნიათ თავიანთი არსება, რომლითაც ფეხბურთი ფეხბურთს, კალათბურთი კალათბურთს, წყალსათხილამურო სპორტი წყალსათხილამურო სპორტს წარმოადგენს და სხვ. როგორც ცნობილია, საგანს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა რიგის არსებები (ე.წ. პირველი და მეორე რიგის არსებები). ასევე სპორტსაც აქვს სხვადასხვა, პირველი და მეორე რიგის არსებები; პირველი უშუალოდ განსაზღვრავს სპორტის ცალკეული სახეობების

არსებობას (და ამდენად, ადგენს მათს სპეციფიკურ ბუნებას), მეორე კი ასევე განსაზღვრავს სპორტის საყოველთაო ბუნებას; სპორტის პირველი და მეორე რიგის არსებები არსებობენ არა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, არამედ პირველი მეორეში ვლინდება. შეჯიბრება, სწორედ, სპორტის მეორე რიგის არსებაა.

ასეთია შეჯიბრება, როგორც სპორტის არსება.

§ 5. სპორტული მოვლენა შეჯიბრების, როგორც მისი არსების, გამოვლენის ან არსებობის ფორმა

სპორტული მოვლენები ის სპორტული განსაზღვრულობებია, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ შეჯიბრებისათვის და შეჯიბრებაში წარმოიშობიან. ასე მაგალითად, თვით დიდი სპორტსმენიც, მისი სპორტული მზადება, წვრთნა, სპორტული ფორმა, სპორტული მიღწევები, შედეგები, რეკორდები (რომლებისაც ექვემდებარება მთელი სპორტი) სპორტულ მოვლენებს წარმოადგენენ. სპორტული მოვლენები იმის გამო, რომ ისინი მხოლოდ შეჯიბრებისათვის და შეჯიბრებაში წარმოიშობიან, ე.ი. რამდენადაც მათი არსება (მათი ასეთად არსებობის საფუძველი) შეჯიბრებაა, იმდენად ისინი მისი უშუალო გამოვლენის, არსებობის ფორმებს წარმოადგენენ. თუ არ იარსებებდა შეჯიბრება, არც სპორტსმენი, არც სპორტული მზადება, წვრთნა, სპორტული ფორმა, სპორტული მიღწევები, შედეგები და რეკორდები, როგორც სპორტული მოვლენები იარსებებდნენ, რადგან მათი რეალური ბუნება და, ამდენად, მათი არსებობა შეჯიბრებით განსაზღვრული არსებობაა. მაშ, სპორტული მოვლენები შეჯიბრების[65], მათი არსების, გამოვლენის, არსებობის ფორმებია.

შეჯიბრების ძირითადი ნიშნებია:

შეჯიბრებასთან შედარებით სპორტული მოვლენა არის შედარებით მოძრავი და ცვალებადი განსაზღვრულობა; სპორტული მოვლენები განუწყვეტლივ მოძრაობა-ცვალებადობაში იმყოფებიან და უსასრულოდ ვითარდებიან. ამის საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიყვანოთ ძალოსნურ სპორტს. ასე მაგალითად, მსოფლიო რეკორდები ძალოსნობაში ორივე ხელებით ატაცაში, საშუალო წონაში 1922 წლიდან 1981 წლამდე74-ჯერ შეიცვალა. ამასთან, თუ რეკორდი ორივე ხელებით ატაცაში საშუალო წონის ძალოსნებისათვის 1922 წელს იყო 90 კგ, 1981 წლისათვის ის 178,5 კგ გახდა.

ასევე მსოფლიო რეკორდები ორივე ხელებით აცერაში, საშუალო წონაში 1922 წლიდან 1981 წლამდე 57-ჯერ შეიცვალა. ამასთან, თუ მსოფლიო რეკორდი საშუალო წონაში ორივე ხელებით აცერაში 1920 წელს შეადგენდა 120 კგ-ს, 1981 წლისათვის ის 223 კგ-მდე გაიზარდა.

ყველაფერი ეს იმაზე მიგვითითებს, რომ სპორტული მიღწევებისა და რეკორდების დამკვიდრებისთანავე იწყება მათი დაძლეუისა და

[65] სპორტული შეჯიბრების

გადალახვისაკენ მიმართული თავისი არსებით უსასრულო მოძრაობა.

2. არსებისაგან განსხვავებით, სპორტული მოვლენა არის ცალკეული. ერთეული ხასიათის. ასე მაგალითად, ერთეული, ცალკეული მოვლენა იყო 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებზე რ. შაფლაიჰის მიერ სიმაღლეზე ხტომაში დამყარებული რეკორდი 2,16; საბჭოთა სპორტსმენის ვ. ბრუმელის მიერ 1963 წლის ოლიმპიურ თამაშებზე ქ. ტოკიოში, სიმაღლეზე ხტომაში დამყარებული ოლიმპიური რეკორდი - 2,18 ასევე ერთეული სპორტული მოვლენაა საბჭოთა სპორტსმენის ს. ბუბკას მიერ ამ წელს (1991 წ.) ჰაკით ხტომაში დამყარებული რეკორდი - 6,10 და სხვა.

ზემო თქმულის მიხედვით, სპორტული მოვლენის განსაზღვრება შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: სპორტული მოვლენა არის ერთეული, ცალკეული ხასიათის შედეგიც მოძრაობა, ცვალებადი, შედარებით უცვლელი ზოგადი მისი არსების შეჯიბრების არსებობის ფორმა.

§ 6. შეჯიბრებისა და სპორტული მოვლენის ურთიერთდამოკიდებულება

შეჯიბრება და სპორტული მოვლენა, როგორც არსება და მოვლენა სპორტში, არსებითად განსხვავებული მხარეებია. როგორც არსებითად განსხვავებული მხარეები, ისინი ერთიანი სპორტის შიგნით ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ, რაც სწორედ, მათს წინააღმდეგობას წარმოადგენს; მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. ისინი არა მხოლოდ ერთმანეთს გამორიცხავენ და ერთმანეთს უარყოფენ, არამედ ასეთივე აუცილებლობით ერთმანეთს გულისხმობენ და ერთმანეთისაც ადგენენ. შეჯიბრება არ არსებობს სპორტულ მოვლენათა გარეშე და სპორტული მოვლენები შეჯიბრების გარეშე: ეს უკანასკნელნი კი შეჯიბრების, როგორც მათ არსებას, გამოავლენენ; ის, რაც ვლინდება (შეჯიბრება) და რადაც ვლინდება (სპორტული მოვლენები), ცხადია, შეუძლებელია ერთმანეთის გარეშე არსებობდნენ, ე.ი. შეჯიბრება და სპორტული მოვლენები, როგორც არსებითად განსხვავებულნი, არა მხოლოდ ერთმანეთს გამორიცხავენ და ერთმანეთისაც უარყოფენ, არამედ ერთმანეთის არსებობასაც ადგენენ, აუცილებელ ერთიანობაში იმყოფებიან; ამ ერთიანობას, სწორედ გარკვეული სახის ხანამდეილე სპორტი წარმოადგენს.

შეჯიბრებისა და სპორტულ მოვლენათა ურიერთობა, როგორც არსებისა და მოვლენის ურთიერთობა, ერთისა და სიმრავლის ურიერთობაცაა. ყოველი სპორტული მოვლენისათვის შეჯიბრება, როგორც მათი არსება, ერთია, ხოლო სპორტული მოვლენები, რამდენადაც ისინი ერთის გამოვლენის სხვადასხვა ფორმებია, მრავალი; მაშ, შეჯიბრებისა და სპორტულ მოვლენათა ურთიერთობა სპორტში ერთისა და სიმრავლის ურთიერთობის სახეს ღებულობს.

ასეთია არსებისა და მოვლენის კატეგორიების ბუნება და მათი ურიერთდამოკიდებულება სპორტში.

მეთვრამეტე თავი. აუცილებლობა და შემთხვევითობა სპორტში

აუცილებლობისა და შემთხვევითობის გარკვევისათვის სპორტში, საჭიროა ჯერ გაირკვეს თვით აუცილებლობისა და შემთხვევითობის ფილოსოფიური კატეგორიები საერთოდ.

§ 1. აუცილებლობის ფილოსოფიური კატეგორია

ფილოსოფიის მიხედვით, აუცილებელი არის ის, რაც გამომდინარეობს მოცემული ნივთის, საგნის შინაგანი ბუნებიდან, როგორც მისი არსებიდან. ასე მაგალითად, ყოველი ცოცხალი ორგანიზმის არსებიდან[86], როგორც მისი შინაგანი კანონზომიერებიდან, შინაგანად გამომდინარეობს სიკვდილი: ყოველი ცოცხალი ორგანიზმი უნდა მოკვდეს. არ ყოფილა, არ არის და არ იქნება ისეთი ცოცხალი ორგანიზმი, რომელიც არ კვდება; მაშ, ცოცხალი ორგანიზმის სიკვდილი გარდაუვალია. ცოცხალი ორგანიზმის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე, სიკვდილის ეს გარდუვალობა არის, სწორედ ის, რასაც აუცილებლობა წარმოადგენს.

აუცილებლობის არსებითი ნიშნებია:

აუცილებლობა ობიექტური აუცილებლობაა, რომელიც არსებობს და მიმდინარეობს ჩვენი სურვილისა და ნებისაგან დამოუკიდებლად და მაის გარეშე. ობიექტურობა აუცილებლობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანია.

აუცილებლობის მეორე აუცილებელი ნიშანი მისი საყოველთაობა, ზოგადობის ბუნებაა. აუცილებლობა, როგორც კანონზომიერება, თავის თავში დასრულებული და, ამდენად, გარკვეული ზოგადობა, საყოველთაობაა.

აუცილებლობის მესამე არსებითი ნიშანი მისი გარდაუვლობაა; აუცილებელი ის არის, რაც გარდაუვალია: ის, რაც გარდაუვლად არსებობს, გარდაუვლად ხდება და რაც რაიმედან გარდაუვლად გამომდინარეობს; ასე მაგალითად, სიცოცხლე, ჩვენს დედამიწაზე გარდაუვლად არსებობს, მისი განვითარებაც გარდაუვლად ხდება და სიცოცხლის მრავალფეროვანი არსებიდან ასევე გარდუვლად გამომდინარეობს სიკვდილი.

მოცემული არსებითი ნიშნების მიხედვით, აუცილებლობის ცნება დაახლოებით შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: აუცილებლობა არის საგანთა და მოვლენათა არსებიდან რაიმეს საყოველთაოდ, ობიექტურად და გარდაუვლად გამომდინარეობის კანონზომიერება.

[86] როგორც ითქვა, ყოველი ცოცხალი ორგანიზმის არსებას, სწორედ, გარკვეული სახის კანონზომიერება. ასიმილაციისა და დისიმილაციის კანონზომიერება წარმოადგენს.

§ 2. შემთხვევითობის ფილოსოფიური კატეგორია

აუცილებლობა, როგორც კანონზომიერება, უეჭველად უნდა განხორციელდეს, მაგრამ იგი ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ პირობებში და ამ პირობების შეშეყობით პირობები კი ურთიერთობაშირსა და ურთიერთობაპირობებულობაში მყოფ საგანია გარკვეული გარემოება, რომლებიც ხელს უწყობენ ან ხელს უშლიან ამ კანონზომიერების განხორციელებას. აუცილებლობა, როგორც გარკვეული კანონზომიერება, რომელიც მის ხელშეწყობ თუ ხელისშემშლელ პირობებში, ე.ი. სხვადასხვა პირობებში ხორციელდება, ამ პირობებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ფორმით გამოვლინდება:

აუცილებლობის გამოვლენის ფორმა არის სწორედ, შემთხვევითობა.

ასე მაგალითად, სიკვდილი, როგორც ყოველი ცოცხალი ორგანიზმის არსებიდან შინაგანად გამომდინარე აუცილებლობა, სხვადასხვა პირობებში სხვადასხვა ფორმით ვლინდება: ფრანტზე მებრძოლი ჯარისკაცებისათვის (ე.ი. საბრძოლო მდგომარეობაში მყოფი ადამიანის პირობებისათვის) ის შეიძლება გამოვლინდეს, როგორც ტყვიის მოხვედრით გამოწვეული სიკვდილი, შესიღაურისათვის (საშინაო საქმიანობაში მყოფი ადამიანის პირობებისათვის), როგორც ჩიყვში დახრჩობით გამოწვეული სიკვდილი, შემახტისათვის (ე.ი. შახტში მუშაობის პირობებში) - როგორც შახტის საშინაგრეყით და შახტში მომწამლავი გაზის გაჟენით ან მასში ჰაერის უკმარისობით ან კიდევ სხვა რომელიმე პირობებით გამოწვეული სიკვდილი და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ადამიანის სიკვდილი უსასრულოდ მრავალ სხვადასხვა ფორმებში ხორციელდება და ვლინდება. გამოვლენის ეს მრავალი ფორმა სიკვდილის, როგორც აუცილებლობის, შემთხვევებს წარმოადგენენ. ისმის კითხვა, თუ სიკვდილი საერთოდ აუცილებლობაა, მისი ესა თუ ის (ასეთად თუ ისეთად) გამოვლენის ფორმა რატომ არის შემთხვევითობა? იმიტომ, რომ სიკვდილის ყოველი ესა თუ ის გამოვლენის ფორმა, სრულიად არ გამომდინარეობს ადამიანის არსებიდან, ე.ი. ადამიანი რომ უნდა მოკვდეს - აუცილებლობაა, რადგან იგი შინაგანად გამომდინარეობს მისი არსებიდან, მაგრამ რა სახით, რა ფორმით განხორციელდება ის, როგორც ადამიანის არსებიდან გამომდინარეობის აუცილებლობას მოკლებული, შემთხვევითობის წარმოადგენს. მაშ, ადამიანის სიკვდილი აუცილებლობაა, მაგრამ ის რომ სხვადასხვაგვარად ხდება შემთხვევითობაა. შემთხვევითობა აუცილებლობის საპირისპირო განსაზღვრულობაა: თუ აუცილებლობა მხოლოდ ასე ხდება და არა სხვაგვარად, შემთხვევითობა კი არის ის, რომელიც ასეც ხდება და ისეც, მაგრამ რამდენადაც ასეთად და ისეთად მოხდარ სიკვდილში საბოლოოდ სიკვდილი ვლინდება, ამდენად შემთხვევითობა აუცილებლობის გამოვლენის ფორმაა, ხოლო რამდენადაც შემთხვევითობა სიკვდილის, როგორც აუცილებლობის, ასეთად და ისეთად გამოვლენას

გამოხატავს, ის არა მხოლოდ აუცილებლობის გამოყვლენაა, არამედ მისი დამატებაც.

შემთხვევითობას ასევე ახასიათებს ობიექტურობა, ის ჩვენი სურვილებისა და ნებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური განსაზღვრულობაცაა. საბოლოოდ, მიცემული არსებითი ნიშნების საყუძველზე შემთხვევითობა ასე შეიძლება განისაზღვროს: შემთხვევითობა არის ობიექტური, ერთეული და სიმრავლის სახით არსებული ისეთი მოვლენა, რომელიც წარმოადგენს აუცილებლობის გამოყვლენასა და მის დამატებას.

§ 3. აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთდამოკიდებულება

ფილოსოფიის მიხედვით, აუცილებლობა და შემთხვევითობა ორი მოვლენა კი არ არის[87], არამედ ერთი მოვლენის ორი მხარე, ორი პოლუსია, რომლის ერთ პოლუსს აუცილებლობა ჰქვია, მეორეს კი შემთხვევითობა. ასე მაგალითად, სიკვდილი როგორც მოვლენა, ის აუცილებლობაა, მაგრამ რამდენადაც სიკვდილის მიზეზი სხვადასხვა შეიძლება იყოს, ე.ი. რამდენაც ის სხვადასხვა სახითა და ფორმით ხორციელდება, ის შემთხვევითობაცაა. აუცილებლობა და შემთხვევითობა ერთი მოვლენის ორი ურთიერთგამომრიცხველი და ურთიერთუარყოფელი მხარეებია, მაგრამ მხარეები, რომლებიც ამ ურთიერთუარყოფა-გამორიცხვით ერთმანეთსაც ადგენენ: რამდენადაც აუცილებლობა შემთხვევითობაში ვლინდება, იგი არ არსებობს შემთხვევითობის გარეშე და შემთხვევითობა, ამ აზრით, აუცილებლობის დადგენაა, მაგრამ, მეორე მხრივ, რამდენადაც თვით შემთხვევითობა აუცილებლობას გამოაელენს და ის, თავისი არსებით, სხვა არაფერია თუ არა მისი გამოვლენა, ამდენად, აუცილებლობაც უშუალოდ ადგენს შემთხვევითობას. მათი ურთიერთუარყოფა-დადგენა არის, სწორედ, გარკვეული სახის მოვლენა.

§ 4. აუცილებლობის კატეგორია სპორტში

როგორც ითქვა, სპორტის არსებას შეუხებრება წარმოადგენს. ის, რაც შეუხებრებიდან, როგორც სპორტის არსებიდან, გარდაუვლად გამომდინარეობს, სწორედ სპორტის აუცილებლობაა. ასე მაგალითად, სპორტული მზადება, ვარჯიშები, სპორტსმენის სპორტული ფორმა, სპორტული მიღწევები, შედეგები, რეკორდები გარდაუვლად გამომდინარეობს სპორტული შეუხებრებიდან, ამიტომ ისინი აუცილებელი ხასიათის მოვლენებს წარმოადგენენ.

რა არსებითი ნიშნებით ხასიათდება აუცილებლობის კატეგორია სპორტში? ძირითადად ისეთივე არსებითი ნიშნებით, რითაც საერთოდ აუცილებლობის ფილოსოფიური კატეგორია. ეს ნიშნებია:

- გარდაუვლობის ნიშანი. სპორტული აუცილებლობა გარკვეულ

[87] ე.ი. მოვლენა, რომელიც აუცილებელია და შემთხვევითი არ არის, მხოლოდ შემთხვევითია და აუცილებელი არ არის, ასეთი მოვლენა არ არსებობს.

სპორტული გარდაუვლობის გამოხატავს იმას, რითაც რაიმე სპორტში ასე ხდება და არა სხვაგვარად. ასე მაგალითად, სპორტული შეჯიბრებიდან შინაგანად გამომდინარე კანონზომიერება მხოლოდ ასეთ (სპორტული მზადება, ვარჯიშები, სპორტსმენის სპორტული ფორმა, სპორტული მიღწევები, შედეგები, რეკორდები და სხვა) და არა სხვაგვარად მოელენებად ღირსებას, ის, რითაც სპორტული მოვლენა ასე ხდება, ასე მიმდინარეობს და არა სხვაგვარად, წარმოადგენს.

სპორტული აუცილებლობის მეორე არსებითი ნიშანი მისი ობიექტური ხასიათია. სპორტული აუცილებლობა ობიექტური ხასიათის კანონზომიერებაა, რადგან თვით სპორტი ობიექტური, ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული სინამდვილეა.

სპორტული აუცილებლობის მესამე არსებით ნიშანს მისი საყოველთაობა წარმოადგენს. სპორტული აუცილებლობა ყველა და ყველა დროის (წარსულის, აწმყოს და მომავლის) უსახრულოდ მრავალ მოვლენათა საერთო კანონზომიერებაა; ამ აზრით, ის საყოველთაო ზოგადი კანონზომიერებაა.

ამგვარად, თუ შევაჯამებთ სპორტული აუცილებლობის ცნება არსებით ნიშნებს, ის შეიძლება ასე განისაზღვროს: სპორტული აუცილებლობა არის სპორტის არსებიდან (შეჯიბრებიდან) გარკვეულ სპორტულ მოვლენათა გარდაუვლად, ობიექტურად და საყოველთაოდ გამომდინარეობის კანონზომიერება.

§ 5. შემთხვევითობის კატეგორია სპორტში

ოუ სპორტში ადგილი აქვს აუცილებლობის კატეგორიის მოქმედებას, ეს იმასაც ნიშნავს, რომ მასში ადგილი აქვს შემთხვევითობის კატეგორიის მოქმედებასაც, რადგან აუცილებლობა და შემთხვევითობა არ არსებობენ ერთმანეთის გარეშე.

სპორტული აუცილებლობა გარკვეულ პირობებში ხორციელდება. გამოვლინდება არა როგორც საერთოდ სპორტული მზადება, სპორტული ვარჯიშები, სპორტსმენის სპორტული ფორმა, სპორტული მიღწევები, შედეგები და რეკორდები (ასეთი რამ საერთოდ შეუძლებელია), არამედ ის ხორციელდება და გამოვლინდება მხოლოდ და მხოლოდ როგორც სხვადასხვა სახის ფორმის სპორტული მზადება, სპორტული ვარჯიშები, როგორც სხვადასხვა სპორტსმენთა სხვადასხვა სახის სპორტული ფორმა, სხვადასხვა სახის სპორტული მიღწევები, შედეგები, რეკორდები; სპორტული აუცილებლობის გამოვლენის ეს სხვადასხვა კონკრეტული ფორმები, წარმოადგენს; ე.ი. სპორტული მზადება, სპორტული ვარჯიშები, სპორტსმენის სპორტული ფორმა, სპორტული მიღწევები, შედეგები, რეკორდები საერთოდ აუცილებელია, მაგრამ ის, თუ როგორ და რა სახით, რა ფორმით, უშუალოდ რა წესით ხორციელდება

და ელინდება შემთხვევითობას წარმოადგენს. ამ აზრით, სპორტული აუცილებლობა მხოლოდ და მხოლოდ სპორტულ შემთხვევითობაში ვლინდება, ხოლო სპორტული შემთხვევითობა სპორტულ აუცილებლობას გამოაცლენს და ამდენად, ის მისი გამოცლენის ფორმაა. ამასთან, რამდენადაც სპორტული შემთხვევითობა სპორტული აუცილებლობის გამოცლენის ფორმაა, ის თავის თავში არა მხოლოდ აუცილებლობის, არამედ მისი ასეთად არსებობის ფორმასაც შეიცავს. ამ მხრივ, სპორტული შემთხვევითობა სპორტული აუცილებლობის დამატებასაც წარმოადგენს.

მაგრამ ისმება კითხვა, რატომ წარმოადგენს სპორტული მზადების, ვარჯიშის, სპორტსმენის სპორტული ფორმის, სპორტული მიღწევების, შედეგების, რეკორდების ამა თუ იმ სახით, ამა თუ ფორმით, წესით უშუალოდ განხორციელების კონკრეტული ფორმები შემთხვევითობას? იმიტომ, რომ განხორციელების ეს კონკრეტული ფორმები, თავიანთი სხვადასხვა სახით, სხვადასხვა ფორმით (მაგალითად, ის თუ როგორი სპორტული მიღწევები, რეკორდები იქნება კონკრეტულად) თვითონ შეკიბრებიდან, როგორც სპორტის არსებიდან, არ გამომდინარეობს. სწორედ ის, რაც სპორტის არსებიდან არ გამომდინარეობს არის შემთხვევითობა. მაგრამ, რამდენადაც მათში, სპორტის არსებიდან შინაგანად გამომდინარე, სპორტული მზადების, ვარჯიშის, სპორტსმენის სპორტული ფორმის, მიღწევის, სპორტული მიღწევების, შედეგების, რეკორდების საერთო აუცილებლობა ვლინდება, ამ აზრით, სპორტული შემთხვევითობა სპორტული აუცილებლობაცაა.

რა არსებითი ნიშნებით ხასიათდება სპორტული შემთხვევითობა?

სპორტული შემთხვევითობის ერთ-ერთი არსებითი ნიშანი, როგორც ითქვა, არის ის, რომ სპორტული შემთხვევითობა სპორტული აუცილებლობის გამოცლენა და დამატებაა. ასე მაგალითად, მ. პა-უელის მიერ დამყარებული მსოფლიო რეკორდი ტოკიოს მსოფლიო ჩემპიონატზე მძლეოსნობის ერთ-ერთ სახეში, სიგრძეზე ხტომაში -8,95 მ. 1991 წლის აგვისტოს, ერთსა და იმავე დროს წარმოადგენს როგორც აუცილებელ, ასევე შემთხვევით მოვლენას. რამდენადაც მოცემული მოვლენა გარდაუვლად გამომდინარეობს შეკიბრებიდან, როგორც სპორტის არსებიდან, ის აუცილებელია, მაგრამ რამდენადაც ეს აუცილებლობა გარკვეული კონკრეტული მოვლენის სახით, გარკვეული სახის რეკორდით (8,95 მ) განხორციელდა, გამოვლინდა და, ამასთან, გარკვეული სახის პიროვნების, მ. პა-უელის მიერ, არის სწორედ შემთხვევითობა.

სპორტული შემთხვევითობის მეორე არსებითი ნიშანი ობიექტურობის ნიშანია, რამდენადაც სპორტული შემთხვევითობა ჩვენი სურვილისა და ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად ობიექტურად არსებული

მოულენია.

- სპორტული შეჯიბრებითობის შესაძლებლობის ნიშანს მისი ერთეული და სიმრავლის სახით არსებობის ნიშანი წარმოადგენს. შეჯიბრებითი სპორტული მოვლენები, როგორც გარკვეულ დროსა და სივრცეში წარმოებული და მიმდინარე მოვლენები, ცალკეული ერთეული მოვლენებია. ასე მაგალითად, ყოველი რეკორდი, ყოველი სპორტული ძიღწევა, ყოველი რეკორდსმენი ერთეული სახის შეჯიბრებითი მოვლენებია; ასევე ეს მოვლენები, როგორც მუდამ სხვადასხვა და მრავალფეროვანი მოვლენები, რაოდენობრივად მრავალია.

მოცემული არსებითი ნიშნების საფუძველზე სპორტული შეჯიბრებითობის განსაზღვრება შესაძლებელია ასე ჩამოვაყალიბოთ: სპორტული შეჯიბრებითობა არის ერთეული და სიმრავლის სახით არსებული ისეთი ობიექტური მოვლენა, რომელიც წარმოადგენს სპორტული აუცილებლობის გამოვლენის ფორმასა და დამატებას.

§ 6. სპორტული აუცილებლობისა და სპორტული შეჯიბრებითობის ურთიერთდამოკიდებულება

არ არსებობს არც წმინდა სპორტული აუცილებლობა და არც წმინდა სპორტული შეჯიბრებითობა. ისინი არიან არა ორი ურთიერთდამოუკიდებელი გარკვეულობები, არამედ ერთი სპორტული მოვლენის ორი სხვადასხვა მხარე, სადაც ერთი მხარე სპორტული აუცილებლობაა, მეორე კი -სპორტული შეჯიბრებითობა. როგორც ერთი სპორტული მოვლენის ორ არსებითად ურთიერთგანსხვავებულ მხარეებად გაიარება, სპორტული აუცილებლობა და სპორტული შეჯიბრებითობა ერთმანეთს გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ; მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. ისინი არა მხოლოდ ერთმანეთის გამორიცხავენ, ერთმანეთს უარყოფენ, არამედ, ამ ურთიერთგამორიცხვა-უარყოფით, ერთმანეთსაც ადგენენ. ამიტომ არ არსებობს სპორტული აუცილებლობა სპორტული შეჯიბრებითობის გარეშე და პირიქით, სპორტული შეჯიბრებითობა სპორტული აუცილებლობის გარეშე. სპორტული მოვლენა მათი აუცილებელი ერთიანობაა. მოცემული აზრის საილუსტრაციოდ განვიხილოთ ერთი რომელიმე სპორტული მოვლენა. 1960 წელს რომის ოლიმპიურ თამაშებში
რ. ვაილაყაძის მიერ ძალეოსნობის სახეობაში სიმაღლეზე ხტომაში დაამყარებული მსოფლიო რეკორდი - 2,16 მ. მოცემული რეკორდი, როგორც სპორტული მოვლენა, წარმოადგენს სპორტული აუცილებლობისა და სპორტული შეჯიბრებითობის გარკვეულ ერთიანობას. რამდენადაც მოცემული რეკორდი დამყარდა ოლიმპიური შეჯიბრებიდან მისი გარდუვალი გამოშდინარეობის საფუძველზე[58], ის აუცილებელია, მაგრამ

[58] რომ არ ყოფილიყო შეჯიბრებიდან. როგორც არსებიდან. რეკორდის გარდაუვალი გამოშდინარეობის ობიექტური აუცილებლობა, რა თქმა უნდა, თვით რეკორდი არ დამკვიდრებულა. რეკორდი დამყარდა შეჯიბრებიდან შინაგანად გამოშდინარე გარკვეული აუცილებლობის საფუძველზე.

რამდენადაც ის დამყარდა გარკვეული კონკრეტული რეკორდის სახით (როგორც 2,16 მ), გარკვეული კონკრეტული ბიოგენების მიერ (რ. შაულაიძის მიერ), ის შემთხვევითიცაა. მაშასადამე, სიმაღლეზე ხტომაში მოცემული ოლიმპიური რეკორდი ერთისა და იმავე დროს აუცილებლობისა და შემთხვევითობის ერთიანობაა. მოცემულ ოლიმპიურ რეკორდში სპორტული აუცილებლობა სპორტულ შემთხვევითობაში ყლიბდება, სპორტული შემთხვევითობა კი სპორტულ აუცილებლობას გამოავლენს. ასეთია სპორტული აუცილებლობისა და სპორტული შემთხვევითობის ურთიერთდამოკიდებულება.

მეცხრამეტე თავი. სინამდვილისა და შესაძლებლობის კატეგორიები სპორტში

თუ, როგორც ვნახეთ, სპორტში აუცილებლობით მოქმედებენ ერთეულის, განსაკუთრებულის, ზოგადის, მთელისა და ნაწილის, არსებისა და მოვლენის, ფორმის და შინაარსის, შემთხვევითისა და აუცილებლობის კატეგორიები. ასევე ითქმის შესაძლებლობისა და სინამდვილის კატეგორიების შესახებაც. განვიხილოთ თაყდაპირველად მოკლედ, რა არის შესაძლებლობა, რა არის სინამდვილე, როგორია მათი ურთიერთკავშირი და შემდეგ შევეხოთ მათს მოქმედებას უშუალოდ სპორტში.

§ 1. სინამდვილის ფილოსოფიური კატეგორია

ყოველივე ის, რაც ობიექტურად არსებობს, როგორც ბუნება, ადამიანთა სახოგადოება, აზროვნება, მათ მრავალფეროვან საგანთა და მოვლენათა, პროცესთა და მდგომარეობათა, ცვლილებებთა და კანონზომიერებათა და სხვათა სახით, ჩვეულებრივ იწოდება სინამდვილედ. მაგრამ შესაძლებლობისაგან განსხვავებით და მის საპირისპიროდ სინამდვილეს უწოდებენ ყოველივე იმას, რაც ამჟამად არსებობს, ამჟამად მოქმედებს და ვითარდება. ასე მაგალითად, სინამდვილეა დღეს დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც სწორედ ამჟამად არსებობს და ამჟამად მოქმედებს. ე.ი. სინამდვილე გარკვეული სახის აქტიური (ამჟამად არსებული, ამჟამად მოქმედი და განვითარებაში მყოფი) სახის არსებობაა. სინამდვილეში უშუალოდ განხორციელებულია შესაძლებლობა, ამ აზრით, ის არის განხორციელებული შესაძლებლობა. ასე მაგალითად, მუხაში, როგორც სინამდვილეში, განხორციელებულია რჩოს მუხად გადაქცევის შესაძლებლობა და სხვა.

ამგვარად, სინამდვილე არის ობიექტური, აქტიური სახის ის ფორმა, რომელშიც ხორციელდება მისგან განსხვავებული, მისთვის აუცილებელი გარკვეული სახის არსებობა - შესაძლებლობა.

§ 2. შესაძლებლობის ფილოსოფიური კატეგორია

შესაძლებლობა რაიმეს გარკვეული სახით არსებობაა: ის, ახლის ყოფიერების პოტენციური მდგომარეობის სახით არსებობის გარკვეულობაა. ასე მაგალითად, დღევანდელ დამოუკიდებელ საქართველოში პოტენციური მდგომარეობის სახით მოიცავდა მთელი საქართველოს - სრული დამოუკიდებელი საქართველოს შექმნის შესაძლებლობა. მაგრამ ეს შესაძლებლობა თავისთავად სინამდვილედ ვერ გადაიქცევა. ის რომ სინამდვილედ იქცეს, აუცილებელია გარკვეული პირობები: ქართველი ერის ერთგული კონსოლიდაცია და მისი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომლის მისი გამთავისუფლების, ასევე საბჭოთა იმპერიული ძალების წინააღმდეგ. რამდენადაც შესაძლებლობა მის სინამდვილედ გადაქცევისათვის გარკვეულ აუცილებელ პირობებს გულისხმობს, ამ აზრით, შესაძლებლობა არა მხოლოდ რაიმეს შესაძლებლობაა, არამედ ის ამ რაიმეს შეუძლებლობაცაა. რაიმეს შესაძლებლობა, რომლის განხორციელების პირობები არ არსებობს, ამ რაიმეს შეუძლებლობაცაა. ამ აზრით, შესაძლებლობა თავისი ბუნებით, წინააღმდეგობრივი არსებობაა: ის რაიმეს შესაძლებლობაცაა და ამ რაიმეს შეუძლებლობაც.

შესაძლებლობა ობიექტური არსებობაცაა, როგორც ჩვენი სურვილისა და ნებისაგან დამოუკიდებელი არსებობა.

შესაძლებლობა ყველგან და ყოველთვის გარკვეული სინამდვილის შესაძლებლობაა. ამ მხრივ, ის არის თვით სინამდვილის განვითარების გზა, ტენდენცია მისი თავისებრივად განსხვავებულ ახალ რაიმედ გადაქცევისაკენ. ასე მაგალითად, დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველოს, როგორც სინამდვილის, განვითარების გზა, ტენდენცია სრული თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოდ გადაქცევისაკენ, არის სწორედ, თვით დღეს არსებული დამოუკიდებელი საქართველოს შესაძლებლობა.

ყოველივე ზემოთ ითქმულის მიხედვით, შესაძლებლობის კატეგორიის განსაზღვრა, შესაძლებელია ასე ჩამოყალიბდეს: შესაძლებლობა არის ახლის ყოფიერების პოტენციური მდგომარეობის სახით არსებობის ის გარკვეულობა, სინამდვილის ობიექტური განვითარების ის განსაზღვრული გზა, ტენდენცია, რომელიც თავის თავში შეიცავს თვით შესაძლებლობისა და შეუძლებლობის შინაგან წინააღმდეგობას.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ რეალურ და კონკრეტულ და ფორმალურ ან აბსტრაქტულ შესაძლებლობებს. რეალურია ან კონკრეტულია ის შესაძლებლობა, რომელიც გამოხატავს რომელიმე მოცემული სინამდვილის განვითარების ობიექტურ, კანონზომიერ, არსებით ტენდენციებს და არსებობს მისი რეალურად განხორციელების აუცილებელი პირობები. ასე მაგალითად, დღევანდელი დამოუკიდებელი საქართველო თავის თავში შეიცავს მისი სრულ დამოუკიდებელ საქართველოდ გადაქცევის რეალურ

შესაძლებლობას, რამდენადაც რეალურად არსებობს მისი განხორციელების აუცილებელი პირობები.

ხოლო ფორმალური ან აბსტრაქტულია ის შესაძლებლობა, რომელიც რაიმე სინამდვილის განვითარების, არაარსებით ტენდენციებს გამოხატავს და არ არსებობს სინამდვილეში მისი განხორციელების აუცილებელი პირობები. ასე მაგალითად,

ჰეგელის გამოთქმა რომ ვიხილაროთ, დღეს რომ მთვარე დედამიწაზე ჩამოვარდეს, რადგან მას, როგორც დედამიწისაგან დაშორებულ ყოველ სხეულს, შეუძლია ძირს ჩამოვარდეს, თვით დედამიწაზე ასრიალილი ქვის მსგავსად. მაგრამ ეს მხოლოდ შესაძლებელია ფორმალურად, აბსტრაქტულად და რეალურად, რადგან მოცემული შესაძლებლობა მთვარის არაარსებით ტენდენციებს გამოხატავს და არ არსებობს მისი განხორციელების აუცილებელი პირობები.

§ 3. შესაძლებლობისა და სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულება

შესაძლებლობა და სინამდვილე აუცილებელ კავშირში იმყოფებიან ერთმანეთთან და ამ აუცილებელი კავშირის გარეშე არ არსებობენ. შესაძლებლობა გარკვეული სინამდვილის შესაძლებლობაა, ამიტომ ის არ არსებობს სინამდვილის გარეშე. თვით სინამდვილე კი, ასევე აუცილებლობით გულისხმობს შესაძლებლობას, როგორც მისი განვითარების გარკვეულ გზას, ტენდენციას და, ამდენად, სინამდვილე არ არსებობს შესაძლებლობის გარეშე. ასე მაგალითად, მომავალი თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველო, ღღევანდელი დამოუკიდებული საქართველოს, როგორც სინამდვილის, შესაძლებლობაა და ეს შესაძლებლობა არ არსებობს დამოუკიდებული საქართველოს სინამდვილის გარეშე. მაგრამ თვით დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც მუდმივი განვითარების პროცესში იმყოფება, ასევე აუცილებლობით გულისხმობს თავისუფალ, დამოუკიდებულ საქართველოს, როგორც მისი განვითარების გარკვეულ გზას, ტენდენციას და, ამდენად, დამოუკიდებელი საქართველოს სინამდვილე არ არსებობს თავისუფალი, დამოუკიდებელი საქართველოს შესაძლებლობის გარეშე.

§ 4. სინამდვილის კატეგორია სპორტში

სპორტული სინამდვილე არის სპორტის არსებობის ერთ-ერთი სახე. ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი სპორტი, ყველა მისი სახეებითა და მასში შემავალი უკლებლივ ყველა საქმიანობით, ყველა სპორტული მიღწევებით, შედეგებითა და რეკორდებით, რომელიც ამჟამად არსებობს, ამჟამად მოქმედებს და ვითარდება, არის სწორედ, სპორტული სინამდვილე. მაგრამ სპორტი, რომელიც ამჟამად არსებობს, ამჟამად მოქმედებს და ვითარდება არის სწორედ აქტიური სინამდვილე. მაშ, სპორტული სინამდვილე აქტიური სინამდვილეა. მაგრამ

ყოველივე მოცემული სპორტული სინამდვილე, მუდამ, ე.ი. როგორც აქტიური სინამდვილე, წარსული სპორტის შესაძლებლობების განხორციელებას წარმოადგენს. ამ აზრით, საერთოდ, სპორტული სინამდვილე სპორტის შესაძლებლობის განხორციელებაა. ასე მაგალითად, დღეს არსებული სპორტული რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში 2,44[1]მ, როგორც სპორტული სინამდვილე (რომელიც ამჟამად არსებობს, ამჟამად მოქმედებს და ყოთარდება) წარმოადგენს მისი წინამორბედ რეკორდში - (2,43 მ) მოცემული სპორტული შესაძლებლობის სპორტულ სინამდვილედ გადაქცევას. სპორტული სინამდვილე თავის თავში შეიცავს ასევე ობიექტურობის ნიშანსაც; სპორტული სინამდვილე ობიექტური სინამდვილეა.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სპორტული სინამდვილის, როგორც სპორტის ფილოსოფიის კატეგორიის ცნება, შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს: სპორტული სინამდვილე არის სპორტის არსებობის ერთ-ერთი სახე, ის ობიექტური, აქტიური სინამდვილე, რომელიც, როგორც განხორციელებული თვით სპორტული შესაძლებლობა, ამჟამად არსებობს, ამჟამად მოქმედებს და ყოთარდება.

§ 5. შესაძლებლობის კატეგორია სპორტში

რა არის შესაძლებლობა სპორტში ან სხვაგვარად, სპორტული შესაძლებლობა? სპორტული შესაძლებლობა სპორტის (მისი მოვლენების) გარკვეული სახით არსებობის ფორმაა: ის სპორტში ახლის ყოფიერების (ე.ი. ახალი სპორტული მიღწევების, შედეგების, რეკორდების) პოტენციური მდგომარეობის სახით არსებობის გარკვეულობაა. ასე მაგალითად, ყველა დღევანდელ სპორტულ მიღწევებს, შედეგებსა და რეკორდებში, რომელიც ამჟამად არსებობს და მოქმედებს, როგორც სპორტული სინამდვილე, უშუალოდ მოცემულია, პოტენციური მდგომარეობის სახით, შემდგომი ახალი სპორტული მიღწევების, შედეგების, რეკორდების შესაძლებლობა, რომელიც გარკვეულ პირობებში სპორტულ სინამდვილედ გადაიქცევა.

ყოველი სპორტული შესაძლებლობა გარკვეული სპორტული სინამდვილის შესაძლებლობაა. ამ აზრით, ის არის თვით სპორტულის სინამდვილის განვითარების გარკვეული გზა, ტენდენცია, მისი თვისებრივად განსხვავებული ახალ სპორტულ სინამდვილედ გადაქცევისაკენ. ასე მაგალითად, ყველა დღევანდელი სპორტული მიღწევები, შედეგები და რეკორდები, როგორც სპორტული სინამდვილე, რომლებიც ობიექტურად შეიცავენ თავიანთ თავში ახალი სპორტული მიღწევების, შედეგებისა და რეკორდების პოტენციის მდგომარეობის სახით ყოფიერებას, ამ პოტენციური

[1] იგი დამყარებულ იქნა კუნცელი სპორტსმენის ხ. სოტომაიორის მიერ 1989 წელს.

[2] ეს რეკორდიც დამყარებულ იქნა ხ. სოტომაიორის მიერ 1988 წელს.

მდგომარეობით განსაზღვრული, გამოხატავენ თვით სპორტული სინამდვილის განვითარების გარკვეულ მიმართულებას, გზას, ტენდენციას.

სპორტული შესაძლებლობა მუდამ და ყოველთვის სპორტულ სინამდვილედ არ იქცევა. სპორტული შესაძლებლობის სპორტულ სინამდვილედ გადაქცევისათვის, გარკვეულ პირობებთან ერთად, აუცილებელია დიდი სპორტსმენის ფუნქციონალური ტალანტიც. სანამ ეს ტალანტი არ გამოჩნდება, სპორტული შესაძლებლობა შეუძლებლობად რჩება. ამ აზრით, სპორტული შესაძლებლობა გარკვეული წინააღმდეგობაა: ის არა მხოლოდ რისიმე სპორტული სინამდვილის შესაძლებლობაა, არამედ მისი შეუძლებლობაცაა. ასე მაგალითად, როგორც ცნობილია, უკანასკნელი მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში დაშვარებული იქნა 1968 წელს ბობ ბიმონის მიერ - 8,90მ, აღნიშნულ რეკორდში, როგორც სპორტულ სინამდვილეში, მოცემული მისი შემცველი ახალი რეკორდის შესაძლებლობას, სპორტსმენთა დიდძალი არმია მთელი 22 წლის განმავლობაში გამუდმებით უტევდა. მაგრამ ეს შესაძლებლობა შეუძლებლობად რჩებოდა, სანამ არ გამოჩნდა დიდი სპორტსმენი მაიკ პაუელის სახით, რომელმაც ტოკიოს მძლეოსნობის მსოფლიო ჩემპიონატში 1991 წლის 30-31 აგვისტოს მოცემული შესაძლებლობა სინამდვილედ აქცია და დაამყარა სიგრძეზე ხტომაში ახალი რეკორდი - 8,95 მ. ამ აზრით, სპორტული შესაძლებლობა არ არის წმინდა სპორტული შესაძლებლობა (ე.ი. არ არსებობს წმინდა სპორტული შესაძლებლობა), ის სპორტული შეუძლებლობაცაა.

და ბოლოს, სპორტული შესაძლებლობა, როგორც რისიმე შესაძლებლობის არსებობის გარკვეული ფორმა, ობიექტური ხასიათის გარკვეულობაა.

სპორტული შესაძლებლობის ზემოთ მოცემული დახასიათებიდან გამომდინარე, სპორტული შესაძლებლობის კატეგორიის განსაზღვრება საბოლოო სახით ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: სპორტული შესაძლებლობა არის ახალი სპორტული სინამდვილის პოტენციის მდგომარეობის სახით არსებობის ის აუცილებელი ფორმა, სპორტული სინამდვილის ობიექტური განვითარების ის განსაზღვრული გზა, ტენდენცია, რომელიც თავის თავში შეიცავს სპორტული შესაძლებლობისა და შეუძლებლობის, გარკვეულ მისაგან წინააღმდეგობასაც.

§ 6. სპორტული შესაძლებლობისა და სპორტული სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულება

სპორტული შესაძლებლობა და სპორტული სინამდვილე, როგორც ერთი სპორტის ყოფიერების სხვადასხვა ფორმები, აუცილებელ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. სპორტული შესაძლებლობა მუდამ და ყოველთვის სპორტული სინამდვილის შესაძლებლობაა, ამიტომ

ის არ არსებობს სპორტული სინამდვილის გარეშე და პირიქით. სპორტული სინამდვილე. რომელიც შედის განუწყვეტელი განვითარების პროცესში იმყოფება, შინაგანი აუცილებლობით სპორტულ შესაძლებლობას გულისხმობს, რაც თავის მხრივ მის განვითარების გზას, ტენდენციას, ამიტომ სპორტული სინამდვილეც არ არსებობს ამ უკანასკნელის გარეშე.

სპორტის განვითარების პროცესი სპორტული სინამდვილის სპორტულ შესაძლებლობაში გადასვლის და ამ უკანასკნელის, თავის მხრივ, სპორტულ სინამდვილედ გადაქცევის ერთიანი პროცესია. ასე მაგალითად, ყოველი სპორტული მიღწევა, რეკორდი, რომელიც ამჟამად არსებობს და მოქმედებს, სინამდვილეა, მაგრამ ყველა მათგანში მოცემულია მათი რეალური მოხსნის, თვითუარყოფის უშუალო შესაძლებლობა, რომელიც გარკვეულ დროსა და პირობებში ახალ სპორტულ მიღწევად. შედეგად რეკორდად იქცევა; ასე იქმნება ახალი სპორტული სინამდვილე, რომელიც, თავის მხრივ, ახალ შესაძლებლობას წარმოშობს და ასე უსასრულოდ.

მეოცე თავი. მიზანსისა და შედეგის კატეგორიები სპორტში

მიზეზი და შედეგი, მიზეზობრიობა აუცილებლობით მოქმედებენ სინამდვილის ყველა სფეროში. ამიტომ, ცხადია, მათი მოქმედებაც სპორტში ეჭვს არ უნდა იწვევდეს. განვიხილოთ მიზეზისა და შედეგის მოქმედება სპორტში. მაგრამ ჯერ განვიხილოთ მიზეზისა და შედეგის ფილოსოფიური კატეგორიები საერთოდ.

§ 1. მიზეზის ფილოსოფიური კატეგორია

მიზეზისა და შედეგის ურთიერთობა, მიზეზობრიობა ობიექტური სამყაროს მრავალფეროვან საგანთა და მოვლენათა საყოველთაო კანონზომიერი კავშირის ერთ-ერთი ფორმაა. რა არის მიზეზი?

ყოველივე ის, რითაც რაიმე ხდება, წარმოიშობა ან იქმნება, ამ რაიმეს მიზეზს წარმოადგენს. ასე მაგალითად, დღევანდელი თავისუფალი საქართველოს წარმოშობა დამკვიდრების მიზეზი არის ქართველი ხალხის და მისი მოწინავე ინტელიგენციის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა მისი ერთიან-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა-ბის აღდგენისა და თავისუფლების მოპოვებისათვის. მაშ, მიზეზის ერთ-ერთი არსე-ბითი ნიშანი არის ის, რომ ყველაფერი წარმოიშობა, იქმნება და არსებობს მის საფუძველზე.

მიზეზის მეორე არსებითი ნიშანი მისი ობიექტურობაა. იგი ადამიანის ცნობა-ერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური გარკვეულობაა.

მესამე არსებითი ნიშანია ისიც, რომ მიზეზიდან შედეგის ობიექტური

გამომდინარეობა უნივერსალური, საყოველთაო ხასიათის კანონზომიერებაა. ასე მაგალითად, სხეულის გაცხობიდან, როგორც ძირეულიდან, აუცილებლობით გარკვეული შედეგის სხეულის გაფართოების ობიექტური გამომდინარეობა, არის სწორედ უნივერსალური, საყოველთაო ხასიათის კანონზომიერება.

დაბოლოს, მიზეზისათვის დამახასიათებელი მეოთხე არსებით ნიშანს შეადგენს ისიც, რომ მიზეზი დროში წინ უსწრებს შედეგს.

მიზეზისათვის დამახასიათებელ მეოთხე არსებით ნიშანს შეადგენს ისიც, რომ მიზეზი დროში წინ უსწრებს შედეგს.

მიზეზისათვის დამახასიათებელი არსებითი ნიშნების საფუძველზე კი, საბოლოოდ მიზეზის ცნება ასე შეიძლება განისაზღვროთ: მიზეზი არის ყოველივე ის, რომელიც მისგან, აუცილებელი, ობიექტური და საყოველთაო გამომდინარეობით, წარმოიშობს, ქმნის შედეგს და დროში წინ უსწრებს მას.

§ 2. შედეგის ფილოსოფიური კატეგორია

რა არის შედეგი ფილოსოფიის მიხედვით ?

ყოველივე ის, რაც მიზეზის საფუძველზე წარმოიშობა, იქმნება და არსებობს, არის შედეგი. ასე მაგალითად, ღღეგანღღელი თავისუფალი საქართველო, როგორც შედეგი, წარმოიშვა გარკვეული მიზეზის ქართველი ხალხისა და მისი მოწინავე ინტელიგენციის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისა და თავისუფალი ბრძოლის საფუძველზე. ის, რომ შედეგი წარმოიშობა, იქმნება და არსებობს მიზეზის საფუძველზე, შედეგის არსებით ნიშნებს შორის ყველაზე უმარტივესი ნიშანია. ის მაინც ყველა ამოწურავს შედეგის არსებას.

შედეგის მეორე არსებით ნიშანს მისი ობიექტური ხასიათი შეადგენს. შედეგი ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული, ობიექტური მოვლენაა.

შედეგის მესამე არსებითი ნიშანი მისი საყოველთაობის ნიშანია. შედეგი, საყოველთაო ხასიათის, საყოველთაო ბუნების მოვლენაა.

დაბოლოს, შედეგის მეოთხე არსებით ნიშანს წარმოადგენს ისიც, რომ ის დროში არსებობს მიზეზის შემდეგ. მიზეზის შემდეგ არსებობა შედეგის არსების ერთ-ერთი გარკვეულობაცაა.

შედეგის არსებითი ნიშნების განსაზღვრის შემდეგ, შედეგის ცნება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ ასე: შედეგი არის ობიექტური, საყოველთაო ხასიათის ისეთი მოვლენა, რომელიც წარმოიშობა და იქმნება მიზეზის საფუძველზე და, დროში არსებობს მიზეზის შემდეგ.

§ 3. მიზეზისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულება

მიზეზი და შედეგი აუცილებელ ურთიერთავშირისა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფებიან. შედეგის არსებობა მიზეზის არსებობას გულისხმობს. საქართველო არ არსებობს უმიზეზო მოვლენა.

მთელი სამყარო მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთდამოკიდებულებით

შეკავშირებული ერთი მთლიანი სისტემაა, სადაც ისინი ერთიმანეთში გადადიან, - ის რაც ერთ მიმართებაში მიზეზი იყო, მეორე, სხვა მიმართებაში შედეგი ხდება და პირიქით. მიელი სამყაროს განვითარება მიზეზისა და შედეგის ამ ურთიერთში გადასვლის უსასრულო პროცესია. ამიტომ მათი დამოკიდებულება შეფარდებითი ხასიათის დამოკიდებულებაა მიზეზი და შედეგი, როგორც შეფარდებითი ხასიათის განსაზღვრულობები, აუცილებელ ურთიერთმოქმედებაში იქცევიან: არა მხოლოდ მიზეზი ქმნის შედეგს, არამედ შედეგი უკუსმოქმედებს მის მიზეზზე, ცვლის მას და გარკვეული მხრით განსაზღვრავს მის განვითარებას. ასე მაგალითად, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში იყო ბატონყმობის გაუქმების მიზეზი; მაგრამ ბატონყმობის გაუქმება, როგორც შედეგი, შეშლება, თავის მხრივ, თვით კაპიტალიზმის ძლაერი განვითარების მიზეზი ხდება.

§ 4. მიზეზის კატეგორია სპორტში

სპორტი არ არის სპორტულ საგანთა და მოყლენათა უბრალო იაეშოყრა, იგი მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობებით მკაცრად განსაზღვრული ერთი მთლიანი სისტემაა. ჩვენს მიზანს არ შეადგენს მთელი ამ მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობის დეტალური დახასიათება. მას ცალკე მონოგრაფიული გამოკელევა შეიძლება მიეძღვნას. ჩვენი მიზანია დაგადგინოთ საერთოდ მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერების არსებობა სპორტში. ამისათვის გავაანალიზოთ სპორტული მიღწეების და რეკორდების დამოკიდებულება მათს უშუალო განმსაზღვრელ მოყლენებთან.

სპორტში განუწყვეტლივ წარმოიშობიან და არსებობენ სპორტული მიღწეები და რეკორდები. არაფერი არ წარმოიშობა და არ არსებობს უმიზეზოდ. ის, რაც წარმოიშობა და ის, რაც არსებობს, მისი წარმოშობისა და არსებობის მიზეზს აუცილებლობით გულისხმობს. რა არის სპორტულ მიღწეეათა და რეკორდთა წარმოშობისა და არსებობის ეს მიზეზები?

პასუხი მოცემულ კითხვაზე ერთია: ის გარკყეული სახის სპორტულ მოყლენათა ერთობლიობაა, რომელნიც მათ წარმოშობენ და მათს არსებობას განსაზღვრაყენ. ეს მოელენებია: თვით სპორტსმენები, მათი სპორტული მზადება, დაწყებული ყველა მაჩხი შემავალი მრავალფეროვანი საწყისთა პროცესებით და დამთავრებული სპორტსმენის სპორტული ფორმით; დაბოლოს, თვით სპორტული შეჯიბრება. ყველა ესენი, ერიად აღებულნი, არიან ის მიზეზები, რომლებიც წარმოშობენ სპორტულ მიღწეებსა და რეკორდებს და განსაზღვრაყენ მათს უშუალო არსებობას. ყოველყყე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საერთოდ მიზეზის ცნებას სპორტში ერთი მხრივ, ასეთი განსაზღვრება შეიძლება მიეცეს: ყოველიყე ის, რომლითაც სპორტში ესა თუ ის სპორტული მოყლენა წარმოიშობა და არსებობს, მიზეზს წარმოადგენს. მოცემული განსაზღვრება წარმოადგენს სპორტში მიზეზის ერთ-ერთ არსებით ნიშანს იმას, რომ სპორტში ესა თუ ის მოყლენა წარმოიშობა და არსებობს მხოლოდ

და მხოლოდ მიზეზის საფუძველზე. მოცემული ნიშანი მაინც არ აშორებს სპორტში მიზეზის არსებას.

სპორტში მიზეზის მეორე არსებითი ნიშანი მისი ობიექტურობაა. მიზეზი სპორტში ობიექტური მოვლენაა, რომელიც წარმოშობს და ქმნის სხვა ობიექტურ მოვლენებს.

სპორტში მიზეზის მესამე არსებით ნიშანს მისი საყოველთაობის, ზოგადობის ნიშანი წარმოადგენს. საყოველთაობა სპორტში მიზეზის ერთერთი განუყოფელი, არსებითი ნიშანია.

სპორტში მიზეზის მეოთხე არსებით ნიშანს შეადგენს ის, რომ მიზეზი დროში წინ უსწრებს შედეგს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სპორტში მიზეზის ცნება ასე შეიძლება განისაზღროს: სპორტში მიზეზი არის ყოველივე ის ობიექტური და საყოველთაო ხასიათის მოვლენა, რომელიც წარმოშობა, ქმნის შედეგს და დროში წინ უსწრებს მას.

§ 5. შედეგის კატეგორია სპორტში

თუ სპორტულ მიღწევებსა და რეკორდებს თავიანთი წარმოშობის მიზეზები გააჩნიათ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი მათი მიზეზებთან დამოკიდებულებაში, სწორედ სპორტულ შედეგებს წარმოადგენენ. ამ დამოკიდებულებიდან გამომდინარე, საერთოდ შედეგი სპორტში ასე შეიძლება განვსაზღვროთ: ყოველივე ის, რაც მიზეზის საფუძველზე წარმოიშობა, იქმნება, არსებობს და ვითარდება, არის, სწორედ შედეგი სპორტში. სპორტული მიღწევები და რეკორდები განუწყვეტლივ ვითარდებიან; სპორტის არსიც, სწორედ, ეს არის. ამ აზრით, სპორტული მიღწევების და რეკორდების წარმოშობის მიზეზები, ამავე დროს, მათი განუწყვეტელი განვითარების მიზეზიცაა. ის, რომ შედეგი სპორტში წარმოიშობა, იქმნება, არსებობს და ვითარდება მიზეზის საფუძველზე, იმდენად ძირითადი არსებითი ნიშანია შედეგისათვის სპორტში, რომ ბე თვით შედეგი საერთოდ მხოლოდ ამ ნიშნითაც კი განასახღვრე. მაგრამ მოცემული ნიშანი, ჩემი აზრით, მაინც ვერ აშორებს შედეგის ბუნებას. შედეგს სხვა არსებითი ნიშნებიც გააჩნია. შედეგის სრულყოფილი დახასიათებისათვის აუცილებელია ყველა ამ არსებით ნიშანთა განხილვა.

სპორტში შედეგის მეორე არსებითი ნიშანი მისი ობიექტურობაა. სპორტული მიღწევები, რეკორდები და სხვა, სრულიად უდავოდ ჩვენი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტური მოვლენებია. ასე რომ არ იყოს, მათი განუწყვეტელი შეცვლა-განვითარებაც შეუძლებელი იქნებოდა და თვით შეჯიბრიც არ იარსებებდა.

სპორტში შედეგის მესამე არსებითი ნიშანი მის საყოველთაო ხასიათია. სპორტში გარკვეული მიზეზით შექმნილი შედეგები, როგორც სპორტული მიღწევები, რეკორდები და სხვა, საყოველთაო ხასიათის მოვლენებია.

სპორტში შედეგის მეოთხე არსებითი ნიშანი არის ისიც, რომ ის დროში არსებობს მიზნის შესაძლებ. სპორტული მიღწევები, რეკორდები და სხვა შედეგები სპორტში, რომლებიც წარმოიშობიან, იქმნებიან და არსებობენ მიზნის საფუძველზე, დროში არსებობენ მიზნის შესაძლებ.

და ბოლოს, სპორტში შედეგის მეხუთე არსებითი ნიშანია მისი განუწყვეტელი და უსასრულო განვითარების ნიშანი, რომელიც ადამიანის ფიზიკურ და სულიერ უნარ-თა განვითარების უსასრულო შესაძლებლობებს ეპყრობა.

თუ გავითვალისწინებთ ზემოთ დასახელებულ არსებით ნიშნებს, შედეგის ცნება სპორტში ასე შეიძლება განისაზღვროს: შედეგი სპორტში არის ის ობიექტური, საყოველთაო ხასიათის მოვლენა, რომელიც წარმოიშობა, იქმნება, არსებობს და უსასრულოდ ვითარდება მიზნის საფუძველზე და დროში არსებობს მიზნის შესაძლებ.

§ 6. სპორტში მიზნისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულება

მთელი სპორტი მიზნისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულებით განსაზღვრული ერთი მთლიანი სისტემაა. სპორტში ყოველი მოვლენის არსებობა მისი გარკვეული მიზნის არსებობას გულისხმობს. არ არსებობს უმიზნო სპორტული მოვლენა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიზნი და შედეგი სპორტში განუყრელად ურთიერთ-დაკავშირებულ მოვლენებს წარმოადგენენ: გარკვეული მიზნი სპორტში მუდამ გარკვეულ შედეგს წარმოშობს და, ამდენად, მათი კავშირი აუცილებელი კავშირია.

სპორტში მიზნისა და შედეგის აუცილებელი ურთიერთდამოკიდებულება ასევე შეიძლება განვიხილოთ შედეგის მიზეზზე უკუზემოქმედების ასპექტითაც. როგორც ცნობილია, როგორც საერთოდ, ასევე სპორტშიც, შედეგი უშუალოდ ზემოქმედებს მის შემქმნელ მიზეზზე, ცვლის მას და გარკვეული მხრივ, განსაზღვრავს მის განვითარებას. ასე მაგალითად, სპორტული მიღწევებისა და რეკორდების განუწყვეტელი ცვლის ობიექტური აუცილებლობა, როგორც სპორტის უსასრულო განვითარების კანონი, უკუზემოქმედებს არსებული სპორტულ მიღწევებისა და რეკორდების უშუალო მიზეზებზე და ამ ობიექტური აუცილებლობის მოთხოვნების საფუძველზე ადამიანები ცვლიან და ავითარებენ მათ. შეცვლილი და განვითარებული მიზეზები კი, თავის მხრივ, თვით სპორტული მიღწევებისა და რეკორდების განვითარებას იწვევენ. ეს უკანასკნელნი კი, თავის მხრივ, ისევ უკუზემოქმედებენ მათს განმსაზღვრელ მიზეზებზე და ასე მიზეზისა და შედეგის ურთიერთქმედებით განუწყვეტლივ მიმდინარეობს სპორტის უსასრულო განვითარება.

ასეთია მიზეზისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულება სპორტში.

შინაარსი

პირველი თავი სპორტის ფილოსოფია, მისი საგანი, პრობლემები, მნიშვნელობა და როლი სპორტში.---3გვ.
§1. სპორტის ფილოსოფია, როგორც შეცნიერების შესაძლებლობის შესახებ.---3გვ.
§2. სპორტის ფილოსოფია, მისი საგანი, პრობლემები.---3გვ.
§3. სპორტის ფილოსოფიის კვლევის მეთოდები.---5გვ.
§4. სპორტის ფილოსოფიის მნიშვნელობა და როლი სპორტში.---10გვ.

მეორე თავი სპორტი, მისი ბუნება და არსება.---12გვ.
§1. სპორტის ბუნება, მისი ორმაგი სახიათი.---12გვ.
§2. სპორტი, როგორც სოციალური სისტემა.---14გვ.
§3. შეჯიბრება, როგორც სპორტის არსება.---16გვ.

მესამე თავი ფიზიკური და სულიერი, მისი ურთიერთდამოკიდებულება და ერთიანობა სპორტში.---19გვ.
§1. სპორტსმენის ფიზიკური ძალა ან უნარი.---20გვ.
§2. სპორტსმენის სულიერი ძალა ან უნარი.---23გვ.
§3. ფიზიკური და სულიერი ერთიანობა სპორტში.---32გვ.

მეოთხე თავი ადამიანი, როგორც ფილოსოფიისა და სპორტის საგანი.---33გვ.
§1. ადამიანი, როგორც ფილოსოფიის საგანი.---34გვ.
§2. ადამიანი, როგორც სპორტის საგანი.---38გვ.

მეხუთე თავი საზოგადოება და სპორტი.---42გვ.
§1. საზოგადოება, როგორც ადამიანთა ურთიერთობების სისტემა.---42გვ.
§2. სპორტი, როგორც ადამიანთა ერთ-ერთი ურთიერთობა.---46გვ.

მეექვსე თავი სპორტის შედარებითი დამოუკიდებლობის ბუნება.---49გვ.
§1. დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების ცნებების შესახებ საერთოდ.---49გვ.
§2. დამოუკიდებლობისა და დამოკიდებულების ბუნება სპორტში.---51გვ.
§3. სპორტის შედარებითი დამოუკიდებლობა.---53გვ.

მეშვიდე თავი სპორტის ეროვნული და ინტერნაციონალური ხასიათი.---54გვ.
§1. ხასიათის ცნება.---55გვ.
§2. სპორტის ეროვნული და ინტერნაციონალური ხასიათის აუცილებლობის შესახებ.---56გვ.
§3. სპორტის ეროვნული ხასიათი.---57გვ.
§4. სპორტის ინტერნაციონალური ხასიათი.---59გვ.

მერვე თავი სპორტი, როგორც ღირებულება.---60გვ.
§1. ღირებულება, როგორც ფილოსოფიური და სოციალური კატეგორია.---60გვ.
§2. სპორტის ღირებულებითი ბუნება.---63გვ.

მეცხრე თავი სპორტი, როგორც ხელოვნება.---66გვ.
§1. ხელოვნების ცნების შესახებ.---66გვ.
§2. სპორტის ხელოვნებითი ბუნება.---69გვ.

მეათე თავი სპორტი განსაკუთარებული სისტემა, პრობლემატიკაში, რომორც სპორტის განკუთარების უმნიშვნელოვანესი ფორმა.----74გვ.
§1. განკუთარების ცნება.----75გვ.
§2. სპორტი. როგორც განკუთარებული სისტემა.----75გვ.
§3. სპორტის უსასრულო განკუთარების ცნების შესახებ.----76გვ.
§4. ადამიანის უნარები და მათი უსასრულო განკუთარების შესაძლებლობების შესახებ საერთოდ. სპორტის უსასრულობა თეორიული და ისტორიული ასპექტით.----77გვ.
§5. პრობლემატიკაში, როგორც სპორტის შინაგანი განკუთარების ერთ-ერთი აუცილებელი ფორმა.----82გვ.

მეთერთმეტე თავი რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლა სპორტ-ში.----85გვ.
§1. რაოდენობისა და თვისებრიობის ცნებები.----85გვ.
§2. რაოდენობრიული და თვისებრიული ცვალებადობის ბუნება.----88გვ.
§3. რაოდენობისა და თვისებრიობის ურთიერთში გადასვლა.----90გვ.
§4. რაოდენობრივ და თვისებრივ განსაზღვრულობათა შესახებ სპორტ-ში.----91გვ.
§5. რაოდენობის თვისებრიობაში და თვისებრიობის რაოდენობაში გადასვლა სპორტ-ში.----96გვ.

მეთორმეტე თავი დიალექტიკური უარყოფა და უარყოფის უარყოფა, როგორც სპორტის განკუთარების ფორმა.---107გვ.
§1. უარყოფა, დიალექტიკური უარყოფა და უარყოფის უარყოფა.---107გვ.
§2. შექანიკური და დიალექტიკური უარყოფის შესახებ სპორტ-ში.---109გვ.
§3. უარყოფის უარყოფა სპორტ-ში (ჭადრაკის პარტიაში. ძლიერსწრაფი სპორტის ერთ-ერთი სახეობის - სიარულის სჭიროსაში და ძალოსნობის შეგალითზე).----113გვ.

მეცამეტე თავი შინაგანი წინააღმდეგობა და წინააღმდეგობის ერთიანობა სპორტ-ში.----116გვ.
§1. წინააღმდეგობის. წინააღმდეგობათა ერთიანობისა და შინაგანი წინააღმდეგობის ფილოსოფიური ცნებები.----113გვ.
§2. შინაგანი წინააღმდეგობის შესახებ სპორტ-ში.----117გვ.
§3. წინააღმდეგობის ერთიანობა სპორტ-ში.----119გვ.
§4. შინაგანი წინააღმდეგობა, როგორც სპორტის არსებობისა და განკუთარების საფუძველი.----121გვ.

მეთოთხმეტე თავი ცალკეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის კატეგორიები სპორტ-ში.----121გვ.
§1. ცალკეულის ფილოსოფიური კატეგორიის არსებითი ნიშნები.---122გვ.
§2. განსაკუთრებულის ფილოსოფიური კატეგორიის არსებითი ნიშნები.----123გვ.
§3. ზოგადის ფილოსოფიური კატეგორიის არსებითი ნიშნები.----123გვ.
§4. ცალკეულისა და ზოგადის ურთიერთობის დიალექტიკა.----124გვ.
§5. ცალკეულის კატეგორია სპორტ-ში.----125გვ.
§6. განსაკუთრებულის კატეგორია სპორტ-ში.----126გვ.
§7. ზოგადის კატეგორია სპორტ-ში.----127გვ.
§8. სპორტის ცალკეულის, განსაკუთრებულისა და ზოგადის ურთიერთობის დიალექტიკა.----128გვ.

მეთხუთმეტე თავი ნაწილისა და მთელის კატეგორიები სპორტ-ში (ცალათბურთისა და ფეხბურთის მაგალითზე).---130გვ.
§1. ნაწილის კატეგორიის განსაზღვრების საკითხისათვის.----130გვ.
§2. მთელის კატეგორია.----132გვ.

§3. ნაწილისა და მთელის დიალექტიკა.----------133გვ.
§4. ნაწილისა და მთელის კატეგორიები სპორტში (კალათბურთისა და ფეხბურთის მაგალითზე).----------135გვ.

მეთექვსმეტე თავი შინაარსისა და ფორმის კატეგორიები სპორტში (ფეხბურთისა და კალათბურთის მაგალითზე).---145გვ.
§1. შინაარსის ფილოსოფიური კატეგორია.----------145გვ.
§2. ფორმის კატეგორია.----------147გვ.
§3. ფორმისა და შინაარსის ურთიერთდამოკიდებულება.----------147გვ.
§4. შინაარსისა და ფორმის კატეგორიები სპორტში (ფეხბურთის გუნდის მაგალითზე).----------148გვ.
§5. შინაარსისა და ფორმის კატეგორიები სპორტში (კალათბურთის გუნდის მაგალითზე).----------152გვ.

მეჩვიდმეტე თავი არსებისა და მოვლენის კატეგორიები სპორტში.----------157გვ.
§1. არსების ფილოსოფიური კატეგორია.----------158გვ.
§2. მოვლენის ფილოსოფიური კატეგორია.----------159გვ.
§3. არსებისა და მოვლენის ურთიერთდამოკიდებულება.----------159გვ.
§4. შეჯიბრება, როგორც სპორტის არსება.----------160გვ.
§5. სპორტული მოვლენა შეჯიბრების, როგორც მისი არსების, გამოვლენის ან არსებობის ფორმა.----------162გვ.
§6. შეჯიბრებისა და სპორტული მოვლენის ურთიერთდამოკიდებულება.----------163გვ.

მეთვრამეტე თავი აუცილებლობა და შემთხვევითობა სპორტში.----------164გვ.
§1. აუცილებლობის ფილოსოფიური კატეგორია.----------164გვ.
§2. შემთხვევითობის ფილოსოფიური კატეგორია.----------165გვ.
§3. აუცილებლობისა და შემთხვევითობის ურთიერთდამოკიდებულება.---166გვ.
§4. აუცილებლობის კატეგორია სპორტში.----------166გვ.
§5. შემთხვევითობის კატეგორია სპორტში.----------167გვ.
§6. სპორტული აუცილებლობისა და სპორტული შემთხვევითობის ურთიერთდამოკიდებულება.----------169გვ.

მეცხრამეტე თავი სინამდვილისა და შესაძლებლობის კატეგორიები სპორტში.----------170გვ.
§1. სინამდვილის ფილოსოფიური კატეგორია.----------170გვ.
§2. შესაძლებლობის ფილოსოფიური კატეგორია.----------171გვ.
§3. სინამდვილისა და შესაძლებლობის ურთიერთდამოკიდებულება.---172გვ.
§4. სინამდვილის კატეგორია სპორტში.----------172გვ.
§5. შესაძლებლობის კატეგორია სპორტში.----------173გვ.
§6. სპორტული შესაძლებლობისა და სპორტული სინამდვილის ურთიერთდამოკიდებულება.----------174გვ.

მეოცე თავი მიზეზისა და შედეგის კატეგორია სპორტში.---175გვ.
§1. მიზეზის ფილოსოფიური კატეგორია.----------175გვ.
§2. შედეგის ფილოსოფიური კატეგორია.----------176გვ.
§3. მიზეზისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულება.----------176გვ.
§4. მიზეზის კატეგორია სპორტში.----------177გვ.
§5. შედეგის კატეგორია სპორტში.----------178გვ.
§6. სპორტული მიზეზისა და შედეგის ურთიერთდამოკიდებულება.---179გვ.

Грамитон Николаевич Джолохава
ФИЛОСОФИЯ СПОРТА
(на грузинском языке)
Издательство «Глобал Сервис»
Тбилиси 2000

გამომცემლობის რედაქტორი: მ. ტატიშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.12.00 პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 10,3. საალრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,8
ტირაჟი 50 შეკვეთის №
ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „გლობალ სერვისი“, თბილისი,
მისამართი: უზნაძის 18

ტ. 95-48-29